ეძღვნება ხელოვანებს

თამილის ბრძოლის ალეფიზე

(რომანი)

4Love.Ge

თბილისს ვტოვებ ალიონზე

კახა სულუაშვილი

ნაწილი პირველი

ალიონამდე რაღა დარჩა,

სულ არაფერი.

წუხელიც იწვა სულის კართან

ნისლი ამ ფერის.

კივის ქაჯივით

ზამთრის ღამე სტეპში მავალი...

სითბოს არ ვჩივი,

სინათლეა მზისგან მთავარი.

რომ გზა ვიპოვო,

და ჩემს გულში ხატი გამჩენის.

ქართული წესი დავიტოვო,

კაცად დარჩენის!..

შუაღამე იყო, როცა მეოთხე სართულზე კარი ფრთ-ხილად გაიღო. მერე ასანთის გაკვრის ხმა მოისმა და ბი-ნიდან გამოსულ შუქს 17-18 წლის ჭაბუკი გამოჰყვა.

კარი ისევ სიფრთხილით მიიხურა და ჭაბუკი კიბეებზე ქურდივით, ფეხაკრეფით დაეშვა.

ეზო ელექტრონის შუქს დღესავით გაენათებინა. ამიტომ ჭაბუკი კედლის კიდეს გაჰყვა და მაღალ ხეებში გაუჩინარდა.

გაზაფხულის თბილი ღამე იყო.

ჭაბუკმა გრძელი ქუჩა სწრაფი ნაბიჯებით გაიარა და მარჯვნივ ჩაუხვია. კიდევ ოციოდე ნაბიჯი და ჭადართან შეჩერდა. როცა დაინახა, რომ ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, წინ გავიდა და სამსართულიანი სახლის გვერდის ყველა ფანჯარა შეათვალიერა. შუქი ყველგან ჩაექროთ.

ჭაბუკი დაიხარა, პატარა კენჭი აიღო და მეორე სართულზე, კიდის ფანჯარას ესროლა.

რამოდენიმე წამში ფარდა გადაიწია. მკრთალ შუქზე, ფანჯარაში, თმებგაშლილი გოგონა გამოჩნდა.

ჭაბუკმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კედლის შორიახლოს შეჩერდა.

გოგონას სახე გაუნათდა. ფანჯარა ფრთხილად გაიღო.

- როგორა ხარ? - ღიმილით ჰკითხა ჭაბუკმა.

- სუ... ჩუმად, გაგიჟდი?!

- ჰო!

- როდის ჩამოხვედი?

- ორი საათის წინ. ჩამოდი დაბლა!

- რას ამბობ, მერაბ? გაიღვიძებენ და... - გოგონამ გაშლილი ხელი კისერთან მიიტანა.

- ჰო, კარგი, წავედი. - მერაბი მოტრიალდა და გზას დაადგა.

- მოიცა! - ოდნავ ხმამაღლა ჩამოსძახა გოგონამ.

- ჰო.

- მოდი აქ.

მერაბი ისევ ფანჯარასთან მივიდა.

- დაიცადე ერთი წუთით, - თქვა გოგონამ და ოთახში შევიდა. ცოტა ხანში უკან მობრუნდა და ფანჯრიდან შავი, უცხოურწარწერიანი ქუდი ჩამოაგდო.

- რა არის ეს, ეკა? - ჰკითხა მერაბმა გოგონას მას შემდეგ, რაც ქუდი შეათვალიერა.

- შარვალი.

- ვისი ქუდია?

- შენი.

- მაჩუქე?

- არა, გასესხე.

- გაიზარდე დიდი გოგო, ეკა, ჭირიმე!

- შენც დიდი ბიჭი გაიზარდე და წადი ახლა, არავინ დაგინახოს. ხვალ საღამოს გამოიარე.

- არის! - თქვა მერაბმა და ჯარისკაცივით გაიჭიმა. მერე მოტრიალდა და იმავე ქუჩას გაუყვა შინისაკენ.

* * *

მერაბ ბარათაშვილმა ზუსტად ერთი წლის წინ დაამთავრა სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იმავე წელს იმსხვერპლა მამამისის წითელი ჟიგული, რის შედეგადაც იმავე დღეს მოათავსეს ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში.

მერაბს მარცხენა ხელი ჰქონდა მოტეხილი და მეტი არაფერი, მაგრამ რატომღაც უბანში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, მერაბი მძიმედ არისო.

მერაბი ჯერ კიდევ მერვე კლასში გამოუტყდა ეკას სიყვარულში, მაგრამ იმ დღიდან ისე გავიდა სამი წელი და ისე მოათავსეს მარცხენახელმოტეხილი მერაბი საავადმყოფოში, რომ ეკასგან „ სათავისო “ სიტყვაც არ გაუგია. „ გამარჯობა ეკა “ , „ გაგიმარჯოს მერაბ “ . - ეს იყო და ეს, მათი ურთიერთობა ამით შემოიფარგლებოდა.

საავადმყოფოში დაწოლიდან მეორე დღეს, ნოემბრის ერთ მშვენიერ დილას, პალატის კარი გაიღო და ოთახში ექთანს, თეთრხალათწამოსხმული, თვალცრემლიანი ეკა შემოჰყვა:

- როგორა ხარ, მერაბ?

მერაბს გაოცებისაგან თვალები გაუდიდდა. მწოლიარეს თავბრუ დაესხა. ვერაფერი უპასუხა, თავი დაუქნია.

- აი, აქ დაბრძანდით, - ექთანმა ეკას მერაბის საწოლთან მდგარ სკამზე მიანიშნა, თვითონ კი კარისაკენ გაეშურა.

- გმადლობთ! - ეკა სკამზე ჩამოჯდა, ფანჯარას მიაშტერდა.

- მარტო ხარ? - გონს მოეგო მერაბი.

- არა, იასონია გარეთ, - უპასუხა ეკამ და თავი ჩაღუნა.

- რამ შეგაწუხა? იასონმა მოგიყვანა ალბათ! არა, შეიძლება შეგეცოდე. შეიძლება იასონს შევეცოდე და გთხოვა, გენახე. არის მესამე ვარიანტიც, - ორივეს ერთად შეგეცოდეთ.

მერაბმა თვითონ არ იცოდა, რატომ თქვა ყველაფერი ეს. მერე ეკას შეხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ეკა წამოხტა და ოთახიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

მერაბს ოფლმა დაასხა. ახლაღა მიხვდა, რაღაც დაუფიქრებლად რომ თქვა.

სამი წუთის შემდეგ ოთახში იასონი შემოვარდა და ყაჩაღივით დაადგა თავზე.

- რა უთხარი? - დოინჯი შემოიყარა იასონმა.

- განსაკუთრებული არაფერი, - ნაძალადევი ღიმილით უპასუხა მერაბმა თანაკურსელსა და ერთ-ერთ საუკეთესო მეგობარს.

- ტუტუცი ხარ შენ! - მიახალა იასონმა და კარისაკენ გატრიალდა. - რეგვენო! - მოაძახა ღია კარიდან და დერეფანში გავიდა.

იმავე საღამოს, როცა ეკა საწოლზე გაუხდელად იწვა და დაწითლებული თვალებით ჭერს შეჰყურებდა, უცებ ფანჯარას კენჭი მოხვდა. გოგონა ფანჯარას მივარდა. ეზოში,

საავადმყოფოს ზოლებიან სამოსში გამოწყობილი მერაბი იდგა. მარცხენა ხელი მთლიანად პერანგის შიგნით მოექცია. ცარიელ სახელოს ნიავი უფრიალებდა.

ეს მოხდა ნოემბერში. მას შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და უბნის გოგონებმაც, იმ დღიდან მოყოლებული, ბევრი ჭორი თუ მართალი აცნობეს ერ-თმანეთს ტელეფონით, მერაბისა და ეკას შესახებ.

კარი ისეთივე სიფრთხილით გაიღო და დაიკეტა.

* * *

დილით, გვიან გაიღვიძა მერაბმა. წამოდგომა დაეზარა და რამდენიმე წუთი თვალებგახელილი იწვა.

უცებ ტელეფონის ხმა გაისმა. ყურმილი დედამ აიღო.

- გოგაა, მერაბ! - დაიძახა და მერაბის ოთახის კარი შეაღო, - ადექი, გოგაა, - უთხრა უკვე საწოლზე წამომჯდარ მერაბს. - კარი ჩაკეტე, მე მივდივარ!

- ჰო, კარგი. - უპასუხა მერაბმა, - მოიცა დედა, - მიაძახა კარებში გასულ შუახნის ქალს. - ჩემი საბუთები სად არის?

- თან არ გქონდა?

- თან პასპორტი მქონდა. მართვის მოწმობა სად არის?

- რად გინდა?

- კარგი რა, დედა. რად მინდა და უნდა გავრეცხო, დავაუთოო და ღილები დავაკერო.

- შენს უჯრაში ჩავდე. ჭკუით იარე და მალე მოდი!

- ჰო, ჰო, - თქვა მერაბმა და ყურმილის ასაღებად გაემართა.

პირველი საათი იქნებოდა, როცა სადარბაზოდან საშუალოზე მაღალი, ტანხმელი, სიმპათიური, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი გამოვიდა. ეზოში გაჩერებულ წითელ ჟიგულს თვალი შეავლო და მანქანაში ჩაჯდა.

ეზოდან მანქანა ნელი სვლით გაიყვანა მერაბმა და იმ ქუჩას გაუყვა, რომელიც წინა ღამეს ფეხით გაიარა. იმავე მოსახვევში ჩაუხვია და იმავე ჭადართან შეჩერდა.

- ბიჭი! ჰო, შენ. მოდი ერთი წუთით, - დაუძახა 6-7 წლის ბიჭს მერაბმა, - ეკას იცნობ? - მანქანიდანვე შეეკითხა.

ბავშვმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

- იცი, რომელ ეკაზე გეუბნები?

ბავშვმა ისევ გააქნია თავი.

- აი, იმ ფანჯარას ხედავ? აი იქ, მეორე სართულზე.

- ვიცნობ!

- ჰოდა, ძალიან კარგი. გაიქეცი და დაუძახე, - ბავშვი გაიქცა.

2-3 წუთში ბავშვი უკან მობრუნდა.

- რა ქენი? - ჰკითხა მერაბმა.

- გიზო ბიძია იყო სახლში და ასე მითხრა, ეკა არ არისო და ჩავიცმევ და ჩამოვალო. უთხარი, არ წავიდესო!

დაამთავრა თუ არა ბავშვმა ბოლო სიტყვა, მანქანამ კუდი მოიქნია, ისარივით გავარდა, მარჯვნივ ჩაუხვია და გზატკეცილს დაადგა.

გაკვირვებული და ცოტა შეშინებული ბავშვი ისევ სადარბაზოში შევარდა.

მანქანა გოგა გორგილაძის, მერაბის საუკეთესო მეგობრის ეზოში შევიდა. გოგა გარეთ დახვდა. მანქანა ორი წამით შეჩერდა. გოგა ჩაჯდა და მანქანა უკან სვლით გამოვიდა ვიწრო ეზოდან.

- რომელ საათზე უნდა ვიყო იქ? - იკითხა მერაბმა.

- შვიდზე, და ცოტა ნელა იარე.

- ბენზინი უნდა ჩავასხათ, თორემ აი, წითელი ამინთო.

- ჩავასხათ, რა. აგერ ,, კალონკა " , აი მანქანა და აი ფული, - გოგამ ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანი ამოიღო.

- შენ ისევ ძველებურად ხუმრობ? კარგია! მიყვარს მხიარული ხალხი, მაგრამ შენს ხუმრობაზე რომ აღარავის ეცინება, თუ ხვდები?! მე, შენს ადგილზე, ხუმრობას თავს დავანებებდი და ლექსების წერას დავიწყებდი. ჯიგარს დაგიწყნარებს.

- აი, მე კი, შენს ადგილზე, არ ვიცი ხუმრობას დავიწყებდი თუ არა, მაგრამ ლექსების წერას უთუოდ თავს დავანებებდი.

- რატომ?

- ჯიგარი დაგიწყნარა და მეშინია, სულ უჯიგროდ არ დარჩე.

- მაიმუნი ხართ თქვენ, ბატონო გიორგი! - სიცილით თქვა მერაბმა და მანქანა რიგში შეაყენა, გადმოვიდა და ჯიხურისკენ გაემართა, მაგრამ შუა გზაზე შედგა, ორი წამის შემდეგ სირბილით მოვარდა უკან, მანქანის კარი გააღო, ჩაჯდა, მანქანა ადგილს მოსწყვიტა და გზატკეცილს გაუყვა.

- რა გეტაკა? - ჰკითხა გაკვირვებულმა გოგამ.

- თეთრი ვოლგა რომ ასხამდა ბენზინს, დაინახე? - კითხვაზე კითხვით უპასუხა მერაბმა. - აი, აი, ის მანქანა. ეკა ზის შიგნით, ვერ ხედავ?

- ვისი მანქანაა? - იკითხა ისევ გოგამ.

- ბენზინი თუ მეყო, გავარკვევ, - უპასუხა მერაბმა და სიჩქარეს მოუმატა. ორ მანქანას გადაუსწრო და თეთრ ,, ვოლგას " ამოუდგა უკან.

დაახლოებით სამი წუთი მიჰყვებოდა მერაბი ,, ვოლგას " . მერე მანქანამ გადაუხვია და მერაბის უბნის გზას დაადგა.

უეცრად ეკამ უკან მოიხედა და როცა მერაბის ალეწილი სახე დაინახა, მძღოლს რაღაც გადაულაპარაკა.

თეთრი ,, ვოლგა გაჩერდა. მერაბმაც უკან მიუყენა მანქანა.

„ ვოლგიდან ეკა გადმოხტა და ჟიგულთან “ მიირბინა. მერაბი მანქანიდან არ გადმოსულა.

- რა მოხდა, მერაბ?

- ვინ არის ეგ?

- ვინ, ეგ?

- აი, ის? - თავის მოძრაობით მძღოლზე მიანიშნა მერაბმა.

-

ზურაა, ჩემი ბიძაშვილი. რა მოხდა?

- მაშ, ბიძაშვილია, არა? - და მერაბმა უხერხულად გააქნია თავი. - რას გეუბნებოდი ბიჭო, ბიძაშვილი იქნება მეთქი, შენ კიდევ... - სიცილით მიუბრუნდა გოგას.

- რა მოხდა, აღარ მეტყვი? - იკითხა ეკამ, რომელსაც მართლა ვერაფერი გაეგო.

- არაფერი, სახლში მივდივარ, თუ გამატარებს შენი ზურა-ბიძაშვილი.

- წადი, ბატონო. თუმცა, მოიცა ერთი წუთით, - თქვა და ისევ „ ვოლგასთან “ ” მიირბინა. მძღოლს რაღაც უთხრა და უკან მობრუნდა. „ ჟიგულის “ ” კარი გააღო და ჩაჯდა.

- წავედით? - წარმოთქვა ღიმილით გოგონამ.

- ჩვენ კი წავედით, მაგრამ ზურა-ბიძაშვილი? რატომ მიატოვე?

- ზურას სახლში მივყავდი, მერე უკან უნდა მიბრუნებულიყო. რა აზრი აქვს მის წამოსვლას, როცა თქვენ შემხვდით.

- ისე, სწორია, ხომ იცი. შენ რას იტყვი, გოგა? - თქვა მერაბმა და მანქანა ადგილს მოსწყდა.

გოგა გზაში ჩამოვიდა.

ახლა უკვე ორნი ისხდნენ მანქანაში - მერაბი და ეკა. მანქანა ნელი სვლით მიდიოდა. არც ერთი ხმას არ იღებდა.

- ზაზასთან არ მიდიხარ საღამოს? - ჰკითხა ეკამ მერაბს.

- ვნახოთ. შენ თუ წამოხვალ...

- მე?.. - არ ვიცი, მამაჩემი მიდის ორი თვით მივლინებაში და გავაცილო მინდა. თუ მოვასწარი, მოვალ.

- რა დროსაც არ უნდა მობრუნდე, მოდი. დაგელოდები. სად მიდის?

- არა, მე თვითონ მოვალ.

- როგორც გინდა! სახლში რომელზე უნდა იყო?

- რაც მალე მივალ, უკეთესია!

- მალე მიხვალ, მალე! - მერაბმა ეკას გაუღიმა. მანქანამ სიჩქარეს უმატა.

* * *

ის იყო მერაბი სააბაზანოდან გამოვიდა, რომ ტელეფონმა დარეკა. სწრაფად მიირბინა და ყურმილი აიღო:

- გისმენთ!

- მერაბ, შენ კიდევ სახლში ხარ?! დროზე, გელოდებით! - ეს გოგას ხმა იყო.

- რომელია ახლა.

- რა რომელია?

- საათი რომელია? - თქვა და თავის გამშრალებას შეუდგა მარჯვენა ხელით.

- შვიდს ოცი აკლია!

- რვის ნახევარზე მოვალ.

- ხომ არ გაგიჟდი, ზაზა თამადად გნიშნავს. რა, არ იცი?

- ვთქვი და მორჩა. უფრო ადრე ვერ მოვახერხებ... მოკლედ, მოვალ. წავედი, - მერაბმა ყურმილი დაკიდა.

კარადა გამოაღო და შავი კოსტუმი გამოიღო, შეათვალიერა, მერე დივანზე დააგდო. პერანგის ჩაცმას შეუდგა.

ისევ ტელეფონის ხმა გაისმა.

- გისმენთ.

- მერაბ, მე ვარ. მამა წავიდა! - ყურმილში ეკას ხმა გაისმა.

- სადა ხარ, ეკა? ახლავე მოვდივარ. სადა ხარ?

- აეროპორტში ვარ.

- ახლავე მოვდივარ. მოსაცდელ დარბაზში დამელოდე, გესმის?

- ჰო, კარგი.

- გამოვდივარ.

მერაბმა უცებ ჩაიცვა, წერილი დაწერა, კარებზე მიამაგრა და მხარზე პიჯაკგადაკიდებული კიბეებზე დაეშვა.

* * *

წითელი „ ჟიგული “ დიდი სისწრაფით შევიდა აეროპორტის მოედანზე და პირდაპირ კარებთან შეჩერდა.

ეკა გარეთ იდგა. მანქანის დანახვაზე წინ გამოვიდა. მერაბი გადაიხარა და გვერდის კარი გააღო.

ის იყო მერაბმა მანქანის დაძვრა დააპირა, რომ ავტოინსპექტორის სამთვლიანი მოტოციკლი ამოუდგა გვერდით მის მანქანას.

- მოიცადე! - მოტოციკლიდანვე დაუძახა სერჟანტმა მერაბს და ნელა, ზლაზვნით გადმოვიდა.

- რაშია საქმე?

- საბუთები მომეცი და გაიგებ! - მკაცრად უპასუხა მსუქანმა ინსპექტორმა.

- რა დროს საბუთებია, ბიძია, მაგვიანდება, - მიაძახა მერაბმა და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

ინსპექტორი სწრაფი ნაბიჯით მივიდა მოტოციკლთან, მაგრამ უცებ მოეშვა, ჯიბიდან კალამი ამოიღო და საქაღალდე გადაშალა.

- შეხე, ნომერს იწერს! - უთხრა დამფრთხალმა ეკამ მერაბს ისე, რომ მოტოციკლეტისთვის თვალი არ მოუშორებია.

- წეროს და იკითხოს, - ღიმილით უპასუხა მერაბმა და სიჩქარეს კიდევ მოუმატა.

- ნელა, მერაბ!

- ოო, აი ეხლა უკვე „ ნელა “ აღარ გამოვა. ნუ გეშინია.

ეკამ აღარაფერი უპასუხა. მერაბის პიჯაკი, რომელიც კალთაში ედო, უკან გადადო.

* * *

დიდ ოთახში ბლომად ხალხი შეკრებილიყო. ზოგი დივანზე იჯდა, ზოგი სავარძელში, ზოგი გრძლად გაშლილ და საჭმელ-სასმელით დატვირთული მაგიდის კუთხეს უჯდა და ნარდს თამაშობდა.

სიგარეტის ბოლი ნელა მიიწევდა ფართოდ გახსნილი ფანჯრისაკენ, სადაც რამოდენიმე გოგონა ეზოს გადაჰყურებდა და ხმადაბლა საუბრობდა.

- აი, მერაბიც მოდის! - მოტრიალდა ქერათმიანი, სიმპათიური ქალიშვილი ამხანაგებისაკენ. ავთო გელაშვილი და გოგა გორგილაძე ფანჯარას მიცვივდნენ.

- ეხლა ხომ აღარავის ველოდებით. დავსხდეთ, თორემ უკვე რვის ნახევარია, - მიმართა დანარჩენებს შავგვრემანმა და საგრძნობლად გამხდარმა ჭაბუკმა, რომელსაც თავისუფალ მოქმედებაზე ეტყობოდა, მასპინძელი იყო.

გამოჩნდნენ თუ არა ღია კარში მერაბი და ეკა,

გოგამ შამპანურს ოსტატურად მოხსნა საცობი და რამდენიმე ჭიქა შეავსო. ყველანი მაგიდას უსხდნენ. ერთი სკამი კი ცარიელი იყო მაგიდის თავში.

- თამადას გაუმარჯოს მეგობრებო, თამადას! - დასჭექა გოგამ.

- ტყუილად ირჯები, გიორგი-ბატონო. მანქანით ვარ.

- მანქანა აქ დარჩება. ბევრი ლაპარაკი არ იყოს. აქ ისეთი მეგობრებიც არიან, პირველად რომ გხედავენ და არაქართული საქციელით მათ თვალში არ დაეცე და თავი არ მოგვჭრა, იცოდე. მორჩა სიტყვა-პასუხი. მოკლედ, მერაბ ბარათაშვილს გაუმარჯოს, მეგობრებო. ერთი თვეა, მისი ხმა არ გაგვიგია სუფრის თავიდან. აბა, ჰე!

მერაბს აღარაფერი უთქვამს. მის მიმართ ნათქვამ ლამაზ სიტყვებს ცალი ყურით უსმენდა და მადლობის ნიშნად დროდადრო იღიმებოდა.

ცოტა ხანში ნამდვილი ქეიფი გაჩაღდა. ჭიქების ჭახა-ჭუხი, სიცილი, ხმამაღალი საუბარი და მუსიკის ხმა ერთმანეთში აირია. გოგონები განუწყვეტლივ კისკისებდნენ.

მერაბმაც მალე აუბა მხარი საზოგადოებას. სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდა. საკმაოდ დალია და მაგნიტოფონის ხმა ბოლომდე ააწევინა.

იყო ბევრი სიცილი, სმა, გადაძახილები, მაგრამ ეს არ იყო ქაოსი. სა-კმარისი იყო მერაბის ფეხზე წამოდგომა და მთელი სუფრა უმალ ირინდებოდა.

ერთადერთი, ვინც ვერ შეეწყო მეგობრების მხიარულებას, ეკა იყო.

ისე გავიდა ორი საათი, რომ მერაბს ეკას არსებობა თითქმის არ გახსენებია. ეკა კი ჩაფიქრებული იჯდა და, დროდადრო სახეაკიაფებულ მოქეიფე ბიჭებს გადახედავდა ხოლმე.

უცებ გოგამ მაგნიტოფონი გამორთო.

- თამადას ვთხოვ, ერთი სადღეგრძელო დამითმოს, ძალიან ვთხოვ.

- შენი იყოს, - ხელის აწევით განამტკიცა ნათქვამი მერაბმაც.

ყველანი გაჩუმდნენ.

- პირველ რიგში, მადლობა ბატონ თამადას, - ოდნავ თავი დახარა გოგამ. - მეგობრებო, მართალია ეს სადღეგრძელო ნაწილობრივ უკვე შეისვა, მაგრამ მე მსურს ახლა მთლიანად და პერსონალურად დავლიო, - 4-5 წამით თავი ჩაღუნა და ჭიქას ჩააშტერდა. მერე უცებ გაიმართა და ეკას შეხედა:

- ეკა, დაიკო, მე შენი სადღეგრძელო მინდა შევსვა. ბევრჯერ მაქვს შენთვის ნათქვამი, რას გისურვებდი და როგორ პატივს გცემ შენცა და შენს ოჯახსაც. ბევრჯერ, და ახალს ვერაფერს გეტყვი თითქმის. ეკა, შენს მომავალს გაუმარჯოს! ბედნიერება იყოს შენი მეგზური ყველგან და ყველაფერში. ჩემი ჭკუის დასარიგებელი არაფერი გჭირს, მაგრამ მე მაინც მინდა გითხრა. ყველაფერს უნდა ელოდეს ადაამიანი! ღმერთმა დაგიფაროს ყოველგვარი აუგისგან. ნამდვილ ბედნიერებას ერთი დამიზნებით და გასროლით ძნელად თუ ვინმე მოინადირებს. - მცირე ხნით თავი ჩაღუნა. მერე ისევ ეკას შეხედა თვალებში. - გაგიმარჯოს!

რისი თქმა უნდოდა გოგას, თითქმის ვერავინ გაიგო, მაგრამ ყველამ ბოლომდე უსმინა, რადგან გოგა სიტყვებს ახლა ჰაერზე არ ისროდა. ყოველ სიტყვას დიდი სიმართლით ამბობდა თითქოს. მაგრამ, კონკრეტულად რისი თქმა უნდოდა?

ეკა, ცოტა არ იყოს გაკვირვებული უსმენდა. მერაბი, გოგა და ეკა თერთმეტი წელი ერთ კლასში სწავლობდნენ. თითქმის ხუთი თითივით იცნობდა გოგონა ორივეს, მაგრამ გოგას მიერ ამხელა სადღეგრძელო და ასე ,, დახარჯვა “ არასოდეს ენახა და გაეგონა.

გოგამ სიტყვა დაამთავრა. სახეზე ოფლმა დაასხა. მერე იქ მყოფთ გადახედა, ჭიქა მოიყუდა და უცებ დაცალა.

- დიდ სადღეგრძელოს პატარა სასმისი არ უხდება, - აბსოლუტური სიჩუმე მერაბმა დაარღვია.

- შეეშვი მერაბ, ისედაც ჭიქა არ გამოუტოვებია, - ჩაერია გოლიათური აღნაგობის ავთო გელაშვილი, რომელიც სრულიად ფხიზლად გამოიყურებოდა.

- მართალია მერაბი, შემეშალა და გამოვასწორებ, - გოგამ კარადის თავიდან ნახევარლიტრიანი ყანწი გადმოიღო და პირამდე გაავსო.

- გოგა, თუ გიყვარვარ, გაჩერდი, არ მაწყენინო, - მართლა უზომოდ შეწუხდა ეკა.

გოგას ხელში ყანწი შეაცივდა. „ თუ გიყვარვარ “ , რამოდენიმეჯერ გაიმეორა გულში. რატომღაც უცებ მერაბს შეხედა და გამოერკვა: მერაბის ანთებული თვალები და დაძაბული სხეული თითქოს ნამცეცისოდენა მიზეზს ეძებდა. იგი ყანწს მიშტერებოდა და თითქოს იქ არ იყო, არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ გოგა მიხვდა, რომ მერაბი მას ელოდებოდა. ელოდებოდა, დალევდა თუ არა.

უცებ გოგას მოეჩვენა, რომ მერაბის გონებაში მხოლოდ ერთი ფრაზა ბრუნავდა „ თუ გიყვარვარ “ , და სახეზე სიწითლე შეეპარა.

- მაპატიე ეკა. რაკი ავიღე, უნდა დავლიო კიდეც, - ისე თქვა, რომ ყანწისათვის თვალი არ მოუცილებია.

გოგამ ყანწი მოიყუდა და ნელ-ნელა დაცალა. ვიღაცამ ბოლოში ტაში შემოჰკრა.

- ალავერდი ვისთანა ვარ, ჩემო ავთო? - იკითხა გოგამ ღიმილით.

- თამადასთან, მაგას ენაცვალოს ჩემი დარჩენილი დღეები, - დაიგრუხუნა ზორბამ მაგიდის ბოლოდან.

- მართალია, სწორედ რომ თამადასთან, - ყანწი გაავსო გოგამ და მერაბს გადააწოდა.

ლიკა ჟვანია და მისი კურსელი ორი გოგონა დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს „ ორთაბრძოლას “ .

- როგორ ფიქრობ ლიკა, დალევს მერაბი? - ჩურჩულით ჰკითხა ლამაზმა, შავთმიანმა და ცისფერთვალება გოგონამ ლიკას.

- შენ როგორ ფიქრობ?

- მე რა ვიცი. შენი კლასელებისა მე რა გითხრა?!

- მერაბი მაგისთანას ხუთს დალევს და მერე კიდევ ამათ დაათრობს, სათითაოდ ჩამოარიგებს სახლებში სუყველას მანქანით და შინ რომ დაბრუნდება, თუ თვითონ არ თქვა, ვერავინ მიხვდება, რომ ღვინო დალია.

სტუმარ გოგონას სახე გაებადრა და უფრო მეტი ინტერესით დააკვირდა გარშემომყოფთ.

მერაბი წამოდგა. ყანწი გამოართვა გოგას, მაგრამ ისევ უკან დაუბრუნა.

- მოიცადე! - სკამი გამოსწია, გამოვიდა, კარადა გამოაღო და დიდი ბროლის ლარნაკი გამოიღო.

ოთახი აგუგუნდა. შემახილების კორიანტელს მერაბმა ერთი სიტყვითაც არ უპასუხა.

- ეგ ყანწი აქ ჩამოასხი და მერე დოქიდან დაამატე.

- მერაბ! ბევრია. მანქანით ხარ, არ დაგავიწყდეს, - ყანწი უკან გაწია გოგამ.

- დაასხი-მეთქი! - ირგვლივ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ცისფერთვალებას ერთი სული ჰქონდა ამდგარიყო და მერაბთან ახლოს მისულიყო. - შენ არ მიყიჟინებდი, გინდა თუ არა, თამადა უნდა იყოო. ისიც ხომ მასწავლე, რომ მანქანა აქ უნდა დავტოვო. ჰოდა, დაასხი! - თქვა მერაბმა და ლარნაკი წინ გასწია. ეკამ იცოდა, მისი ჩარევა ნაყოფს ვერ გამოიღებდა და ამიტომ ხმის ამოუღებლად იჯდა.

გოგამ ყანწიდან ღვინო ლარნაკში გადაასხა. მერაბმა დოქს ხელი დაავლო და რაც დარჩა, შეავსო. დაჯდა.

ოთახში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი.

- გაუმარჯოს ეკას, - თქვა ჩუმად და ლარნაკი პირთან მიიტანა. ნელა, შეუსვენებლად სვამდა მერაბი. გოგა ისევ ფეხზე იდგა და ხელში ცარიელი ყანწი ეჭირა.

- უჰ, შენ გენაცვალე! - იღრიალა ავთომ, როცა მერაბმა ცარიელი ლარნაკი ფრთხილად დადგა მაგიდაზე.

ისევ იხუვლა დარბაზმა. ატყდა ყიჟინა.

- ეგრე არ დარჩე, ბიჭო! - დაუძახა ავთომ გოგას. გოგამ ყანწი დადო, დაჯდა.

მერაბმა ბორჯომის ბოთლი გახსნა და ჭიქაში დაისხა. თავი ასწია და მაგიდას გადახედა. უცებ ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო და ახლაღა შეამჩნია, რომ ლიკა ჟვანიას გვერდით ლამაზი გოგონა იჯდა.

გოგონამ თვალი აარიდა და მომუსაიფე გოგონებს მიუბრუნდა.

,, კალმით ნახატია, ნეტა ვინ არის? “ - გაიფიქრა მერაბმა და ისევ შეხედა.

ისევ შეხვდნენ თვალები ერთმანეთს და ცისფერთვალებამ ისევ აარიდა მზერა. ჩანგალს დაუწყო ტრიალი. თავი ჩაღუნა.

მერაბი ფეხზე წამოდგა და პატარა ჭიქა შეავსო.

- სიჩუმე! - თქვა და ყველა გაყუჩდა.

- მე წავედი, მერაბ! - ფეხზე წამოდგა ეკა.

- მოიცადე, ეკა! - ოდნავ უხეშად წარმოთქვა მერაბმა.

- მაგვიანდება, ძალიან გთხოვ... ვეღარ დავრჩები.

მერაბმა მაგიდას გადახედა. ყველა მერაბის ,, განაჩენს “ ელოდა.

- ბოდიში, ცოტა ხნით დაგტოვებთ, - თქვა და გამოსვლა დააპირა.

- მეც მოვდივარ, - ფეხზე წამოდგა გოგა.

- სად მოდიხარ? მე თხუთმეტ წუთში მოვალ.

- მე მინდა, რომ ეკა გავაცილო, გაიგე? - ბოლო სიტყვა დამარცვლა უკვე საკმაოდ შეზარხოშებულმა გოგამ და მერაბს შეხედა.

- კარგი, მაშინ შენ გააცილე, - გაკვირვებულმა მერაბმა ეკას შეხედა. ეკა უკვე კარებში იდგა. - გააცილე. მე აქ ვრჩები, ჯერ 10 საათია.

- დარჩი, - ისევ მკვახედ თქვა გოგამ და კარისაკენ წავიდა. მოტრიალდა: - გასაღები მომეცი!

- რა გასაღები? - წამოიძახა ლიკა ჟვანიამ.

- მთვრალი ხარ, გოგა, - ჩუმად თქვა მერაბმა.

- მთვრალი შენ ხარ. თუ მაძლევ, მომეცი, - გოგამ ხელი გაუწოდა.

- შენ ხომ არ გაგიჟდი, მერაბ! - იყვირა ავთომ და ბიჭებისაკენ წამოვიდა, როცა დაინახა, რომ სახეანთებულმა მერაბმა გოგას გასაღები ხელში ჩაუგდო.

- მომეცი გასაღები! - მივარდა ავთო გოგას.

- გაშპი ეხლა აქედან!

- მომეცი-მეთქი გასაღები. ეკა, უთხარი მომცეს გასაღები, - მიუბრუნდა ავთო ეკას.

- მიეცი გოგა, ნასვამი ხარ.

- გაჩუმდით ყველა! - იღრიალა გოგამ. - მე დღეს ეკას მანქანით მივიყვან სახლში. დედამიწა რომ დაინგრეს, მაინც. გაიგეთ?! დამანებეთ თავი, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ. მერაბი რომ დამჯდარიყო მანქანაზე, რომელი ამოიღებდით ხმას...

- შენ თავში ქვა გიხლია, - ხუმრობაში გადაიტანა ავთომ, როცა გოგას გაცეცხლებული სახე დაინახა. - ეკა კი არ ჩაჯდება მანქანაში.

- მე მინდა, რომ ეკა გავაცილო და თუ არ ჩაჯდება, ეგ უკვე მისი საქმეა.

ეკამ აღარ იცოდა რა ექნა. ხან გოგას უყურებდა, ხან ავთოს. მერაბი გაქვავებული იდგა.

გოგამ ავთოს კარიდან ხელი ჩამოაშვებინა, გარეთ გავიდა და კიბეებზე დაეშვა.

- ეკა, წაყევი, - თქვა

მერაბმა და თავით კარებისაკენ მიანიშნა. - არც ისე მთვრალია... წაყევი, წაყევი.

ეკა არც იძვროდა. ვერ გაეგო, რა ექნა.

- არ გესმის? წაყევი-მეთქი, თორემ რაღაცას მოიწევს. დღეს ესე იყოს, არა უშავს... - მერაბი დაჯდა.

ეკა უცებ შეტრიალდა და გარეთ გავარდა.

ეზოში მანქანა დაიქოქა. გოგონები ფანჯარასთან მიცვივდნენ.

სადარბაზოდან ეკა გამოვიდა, სწრაფი ნაბიჯებით მანქანასთან მივიდა.

კარი გოგამ გააღო. ეკა ჩაჯდა. რამდენიმე წამში მანქანა დაიძრა და ნელი სვლით გავიდა ეზოდან, მაგრამ მოუხვია თუ არა, საბურავების ღრჭიალი გაისმა და მანქანა კუდის ქნევით ელვასავით გავარდა.

- დაეჯახება რამეს! - იკივლა ლიკა ჟვანიამ ფანჯარაში. მერაბი ადგილს მოსწყდა და ფანჯარას მივარდა.

მანქანა აღარ ჩანდა.

მერაბი სირბილით გამოვარდა ოთახიდან და კიბეებზე დაეშვა. ავთო უკან აედევნა.

* * *

- მე ვარ, ზაური ბიძია. მერაბი ვარ, გააღე.

კარი გაიღო და შუახნის მამაკაცმა სადარბაზოში შუქი აანთო.

- რა მოხდა მერაბ? - შიშნარევი ხმით იკითხა კაცმა.

- მერე აგიხსნი. შენი ჭირიმე, მანქანა მჭირდება. ძალიან მეჩქარება, ჩქარა, ზაური ბიძია...

კაცმა მერაბის დაფეთებული სახე რომ დაინახა, აღარაფერი უთქვამს, ოთახში შევიდა და გასაღები გამოიტანა.

ბიჭმა თითქმის ხელიდან გამოსტაცა გასაღები და კიბეზე დაეშვა.

- რამე უბედურება ხომ არ არის, შვილო? მამაშენი სად არის? - მიაძახა მერაბს ზაურმა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

თეთრი „ ნივა “ ” ტყვიასავით გავარდა ეზოდან.

- სად იქნებიან? - ჩუმად იკითხა გვერდზე მჯდომმა ავთომ.

- რა ვიცი. ხომ ნახე, სახლში არც ერთი არ არის. მე რას მეკითხები, ჩემთან არ იყავი? - ყვირილით უპასუხა მერაბმა.

ავთოს ხმა აღარ ამოუღია. სიტყვებს ეძებდა, ცდილობდა როგორმე დაეწყნარებინა მეგობარი.

მანქანა დიდი სისწრაფით მიჰქროდა სანაპიროზე. მანქანას მანქანაზე უსწრებდა მერაბი.

- ნელა, 140-ს გადასცდა, შეასკდები რამეს. ნელა-მეთქი, არ გესმის? - მართლა შეეშინდა ავთოს, მაგრამ ეს რაღაც სხვაგვარი შიში იყო. უფრო სწორად, მას მეგობრის გამო უფრო ეშინოდა. თავისი ყოფნა იმავე მანქანაში თითქოს გადაავიწყდა კიდეც.

- ნელა-მეთქი, შე რეგვენო, ნელა! - არ ცხრებოდა ავთო.

- შემეშვი! - იღრიალა მერაბმა. - თუ გეშინია, გავაჩერებ და ჩადი.

ავთოს აღარაფერი უთქვამს, სიგარეტს მოუკიდა. მანქანამ მარჯვნივ აუხვია.

- სად ვეძებო, სად? დაიმსხვრა ალბათ და ჩაძაღლდა. სულ ერთია, ჩემი ხელით მოვკლავ.

- დაწყნარდი ბიჭო. მოიცა, კოჯორში ხომ არ წავიდა... ნაღდად იქ წავიდოდა. სანამ შენ მოხვიდოდი, გასაღები მაჩვენა და მითხრა: ჩვენებს ვუთხარი, ამაღამ კოჯორში დავრჩებიო. დაკეტილი სახლი რომ აქვს, ხომ იცი? მეც მეპატიჟებოდა. ნაღდად იქ წავიდოდა...

- სად იყავი აქამდე, ნახევარი ქალაქი რომ მომატარე. იქ იქნება, აბა სად წავიდოდა? ეკაც წაიყვანა ვაჟკაცმა? სულ ერთია, კარებშივე მოვკლავ.

დაამთავრა თუ არა სიტყვა, სისწრაფეს კიდევ უმატა. ორ მანქანას თითქმის ერთად გადაუსწრო, მოსახვევში სატვირთო მანქანა გამოჩნდა. მერაბმა გვიან დაინახა, შეჩერებას აზრი აღარ ჰქონდა.

- ნელა, მერაბ...

- შემეშვი... - მთელი ხმით იბღავლა მერაბმა.

- ნელა, ბიჭო! მერაბ, მერაბ...

მანქანა გზიდან გადაფრინდა, დაბლობს დაასკდა, რამდენიმე ბრუნი გააკეთა და გულაღმა, სახურავზე გაჩერდა.

* * *

ღამის თერთმეტი საათი შესრულდა, როცა წითელი ჟიგული ჭადართან გაჩერდა.

- ეკა, შენ ცუდად ნუ გამიგებ... მერაბი ჩემი ძმაა. უბრალოდ, მე ვერ შევძელი დღესაც გავჩუმებულიყავი. - გოგამ თავი ჩაღუნა. მაგრამ, მე შენ ამას აღარასოდეს შეგახსენებ, აღარასოდეს. არა მაქვს ამის უფლება და იმი-ტომ. სულ წავალ ამ ქალაქიდან. წავალ და აღარ დავბრუნდები... არც ვარ ღირსი. ადი ეკა სახლში და დაივიწყე ყველაფერი. დაივიწყე ეს საღამო... წადი ეკა, - გოგას ყელში რაღაც მოაწვა. თვალებზე ცრემლი მოადგა და თავი მიაბრუნა.

ხმა აღარ ამოუღია.

ეკამ ფრთხილად გააღო კარი და მანქანიდან გადმოვიდა. სიზმარში ეგონა თავი. როგორ ავიდა სახლში, ვერ გაიგო.

- მოხვედი ეკუნა? - კარის ხმაზე სამზარეულოდან დედა გამოვიდა. - მარტო მოხვედი?

- არა, - ხმადაბლა თქვა ეკამ და თავისი ოთახის კარი შეაღო. დედა სამზარეულოში შევიდა და ფანჯრიდან გადაიხედა. ეზოში, ჭადართან, წითელი ჟიგული იდგა.

- ეკა!

ეკას ხმა არ გაუცია. ტანსაცმლიანად წამოწვა საწოლზე.

- ეკუნა! - გაიმეორა დედამ.

- რა მოხდა, დედა?

- ისევ მიდიხარ?

- სად? - გამოერკვა ეკა.

- რა ვიცი. მერაბის მანქანა ისევ სადარბაზოსთან დგას. შენ ხომ არ გელოდება? - დედა ეკას ოთახში შევიდა.

- შუქი არ აანთო, -

დაღლილი ხმით წარმოთქვა ეკამ, მაგრამ გვიანღა იყო. შუქი უკვე აინთო.

- რა მოხდა ეკა? მითხარი, დედიკო. რატომ არ მიდის მერაბი.

- მერაბი არაა ეგ. გოგა გორგილაძეა, - ჭერისთვის თვალი არ მოუშორებია ეკას.

- მერაბი სად არის?

- იქ დარჩა.

- რატომ?

- რა, რატომ? დალია და მანქანა გოგას მისცა ჩემს წამოსაყვანად.

- კარგი, ბატონო. გოგა რატომ არ მიდის?

- არ ვიცი, ალბათ გაუფუჭდა რამე, - უპასუხა ეკამ და გვერდზე გადატრიალდა. დედა ჩაფიქრდა.

- ეკა! - დაუძახა ცოტა ხნის შემდეგ. - ეკა!

ეკამ ხმა არ გასცა. დედა ფრთხილად გავიდა ოთახიდან. სამზარეულოში შევიდა და ფანჯრიდან გადაიხედა.

მანქანა იქ აღარ იყო.

არაფრით აღარ დაეძინა ეკას. თავი წამოსტკივდა.

,, მთელ ქვეყანას მირჩევნიხარ, მაგრამ მე ვიცი, რომ შენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. არც არაფერს მოვითხოვ, უბრალოდ მინდა, რომ იცოდე... “

ყურებში ისევ გოგას ხმა ესმოდა. მოსვენება დაკარგა.

,, უბრალოდ, მინდა რომ იცოდე... “ - უკვე მერამდენედ იმეორებდა გონებაში.

რა მოხდა დღეს? რა მოუვიდა გოგას?

როგორ ვერაფერი შევამჩნიე. აქამდე რატომ არ მითხრა არაფერი. მერაბისა ეშინოდა? - არა, გოგამ შიში არ იცის, რა არის. უბრალოდ, მერაბს ვერ გადააბიჯა. მაგრამ, დღეს რატომ თქვა ყველაფერი. რატომ? საზიზღარი. რა თვალებით უნდა შეხედოს მერაბს. ან როგორ გაბედა. ხომ იცის, რომ გაიგებს, - არ აპატიებს... მაგრამ რა აქვს საპატიებელი, რა თქვა ისეთი... იქნებ, არც არის დამნაშავე. იქნებ კი არა, არ არის...

მორჩა მათი ძმობა და მეგობრობა?

შეუძლებელია!

მერაბი რას იზამს, ნეტა? თუ არაფერი უთხრა, ეს იმას ნიშნავს, რომ საუკუნოდ დაივიწყებს მის არსებობას, მაგრამ გოგა რაშია დამნაშავე?..

არაფერში...

მთელმა ღამემ საკუთარ თავთან საუბარში და უსიამოვნო ფიქრებში გაიარა.

ეკას გამთენიისას ჩაეძინა.

* * *

დილის შვიდი საათი იქნებოდა.

საავადმყოფოს დერეფანში მდგარ სავარძელში თვალებჩაწითლებული ქალი იჯდა, ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და ნაქარგს ჩაშტერებოდა. უკან, ფანჯარასთან, რამდენიმე ბიჭი იდგა. გარეთ იცქირებოდნენ. მეორე ფანჯარასთან ზაური და კიდევ ორი კაცი ჩუმად საუბრობდნენ.

მაღალი, ჭაღარა მამაკაცი ბოლთას სცემდა მთელს დერეფანში.

პალატის კარი გაიღო და დაბალი, სათვალეებიანი ექიმი გამოვიდა. უკან ორი ექთანი გამოჰყვა. ჭაღარა მამაკაცი ექიმთან მიიჭრა. სხვებიც უკან მოგროვდნენ მის გარშემო.

- როგორ არიან? - ყველას დაასწრო ჭაღარამ.

- ნუ გეშინიათ, არაფერია სერიოზული. ხომ გითხარით, მაგარი ბიჭები ყოფილან. ისე, ბედიც ჰქონიათ.

- ქალბატონო, ქალბატონო, დაწყნარდით, ძალიან გთხოვთ. მერაბს არაფერი სჭირს სატირალი. - მიუბრუნდა ექიმი მერაბის დედას, რომელსაც უკვე ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა. იასონმა ისევ სავარძელთან მიიყვანა იგი.

- ორი ნეკნი აქვს მარჯვენა მხარეს გატეხილი. ერთ საათში შედით და თქვენ თვითონ ელაპარაკეთ, ჩემი თუ არ გჯერათ, - განაგრძო ექიმმა. - ახლავე შეგიშვებდით, მაგრამ ჩაეძინათ ორივეს და არ მინდა გაიღვიძონ. მეორეს თავი აქვს გატეხილი, მაგრამ ტვინის შერყევაც კი არ აქვს. ავდგებიო, წელან მითხრა. ორივეს ველაპარაკე... ჰო, მართლა, იასონი რომელია?

- მე ვარ. - წინ წამოიწია ულვაშებიანი ჭაბუკი.

- მერაბმა გიკითხა. თუ აქ არის, შემოვიდესო, მაგრამ ჯერ ნუ შეხვალ. ერთი საათნახევარი იძინოს. რომ გაიღვიძებს, ექთანი დაგიძახებს. მოდი ერთი წუთით აქეთ. - მომღიმარმა ექიმმა იასონი გვერდზე გაიყვანა.

ყველანი ადგილებზე დაბრუნდნენ.

- იასონ, - დაიწყო ექიმმა. - ეკა ვინ არის?

- ეკა? მეგობარია მაგათი.

- მარტო მეგობარი? - გაიღიმა ექიმმა.

- რატომ მეკითხებით?

- მთელი ღამე „ ეკას “ გაიძახოდა მერაბი. გონზე რომ მოვიდა, პირველი ის მკითხა, ეკა სად არისო. გარეთ დგას-მეთქი. მერე ავთო იკითხა. მერე... ჰო, გიგა თუ გეგა სად არისო..

- გოგას იტყოდა.

- ჰო, გოგა, გოგა ცოცხალიაო? - მკითხა. აქ იყო-მეთქი, შენ გეძინა-თქო.

- გოგა ის ბიჭია, ვისაც მანქანა ათხოვა, - აუხსნა იასონმა.

- აქ არის?

- არა, აქ არ არის. ბატონო, მე ნუ დამიმალავთ, რამე ხომ არ არის სერიოზული.

- არა შვილო, არაფერი. მაგრამ, მაგრად გადარჩენილან. მამა არ ჰყავს მერაბს? - მოკრძალებით იკითხა ექიმმა.

- როგორ არა, მივლინებაშია. ავთოს არ ჰყავს დედა.

- არ ჰყავს?

- არა. ორი წელია, რაც გარდაიცვალა.

ექიმმა სინანულის ნიშნად თავი გააქნია, იასონს მხარზე ხელი დაადო და დერეფანს გაუყვა.

პალატიდან თვალცრემლიანი დედა გამოვიდა.

- იასონ, შედი შვილო, მერაბი გეძახის, - თქვა და ცრემლების წმენდით

ისევ სავარძელს მიაშურა.

- დაწყნარდით, ნელი დეიდა. ხომ კარგად არის, არ გელაპარაკათ?

- კი, მელაპარაკა. შედი იასონ. შედი, შვილო.

იასონმა კარი ფრთხილად შეაღო და ტრადიციულად, როგორც ყოველთვის, ახლაც გაიღიმა მერაბის დანახვაზე.

- შემოდი, - ჩუმად თქვა მერაბმა.

იასონი ფეხაკრეფით მივიდა მერაბთან.

- ავთოს სძინავს? - ასევე ჩუმად იკითხა.

- ჰო, ახლა ჩაეძინა.

- როგორ ხარ, გტკივა რამე?

- თავი მტკივა და თვალები მეწვის. კიდევ - ვერ ვინძრევი. სხვა რა გაინტერესებს. - ცივად, უძლურად გაიღიმა მერაბმა.

- ნეკნები ჩაგიმატეს, - მერაბის გამხიარულება სცადა იასონმა.

- ეკა რატომ არ მოვიდა? - იკითხა მერაბმა და თვალები დახუჭა. - არ მითხრა ეხლა, შენ რომ გეძინა, აქ იყოო.

- არა, ეკა არ ყოფილა, მაგრამ ამ დილაადრიან ვინ ეტყოდა შენ ამბავს?

- შენ გაიგე ვერაზე და იმან ვერ გაიგო? გოგა სადღაა? ექიმმა მითხრა აქ იყოო, მაგრამ ის რომ მოსულიყო, ასე უცებ არ წავიდოდა.

- ყველაფერს გავიგებ მერაბ, შენ დაწყნარდი, - ხელზე ხელი დაადო იასონმა.

- რაც მაინტერესებდა, ის უკვე გავიგე თითქმის... ეკა ჩემგან დაიღალა, იასონ. მე მეჩვენება, რომ აღარ ვჭირდები. რომ ვუკვირდები ამ ბოლო დროს... მოკლედ, ის ეკა აღარ არის, 4-5 თვის წინ რომ იყო. 40 წლის ქალის ჩვევები დასჩემდა. რაღაც ზედმეტად დინჯი, უთქმელი გახდა და ხანდახან მეჩვენება, რომ ეშინია ჩემი. ეშინია თუ ერიდება და ამიტომ არაფერს მეუბნება. ამიტომ, თუ შენ ეკასთან მიხვალ, ჩემი სახელი აღარ ახსენო, გაიგე?

- როგორც შენ გინდა.

- მაინც, სად იყვნენ წუხელი? შენ ალბათ არ იცი. ან იქნებ იცი კიდეც, ჰა?

- შენ დიდი ხანია სამკურნალო ხარ და ძალიან მიკვირს, მხოლოდ წუხელის რატომ დაგაწვინეს აქ. რას ბჟუტურობ, ან რა თავს მაცოდებ, ან რას მევაჟკაცები. გადატრიალდი, დაიძინე! ბიჭოს! - ვითომ გაბრაზდა იასონი.

- ეჰ! ბარემ მეც მინდა გადავტრიალდე ჩემო იასონ, მაგრამ რომ არ შეიძლება.

- არ შეიძლება და ეგდე, როგორც გდიხარ და სისულელეების როშვას თავი დაანებე, - ხასიათი შეინარჩუნა იასონმა.

- ჰო, კარგი ეხლა, ნუ გამლახავ, - გაუღიმა მერაბმა. - წადი ეხლა, წადი და აღარავინ შემოუშვა. თავი მტკივა, ლაპარაკის თავი აღარ მაქვს.

იასონი ოთახიდან გამოვიდა. მერაბის დედას დაემშვიდობა და კიბეებამდე სირბილით მივიდა.

* * *

ოთახში ტელეფონის ხმა გაისმა.

- გისმენთ, - საწოლიდან არ ამდგარა ეკა. - თვალები მოისრისა და ბალიში მაღლა ამოსწია.

- გამარჯობა, ეკა. იასონი ვარ.

- გისმენ, იასონ.

- ეკა, აუცილებლად უნდა გნახო. საქმე მაქვს, თუ გცალია...

- კი, კი, არსად არ მივდივარ. შენ სად ხარ?

- ვაკეში ვარ. სად გნახო? მეტრო ,, რუსთაველთან “ გამოხვალ?

- რამდენ ხანში?

- რაც მალე მოხვალ, უკეთესია. ერთ საათში მოასწრებ მოსვლას?

- კი, როგორ არა. რა მოხდა, იასონ?

- არაფერი, არაფერი, უბრალოდ... მოკლედ, მოხვალ და გეტყვი. გელოდები.

* * *

- იასონ, - მოესმა ვაჟს ზურგიდან ეკას ხმა.

- ჰო, აქ ვარ, - იასონი სწრაფი ნაბიჯებით მივიდა ეკასთან. - როგორ ხარ?

- ბევრი გალოდინე? რა მოხდა, ასე სასწრაფოდ რომ გამომაქციე.

- ისეთი არაფერი. ეხლა კარგად მომისმინე: მერაბმა არ უნდა გაიგოს მე და შენი შეხვედრის ამბავი. ამის შესახებ ხმა არ ამოიღო.

- რატომ? - დაიბნა ეკა.

- მოკლედ... მერაბი საავადმყოფოში წევს. არ შეგეშინდეს. კარგად არის. დღეს დილით ანეკდოტებს მიყვებოდა...

- რა უნდა საავადმყოფოში. - სიტყვა შეაწყვეტინა ეკამ. - იასონ, რა მოხდა ბიჭო, სად წევს? თქვი დროზე, არ გესმის?!

- ჰოდა, დამაცადე, დამაცადე. რა მოგივიდა, ნუ გეშინია-მეთქი, ხომ გითხარი. მოკლედ, წუხელი, შენ და გოგა რომ წახვედით... - დაიწყო თხრობა იასონმა და რაც იცოდა,

თითქმის ყველაფერი მოუყვა.

ეკა შეშინებული უყურებდა, დროდადრო მოთმინებიდან გამოსული, რაღაცას ეკითხებოდა ჭაბუკს.

,, ხომ გითხარი, ნუ გეშინია-მეთქი, “ - ხუთჯერ მაინც გაიმეორა იასონმა, სანამ თხრობას დაამთავრებდა.

იასონმა ეკას მანქანა გაუჩერა. მერე მძღოლს სამმანეთიანი მიაწოდა.

- დაწყნარდი, ეკა. თვითონ ნახავ. აი, ასეა, - ცერა თითი აჩვენა იასონმა.

ეკამ თავი დაუქნია და ცრემლები მოიწმინდა.

* * *

იასონი ელბაქიძის დაღმართზე დაეშვა და გეზი გოგას სახლისაკენ აიღო.

ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა.

კარი 12-13 წლის ბიჭმა გააღო.

- გოგა

სახლშია?

- არა, არ არის.

- აბა, სად არის?

- არ ვიცი. თქვენ ვინ ხართ?

- მე ამხანაგი ვარ. სად წავიდა, არ უთქვამს?

- წუხელის თორმეტ საათზე მოვიდა სახლში. ფული აიღო და წავიდა. დღეს ხუთ საათზე დარეკა დილით.. რა გქვიათ თქვენ?

- იასონი. მერე, რო დარეკა?

- კოჯორში მივდივარო, ორშაბათამდე არ ჩამოვა.

- აუჰ! კოჯორში ასვლა არ გინდა ეხლა. არადა, მერაბმა აუცილებლად ნახეო. მისამართი მითხარი ერთი, თუ ძმა ხარ.

- ერთი წუთით, შემოდით შიგნით, - ბიჭი სახლში შევიდა. იასონმა კარი შიგნიდან მიხურა.

- აი, აქ წერია, - ბავშვმა ორად გაკეცილი ფურცელი მიაწოდა იასონს. - უნივერმაღთან მარცხნივ შეუხვიეთ. ახლოს არის.

- დიდი მადლობა, კარგად იყავი, - კარი გააღო იასონმა.

- კარგად, - თვალი გააყოლა ბიჭმა კიბეზე ჩამავალ იასონს.

* * *

ეკამ სირბილით აიარა კიბეები.

დერეფანს გაუყვა და შედგა. სავარძელში თავჩაღუნული ნელი იჯდა - მერაბის დედა. ეკა ცოტა ხანს ადგილზე იდგა. შემდეგ მობრუნდა და უკანვე დაეშვა კიბეებზე. გარეთ გამოვიდა. ცოტა ხანს შესასვლელთან გაჩერდა. მერე ნელი ნაბიჯით შორიახლოს, ეზოში მდგარ სკამთან მივიდა და ჩამოჯდა.

,, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? “ “ - ფიქრობდა ეკა. - ,, სულ ერთია, ადრე თუ გვიან, ყველაფერს გაიგებს, მაგრამ მე ვერაფერს ვეტყვი. ჯობია, თვითონ მიხვდეს... ან იქნებ, გრძნობს უკვე ყველაფერს. ისე კი, ვალდებული ვარ, მე თვითონ ვუთხრა. ემზარი რომ მივაგზავნო! არა, ეს გამორიცხულია! მაგრამ რა ვქნა, მეტი აღარ შემიძლია! “

- ეკა! - მოესმა უკნიდან.

- მაიკო, შენ ხარ? როგორ შემაშინე.

- როგორ ხარ, ეკუნია? - უსაშველოდ მაღალი გოგო ეკას გვერდით მიუჯდა და მერეღა გადაკოცნა.

- აქ რა გინდა, მაიკო?

- ემზარმა გამომგზავნა. გარეთ არის მანქანით.

- ემზარმა? - შეცბა ეკა და უკან დაიწყო ყურება.

- ჰო, ემზარმა. შენ აქ რას აკეთებ?

- მეე?.. მოიცა, ემზარმა რა იცოდა, აქ რომ ვარ.

- მე, ნინო და ემზარი იპოდრომიდან მოვდიოდით. დაგინახა, მანქანიდან რომ გადმოხვედი და სირბილით შემოვარდი საავადმყოფოს ეზოში. გაგიჟდა კაცი კინაღამ,

ხომ არაფერი მოხდაო?! თვითონ მოეხათრა, იქნებ კიდევ ვინმე არისო და მე გამომგზავნა. მართლა, რა მოხდა?

- მერაბი წევს, - თავი ჩაღუნა ეკამ.

- ვინ მერაბი? აჰ, მერაბი? რა დაემართა?

- ავარიაში მოყვა. აქ წევს.

- მერე იწვეს, შენ რა?

- უხერხულია, რომ არ ვნახო. მეცოდება. თან ჯერ ვერაფრის თქმა მოვახერხე და ვიფიქრე, ახლა ვეტყვი მეთქი, მაგრამ დედამისი ზის დერეფანში და...

- ნეტავი ერთი შენ! რის თქმას აპირებ. თვითონ რა, ვერაფერს ხვდება? დაანებე თავი და წამოდი. გადარეულია კაცი, ცოფებს ყრის.

- წადი მაიკო, მოვალ.

- შენ ნუ დარდობ და ნურაფრის თქმას და განმარტებას ნუ აპირებ. ის კაცი მაგ მერაბს სამ სიტყვას ეტყვის და მორჩა. ემზარ ბარქაიას არ უჭირს მაგისთანები. - ქალიშვილი ფეხზე წამოდგა. - წავედი და დროზე გამოდი.

- ჰო, კარგი, - უპასუხა ეკამ და თვალი გააყოლა მიმავალ გოგონას.

* * *

ეკას მერაბი რამდენიმე წუთით გადაავიწყდა. ის კი არა, ისე გაერთო ფიქრებში, რომ აღარც კი ახსოვდა საავადმყოფოს ბაღში რომ იჯდა მერაბის სანახავად მოსული, და არა მუშტაედში.

სულ ორი თვეა ემზარს იცნობს. წესიერად არც კი იცის, ვინ არის, მაგრამ რატომღაც უცებ ახლობელ ადამიანად იქცა.

ემზარი მისთვის ახლა ყველაფერს ნიშნავს. მისი გულისათვის მზად არის ახლავე ავიდეს მერაბთან და პირში მიახალოს, რომ მისი უაზრო სიამაყე და ბავშვური მოქმედება ყელში აქვს ამოსული. რომ იგი უაზროდ ცხოვრობს და რაც მთავარია, აღარ უყვარს.

ან იქნებ, არც უყვარდა არასდროს?! ის უძილო ღამეები, მერაბზე ფიქრში რომ გაატარა, ბავშვური გატაცება იყო და არა სიყვარული. ალბათ, თორემ სხვანაირად როგორ შეიძლებოდა უცებ გულის გაციება. მაგრამ, ემზარი კი უყვარს? ნამდვილად უყვარს?

ამ აზრმა უცებ შეაცბუნა. წუთით შეშინდა კიდეც. არა, არა, სისულელეა. ემზარი არ უყვარდეს, შეუძლებელია. ის პატარა ბავშვი არ არის. მერაბივით ყველაფერს არ ეპოტინება. 24 წლის კაცია და თანაც, მას ხომ ძალიან უყვარს ეკა. კი, ძალიან. ამაში დარწმუნებულია, ემზართან მას არაფრის ეშინია.

ემზარ ბარქაიამ იცის, რა უნდა. აკი, თვითონაც უთხრა, რომ მისთვის მთავარი ეხლა ეკაა და მერე - ინსტიტუტი, მეგობრები და ყველა...

ეკას უცებ ემზართან

ყოფნა მოუნდა. რაღა უშლის ხელს, ის ხომ გარეთ ელოდება.

ეკა სკამიდან წამოხტა და ის იყო, წასვლა დააპირა, რომ კარი გაიღო და ეზოში ნელი და ექიმი გამოვიდნენ.

ეკა ადგილზე გაშეშდა.

ნელიმ დაინახა. ექიმს რაღაც უთხრა და მისკენ წამოვიდა.

ეკას უცებ გადაავიწყდა ყველაფერი და ნელის შესახვედრად გაიქცა.

- ეკა, აქ რატომ ზიხარ, შვილო? - ჰკითხა ნელიმ.

- ასვლას ვაპირებდი ახლა, ნელი დეიდა. მაგრამ, იასონი უნდა მოსულიყო და იმას ველოდებოდი. ერთად ავალთ-მეთქი, - იცრუა ეკამ და გაწითლდა. - როგორ არის მერაბი? შესვლა შეიძლება?

- კი, კი, ადი ეკა. ადი, შვილო, გაუხარდება.

- გმადლობთ, - ეკამ ნელის გვერდი აუარა და სწრაფი ნაბიჯებით მივიდა კარებამდე. მერე კიბეებს აუყვა და შეჩერდა. „ რა ვქნა, შევიდე? “ ” - ფიქრობდა იგი. მაგრამ, ახლა ფიქრი გვიანია, ნელიმ დაინახა. აუცილებლად უნდა შევიდეს. მაგრამ, რა უთხრას?

ეკამ მტკიცედ გადაწყვიტა შესვლა. დერეფანს გაუყვა, პალატების ნომრებს კითხულობდა. „ აი, ეს არის. მორჩა, შევდივარ! “ ” - თქვა, კარის სახელურს მოჰკიდა ხელი... და შეჩერდა.

ვიღაცამ უკნიდან ხელი დაადო ხელზე. ეკა უცებ მოტრიალდა.

- რომელთან ხარ, გოგონა? - მის წინ დაბალი, სათვალეებიანი ექიმი იდგა.

- მე... მერაბთან... ავთოსთანაც. ორივე ჩემი მეგობარია.

- შენ ეკა იქნები, ორი აზრი არ არსებობს. ხომ მართალი ვარ?

ეკამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ექიმის კეთილად მომღიმარ სახეს დააკვირდა. ვერაფერი გაეგო.

- შედი შვილო, შედი. დიდი ხანია, გელოდებიან, - ექიმმა კარი თავად გამოაღო.

ეკა ოთახში შევიდა. ექიმმა კარი გარედან მოხურა. ორივეს ტკბილად ეძინა.

ეკა ცოტა ხანს შორიდან აკვირდებოდა მერაბს სახეზე. მერე ფანჯარასთან მივიდა. გაიხედა, მაგრამ ახლა ემზარის მანქანას არ ეძებდნენ მისი თვალები. იგი სიტყვებს ეძებდა. ფიქრობდა, რა ეთქვა მერაბისთვის, როცა გაიღვიძებდა.

ვერაფერი მოიფიქრა.

უცებ მოტრიალდა და ფეხაკრეფით, სწრაფი ნაბიჯებით გამოვიდა გარეთ.

მკვდარივით ჩაუყვა კიბეებს.

- ავთო! - ხმადაბლა წარმოთქვა მერაბმა. - ავთო, არ გესმის?

ავთოს ეძინა.

- ავთო! - იყვირა მერაბმა.

- რა მოხდა? - ფეხზე წამოვარდა თავშეხვეული ავთო.

- დაიწყო.

- რა დაიწყო.

- აღა-მაჰმად ხანის იერიში თბილისზე!

- თფუ! - ავთოს მეტი აღარაფერი უთქვამს. ისევ დაწვა და გვერდზე გადატრიალდა.

- ეკა იყო აქ! - წყნარად თქვა მერაბმა.

- ეკა? სად იყო?

- აი, აქ. შენს გვერდით, ფანჯარასთან იდგა. იდგა და მერე გარეთ გავარდა.

- გესიზმრა?

- რა მესიზმრა, ეს წუთია, გავიდა.

- არა მჯერა, თუ აქ იყო. ან გაგვაღვიძებდა, ან დაგველოდებოდა.

- არა, ავთო! არც გაგვაღვიძებდა, არც დაგვიცდიდა. და იცი რატომ?

- რატომ?

- იმიტომ, რომ ეკა ეხლა სადღაც სხვაგან დაფრინავს. იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი აქვს. იმიტომ, რომ ყველაფერი მორჩა. მაგრამ, არა უშავს...

- ვაჰ, შენ გამაგიჟებ. დატანჯავ შენ იმ გოგოს შენი ეჭვიანობით. რა გინდა! რას ერჩი!..

- არაფერს არ ვერჩი, ავთო! და ველარც დავტანჯავ... მორჩა ყველაფერი.

- სულელი ხარ! შენ რომ იტყვი, მორჩა, წყალი არ გაუვა. ყველაფერი იცი, ყველაფერს უცებ ხვდები, წინასწარმეტყველიც ხარ. მოკლედ, რაღა გიჭირს?!

- არაფერი, ავთო. არაფერი აღარ მიჭირს, - მერაბმა თვალები დახუჭა. შეეცადა დაეძინა.

* * *

მანქანა სადარბაზოსთან შეჩერდა. იასონი წინიდან გადმოვიდა და უკანა კარი გააღო. მერე გოგას მიეხმარა გადმოსვლაში.

ამ უკანასკნელს სახეზე ალმური ასდიოდა. თვალები თითქმის დაეხუჭა. ღრმა მოხუცს წააგავდა.

იასონი და გოგა სადარბაზოში შევიდნენ. კიბეები აიარეს და კართან შეჩერდნენ.

კარი გაიღო.

იასონი უკან გამობრუნდა.

- იასონ, მალე რა, მალე! - მიაძახა გოგას ძმამ იასონს, რომელიც კიბეებზე ჩადიოდა.

- ნუ გეშინია, ეხლავე. უთხარი, ფეხზე არ ადგეს სასწრაფოს მოსვლამდე.

- ჰო, კარგი, - თქვა ბიჭმა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

* * *

როცა ეკა გარეთ გამოვიდა, ბევრი ძებნა არ დასჭირვებია. მაღალმა, გამხდარმა, ოდნავ მხრებში მოხრილმა ახალგაზრდამ ეკას დანახვაზე მზის სათვალე მოიხსნა და ნაცრისფერი „ ვოლგის “ “ წინა კარი გამოაღო. ეკა უხმოდ ჩაჯდა. ემზარმა მანქანა დაძრა.

- ეკა, ამდენი ლოდინი გაგონილა? - ღიმილით უთხრა ემზარმა.

- როგორ არის, გადარჩება? - ჰკითხა მაიამ ირონიულად. მანქანა ჭავჭავაძის გამზირს გაუყვა.

- მაიკო შემეშვი, შენი ჭირიმე... - უკან არც გაუხედავს ეკას.

- რა მოხდა, გითხრა რამე? - არ მოეშვა მაღალი გოგო.

-

რა უნდა ეთქვა, არ მინახავს, - ხმას მოუმატა ეკამ.

ემზარს არაფერი უთქვამს. თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი აინტერესებდა.

ხმა აღარავის ამოუღია.

ეკა ისევ ფიქრებში გაეხვია. სინდისი ქენჯნიდა. წუთით თავისი თავი შეზიზღდა.

- ეს რა ვქენი! - წამოიყვირა დაბნეულმა.

- რა ქენი? - მანქანა დაამუხრუჭა შეშინებულმა ემზარმა. ეკა ახლაღა გამოერკვა, სად იყო. უნდოდა უკან მიბრუნებულიყო, მაგრამ ემზარის მოერიდა.

- საით წავიდეთ, ეკა? - ჩუმად თქვა ემზარმა.

- სახლში, ემზარ. ვერ ვარ კარგად.

- იქნებ სადმე წავსულიყავით.

ეკამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მანქანა ჭადართან შეჩერდა.

ქალიშვილი მანქანიდან გადმოვიდა. სადარბაზოში შევიდა. დაელოდა მანქანის წასვლას და ისევ გარეთ გამოვიდა. თითქმის სირბილით მივიდა გაჩერებამდე.

* * *

ეკამ კიბეებზე აირბინა. საავადმყოფოს დერეფანში იასონი იჯდა, გაზეთს კითხულობდა.

იასონს გვერდით გაუარა, მაგრამ ვერ შეამჩნია. იასონს ხმა არ ამოუღია.

ეკა ტიროდა.

კართან ერთი წამით შეჩერდა, მერე ერთბაშად გამოაღო და პალატაში შევიდა.

- მერაბ! - პირდაპირ საწოლთან მივიდა ეკა. - მაპატიე, მერაბ. - ეკა სკამზე დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო. მეტი ვერაფრის თქმა მოახერხა.

მერაბი საწოლზე გაუნძრევლად იწვა. სახეზე გამარჯვებული, მაგრამ ამავე დროს დაღლილი კაცის იერი დასთამაშებდა.

ავთო ფანჯარასთან იდგა გაშტერებული. მიხვდა, მერაბი არ ტყუოდა და გული მოუკვდა.

- რის პატიებას მთხოვ, ეკა? - სიჩუმე დაარღვია მერაბმა. ეკასთვის არც შეუხედავს.

ეკას ხმა არ ამოუღია, ცრემლიანი თვალები შეიმშრალა. ცხვირსახოციან ხელს ნიკაპით დაეყრდნო.

მერაბმა ეკას გადმოხედა. წუთით ყველაფერი დაავიწყდა. უნდოდა ფეხზე წამომხტარიყო, საყვარელი არსება გულში ჩაეკრა და დაემშვიდებინა.

ეკამ თავი ასწია და სახეში შეხედა.

მერაბი ჭერს შეჰყურებდა, სახეზე დაღლილობა ეტყობოდა. დიდი, თაფლისფერი თვალები დაპატარავებოდა.

- შენ საპატიებელი არაფერი გაქვს! - გააგრძელა მერაბმა მცირე პაუზის შემდეგ. - და ნურც ნურაფერს დარდობ. მე ვიცოდი...

- რა იცოდი? - გამოცოცხლდა ეკა.

- ვიცოდი, ეკა, ვიცოდი... ის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ამის სათქმელად მოხვიდოდი, მაგრამ თქმას კი ვერ მოახერხებდი...

მერაბს უცებ გაახსენდა, რომ ავთოც იქ იდგა და მიხვდა, რომ უადგილო იყო ეს საუბარი.

- მაგრამ, შენ არაფერში ხარ დამნაშავე, ეკა. გულს ვერ უბრძანებ... წადი...

ეკა ფეხზე წამოდგა. აღარ იცოდა, რა ექნა. მერაბის დიდსულოვნებამ სულ მოუღო ბოლო. ახლა ისე იგრძნო თავი დამნაშავედ, როგორც არასოდეს.

წასვლა არ უნდოდა, მაგრამ დარჩენაც არ შეიძლებოდა. თუმცა რომც დარჩენილიყო, რა უნდა ექნა, რაზე უნდა ელაპარაკა მერაბთან. რაღა ჰქონდათ საერთო.

- მე კიდევ მოვალ! - თქვა ეკამ ისე, რომ მისთვის არც მიუხედავს და კარისაკენ გაემართა.

- ეკა! - ეს მერაბის ხმა იყო.

- ჰო... - უცებ მოტრიალდა ეკა.

- ნუღარ შეწუხდები... - ყოველგვარი გესლის გარეშე, ღიმილით თქვა მერაბმა.

ეკა უხმოდ შეტრიალდა და გავიდა.

ავთო კვლავ ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა. ელოდა, როდის ეტყოდა მერაბი: „ აჰა, ესეც ის ეკა, რომლის აუგის გაგონებაც არ გინდოდაო “ . მაგრამ, მერაბს არაფერი უთქვამს. ერთი ამოიოხრა და თვალები დახუჭა.

კარგა ხანი საუბრობდნენ იასონი და ეკა საავადმყოფოს ბაღში. უფრო სწორად, ეკა ტიროდა და გაცხარებით რაღაცას უყვებოდა და უმტკიცებდა იასონს, რომელსაც მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ხმა არ ამოუღია.

- რა ხდება მერაბ, იქნებ შენ ამიხსნა? - მოუტრიალდა მერაბს ავთო, რომელიც იასონს და ეკას ფანჯრიდან უყურებდა.

- არაფერი. ეს ყველაფერი კანონზომიერია ადამიანისთვის, მითუმეტეს, ქალისათვის. აქ უცნაური არაფერია, ავთო. ეკა არც პირველია და არც უკანასკნელი, სხვაში მან რაღაც უკეთესი დაინახა, მაგრამ რა? - აი, ეს არის საკითხავი. შეხედულება, ვაჟკაცობა, სულიერი სიძლიერე, დიდი ადამიანური სიკეთე თუ სიმდიდრე. მე კი არაფერი მინდა მეტი, მხოლოდ ერთი მაინტერესებს, რომელი აქვს იმ კაცს თავზე საყრელი.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს იყოს ჩამოთვლილთა შორის უკანასკნელი. მაშინ მე ეკასადმი პატივისცემა დამეკარგება და ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, მაგრამ რას იზამ?! სანამ ამ თეთრ კედლებში ვარ გამოკეტილი, ჩემი სურვილის დაკმაყოფილება არ მოხერხდება, - უცებ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, რადგან მიხვდა, რომ ავთოზე ყოველივე ეს ცუდად მოქმედებდა.

- ხვალ მამაჩემი ჩამოდის, ავთო.

- ხვალ რატომ? 26-ში არ უნდა ჩამოვიდეს?

- ბიძაჩემს დეპეშა გაუგზავნია. ხვალ ჩამოვა და რომ მნახავს, იცი რას მეტყვის? - „ 19 წლის კაცი ხდები, “ ” -

მერაბმა ხმა დაიბოხა. - „ და მე რაღა დაგარიგო. კარგი, ახლა ბედმა გაგიღიმა. ერთიც ვნახოთ და მაგრად დამტვრეულიყავი. არა, ისე ღირსი კი ხარ, მაგრამ... “ ”

ავთოს სიცილი აუტყდა.

- მოიცა, მოიცა, მისმინე, - გააგრძელა მერაბმა. - „ რა ვქნა, დავჭეჭყო ეს ოხერი მანქანა? ან ის ოხერი „ პრავა “ ” რა ჩემ ჭირად აიღე. გაგონილა, კაცი 19 წლის არ იყოს და 20 წელი საავადმყოფოში ქონდეს გატარებული? ოხ, ერთი შენი სკოლის დირექტორი მომცა, თუ აქ დასაწვენი არ გავხადო! “ ”

ავთო გულიანად ხითხითებდა. მერაბიც აჰყვა. ამ დროს კარი გაიღო და იასონის მოღრუბლული სახე გამოჩნდა. ბიჭებმა ეს რომ დაინახეს, სულ „ გაცოფდნენ “ . მერაბი მუცელზე იდებდა ხელს, ავთო რაფას ურტყამდა მუშტებს. იასონი ერთი კი დააკვირდა

ორივეს, მაგრამ ვერაფერს მიხვდა, ძალაუნებურად გაიღიმა.

- შენ რაღა გაცინებს? - მერაბმა თითი იასონისაკენ გაიშვირა. სიცილისაგან თვალები აუცრემლიანდა. ავთოს ყურებამდე დაეღო პირი, ფანჯრის რაფას მოშორებოდა და სიმწრისაგან ბალიშს ჭყლეტდა.

* * *

ერთი კვირის განმავლობაში მაღალი სიცხეები ჰქონდა გოგა გორგილაძეს.

სამშაბათს, დილის 7 საათზე დაურეკა იასონს სახლში.

- გისმენთ! - ნამძინარევმა იასონმა ყურმილი აიღო.

- იასონ, გამარჯობა!

- გოგას გაუმარჯოს. როგორა ხარ, სიცხე გაქვს კიდევ?

- არა, აღარ მაქვს, იასონ. დღეს, მე და შენ, მერაბი უნდა ვნახოთ. აუცილებლად უნდა ვნახოთ...

- გოგა, ერთ საათში შენთან ვარ. გაწყობს?

გაურკვეველმა სიხარულმა მოიცვა გოგა.

- კარგი აბა, მთელი დღე არა, ერთი საათი კარგი?

- კი ბატონო.

იასონმა ყურმილი დაკიდა. სწრაფად ჩაიცვა. ერთი ჭიქა ჩაი უცბად დალია და სირბილით დაეშვა კიბეებზე.

* * *

ტაქსი საავადმყოფოს შესასვლელთან გაჩერდა.

იასონი და გოგა სწრაფად გადმოვიდნენ. ასევე სწრაფი ნაბიჯებით გაიარეს ბაღი.

- ლიკა! - დაუძახა გოგამ გოგონას, რომელიც მეგობართან ერთად საავადმყოფოს შენობის კარს მიადგა.

- ოჰ, გოგა, როგორ ხარ? - გოგასკენ წამოვიდა ლიკა ჟვანია.

მისი მეგობარი, ცისფერთვალება, შავთმიანი, ლამაზი გოგონა ადგილზე დარჩა.

- მერაბთან მიდიხართ? - ჰკითხა იასონმა ლიკას.

- ჰო, მერაბთან. მე ადრეც ვიყავი, მაგრამ ახლა თამუნაც მოვიყვანე... თამუნა მართლა, ეს იასონია, მერაბის მეგობარი.

იასონმა გოგონას გაუღიმა და თავი დაუკრა.

კიბეები ხმამაღალი საუბრით აიარეს.

- სუ, სირცხვილია, - თქვა გოგამ, როცა დერეფანს დაადგნენ.

- კარგია, თუ არ ძინავთ, - ჩუმად თქვა იასონმა.

- ორივეს ხომ არ ეძინება? - იკითხა თამუნამ.

- ერთი წუთით, - კარი გამოაღო და შეიხედა იასონმა. - შემოდით! - მოუბრუნდა მეგობრებს.

იასონს ლიკა შეჰყვა, ლიკას - თამუნა და ბოლოს, გოგა შევიდა.

- მერაბ, სტუმრები! - ფეხზე წამოდგა სპორტულ კოსტუმში გამოწყობილი ავთო. - მობრძანდით, დაბრძანდით. რა მოგვიტანეთ?

- ბუს კვერცხები, - იასონმა ავთო ხელით გვერდზე გასწია და მერაბთან მივიდა. სხვებისთვის შეუმჩნევლად, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა.

მერაბმა იასონს თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

- ჰა, როგორ ხარ? ავტოკასკადიორ! - ჰკითხა ლიკამ.

- აბა, რა გითხრა, ლიკა. გოგას გადამკიდე, როგორ ვიქნები? - უპასუხა მერაბმა ღიმილით.

გოგას ფერი წაუვიდა. ვერ გაეგო, როგორ თქვა ეს მერაბმა ესეთი რბილი ტონით... ასეთ დასაწყისს არ ელოდა.

რაც შემოვიდა გოგა, მერაბისთვის თვალებში არ შეუხედავს. ელოდა მის აფეთქებას. პასუხისთვისაც მზად იყო, მაგრამ ერთი რამ არ იცოდა, - უთხრა თუ არა ეკამ იმ საღამოს მომხდარი ამბავი.

- შენ, ჩემო გოგა, ლიმონათი უნდა სვა, მე ტარხუნას გირჩევდი, მაგალითად, - ისევ ღიმილით გააგრძელა მერაბმა. - კიდევ კარგი, რომ გადარჩით.

„ გადარჩით “ , - უცებ ზარივით გაუარა თავში გოგას.

- კიდევ კარგი, თორემ მერე ჩემს ყოფნას რაღა აზრი ექნებოდა. აი, ლიმონათი რომ დაგელია გოგა, ახლა მე და შენ სადმე ზღვაზე ამოვყოფდით თავს უთუოდ. მაგრამ არ ვიქნები ბოლომდე მართალი, მითუმეტეს, აგერ უცხო თვალი გვიყურებს, - თამუნას შეხედა. - თუ არ ვიტყვი, რომ ჩემი ბრალი უფრო მეტია. მე არ ვუთხარი განა, დიდ სადღეგრძელოს პატარა სასმისი არ უხდება-მეთქი? სიცხე ხომ აღარა გაქვს, ბიჭო! - სიყვარულით ჰკითხა მერაბმა.

- არა, აღარ მაქვს! - უპასუხა გოგამ და მიხვდა რომ ეკას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მიხვდა, რომ მერაბი სიტყვებს ეძებდა გოგას გასამხიარულებლად. რომ ეს ავადმყოფობით დასუსტებული ბიჭი, ათჯერ უფრო ძლი-ერი იყო მასზე და ცრემლები

მოადგა თვალებზე. სხვები რომ არა, საწოლთან დაუჩოქებდა, ყველაფერს ეტყოდა და პატიებას სთხოვდა.

- რაღა უნდა გქონდეს, ერთი კვირა კი გადინეს თურმე ოფლი.

- ჰო, ეგრე იყო, - მერაბის ანკესს თავი მისცა გოგამ.

კიდევ კარგა ხანს ისაუბრეს, მაგრამ გოგა მაინც ერიდებოდა მერაბის ყურადღების მიპყრობას.

იასონი ყვებოდა რაღაცას დაუსრულებლად. დანარჩენები იცინოდნენ დროდადრო.

- აბა, წავედით. უფრო სწორად, ჩვენ წავედით. მე და თამრიკო კიდევ მოვალთ, - თქვა ლიკამ.

- კარგად იყავით! - მერაბმა თამრიკოს შეხედა. - კარგად თამრიკო და დიდი მადლობა.

თამრიკომ გაიღიმა, ოდნავ გამოაჩინა ლამაზი, თეთრი კბილები სისხლისფერ ტუჩებს შორის და მერაბს ეჩვენა, რომ აქამდე ოთახში სიბნელე იყო და მხოლოდ ახლა განათდა. მკერდში რაღაცამ დაუარა და თითქოს ჩასწყდა მთელი გული.

- ჩვენც მოვდივართ ლიკა, - თქვა იასონმა და გოგას ხელი გადახვია.

- წადით, წადით, რაში მჭირდებით. მეორედ რომ მოხვალთ, ან რაიმე მომიტანეთ, ან სულ ნუ მოხვალთ. მარტო თქვენი სახეების ყურება და იასონის ტყუილები მიშველის მე?! - ხუმრობის საღერღელი აეშალა მერაბს. - ჰო, მართლა, შენ დარჩი გოგა ერთი წუთით, რაღაც მინდა გკითხო.

გოგა ცივად მოტრიალდა. იასონმა მერაბს შეხედა. უნდოდა ენიშნებინა, არაფერი უთხრაო, მაგრამ მერაბს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ავთო მიხვდა, ზედმეტი იყო და მეგობრების გაცილება გადაწყვიტა.

დანარჩენები ალბათ, უკვე გაჩერებასთან იყვნენ მისულები, როცა გოგა მერაბის საწოლთან სკამზე იჯდა და გაცხარებით ყვებოდა იმ ღამის ისტორიას.

მერაბი წყნარად, ხმისამოუღებლად უსმენდა.

- აი, ეგა ვარ. ტყუილად გქონდა ჩემი იმედი, - თქვა გოგამ და ფეხზე წამოვარდა, კარისაკენ წავიდა.

- მოიცა, გოგა. მე შენი იმედი ყოველთვის მქონდა და მექნება. მიქარვას თავი დაანებე. ხოლო, რაც მოხდა იმას, გაპატიებ-მეთქი ვერ გეტყვი, რადგან შენ დამნაშავე არა ხარ. პირიქით, მადლობის ღირსი ხარ, აქამდე ხომ ჩემი გულისთვის ეწამე და იმ გოგოსთან კი ერთი სიტყვაც არ დაგცდენია. რაც იმ საღამოს გითქვამს, ის უკვე ღვინის ბრალი იყო და არა შენი.

გოგა კართან იდგა და უსმენდა. მერაბისკენ არ მოტრიალებულა. კარი სწრაფად გამოაღო და გამოვიდა ოთახიდან.

მერაბს ეკას „ გამოსამშვიდობებელი “ ვიზიტის შესახებ მისთვის არაფერი უთქვამს.

ნაწილი მეორე

თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა.

ივლისი იყო, მშვენიერი დარიანი ამინდი იდგა ქალაქში და ამიტომ, სახეგაბადრული მგზავრები ტაატით ჩამოვიდნენ ტრაპზე. ასევე მშვიდად გაუყვნენ გზას გასასვლელი კარისაკენ, მაგრამ მათ შორის იყო კაცი, რომელიც უთუოდ ჩქარობდა.

სერჟანტმა, რომელსაც ხელში პატარა დიპლომატი ეჭირა, ყველას მიასწრო გასასვლელ კარამდე. გარეთ გამოვიდა და იქვე, ტაქსების გაჩერებასთან შედგა. საათს დახედა. გაჩერებულიყო საათი.

- საით მიდიხართ? - მოესმა სამხედროს უკნიდან.

- მე მეუბნებით?

- ჰო, შენა. დაჯე რაღა, ტაქსს არ ელოდები?! - სერჟანტს აღარაფერი უთქვამს, თეთრი მოსკვიჩის კარი გამოაღო და ჩაჯდა. მანქანა დაიძრა.

- ოჰო, ყოჩაღ მანქანა! ჩემზე ბევრად პატარა არ უნდა იყოს და მაინც ერჩის გული!

- ბიჭოს! ერჩის რომელია! - ლაპარაკის მადა გაეხსნა 60 წელს გადაცილებულ მსუქან, ჭაღარათმიან კაცს. - აი, შენ კი რამდენი წლისა ხარ?

- ოცდაერთის.

- ჰო, არა, მაშინ ეს უფრო პატარა ყოფილა, - გაიცინა ჭაღარამ. - მეთექვსმეტეში გადავიდა რა. შენა შვილო, სულ მორჩი სამსახურსა თუ შვებულებით ჩამოხველ?

- სულ მოვრჩი ბიძია, სულ.

- სადა მსახურობდი, რას აკეთებდი?

- ბელორუსიაში ვმსახურობდი. მესაზღვრე ვიყავი.

- ვა, მესაზღვრე? ძაღლი გყამდა?

- არა, ძაღლი არ მყავდა.

- ე, მა რა მესაზღვრე იყავი, ძაღლი თუ არა გყამდა?

- არ ვიცი, ჩემთვის არ მოუციათ. ყველას არ აძლევენ. ფეხბურთი გიყვართ ბიძია? - სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი სამხედრომ.

- ვა! ეგეთი თბილისელიც არი, ფეხბურთი რო არ უყვარს? მიყვარს კი არა, 48 წლის ცოლი მყამს, იმას მირჩევნიან.

- თქვენ თვითონ რამდენი წლისა ხართ?

- მე? მე სამოცდამესამის. მე და ჩემი ,, მაშინა “ ერთი ,, გოდა “ ” ვართ, რა!

- არა მჯერა, თუ თბილისში ვარ! - ღრმად ამოისუნთქა ახალგაზრდამ და ფანჯარა ჩამოსწია.

- დაიჯერებ. ცოტა მაიცა, დაიჯერებ. ეგრე დაიჯერებ, რომ შენი ჯარი სიზმარი გეგონება.

- ჰოო?

- ვა, გეუბნები რა, ჩემი თავიდან ვიცი. თან მე ოთხი წელი ვიყავი. ომი იყო ძმაო, ომი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

მანქანამ გმირთა მოედანი გაიარა.

- ზეგ თამაშობენ ჩვენი ბიჭები, მაგათ ენაცვალოთ ძია როსტომა, - ფეხბურთის აფიშას გახედა მძღოლმა. - შენ ალბათ არ იცი, არა? ვა, რა ქნეს რო იცოდე?..

- ვიცი, როგორ არ ვიცი, მთელი ქვეყანა მაგათზე ლაპარაკობდა. მე თვითონაც ვუყურე, ბურთები როგორ გაიტანეს, - ,, ვრემიაში “ .

- ჰოო? ეს რა ქნეს კაცო. აი ეგაა, თუ რამე ძაან მავიწადინეთ, მზად არის!

- ჰო, ეგრეა. აქ მარჯვნივ შეუხვიე ერთი, შენი ჭირიმე.

- აქა? ეხლავე, მაგაზე გაწყეინებ, სალდათი კაცი ხარ.

- აი, ამ სახლთან გააჩერე.

მანქანა ოთხსართულიან სახლთან შეჩერდა.

ჯარისკაცი მშვიდად გადმოვიდა მანქანიდან. თუმცა ეს გარეგნული სიმშვიდე იყო, გული ორჯერ უფრო სწრაფად უგუგუნებდა. შინაგანი დაძაბულობა იგრძნო.

მიიხედ-მოიხედა. ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო.

სადარბაზოში შევიდა. კიბეები ნელა აიარა. ყოველ საფეხურს და სახელურს დიდი ხნის მეგობარივით აკვირდებოდა.

ესეც მეოთხე სართულის კიბე.

ჯარისკაცი შეჩერდა. კედელზე, მარჯვნივ, ზეთიანი საღებავით დაწერილი სახელი წაიკითხა...

სამ ნახტომში აათავა მთელი კიბე და მარჯვნივ სახელური ჩამოსწია.

კარი ღია იყო.

,, სახლში არიან “ . ” - გაიფიქრა. კარი ისევ ფრთხილად მოიხურა.

ჩაიკეტა თუ არა კარი, ღილაკს თითი მიაჭირა.

ფეხის ხმა მოისმა. ჯარისკაცმა საჭვრეტს საჩვენებელი თითი მიაფარა.

- ვინ არის? - მოისმა კარსშიგნიდან ახალგაზრდა ქალის ხმა. ჯარისკაცს ხმა არ ამოუღია.

- აუშვით საჭვრეტს ხელი, თორემ კარს არ გავაღებ! - თქვა იგივე ხმამ. - დედა, გამოდი ერთი. ვიღაცა ხუმრობის ხასიათზეა.

კარი წინსაფრიანმა, ფქვილით ხელებგათეთრებულმა შუახნის ქალმა გააღო.

- მერაბ! - შეჰყვირა ქალმა და ჯარისკაცს გადაეხვია. - ლანა, მერაბი! ლანა! - ქალს თვალებიდან მუშტისსიმსხო ცემლები გადმოსცვივდა და დერეფანს სირბილით გაუყვა, მერე ისევ მოტრიალდა და ჯარისკაცთან მიირბინა...

ოთახიდან ლანა, მერაბის და გამოვარდა, დედა ხელით გასწია და ახალგაზრდას გულში ჩაეკრა.

- კარგი, გოგო, რა გატირებს? ცოცხალი კაცის დატირება ხომ არ შეიძლება, დედა? - ღიმილით თქვა ჯარისკაცმა და თავისზე ერთი წლით უფროს დას შუბლზე აკოცა - შემიშვით ახლა სახლში!

- მოდი, შვილო, შენ შემოგევლოს დედაშენი! - დედამ მისაღები ოთახის კარი გამოაღო. მერე ისევ დახურა. სწაფი ნაბიჯებით

კარადასთან მივიდა, ისევ მოტრიალდა.

- რა მოგივიდა დედა, რას დარბიხარ? დაჯექი, დამენახე.

- ეხლავე შვილო, ეხლავე... - კარი გააღო, გარეთ გავიდა. - საჭმელი ხომ გშია, მერაბ? - მოაძახა გარედან.

- ჯერ არა. არა მშია, დედა. მოდი რა აქ!

- ეხლავე, ეხლავე...

- შენ რას შვები, ლანჩიკ. რავაა საქმეები. ჰო, მართლა, შენი მომავალი მეორე ნახევარი როდის უნდა გამაცნო. კაცი, რომელიც სამი თვე ელოდა ჩემს ჩამოსვლას, რათა ერთადერთი და უსაყვარლესი დის ქორწილს დავსწრებოდი, ჩემი მხრიდან დაფასების ღირსია...

- როცა შენ გინდა, თუნდაც ახლავე დავურეკავ.

- აბა, დაურეკე!

- აქ მოვიდეს?

- როგორც შენ გინდა. აი მე კი, სხვაგან შეხვედრას ვამჯობინებდი... რატომ, თვითონ არ ვიცი, მაგრამ ასეა. მამა რომელზე მოვა.

- მამა ხვალ ჩამოვა. ჯონდოს დედა მოუკვდა და სამტრედიაშია მთელი ეზო გახვეტილი.

- კაი, კაცო, რამ მოკლა?

- არ ვიცი... გამარჯობათ! - ტელეფონის აპარატი მუხლებზე დაიდო ლანამ. - ემზარი მინდოდა...

- ემზარი გისმენთ და თანაც, მთელი გულისყურით! - გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა.

- ემზარ, რა მოხდა თუ იცი?

- არა... ომი ხომ არ დაიწყო?

- იცი, ვინ ჩამოვიდა?

- ვინა?

- მერაბი, მერაბი!

- მოიცა, ვინ მერაბი?

- ვინ არის მერაბი, რა დაგემართა?

- შენი ძმა? ვაა, აბა, გვიქეიფია. მოიტა ერთი, მალაპარაკე... არა, არ გინდა. კაცს პირველად ტელეფონზე ხომ არ დაველაპარაკები? უნდა შევხვდეთ როგორმე...

- მართალია. მოიცა! მერაბ, სად შევხვდეთო? - ყურმილს ხელი დააფარა ლანამ.

- სადაც გინდა-თქო.

- თქვი რა, შენ როგორ ფიქრობ?

- თუ ასეა, მე ქალაქგარეთ მირჩევნია. მაგალითად... დუშეთში, ან ბულაჩაურში. მარტო არ წამოვიდეს. მე ჩემს ბიჭებს გავუვლი. უთხარი, შვიდ საათზე დუშეთში, რესტორანთან, - ლანა ფეხზე წამოდგა.

- შვიდ საათზე დუშეთში, რესტორანში, კარგი?

- ეგრე იყოს!

- ემზო, ჰო მართლა, მარტო არ წამოხვიდე, რეზო და გელა წამოიყვანე.

- თუ ვიპოვნე, ბექასაც წამოვიყვან. ეგ არაა პრობლემა.

- კარგი! წავედი აბა.

ლანამ ყურმილი დაკიდა.

- ლანა, რომელი საათია? - დერეფნიდან შემოსძახა მერაბმა.

- სამი ხდება, რად გინდა საათი?

- არა, ისე გკითხე. ჩემი ტანსაცმელი ხომ არ გადაგიყრიათ.

- კი არ გადავყარეთ, კიდევ მივამატეთ... გააღე კარადა, წინა შაბათს მამამ ერთი „ ხურჯინი “ ტანსაცმელი მოიტანა.

- ოჰო, მომწონს მშობლების ოპერატიულობა. ყოჩაღ! - მერაბმა ფეხსაცმელები გამოიცვალა და თავისი ოთახის კარი შეაღო. კარადასთან მივიდა, ირგვლივ მიმოიხედა...

ყველაფერი თითქმის ხელუხლებელი იყო. საწოლზე ბურთი იდო, უკვე ნახევრად დაჩუტული. მერაბს სახეზე ღიმილი მოეფინა. ეს ბურთი ჯარში წასვლის დღეს საწოლზე დააგდო და თვალცრემლიან დედას უთხრა: - „ რა გატირებს დედა, ორი წელი არ არის არაფერი... აი, ეს ბურთი აქ იყოს და სანამ დაიფუშება, მე აქა ვარ “ . ”

ეს მაშინ, დედის გუნებაზე მოსაყვანად იხუმრა და თურმე, ეს ორი წელი მართლა გაუნძრევლად იდო ბურთი მის საწოლზე.

მოტრიალდა, ბურთი ხელში აიღო, თითზე დააბზრიალა და ისევ საწოლზე დააგდო.

ისევ კარადასთან მივიდა და გამოაღო. კარადიდან შავი, უცხოურწარწერებიანი ქუდი გადმოვარდა. მერაბი გაშრა.

- ეკა... - უცებ გაუელვა თავში. - როგორ არის ეკა? ან სად არის? ზუსტად ორი წელია არ მინახავს.

არავის ჩემთვის არაფერი მოუწერია მის შესახებ. ალბათ გათხოვდა და იმიტომ... არა უშავს, თუნდაც ასე იყოს... თუმცა, არც მე მიკითხავს ვინმესთვის რამე ჩემს წერილებში მის შესახებ.

ქუდი ფრთხილად შედო ყველაზე მაღალ თაროზე, მერე მეორე კარიც გამოაღო უხალისოდ...

კარადის პირდაპირ, საწოლზე ჩამოჯდა. ერთი კი შეავლო თვალი კარადაში დაკიდულ სამ ახალ კოსტუმს, მერე იდაყვებით დაეყრდნო მუხლებს და თავი ხელებში ჩარგო... ჩაფიქრდა. ერთი დღე მოაგონდა:

,, იმ საღამოს მერაბი გარეთ გასვლას არ აპირებდა. ბევრი ეხვეწა დედამისი გადი გარეთ, გაიარე, ხვალ კომისარიატში ხარ დაბარებული და მოგენატრება, იცოდე ყველა და ყველაფერი, თუ ხვალვე წაგიყვანესო. მაგრამ მერაბი არსად წასულა, იწვა თავის ოთახში საწოლზე და რაღაცას წერდა. მერე ხევდა და ისევ თავიდან წერდა.

ექვსი ფურცელი მაინც დახია, თუ მეტი არა... ბოლოს ნაწერმა დააკმაყოფილა, ფურცელი ორად გაკეცა, კონვერტში ჩადო. მერე ისევ ამოიღო და გაშალა.

,, ეკა, შენ მე კარგად მიცნობ... აქედან გამომდინარე, შენ უნდა გესმოდეს, რა ძნელია ახლა ჩემთვის ყოველივე ამის დაწერა, მაგრამ მე მაინც ვწერ. არ მინდა იფიქრო, რომ წუხანდელ ამბავში

მე რამეში დამნაშავე ვიყავი. შენს მოსვლამდე ბევრი რამ მოხდა და მე არ მინდა, შენ მხოლოდ თვალით ნანახით განსაჯო. თუმცა, ახლა ჩემს ლაპარაკს აზრი აღარ აქვს, ემზარი თვითონ აგიხსნის ყველაფერს.

არ ვიცი, შენ როგორ ფიქრობ, მაგრამ მე კი ზუსტად ვიცი, რომ შენთან ურთიერთობაში არასოდეს შემშლია რამე უპატიებელი. ხვალ-ზეგ მე ჯარში მივდივარ და რადგან შეხვედრის იმედი აღარ მაქვს (ვთვლი, რომ არც არის სა-ჭირო), ახლავე გემშვიდობები და გისურვებ ბედნიერებას “ .

კონვერტი დააწება თუ არა, ტელეფონმაც დარეკა.

- გისმენთ.

- მხეცო! არაადამიანო! ჩემი სახელი აღარ ახსენო! - ეკამ ყურმილი დაკიდა.

მერაბმაც ცივად დადო ყურმილი და ფეხზე წამოდგა. გარეთ გამოვიდა. კონვერტი ისევ ხელში ეჭირა, მაგრამ აღარ გახსენებია. პიჯაკი რომ ჩამოხსნა, მაშინღა შეამჩნია წერილი. შუაზე გადახია, დაკუჭა და ჯიბეში ჩაიდო. კარი გააღო, კიბეზე დაეშვა, მანქანასთან მივარდა და ჯიბეები მოიჩხრიკა. ახლაღა გაახსენდა, რომ გასაღები არ აუღია. გაჩერებამდე ფეხით გაიქცა.

- ტაქსი! - მოსახვევში შენიშნა მანქანა.

მანქანა გაჩერდა.

- საით, ახალგაზრდავ?

- აქვე, მარცხნივ შედი, - ჩაჯდომის შემდეგ თქვა მერაბმა და საყელო გაისწორა.

კიბეები სირბილით აირბინა და კარებზე ღილაკს ხელი მიაჭირა. ოთახში ზარის ხმა გაისმა. სამზარეულოდან ქალი გამოვიდა...

- ვინ არის? - მოესმა მერაბს შიგნიდან.

- მერაბი! - ყელში გაუჩერდა ხმა.

- მერაბ, რა დაგემართა? - უცებ თითქოს წამოიკივლა ქალმა ჭაბუკის დაძაბული, გაცეცხლებული სახე და ჩასისხლიანებული თვალები რომ დაინახა. - რა მოხდა, შვილო? შემოდი შიგნით.

- არა! გმადლობთ! ეკა...

- ეკა არაა სახლში... ვიღაც ამხანაგი ჰყოლია ძალიან ცუდად და მის სანახავად წავიდა. ნინომ გამოუარა.

- ვინ ამხანაგი, ხომ არ უთქვამს?

- კი, ემზარი... მოიცა, შენი ამხანაგი არაა ემზარი? ნინომ თქვა, მერაბის მეგობარია, ისიც იქ იქნებაო.

- ჰო, ეგრეა... კარგად ბრძანდებოდეთ.

- მოიცა მერაბ, რა მოხდა არ მეტყვი?

- არაფერი, არაფერი, - მერაბი კიბეებზე დაეშვა.

რამდენიმე საფეხური და...

- მერაბ! - ცივად წამოიძახა ნინომ. ეკამ ერთი კი შეხედა, მაგრამ არ შეჩერებულა, ისე დააპირა გვერდის ავლა კიბეზე შემთხვევით შემოფეთებული ვაჟისათვის.

- გაჩერდი! - წინ გადაუდგა მერაბი.

- გამატარე, თორემ ზურა სახლშია და დავუძახებ.

- არ გირჩევდი... ვერსად ვერ წახვალ, სანამ არ ამიხსნი, რატომ ვარ არაადამიანი.

- გამიშვი! - ნერვიულად იკივლა ეკამ. მერე უცებ მოტრიალდა, კედელს შუბლი მიადო და აქვითინდა.

ყვირილზე კარი გაიღო და კიბეებზე მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა დაეშვა.

როცა ეკა დაინახა, ხუთ საფეხურს გადმოაფრინდა და მასთან მიიჭრა.

- რა მოხდა, ეკა? - მოატრიალა ზურამ გოგონა.

- ჩემმა დანახვამ იმოქმედა... - მერაბი სახელურს მიეყრდო.

- შენ ვინა ხარ?

- მე? მე... რა მნიშვნელობა აქვს?

- ყურებს დაგაჭრი შე ლაწირაკო! - მოტრიალდა ზურა და მერაბს ერთი მტკაველის დაშორებით დაუდგა.

- ორივეს? - გაუღიმა მერაბმა.

- ჩაიგდე ენა-მეთქი! - ხელი სახესთან მიუტანა ზურამ.

- ხელი ჩაწიე და დამშვიდდი... გამოდი ერთი წუთით გარეთ. კარგია, შენ მაინც რომ გნახე.

მერაბი გარეთ გავიდა.

ზურა გაკვირვებული იდგა და ეკას კითხვას კითხვაზე უსვამდა, მაგრამ უშედეგოდ.

მერე მოტრიალდა და გარეთ გამოვიდა.

მერაბი სადარბაზოსთან იდგა. ზურას დანახვაზე გზა განაგრძო. მერე მოტრიალდა.

- რა გინდა? - ისევ ცივად ჰკითხა ზურამ.

- სალაპარაკო მაქვს შენთან... და კიდევ, ნუ იბღვირები, თუ ძმა ხარ. ჩემი გაჭირვება მეყოფა.

ზურამ სპორტული შარვლის ჯიბიდან გასაღები ამოიღო და თეთრი ვოლგისაკენ წავიდა.

მერაბი უკან გაჰყვა.

- გისმენ! - თქვა ზურამ, როცა მერაბმა კარი მოიხურა.

- მოკლედ... ეგ ჩემზეა გაბრაზებული. მე ეხლა მაგასთან დალაპარაკების აღარც თავი მაქვს და აღარც სურვილი... და გთხოვ, მერე ყველაფერი აუხსნა, რასაც გეტყვი.

თუ გახსოვს, ერთხელ ეკა მიგყავდა ამ მანქანით. მე ეკა დავინახე და უკან გამოგყევით. მერე შენ გააჩერე მანქანა და ეკა ჩემს მანქანაში გადმოჯდა...

- ჰო, კი მახსოვს. ქვევით, ხომ, მოსახვევში?

- ჰო, ჰო, მაშინ, ჩემს გვერდით ბიჭი იჯდა, ჩემი მეგობარი გოგა.

- მოიცა, რომელი გოგა? ეკა მიყვებოდა... შენ მერაბი რომ იქნებოდი, თავიდანვე მივხვდი... ეს ის ბიჭი ხომ არ არის, მანქანა რომ გითხოვებია? მერე უკან რომ გაეკიდე ბიძაშენის მანქანით და...

- ჰო, სწორედ ეგ არის.

- ეგ ამბავი დაწვრილებით ვიცი, მერე?

- მერე... მე და ჩემი ერთი მეგობარი, ავთო, გუშინ სანაპიროზე, ფოლკლორის ტაძართან რომ

სახინკლეა, იქ შევედით. მე ხვალ-ზეგ ჯარში მივდივარ და გადავწყვიტე, ჩემს საყვარელ სახინკლეში ბოლოჯერ შემევლო. ჩემი მეგობრები იქ ხშირად არიან ხოლმე და როცა გოგა სახინკლეში დაგვიხვდა, მე და ავთოს არ გაგვკვირვებია. ათი წუთის დამჯდარი თუU ვიქნებოდით, ის იყო ხინკალი და ლუდი მოგვიტანეს, რომ კარი გაიღო და 7-8 კაცი სიცილით შემოვიდა. მათ შორის იყო ეკა და მისი ორი დაქალი, დანარჩენი ბიჭები მათი ახლობლები არიან. ეკამ მე რომ დამინახა, ერთ-ერთ მათგანს რაღაც უთხრა და როგორც ეტყობა, წასვლა დააპირა, მაგრამ ემზარმა თავი მოიკლა და ყველა ჩვენს წინ, ორი მაგიდის მოშორებით დასვა. კარგა ხანს იცინეს. ჩვენ არ გვესმოდა, რას ამბობდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ემზარის საუბრის თემა ჩვენი მაგიდა იყო.

- რა მოხდა მერე, იჩხუბეთ? - მოთმინების ძაფი გაუწყდა ზურას.

- ჰო, მომისმინე! მერე უცებ ადგა და ჩვენს მაგიდასთან მოვიდა. აშკარად ეტყობოდა, ნასვამი იყო...

- მერე? რა თქვა, რომ მოვიდა?

- რომ გითხრა, არ დაიჯერებ. მაგიდას ხელებით დაეყრდნო და ჩურჩულით თქვა: ,, გოგოებს, თქვენ რომ გიყურებენ, ჭამის მადა ეკარგებათ და წადით აქედანო “ .

მე ველარ მოვითმინე და დავარტყი.

- ჯიგარი ხარ. მერე?..

- რა, მერე? ის აღარ ამდგარა... თავი მიარტყა უკანა მაგიდას და გაითიშა. მე და ბიჭები გარეთ გავვარდით. ავთომ ერთი თუ ორი იქვე ჩაკეცა და გოგონებიც გარსშემოეხვივნენ კივილით. სახლში როგორ მივედი, არ მახსოვს, - მერაბმა თხრობა დაამთავრა და ზურას შეხედა.

- ეკა რაზე ტიროდა, მერაბ? - ჰკითხა საჭეს ჩაშტერებულმა ზურამ.

- არ ვიცი, ძმაო, რა გითხრა... თვითონ გეტყვის ყველაფერს. და ერთი კიდევ, რაც მინდა გთხოვო. ეს ყველაფერი, რაც მოგიყევი, ეკას აუხსენი. ჩემთვის ახლა სულ ერთია ვისთვის, ვისი გულისთვის იტირებს და გაიცინებს. მაგრამ, მე მინდა ყველაფერი ისე იცოდეს, როგორც სინამდვილეში იყო.

მერაბმა მანქანის კარი გააღო და გადმოვიდა.

* * *

- მერაბ! - მოისმა გვერდითა ოთახიდან.

- ჰო! - გამოერკვა უცებ მერაბი და ფეხზე წამოდგა.

- მოგწონს?

- რა? კოსტუმი?

- კოსტუმი კი არა, კოსტუმები, - კარი შემოაღო ლანამ. - სამივე შენთვის მოიტანა შენმა საყვარელმა მამიკომ.

- ჰო, კარგია, - თქვა მერაბმა და ქუდი ისევ თაროზე შემოდო. მოტრიალდა, სამხედრო პიჯაკი გაიხადა და ფრთხილად, პატარა საწერ მაგიდასთან, სკამზე გადაკიდა.

ლანა უხმოდ მისჩერებოდა ძმას.

მერაბმა უხალისოდ ჩამოხსნა სამივე კოსტუმი და საწოლზე დააწყო.

- ეკა წელიწადზე მეტია, ბათუმში ცხოვრობს, ბებიასთან, - წყნარად თქვა ლანამ და იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც პიჯაკი იყო გადაკიდებული.

მერაბმა არაფერი უპასუხა. ღია ნაცრისფერი პიჯაკი შემოიცვა.

- ხანდახან კი ჩამოდიოდა ხოლმე, იასონს შეხვედრია ერთხელ. ახლაც აქ არის თურმე...

- მერე, რა ვქნა!..

- გაჩერდი, მერაბ! ცოდოა ის გოგო...

- ცოდო? - უცებ გამოცოცხლდა მერაბი. - რა სჭირს შესაცოდი. ალბათ, ვერ გათხოვდა... თუ ამიტომ გეცოდება, ეგ ვერაფერი მიზეზია.

- გათხოვდა, გათხოვდა მერაბ და...

- და რა? - მერაბს საკიდი უხერხულ მდგომარეობაში გაუშეშდა ხელში.

- საცოდავი გოგო სამი თვის ბავშვით მიატოვა რომელიღაც ნადირმა.

მერაბს საკიდი ხელში გაეყინა.

- გათხოვდა? - თავისდაუნებურად წამოიძახა მერაბმა.

ლანა მიხვდა, რომ მერაბს ეუხერხულა თავის მიერ დასმული ეს კითხვა და ოთახიდან გავიდა.

გაიხურა თუ არა ლანამ კარი, მერაბმა ყველაფერი მაგიდაზე დაყარა და საწოლზე გადაესვენა.

ყველაფერი, რაც მივიწყებული დ მიძინებული იყო გულში თუ გონებაში, ერთბაშად გაახსენდა.

- „ ნუთუ ეკას ბავშვი ჰყავს? ბავშვი “ ... - თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა. - „ არა, ეს შეუძლებელია, ის თვითონ არის ბავშვი...

ვის წაჰყვა ცოლად? ემზარს? ნუთუ ემზარმა მიატოვა? რატომ მიატოვა?

სულ ერთია, ვინ იყო ის...

აი, თურმე, რატომ წავიდა ბათუმში! მაგრამ, ახლა რატომღა ჩამოვიდა?

ეკას ბავშვი “ ...

ისე გავიდა ორი წელი, რომ მერაბს ეკას უკმარისობა თითქმის არ უგრძვნია. წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ შეხვდებოდა ქუჩაში ეკას ქმართან ერთად და ამ აზრის არ შეშინებია. ამას კანონზომიერად თვლიდა.

ჰო, ჰო, სულ სხვანაირად წარმოედგინა ყველაფერი: სადმე რუსთაველზე, ხმელ და ავადმყოფური შესახედაობის მამაკაცს გვერდით რომ მოჰყვება ლამაზი, დამატყვევებელი ხიბლის მქონე ქალიშვილი, რომელიც უხმოდ მიმავალ ქმარს მთე-ლი ენერგიით რაღაცას უყვება და უცებ გაშეშდება...

გაშეშდება მერაბის დანახვაზე. შეცვლილი, ძალზე შეცვლილი მერაბის დანახვაზე. გადაავიწყდება, რომ ქმარს მოჰყვება და მთელი ხმით

იყვირებს: „ მერაბ! “ “

ასე წარმოედგინა დაახლოებით, ეკასთან შეხვედრა ადრე. მერე კი, თითქმის აღარც ფიქრობდა ამაზე. თითქმის სულ განთავისუფლდა იმ ტანჯვისაგან, რომელიც სამხედროში გაწვევის პირველ დღეებში ჰქონდა.

ახლა კი რა მოხდა? რა დაემართა?

თვითონაც არ იცის ეს.

* * *

- ლანა, ექვსი საათი ხდება, რას აკეთებ? - გასძახა მერაბმა დას მას შემდეგ, რაც აბაზანიდან გამოსულმა ვაჟმა თავისი ოთახის კარი მიიკეტა.

- არაფერს...

- როგორ არაფერს? ჩაიცვი დროზე, ხომ არ მოვკლავთ იმ კაცს ლოდინით.

- მე მეგონა...

- რა გეგონა? ჩქარა ერთი, გაფიცებ ყველაფერს, - და თვითონ დერეფანში გამოვიდა. - მანქანის გასაღები სად არის?

- ვაი, არ ვიცი, - უპასუხა დამ და კარადას ეცა.

- ჩაიცვი, ჩაიცვი, მე მოვძებნი.

- აი, დედა მოვიდა, - თქვა ლანამ, როცა ნელიმ კარი შემოაღო. - დედა, გასაღები სად არის?

- რა გასაღები, ლანა?

- მანქანის.

- პირველ თაროზე დევს, მაგრამ რად გინდათ? მერაბ, ნასვამი ხომ არ დაჯდები, დედა?

- არა დედა, არა. ნუ გეშინია, წუთი-წუთზე იასონი აქ იქნება და მას დავსვამ. ის, ხომ იცი, ღვინოს არ ეტანება.

ნელის აღარაფერი უთქვამს. მომღიმარ მერაბთან მივიდა, თავი დააწევინა და შუბლზე აკოცა.

კარზე ელექტროზარის ხმა გაისმა.

კარი ლანამ გააღო.

ოთახში ჩაფსკვნილი, საშუალოზე მაღალი, ულვაშებიანი ახალგაზრდა შემოვიდა. ლანა სერიოზული სახით, უხმოდ გადაკოცნა და ისე დაუწყო იქაურობას თვალიერება, თითქოს ბინის გადასაცვლელად იყო მოსული.

ჯერ სამზარეულოში შეიხედა, უკან მომღიმარი ლანა მიჰყვებოდა, მერე ლოჯიაში გავიდა...

ბოლოს, მისაღები ოთახის კარები გამოაღო და ხელში შარვლისა და მაისურის ამარა მერაბი შერჩა.

- ეს არის? - უკვე ,, სერიოზულად " ჰკითხა ლანას ულვაშებიანმა.

- კი, ეს არის.

- დედა, რას ჰგავს?! - თქვა ახალგაზრდამ, მოტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯი კარისაკენ გადადგა.

მერაბი ისევ კარადასთან იდგა და არ ინძრეოდა. სიცილს ძლივს იკავებდა.

- მერაბია-ჯარისკაცო! - იყვირა იასონმა და მერაბისაკენ გაქანდა.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

* * *

მანქანა დუშეთის რესტორანთან, პირდაპირ კიბეებთან გაჩერდა.

მერაბი მანქანიდან გადმოვიდა. იასონს, რომელიც მკვირცხლად გადმოხტა მანქანიდან, გასაღები ესროლა და თვითონ მწევარივით შეათვალიერა იქაურობა.

რესტორანთან 45-50 წლის თეთრხალათიანი, მელოტი მებუფეტის გარდა არავინ იდგა.

მერაბმა დას შეხედა და თვალით მებუფეტეზე ანიშნა.

- რას ამბობ? - ვერ მიუხვდა ლანა ძმას.

- ეს ხომ არ არის? გული არ გამიხეთქო! - ჩურჩულით უთხრა მერაბმა.

- გიზო! - გასძახა ლანამ ახალგაზრდას, რომელიც რესტორნის შესასვლელში გამოჩნდა.

ახალგაზრდამ კიბეები ჩამოირბინა და მანქანასთან მივიდა.

- გამარჯობათ! - მორცხვად ჩამოართვა ხელი იასონს, მერე მერაბს, მაგრამ რატომღაც იასონს უფრო მეტი მოწიწებითა და ყურადღებით. - წამობრძანდით, ჩვენ მაღლა ვზივართ.

- გმადლობთ! - მერაბმა იასონს თვალი ჩაუკრა და კიბეებისკენ წავიდა.

ლანამ იასონს ხელკავი გაუყარა და მერაბს გაჰყვა.

- აქეთ მობრძანდით! - კუპეს კარისკენ გაიშვირა ხელი გიზომ. კარი შიგნიდან გაიღო...

მერაბმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და...

ოთახის სიღრმეში ღია ცისფერ კოსტუმში გამოწყობილი ემზარ ბარქაია იდგა. სწორედ ის ემზარი, რომლის არაკაცობის შესახებ იასონი გზაში ყველაფერს მოუყვა მერაბს.

მერაბს ძარღვებში სისხლი გაეყინა, თვალები აემღვრა... იასონმა ლანას ხელი უშვა და წინ წადგა.

ემზარს თვალები გაუდიდდა. შამპანურის ბოთლი, რომელიც კარის გაღების დროს ხელში აიღო, ცივად დადგა მაგიდაზე, მაგრამ ხელი არ გაუშვია. თავის მეგობრებს გადახედა. გაწითლდა, საფეთქლები დაებერა. თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს

გასაქცევს ეძებსო.

- ლანა! - ნერვიულად წარმოთქვა მერაბმა. - რომელია ამათში ემზარი? - და ოთახში მყოფ ოთხ ახალგაზრდას თვალი გადაავლო.

- რა მოხდა, მერაბ? - შეკრთა ლანა.

- რომელია ემზარი? - იყვირა მერაბმა და ლანას ქვითინს ბარქაიას არანაკლებ ხმამაღალი პასუხი მოჰყვა: „ მე ვარ ემზარი “ .

- ჰოდა, შენი დედა... - იღრიალა მერაბმა, უცებ გასხლტა, მაგიდას გადაევლო და, ერთმანეთში აირია ლანას კივილი, ბიჭების გინება და იასონის მიერ მოქნეული ბოთლის მსხვრევის ხმა.

უცებ მერაბს რაღაც მძიმე მოხვდა კისერში და ტკივილისგან შეწუხებული, თავისდაუნებურად მუხლებზე დაეშვა.

თავპირდასისხლიანებულმა ემზარმა მერაბს ბოლომდე დაცემა არ აცალა და სანამ ოთახიდან გავარდებოდა, დაცლილი ლიმონათის ბოთლი გადაამსხვრია თავზე.

გულწასული ლანა რესტორნის თანამშრომლებმა გვერდით ოთახში გაიყვანეს.

იასონი ჯერ გარეთ გავარდა, მერე მოაგონდა მერაბი და ისევ ოთახში შეიჭრა.

მერაბი მაგიდას დაყრდნობოდა და ნახევრად წამომდგარიყო. სახის მარჯვენა

მხარეს სისხლის ფართო ზოლი აჩნდა.

- ადექი, მერაბ. ადექი, შენი ჭირიმე. გარბიან ეგ ძაღლიშვილები.

მერაბმა თავი დაუქნია, წელში გასწორდა და ბანცალით, მაგრამ სწრაფი ნაბიჯებით გარეთ გავარდა.

თეთრი ვოლგა 40-50 მეტრის იქით მიჰქროდა.

- ადი, ლანას მიხედე. გასაღები მომეცი, - თქვა მერაბმა და მანქანასთან მივიდა.

იასონი ერთი წამით კი შეყოვნდა, მერე უცებ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მერაბს მიაწოდა და რესტორანში შევარდა.

მერაბმა კარი გააღო, მანქანა დაქოქა და ის იყო უნდა დაეძრა, რომ იასონი მანქანასთან მოიჭრა.

- კარი გააღე, მერაბ!

მერაბი მძიმედ გადაიხარა და კარები გახსნა.

- სად მოდიხარ, ლანას მიხედე-მეთქი.

- ლანა კარგად არის. ოთახში ზის ქალებთან. მარტო სად მიდიხარ? - თქვა და მანქანაში ჩახტა.

მერაბს აღარაფერი უთქვამს. მანქანამ ასფალტზე ზოლები დატოვა და ხმაურით შევარდა მოსახვევში.

იასონი უხმოდ იჯდა და შიშისაგან ორივე ფეხი წინ, კიდესთვის ჰქონდა მიბჯენილი.

მანქანა თავქვეს დაუყვა.

წითელი ჟიგული თეთრ ზოლზე მიჰქროდა. მერაბს ორივე ხელით ეჭირა საჭე და ოდნავ მოხუჭული, ამღვრეული თვალებით თეთრ ვოლგას ეძებდა.

მანქანა სწორ გზას დაადგა და სისწრაფეს უმატა. სპიდომეტრი 150-ს უჩვენებდა.

იასონი ხან მერაბს უყურებდა, ხან სპიდომეტრის ისარს.

- ვეღარ დავეწევით, მერაბ! - თქვა იასონმა. - ისინი ახლა უკვე ძალიან შორს იქნებიან.

- დავეწევით! - მოკლედ და მკაცრად მოჭრა მერაბმა და, სიტყვა დაამთავრა თუ არა: - აი! - აღმოხდა. მანქანა საბურავების ღრჭიალით შეჩერდა.

- აი, სად ჩაუხვიეს, ხედავ? - მერაბმა იასონი მარცხნივ გაახედა, სადაც თეთრი ვოლგა მიწის გზაზე ნელა მიდიოდა.

მერაბმა მანქანა უკან დახია და რესტორან „ ქართულ დუქანთან “ შეუხვია, გასცდა და ვოლგის მიერ დატოვებულ მტვერში შევარდა.

იასონი გონს ახლაღა მოეგო. მერაბის გული გასკდომას ლამობდა.

შეჩერდა თუ არა ვოლგა, მერაბმაც მიუსწრო და მანქანა წინ ჩაუყენა.

ვოლგისა და ჟიგულის კარებები თითქმის ერთდროულად გაიღო.

ისევ აირია ერთმანეთში გინება და მუქარა. მერაბმა გიზოს სახეში თავი თხლიშა, წაქცეულს გადაახტა და ემზარს მივარდა. ამ უკანასკნელმა თავის განთავისუფლება სცადა, მაგრამ გვიანღა იყო.

ემზარს მერაბის მძიმე მუშტი მისწვდა ყბაში და მანქანას მიანარცხა... პირველს მეორე მოჰყვა, მესამე, მეოთხე და გონებადაკარგული ემზარი მოჭრილი ხესავით ძირს დაეცა.

ახლაღა გაახსენდა მერაბს იასონი, უკან მოიხედა და გაკვირვებისაგან თვალები გაუდიდდა: ხელში კეტმომარჯვებული იასონი ისე მიერეკებოდა ემზარის ორ მეგობარს, როგორც ხბორებს.

მერაბმა ერთხელ კიდევ გადახედა ემზარს. ეს უკანასკნელი ერთ ადგილზე ბორგავდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

მერაბს უცებ რაღაც უცნაური გრძნობა მოაწვა ყელში, მანქანასთან მივარდა, დაქოქა და დაძრა.

რამოდენიმე მეტრი გაიარა და შეჩერდა.

- იასონ! იასონ! - მანქანიდან გადმოვიდა მერაბი. - წავედით.

იასონმა ერთი კი გადახედა ,, ბრძოლის ველიდან გაქცეულ რაინდებს “ , მანქანასთან მიირბინა, კარი გააღო და ჩაჯდა.

- ეგ ჯოხი სად მოგაქვს? - ჰკითხა მერაბმა იასონს, რომელიც კეტიანად მოკალათდა მანქანაში. იასონმა ჯოხს დახედა, მერე კარი გააღო და გარეთ გადააგდო. მერაბს დაღლილ სახეზე მკრთალი ღიმილი აღებეჭდა. მანქანა დაძრა და გზას გაუყვა.

იასონს კი დანა პირს არ უხსნიდა. მერაბისაკენ აღარც გაუხედავს.

მანქანა ისევ დუშეთის გზას დაადგა.

* * *

დილა გათენდა.

ჯერ კიდევ ადრე იყო. ქუჩის სიმშვიდეს მხოლოდ იშვიათად თუ არღვევდა გზატკეცილზე გამვლელი მანქანების ხმა.

მერაბს ოთახში შუქი ენთო. თვითონ კი ტანსაცმლიანად იწვა საწოლზე. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მაგრამ გამთენიისას მაინც ჩაეძინა.

ოთახის კარი გაიღო და ლანა შემოვიდა. მოპირდაპირე კედელთან მივიდა, შუქი გამორთო. მერე ფეხაკრეფით საწოლს მიუახლოვდა და მარცხნივ, სკამზე ჩამოჯდა. მერაბი ოფლში ცურავდა.

ლანამ ფეხსაცმელების გახდა დაუპირა, მაგრამ მერე შეშინდა, მერაბი არ გაეღვიძებინა და გადაიფიქრა.

რამოდენიმე წუთი ასე იჯდა და ძმას აკვირდებოდა. მერე უნებლიედ თვალებზე ცრემლი მოადგა. თანდათან უფრო გაუძლიერდა, ფეხზე წამოდგა და ფეხაკრეფით კარისაკენ გაემართა.

- ლანა! - მოესმა ძმის ხმა.

- ჰო, მერაბ! - უცებ მოტრიალდა ლანა.

- მოდი, ერთი წუთით!

ლანა ისევ ძველ ადგილას მივიდა და დაჯდა.

- რა ვქნათ ახლა მე და შენ? - კითხვას ოხვრა ამოაყოლა მერაბმა.

თავჩაღუნულმა ლანამ მხრები აიჩეჩა და თვალები ისევ ცრემლით აევსო.

- მინდა რაღაც გითხრა, დაგამშვიდო, მაგრამ სათქმელი არაფერი მაქვს, მითუმეტეს სანუგეშო. ერთს გთხოვ მხოლოდ, - თუ შეძლებ, მაპატიე...

- საპატიებელი რა გაქვს, მერაბ? - ოდნავგასაგონად წარმოთქვა ლანამ.

- მაქვს ლანა, მაქვს. ყველასთან მართალი ვიყავი ყოველთვის,

მთელი ცხოვრების მანძილზე. ყველასთან, შენი და დედაჩემის გარდა. სამხედროდან ჩამოსვლა ვერ მოვასწარი და უკვე გული მოგიკალი, მაგრამ აღარც მე ვვარგივარ კაცად. შენთან არ ვარ მართალი, თორემ იმას რომ ჩემი ხელით სიკვდილი უწერია, ეჭვიც არ მეპარება... - დაამთავრა მერაბმა და ფეხზე წამოდგა. სკამზე გადაკიდებულ პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთში მერაბი უკან შემობრუნდა. ლანა ისევ იქ იჯდა და ერთ ადგილს მიშტერებოდა.

- მე წავალ მერაბ! - ფეხზე წამოდგა ძმის დანახვაზე.

- წადი ლანა. წადი და დაიძინე. თვალები სულ წითელი გაქვს.

ლანა ოთახიდან გავიდა.

მერაბმა საათს დახედა, შვიდის ნახევარი იყო. შარვალი და პერანგი გამოიცვალა და სამზარეულოში გავიდა.

* * *

პირველი საათი იქნებოდა მერაბი, იასონი, ავთო და გოგა პიონერთა სასახლის წინ მისეირნობდნენ. გოგა რაღაცას ყვებოდა და ბიჭები დროდადრო იცინოდნენ.

- აუჰ! რამდენი ხალხი დგას, - შეიცხადა იასონმა, როცა მეტრო ,, ლენინის მოედნის “ წინ ტაქსის რიგი დაინახა.

- რა, გეჩქარება სადმე? - გაიღიმა მერაბმა.

- მე სად მეჩქარება. არა ვსვამ, არა ვჭამ. თქვენ იკითხეთ თორემ.

- მერაბ! - მოისმა ხმა მარჯვნიდან.

ბიჭებმა მოიხედეს და ხელში სახეგაბრწყინებული ლიკა ჟვანია შერჩათ. უკან ორი ქალიშვილი დარჩა და ლიკას თვალი გამოაყოლეს.

მერაბს აშკარად გაუხარდა ლიკას დანახვა. რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა და გოგონას გადაეხვია.

- უსინდისო კაცი! - მერაბის თვალიერება და ლაპარაკი ერთდროულად დაიწყო ლიკამ. - როდის ჩამოხვედი?..

- დაწყნარდი! - თქვა მერაბმა. - მე სამი დღის წინ ჩამოვედი... დღეს ხომ შენი ამქვეყნად მოსვლის დღეა, პირდაპირ 28-ში საღამოს მივადგები გაშლილ სუფრაზე და სიურპრიზი, ამაზე უკეთესი, რა იქნება-მეთქი, ვიფიქრე. თვითონ მერაბ ბარათაშვილი მოგილოცავს დაბადების დღეს. შენ ხომ გესმის, რამხელა პატივია ეს. შენ კი არ მაცალე ჩანაფიქრის განხორციელება. - ჩაიხითხითა ვაჟმა.

- დედა, ვერც ჯარმა გიშველა, როგორც ვხედავ და ვერც სამარე გიშველის, უკვე მტკიცედ მჯერა.

- ლიკა, ისე რა რთული და ამავე დროს მრავალფეროვანი იუმორით სავსე დაგვიბრუნდა ჩვენი მერაბიკო ჯარიდან, არა? - საუბარში ჩაერია გოგა.

- ნამდვილად, ნამდვილად, მაგრამ... გამარჯობათ! - მოუბრუნდა მერაბი ლიკას ახალ მეგობრებს, რომლებიც მის უკან იდგნენ, მაგრამ ბარათაშვილმა აქამდე ვერ შეამჩნია.

- გამარჯობათ! - ძალაუნებურად, აშკარად გაეცინა ორივე გოგონას.

- მერაბი. - ცოტა უხერხულად თქვა ბარათაშვილმა და ქალიშვილებს თითქმის შეუმჩნევლად გაუღიმა.

- გოგა.

- იასონი. - ულვაშებს შორის იასონის თეთრი კბილების ორივე მწკრივი გამოჩნდა.

- ავთო. - გაცნობის ცერემონიალს თავისი ბოხი და ძლიერი ხმით დაუსვა ავთომ წერტილი.

- რას გრუხუნებ, შე დალოცვილო, - მარცხენა ყურზე ხელი მიიჭირა გოგამ.

გოგონებმა გულიანად გადაიხარხარეს.

- გეყოფათ ციგნობა, დავიშალოთ ახლა და 6 საათზე ჩემთან ვიკრიბებით სუყველა, -

თქვა ლიკამ.

- კაცურია, ძმაო! - მოიწონა ავთომ.

- აბა, ჰე! - ლიკამ მერაბს თვალი ჩაუკრა, მოტრიალდა და პროსპექტს გაუყვა მეგობრებთან ერთად.

- ლიკა, რა გიყიდოთ? - მიაძახა გოგამ უკვე 10-15 მეტრზე დაშორებულ ქალიშვილს.

- ფერადი ტელევიზორი, - შეუჩერებლად გამოსძახა ლიკამ ღიმილით და ბიჭებს ხელი აუწია.

ბიჭები კი ტაქსის რიგთან მივიდნენ და ბოლოში დადგნენ.

ლიკა, 2 საათი იქნებოდა, სახლში რომ დაბრუნდა.

ოჯახში უკვე დიდი სამზადისი და ორომტრიალი იყო.

- ბები, როგორაა საქმე? თავი უნდა მომჭრათ, თუ უნდა მასახელოთ? - სამზარეულოში შევიდა ლიკა და ბებიას ყელზე მოეხვია.

- მე უნდა გასახელო ბებია. რავა, თავის მოსაჭრელად ჩამევეკიდე თბილისი-სამტრედიის მატარებელს?!

- ჰო, აბა თქვენ იცით! მე მზად ვარ. თქვენ მარტო მითხარით რა გავაკეთო და ამ წუთში ცეცხლს დავანთებ ირგვლივ... დედა, რა გავაკეთო?

- არაფერია, დედა შემოგევლოს... ოთხი ქალი ვართ აქ და 30 კაცის გამასპინძლებას ვერ შევძლებთ უშენოდ? რაც გაგიხარდეს, ის ქენი. დაისვენე...

- ასეც ვიცოდი! მაშინ მე თამუნასთან წავალ და 6 საათზე სტუმარივით მოგადგებით. ჰო, მართლა, იცით ვინ მოვა?

- ვინ? - ერთხმად იკითხეს დედამ და ბებიამ, ისე რომ საქმისათვის თავი არც ერთს დაუნებებია და არც მეორეს, საერთოდ ლიკასთვის არც შეუხედავთ.

- მერაბ ბარათაშვილი.

- კაი, არ გადამრიო! - მოტრიალდა დედა - ჩამოვიდა უკვე? დედა, როგორ გამახარე, დედა შემოგევლოს... ჟანრი რომ გაიგებს გადაირევა სიხარულით...

- არ მეიყვანო, ბებია, მა კაცი, თუ გიყვარვარ, - სრული სერიოზულობით წარმოთქვა 60-65 წლის ქალმა.

- რატომ? - იქვე ჩაეკითხა ლიკა.

- რატომ და ჩემ სიძეს ისედაც არ აკლია ჭკუიდან გადასვლა-გადარევა და ნუღა

დაუმატებთ, დატიეთ ი კაცი თავის კალაპოტში.

- ოჰ, გაგიგონოს ერთი ჟანრიმ!.. - სიცილით წარმოთქვა ოჯახის დიასახლისმა და თავი გააქნია.

- გამიგოს თვარა, სამი თვის პენსია არ მომიხსნას! რას მიზამს! - პატარა სამზარეულო ოთახი სიცილმა მოიცვა. ლიკა ისევ მოეხვია ბებიას და ლოყაზე აკოცა.

- ლეილა! - მიმართა ბებიამ თავის ქალიშვილს, როცა ლიკამ კარი გაიხურა.

- ჰო, დედა!

- ვინაა, დედა, მერაბი?

- მერაბი ლიკუნას ძალიან ახლო მეგობარია. ერთ კლასში სწავლობდნენ, გადასარევი ბიჭია...

- მერე?

- რა, მერე?

- რა მერე და მე და ბიკენტია შენგელიაც ერთ კლასში ვსწავლობდით, მარა არც ერთ ჩემ დაბადების დღეზე არ მოსულა სულწაწყმედილი. ქეც რომ დამეძახა, არ მევიდოდა. ცხონებული მამაშენი კი ჩვენი ოდის უკან ათენებდა და აღამებდა. რაცხა, სხვა სუნი მცემს მე ამ საქმეში!

- რას ამბობ, დედა! მაგის გაფიქრებაც არ შეიძლება... ჟანრის ბიჭი რომ ყოლოდა, უფრო მეტად არ ეყვარებოდა ალბათ, ვიდრე მერაბი. მაგ ისეთი ბიჭი არაა, რომ შინაური და უცხო ერთმანეთში აერიოს. ჩემს ლიკას ძმასავით უყვარს... ასეც რომ არ იყოს... - ლეილამ თხრობა შეწყვიტა და ოდნავ გაიღიმა, მაგრამ მოხუცს ეს არ გამოპარვია.

- ჰო, გააგრძელე, გააგრძელე, შე ქალო, რავა დეირცხვინე გასათხოვარივით. სიძეთაც არ დაიწუნებაო! - გინდოდა გეთქვა, ხომ?

ლეილამ თეფშების მშრალებას თავი დაანება და მოტრიალდა.

- სწორედაც რომ არ დაიწუნება! მაგრამ... - ისევ საქმეს მოჰკიდა ხელი. - მაგრამ, ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. კიდევ კარგი, ლიკა რომ არ გვისმენს, თორემ ძალიან ეწყინებოდა.

ოთახში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

ლეილამ ხელები ჭურჭლის ტილოზე ნაჩქარევად შეიწმინდა და სწრაფი ნაბიჯებით მისაღებ ოთახში გავიდა.

- გისმენთ!

- მე ვარ, დედა.

- ჰო, დედიკო.

- დედიკო, გოჭის თავი თამადის ადგილას არ გააჭაჭანო. ხომ გახსოვს, მერაბი რომ ვერ იტანს?!

- კი, დედიკო, მახსოვს, როგორ არ მახსოვს. სულ არ მივიტან სუფრაზე, თუ გინდა...

- კაი აბა! ექვსზე მოვალთ მე და თამუნა, როგორც გითხარით, - ლიკამ ყურმილი დაკიდა.

* * *

მერაბი სადარბაზოდან გამოვიდა და გაჩერებისაკენ გაუყვა გზას. ჯიხურთან შეჩერდა.

ჯიხურში დაბალი, შავგვრემანი ქალი წელში მოხრილი იდგა და იდაყვებით დახლს დაყრდნობოდა. თვალებით ერთ ადგილს მიშტერებოდა.

მერაბი მოიხარა და სარკმელში შეიხედა.

- გამარჯობა, ლუსიკ! სიგარეტი არა გაქვს?

- ვაი, - ქალმა კისერი წაიგრძელა და თითქმის ნახევარი თავი გამოყო გარეთ. - ვაი, ეს რასა ვხედამ ჩემი თვალები. მერაბიკჯან, შენა ხარ თუ მამებლანდა? - მერაბმა არაფერი უპასუხა, გაუღიმა და წელში გასწორდა. ქალმა ჯიხურის კარი გააღო და გარეთ გამოვარდა.

- მერაბიკჯან, ცავატანემ! სადა ხარ, ბიჭო, დაკარგული? - ქალმა მერაბს ერთი ხელი ჩამოართვა, მეორე კი სიყრმის მეგობარივით ბეჭზე შემოარტყა.

- ჯარში ვიყავი, ლუსიკ, ჯარში!

- ჰოო? მეთქი მოკვდა! - ორივე ხელი გაშალა და ოქროს კბილები გამოაჩია ლუსიკამ. - ისე, როგორ სხვანაირი გახდი აი. კინაღამ ვეღარ გიცანი.

- კინაღამ არ ითვლება, სიგარეტი თუ გაქვს?

- მერაბჯან, შენთვის სიგარეტი კი არა, ოქრო არ დავინანებ. რამდენი გინდა? - გამოსძახა ქალმა უკვე ჯიხურიდან.

- ერთი.

- მეტი არა? ერთი იყოს! - ლუსიკამ სიგარეტის კოლოფი გამოაწოდა სარკმლიდან. მერაბმა გამოართვა და მანეთიანი დახლზე დაუდო.

- აბა, აიღე შენი ფული ახლავე! - თავი გამოყო გამყიდველმა. - ეგ პირველი ,, პაჩკაა ‘‘ და ჩემი ,, პადარკა ‘‘ იქნება!

- აბა, ეგეთები არ იყოს! - ბარათაშვილმა წასვლა დააპირა.

- ე, მერაბიკ, ეხლა ეგ მანეთიანი აქედან მოაშორე, თორემ ჩემი დიშვილები გეფიცები, შენ ჩემ ,, ბუტკაში ‘‘ სიგარეტი ვაღარასოდეს იყიდებ!

მერაბმა ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, მოტრიალდა, ხელი აუწია და ღიმილით გზას გაუყვა.

ლუსიკამ მანეთიანს ხელი დაავლო და ქუჩაში გამოვარდა. მერაბმა შეამჩნია მისკენ კაცური ნაბიჯებით მომავალი გამყიდველი და შეჩერდა, რადგან მიხვდა, აღარ მოეშვებოდა.

ლუსიკა პირდაპირ მერაბის თვალწინ აღიმართა:

- გინდა ეხლა ნერვები მეტკინოს, არა?! აიღე! - ფული გაუწოდა და წარბები მოზიდა.

- დიდი მადლობა! - ვაჟმა ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

- ეგრე რა, შე კაი კაცო! გაძლევენ? აიღე რაღა! განა ხვალაც გაჩუქამ! - კიდევ ერთხელ გამოამზეურა ლუსიკამ თორმეტი ოქროს კბილი. აღარაფერი

უთქვამს, მიტრიალდა და კმაყოფილი სახით, უზრუნველი ნაბიჯებით ჯიხურში დაბრუნდა.

მერაბმა თვალით კარამდე მიაცილა ქალი, მერე მოტრიალდა და ქუჩას გაუყვა.

ივლისის თბილი საღამო იყო. დღე განსაკუთრებული სიცხით არ გამოირჩეოდა და, რაღა თქმა უნდა, არც საღამო აწუხებდა თბილისელებს ამ მხრივ.

ქუჩა, რომელზეც ეხლა ბარათაშვილი მიაბიჯებდა, ხალხმრავლობას ვერასოდეს დაიკვეხნიდა და ვაჟიც თითქმის მარტო მიუყვებოდა ტროტუარს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ-სამ დღეში უამრავი უსიამოვნება შეხვდა, გრძნობდა, რომ კარგ ხასიათზე იყო და თავადვე უკვირდა.

ლუსიკას ჯიხური უკვე აღარ ჩანდა.

დაახლოებით 20-25 მეტრში, ორსართულიანი სახლის მეორე სართულს, ხარაჩო ჰქონდა მოდგმული, ზედ კი თავზე გაზეთისქუდიანი მუშა იდგა და კედელს კირით ათეთრებდა.

კირით სავსე რკინის პატარა კასრი მარცხენა კიდეზე იდგა, მუშა მარჯვენა მხარეს მუშაობდა. ამიტომ ფუნჯის ამოსავლებად მარცხენა მხარეს გადიოდა და მერე, თითქმის სირბილით, უკანვე ბრუნდებოდა.

,, რა თავისუფლად დასეირნობს, ჩამოვარდნის არ ეშინია? “ - გაიფიქრა მერაბმა, როცა მიუახლოვდა და თითქოს ღმერთმა უსმინაო, ფიცარი შეირხა, მუშამ ხელები გაასავსავა წონასწორობის დაცვის მიზნით, მაგრამ უკვე გვიანი იყო, კასრი ასფალტს დაასკდა და მერაბის მუქი რუხი კოსტუმი თეთრად შეიღება.

ბარათაშვილმა ,, ჰეის “ დაყვირება დააპირა, მაგრამ მუშამ ,, ვაი “ დაასწრო და თავისი კასრივით ასფალტზე მოადინა ზღართანი.

მერაბს კოსტუმი გადაავიწყდა და მუშასთან მივარდა, მაგრამ ტყუილად შეშფოთდა. მუშა უცებ წამოხტა, ოდნავ წაიბარბაცა და შარვლის ფერთხვას შეუდგა.

- ხომ არაფერი იტკინე, ძმაო? - მხარზე ხელი დაადო მერაბმა.

- არა, კაცო, რა უნდა მტკენოდა, - მერაბისთვის არ შეუხედავს დარცხვენილ მუშას. - ეგ კი არა, ორჯერ მესამე სართულიდანაც კი გადმოვვარდი, მაგრამ... ისე, ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, ჯობია პარაშუტი ვიყიდო... ვაი, ეგ რას დამსგავსებიხარ? - ახლაღა შეამჩნია მუშამ მერაბი. - რა ვქნა ეხლა, მე რა გიშველო?

- ეგ არაფერი. მთავარია შენ არაფერი მოიწიე...

- როგორ, არაფერი? ეგრე სად წახვალ?

- მართალია, მაგრამ ერთი ტაქსი და მორჩა. მთავარია, სახლამდე მივიდე.

- ტაქსი? ტაქსი ეხლავე იქნება, - შესძახა სახეგაბრწყინებულმა მუშამ და ადგილს მოსწყდა.

- რას გავხარ მერაბ? - კარების გაღებისთანავე გაკვირვებისაგან თვალები გაუდიდდა ლანას.

- არაფერია! - გაიცინა ვაჟმა, - კირიანი კასრი ჩამოვარდა და შემღება. მიდი შენ, შავი კოსტუმი გამოიღე, შარვალი გააუთოვე. პიჯაკი ნორმალურია. მე კი გადავიბან.

აბაზანაში შევიდა თუ არა, კარზე ზარის ხმა გაისმა. კარი ისევ ლანამ გააღო.

- გამარჯობათ! - მიესალმა საშუალო ტანის უცნობი ლანას. - მერაბი შინ არის?

- დიახ, მობრძანდით!

- არა, გმადლობთ, მეჩქარება. დაუძახეთ თუ შეიძლება.

- იცით... - ცოტა უხერხულად წარმოთქვა ქალიშვილმა - აბაზანაშია და ეხლავე გამოვა, მობრძანდით!

- არა, არა, მე დაბლა დაველოდები, - თქვა უცნობმა და კიბეზე დაეშვა. ლანა ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. ახალგაზრდა კაცი ცისფერ ჟიგულში ჩაჯდა.

- მერაბ, ვიღაცა ბიჭია შენთან მოსული. - ოთახში შესვლა არ აცალა ლანამ ძმას. - ვთხოვე, შინ შემოდი-მეთქი, მაგრამ არაფრით არ ქნა. ქვევით, მანქანაში გელოდება...

- ვინ ბიჭი? - სხვათა შორის დასვა ეს კითხვა ბარათაშვილმა, ოთახში შევიდა და ტანისამოსის ჩაცმას შეუდგა.

- რომ ვიცოდე ვინ არის... ცისფერ მანქანაში ზის, სადარბაზოს წინ.

- ჰო, კარგი! - ვაჟმა ნაჩქარევად გაუყარა პიჯაკის სახელოში ხელი და გასასვლელისკენ წავიდა.

- მეგობარო! - დაუძახა ვიღაცამ, როცა მანქანას ოდნავ გასცდა, მერე საპირისპირო მხარეს კარი გაიღო და იგივე უცნობი გადმოვიდა. - თქვენ მერაბი ხართ, არა?!

- კი ბატონო!.. - უკან მობრუნდა ბარათაშვილი.

- იცით, - ხელი გაუწოდა უცნობმა მერაბს, - ლევან წერეთელს უნდა თქვენი ნახვა და მთხოვა გადმომეცა, რომ თუ დრო გაქვთ, დღეს ცხრა საათზე მუსკომე-დიის თეატრის ეზოში დაგელოდებათ...

- ვინაა ლევან წერეთელი?

- ემზარ ბარქაიას ახლობელია, - ცოტა უხერხულად წარმოთქვა უცნობმა.

- ჰოო? ყველაფერი გასაგებია! ჰო, მართლა, გინდა ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ?

- რა საქმე? - დაიბნა უცნობი.

- რა საქმე და ახლა მე აუცილებელ საქმეზე მივდივარ და ძალიან მეჩქარება. შენ შენი მანქანით მიმიყვანე. მერე იგივე ადგილზე, როცა გაგიხარდეს, მაშინ მოიყვანე ის ლევანი. მე მთელი საღამო იქ ვიქნები, როგორია?

- დაჯექი! - ჭკუაში დაუჯდა უცნობს.

მერაბი ჩაჯდა. ჩაჯდა უცნობიც და მანქანაც დაიძრა.

რვაასი მეტრი თუ ექნებოდათ გავლილი, რომ მერაბმა მარჯვნივ შეხვევა თხოვა და იქვე გააჩერებინა მანქანა.

- აი, ამ სადარბაზოში,

მესამე სართულზე, კიბიდან მარჯვნივ, კარზე „ ჟვანია “ აწერია! მოაგნებთ?

- მოვაგნებთ.

- გელით, - ირონიულად გაუღიმა მერაბმა, კარი მიხურა და სადარბაზოში შევიდა.

კიბეები აუჩქარებლად აიარა და ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა.

კარი ბებიამ გააღო.

- გამარჯობათ. შეიძლება? - გაუღიმა მერაბმა მოხუცს.

- რავა არ შეიძლება, შვილო. მობრძანდით, გენაცვალე...

ბარათაშვილი შევიდა, მაგრამ თავი ცოტა უხერხულად იგრძნო, რადგან ვერც დერეფანში შეამჩნია ვერავინ და არც ოთახებიდან გამოდიოდა რაიმე ხმა.

,, ხალხი შვიდ საათზე აქ უნდა ყოფილიყო. მე დავაგვიანე და აქ მაინც არავინ ჩანსო! “ ” - გაიფიქრა ვაჟმა და მოხუცს შეხედა.

- შებრძანდი ოთახში, ბატონო! - კვლავ ჩაშაქრა ხმა ბებიამ. მერაბს სხვა გზა არ ჰქონდა. კარი შეაღო და გასუსულ-გარინდული ოთახი უცებ საქორწინო ტუშმა და ოცდაათამდე კაცის ყიჟინამ გააყრუა.

აქეთ-იქიდან წიწილებივით შემოეხვივნენ კლასელები და ახლობლები. ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ გაკვირვებულ და გახარებულ მერაბს. ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, ყველას ,, ხმამაღლა უკვირდა “ და ,, ხმამაღლა უხა-როდა “ .

... და ეს ყველაფერი ,, ტუშის “ თანხლებით.

ოთახის კარებში იდგნენ დედა და ბებია. პირველს კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, მეორეს კი ეშმაკური და ეჭვგარეული.

უცებ ,, ტუში “ “ შეწყდა...

მერაბი ახლაღა დაინტერესდა თუ ვინ უჯდა პიანინოს და...

- თამუნა, - წყნარად წარმოსთქვა ბარათაშვილმა და მისი ხმა არც არავის გაუგონია ხმაურის გამო, მაგრამ თამუნა მიხვდა, რომ მერაბის ტუჩებმა ახლა მისი სახელი წარმოთქვეს.

ხალხი ხმაურობდა. იცინოდნენ, მხიარულობდნენ.

მხოლოდ ერთმა აზრმა გაუელვა ახლა თავში ბარათაშვილს. როგორ გავიდა ორი წელი ისე, რომ ერთი წერილიც არ მიწერა თამუნას, როგორ გაუძლო გულმა... თუ ეს ახლა, მხოლოდ ახლა ეჩვენება ეს ქალიშვილი ასე ახლობელი, სანატრელი და აუცილებელიც კი მომავალი არსებობისათვის.

უცებ მერაბს ვიღაცის ხმამაღალი სიცილი ჩაესმა ყურში და გამოერკვა:

- გამარჯობა, თამუნა! - ქალიშვილთან მივიდა ბარათაშვილი.

- როგორ შეცვლილხარ მერაბ?! - ხმამაღლა წარმოსთქვა თამუნამ და თავი ჩაღუნა...

* * *

  დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ღვინომ უკვე თავი რომ იჩინა, კარზე ზარის ხმა გაისმა.

ვიღაცამ კარი გააღო... მერე მერაბმა ბოდიში მოიხადა და იქაურობა მიატოვა.

მანქანა სადარბაზოსთან იდგა. შიგ ორნი ისხდნენ. ერთი საჭესთან, მეორე კი მის გვერდით.

მესამემ, რომელიც მერაბთან ერთად გამოვიდა სადარბაზოდან, მანქანის კარი გამოაღო, ჯერ მერაბი შეუშვა, მერე კი თვითონაც ჩაჯდა და კარი მოიხურა.

- მე წერეთელი ვარ! - სავარძელზე ნახევრად მობრუნდა ჩია ტანის შავგვრემანი, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა.

- მე, ბარათაშვილი! - ცივად უპასუხა მერაბმა.

- ხუმრობ? - გაიღიმა წერეთელმა ნაძალადევად.

- არა, მართლა ბარათაშვილი ვარ. გინდა, დედა დავიფიცო?!

- არ მინდა, მჯერა, გიცნობ! - ღიმილი გაქრა ლევანის სახიდან. - აქ რისთვის მოვედი, ალბათ უკვე გეცოდინება.

- მიახლოებით!

- მოკლედ, ემზარას შენთან შეხვედრა უნდა... გავიგე, გუშინ მაგრად „ გივაჟკაციათ “ . რა საჭირო იყო, ვერაფრით ჩემამდე ვერ დადის... გუშინვე მინდოდა შენი ნახვა. მხოლოდ, გუშინ სხვანაირად გეძებდი...

- სხვანაირად, ეგ როგორ?

- მაგას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს... მერე გავიგე, ოთარ ბარათაშვილის ძმიშვილი ყოფილხარ. მე კი ბიძაშენის გაზრდილი ვარ...

- უყურე შენ! ბიძაშვილები არ გამოვდექით? - ირონიულად გაიღიმა მერაბმა. წერეთელმა ეს არ შეიმჩნია, ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა.

- მოკლედ, ეხლა მე ემზარს დავუძახებ... მხოლოდ, ვაჟკაცურად, აქ ნურაფერს ეტყვი...

მერაბმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და სიგარეტს მოუკიდა.

ლევანმა საჭის საყვირს ხელი დააჭირა.

დაახლოებით 40-50 მეტრში თეთრი ვოლგა დაიქოქა და ცისფერი ჟიგულისაკენ დაიძრა.

ემზარმა მანქანა ჟიგულს მიაყენა და გადმოვიდა.

ემზარი ადგილზე გაქვავდა. ჯერ მერაბის აღელვებულ, გამხეცებულ სახეს შეხედა, მერე კი მანქანაში მსხდომთ გადახედა და მათმა უზრუნველმა გამოხედვამ და სიმშვიდემ სულ დააბნია. ვერაფერი გაეგო...

- მომისმინე და კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი... - მიუახლოვდა მერაბი ემზარს. - თუ შენი თავისთვის სიკეთე გინდა, მოერიდე ჩემთან შეხვედრას. ძნელად თუ ვინმე მოახერხებს ჩემი სიძულვილის დამსახურებას. მაგრამ, თუ მაინც შემძულდა, მაშინ იმას აღარ გავახარებ, სანამ ცოცხალი ვიქნები. შენ ეს მოახერხე და ამიტომ, იცოდე, მე შენს ძებნას არ დავიწყებ, მაგრამ თუ სადმე შემხვდი, გაულახავს არ გაგიშვებ სადაც არ უნდა ვიყოთ და რა დროც არ უნდა გავიდეს და ერთხელაც...

- ახლა მეც მომისმინე, - შეაწყვეტინა ბარქაიამ. - მე მესმის,

რომ შენ ჩემზე ძალიან ნაწყენი ხარ, მაგრამ მე არც იმდენად დამნაშავე ვარ, შენ რომ გგონია...

- ახლა გაჩუმდი, არ გადამრიო, თორემ სულ მანქანაზე გახლევინებ თავს...

- მომისმინე! - იყვირა უცებ ემზარმა. - ეკამ თვითონ მიმატოვა. იცი შენ, იცი, რომ ერთი თვე, ყოველ დღე, ჩემს მშობლებთან ერთად, იმის კართან ვიყავი ატუზული და კარი არ გამიღო? იცი, რომ მისი ბიძაშვილი, ზურა, ხანჯლით გამომეკიდა და ძლივს გავასწარი...

მერაბს უცებ თავბრუ დაეხვა, ფეხები შეუსუსტდა და მანქანასთან ჩაიმუხლა, თავი ჩაკიდა.

- ერთ მშვენიერ დღეს... - გააგრძელა ემზარმა. - ...ყველაფერი აქედან დაიწყო. შენი სურათი გადმოუვარდა წიგნიდან, რომელიც ნახევრამდეც არ ჰქონდა წაკითხული და, როგორც ჩანს, ის ფოტო სანიშნის მაგივრობას უწევდა. ეს სურათი რას ნიშნავს-მეთქი, ვკითხე. შენი საქმე არ არისო... არა, ვგრძნობდი, მიზეზს ეძებდა, ვგრძნობდი და რადგან მე იგი არ მივეცი, თვითონ მონახა: ერთადერთი ვუთხარი, მოაშორე ეგ სურათი აქედან-მეთქი, მეტი არაფე-რი. მოვბრუნდი და სამსახურში წავედი.

ეხლა რასაც გეტყვი, უნდა დამიჯერო: საღამოს მოვედი და რას ვხედავ, ოცამდე შენი სურათია გაშლილი საწერ მაგიდაზე და ზემოდან დიდი შუშა აფარია. გადავირიე კაცი, მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, შევკრიბე ეს ფოტოები, დავაწყვე მისაღები ოთახის მაგიდაზე, დავასხი ნავთი და ასანთი გავკარი. მთელი სახლის დაწვას ვაპირებდი, მაგრამ ეკამ ჩამიქრო ანთებული ღერი. მერე მშვიდად აკრი-ფა სურათები, გარეცხა და მითხრა: ახლა თუ გინდა, სულ გადაწვი აქაურობაო.

მეორე დღეს, სამსახურიდან რომ მოვედი, სახლში აღარ დამხვდა. იმ დღესვე...

- გაჩუმდი! - ფეხზე წამოდგა მერაბი.

- მოიცა, მომისმინე. იმ დღესვე...

- გაჩუმდი-მეთქი, არ გესმის? წადი, წადი და თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს. არ მჭირდება მე შენი ბოდიშები, არც შენი თავის მართლებით შემეცვლება შენზე შეხედულება... - მერე ნელი ნაბიჯებით სადარბაზოსკენ გაემართა, ისე რომ არავის გამომშვიდობებია.

ემზარმა თვალი გააყოლა, ხოლო როცა ბარათაშვილი სადარბაზოში გაუჩინარდა, ჟიგულის უკანა კარი გააღო და ჩაჯდა.

- როგორ არის საქმე? - ჰკითხა წერეთელმა.

- არ ვიცი, - უპასუხა ემზარმა და თავი უკან გადააგდო...

მერაბს კარი ამჯერადაც ბებიამ გაუღო.

ოთახიდან ამჯერადაც არავითარი ხმა არ ისმოდა.

კარი შეაღო. ყველანი ფეხზე იდგნენ. მერაბი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. წუთიერი დუმილით სუფრის წევრები გარდაცვლილთა ხსოვნას სცემდნენ პატივს.

- დავსხდეთ! - თქვა უცებ გოგამ და ყველანი დასხდნენ. თუმცა ხმა ჯერ კიდევ არავის ამოელო.

მერაბმა უცებ თამუნას გვერდში, დაახლოებით ორმოცი წლის, საფეთქლებთან თმაშევერცხლილი, გემოვნებით ჩაცმული, ნახევრად მელოტი კაცი შეამჩნია.

- ეს კაცი ვინ არის, ლიკა? - დაიხარა ბარათაშვილი ლიკას ყურთან.

- აა, ეგ რესტორან „ გუდაურის “ დირექტორია...

- მაგას არ გეკითხები, თამუნას გვერდით რატომ ზის?

- როგორ? უი, შენ ხომ არ იცი... ეგ თამუნას ქმარია... გადასარევი ვინმეა, ახლავე გაგაცნობ. - ჩურჩულითვე უპასუხა ლიკამ.

- მოიცა, მოიცა, ხუმრობ თუ მართალს ამბობ? - ლიკამ ახლაღა ამოხედა მერაბს და როცა მის სახეს შეხედა, ავტომატურად ფეხზე წამოდგა. ყველა დუმდა და მათ შესცქეროდა.

- მერაბ, უდროოდ წასულების შევსვით, - უხერხული სიჩუმე გოგამ დაარღვია.

- ჰო, ჰო, რა თქმა უნდა! მაპატიეთ, მე ცოტა შევყოვნდი, - თქვა მერაბმა და თავის ადგილს დაუბრუნდა, ჯერ დაჯდა, მერე ჭიქა შეავსო და ისევ ფეხზე წამოდგა. ხმის ამოუღებლად გამოსცალა. არ დამჯდარა, ისე შეავსო მეორე ჭიქა. ამ დროს სუფრის ბოლოში ავთომ ისეთი ძალით დააცემინა ცხვირი, რომ გვერდში მჯდომმა ქალიშვილმა

შიშისაგან შეჰკივლა.

რა თქმა უნდა, დუმილი ამჯერად სიცილმა შეცვალა, მაგრამ ხალხი უმალვე დაწყნარდა და გაისუსა.

- ამქვეყნად მოვლენილ ყველა ადამიანს, ყველაზე მახინჯსაც კი, აქვს რაღაც ძალიან მიმზიდველი და გამორჩეული, ანუ მშვენიერი, - ხმადაბლა წარმოთქვა მერაბმა. - ადამიანს შეიძლება ძალიან ბევრი სიკეთე არგუნოს ღმერთმა, მაგრამ ამ სიკეთეთა შორის მხოლოდ ერთს, ყველაზე უფრო ძლიერს და თვალსაჩინოს ეწოდება სწორედ მშვენიერი... მხოლოდ ერთს, და მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძვის მაცდური ამ მშვენიერს, უნდა მისი მოკვლა და არცთუ ისე იშვიათად, ახერხებს კიდევაც ამას. საკმარისია მხოლოდ ადამიანმა ყურადღება მოადუნოს. ყველას გაგიგიათ ალბათ ,, ცარიელი ადამიანიაო '' , რომ იტყვიან ხოლმე! ეს სწორედ მშვენიერებაჩაკლული ადამიანია. ადამიანი, რომელმაც დაკარგა ღმერთის მიერ ნაბოძებ სიკეთეთა შორის ყველაზე დიდი სიკეთე.

დაახლოებით ორი წლის წინ, მახსოვს, ასეთსავე გრძლად გაშლილ მაგიდას უჯდა გოგონა, რომელსაც თვალები ჰქონდა მშვენიერი. მე ვგრძნობდი, როგორ ელავდნენ და კიაფობდნენ ისინი...

დღესაც ვნახე მე ის თვალები, - მერაბმა რამოდენიმე ქალიშვილს გადახედა, მათ შორის თამუნასაც, - და ნათლად დავინახე, დაუკარგავთ ცეცხლი, ეშხი, მშვენიერება... თუმცა, ალბათ, კი არ დაუკარგავთ, გაუყიდიათ... ბევრი ვილაპარაკე, თავი შეგაწყინეთ ალბათ. მომიტევეთ, მაგრამ რისი სადღეგრძელო უნდა შეისვას ყოველივე ამის შემდეგ, არც კი ვიცი... ალბათ იმის, რომ გავუფრთხილდეთ ჩვენში მშვენიერს, თუ ჯერ კიდევ არსებობს იგი...

გაუმარჯოს მშვენიერებას!

* * *

პირველი სექტემბრის დილა გათენდა, ნათელი და ხმაურიანი.

ქალაქში საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა და რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ეზოში.

უამრავი ხალხი ტრიალებდა აქ, - სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, პირველკურსელთა მშობლები და ახლობლები.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. ამ ჯგუფებს შორის კი მოსიარულეთა ქაოტური მოძრაობა არ წყდებოდა. ყველა ერთად, ბრძოლაში გამარჯვებულ ჯარს წააგავდა.

დაახლოებით ათი საათისათვის სტუდენტთა ნაკადი თანმიმდევრობით შევიდა

უნივერსიტეტის შენობაში. ქუჩის ხმაური ერთიანად მოედო პირველი კორპუსის დერეფნებს და, როგორც მოყვრის ხილვით გახარებულმა მასპინძელმა, ძველმა კედლებმაც ბანი მისცეს ახალგაზრდების მრავალხმიან გუგუნს.

კიდევ ცოტა ხანი გაგრძელდა ეს საზეიმო აჟიოტაჟი და მერე ერთიანად შეწყდა, - პირველმა ზარმა ესტაფეტა აუდიტორიებს გადასცა.

დოცენტმა ვანო ჯოხაძემ აუდიტორიის კარი ცოტა მოგვიანებით შეაღო და სტუდენტებს ხელით ანიშნა, ნუ ადგებითო, მაგრამ ოცდაექვსკაციანი ჯგუფიდან ერთიც არ დაემორჩილა.

დოცენტმა ღიმილი ვერ შეიკავა და პირველ მაგიდას მიაშურა, სადაც ერთმანეთის სასწაულად მსგავსი, ორი ტანმორჩილი, წითური ვაჟი იდგა. ვანო ჯოხაძემ ორივეს ხელი ჩამოართვა, მერე მეორე მაგიდაზე გადაინაცვლა იგივე ფუნქციის შესასრულებლად, მერე მესამეზე და როცა ყველა სტუდენტს პერსონალურად მიესალმა, სწრაფი ნაბიჯებით კათედრის გვერდით მდგარ მაგიდას მიაშურა. დაჯდომა ვერც მოასწრო, რომ კარი გაიღო და აუდიტორიაში ახალგაზრდა, ქერა ქალმა შემოჰყო თავი.

- გამარჯობათ, ბატონო ვანო! - უხერხულად გაუღიმა ქალმა დოცენტს.

- ციცინო! - უცებ გასწორდა და კარისაკენ გაემართა ჯოხაძე. - გაგიმარჯოს გენაცვალე, გაგიმარჯოს. როგორა ხარ?

- კარგად, გმადლობთ, - კარის ზღურბლზე მთელი ტანით გამოჩნდა მაღალი ქალი.

ახალგაზრდა დოცენტი მიუახლოვდა და ხელი განსაკუთრებული მოწიწებით ჩამოართვა.

- ბატონო ვანო, ორასმეოთხე ჯგუფია ახლა თქვენთან თუ არ ვცდები, ხომ? - ოდნავგასაგონად წარმოთქვა ციცინომ და ნახევრად კარისაკენ შეტრიალდა.

- სწორედ რომ ორასმეოთხე!

- მაშინ... ახალგაზრდავ მობრძანდით! - ციცინომ დერეფანში ვიღაცას გასძახა, მერე ისევ მობრუნდა. - მაშინ მიიღეთ ახალი სტუდენტი. - და ისევ ღია კარში გაიხედა.

- ოჰო! - სტუდენტებს გადახედა ჯოხაძემ... - ძალიან კარგი. აუდიტორიაში მყოფი ყველა სტუდენტის თვალი მოსაუბრე დოცენტიდან ოდნავ მარჯვნივ, გაღებუ-ლი კარისაკენ იყო მიპყრობილი.

ციცინომ ოდნავ უკან დაიხია და მაღალი, სერიოზული სახის ვაჟს გზა დაუთმო.

ვაჟს ნაცრისფერი შარვალი და მოკლესახელოებიანი შავი პერანგი ეცვა, რომელშიც გრძელი, დაკუნთული და მზისგან გაშავებული მკლავები მოუჩანდა. დიდი ხნის გაუპარსავი წვერი საკმაოდ სქლად ეფინა სახეზე და ყოველივე ერთად მის სახეს მკაცრ და უხეშ იერს აძლევდა.

ვანო ჯოხაძემ სტუდენტს ხელი გაუწოდა. ახალგაზრდამ ხელი ჩამოართვა და თვალი თვალში გაუყარა ისე, რომ ხელი არ გაუთავისუფლებია.

დოცენტი ოდნავ დაიბნა და ვაჟს გაკვირვებულმა შეხედა.

- ვერ მიცანით, ბატონო ვანო? - ჩუმად თქვა ახალგაზრდამ, მაგრამ ყველამ კარგად გაიგონა. - არც მიკვირს...

- ღმერთო ჩემო! - თითქმის იყვირა ჯოხაძემ. - მერაბ! მერაბ ბარათაშვილი! - და ახალგაზრდას უახლოესი მეგობარივით გადაეხვია.

ციცინო და სტუდენტები გაკვირვებულები შეჰყურებდნენ ამ სურათს და რატომღაც ყველა იღიმებოდა.

უცებ ვანო მოტრიალდა.

- ბავშვებო, სიამოვნებით წარმოგიდგენთ ჩემს სტუდენტს, მერაბ ბარათაშვილს, რომელიც სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა და ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ვეღარ ვიცანი... - ვანო მოტრიალდა და ისევ გადაეხვია მერაბს. - ციცინო, არ გახსოვს მერაბი? ნუთუ არ გახსოვს? თუმცა შენ როგორ გემახსოვრება, მაგრამ არ გაგიგია მაინც... იასონს არაფერი უთქვამს, დავიჯერო, შენთვის მის შესახებ?

- არა, ბატონო ვანო! - გაკვირვებით წარმოთქვა ახალგაზრდა ქალმა და ცოტა ეჭვიც შეეპარა: ამისთანა ვინაა, ყველა რომ უნდა იცნობდესო.

- როგორ თუ არა, როგორ თუ არა! მერაბ, ჩემო მერაბ, - სიხარულს ვერ მალავდა დოცენტი. - ისე ჩემი ბრალიც არ არის, ისე ხარ გამოცვლილი, გაზრდილი, დავაჟკაცებული... ეს შავი პერანგი და წვერი? - ხმას მოუკლო და კითხვის ნიშნად შეაცქერდა სახეში.

- მერე იყოს ბატონო ვანო... - მრავლისმთქმელად თქვა მერაბმა.

ვანო ჯოხაძეს აღარაფერი უკითხავს. ციცინო გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა.

- დაჯექი მერაბ, გენაცვალე. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე, - ვანომ აუდიტორიის სიღრმეში

მიმავალ ახლგაზრდას თვალი გააყოლა.

მერაბმა იქაურობას თვალი გადაავლო და მარჯვენა მხარეს, ბოლოში დაჯდა.

სტუდენტები აშკარა ინტერესს ვერ მალავდნენ და დროდადრო მერაბს შეფარულად აკვირდებოდნენ.

რამოდენიმე წუთს ხმა არავის ამოუღია, თუ სტუდენტთა ჩურჩულს არ ჩავთვლით. ვანო ჯოხაძე გაფაციცებით რაღაცას ეძებდა და სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა.

მერაბმა პატარა ჯიბის წიგნაკი მაგიდაზე დადო და ფრთხილად გადაშალა.

მერე გულის ჯიბიდან საწერ-კალამი ამოიღო და როცა სასურველი ფურცელი გადაშალა, რაღაცას ხაზი გადაუსვა.

მოკლედ თმაშეჭრილი, ეფექტური ქალიშვილი, რომელიც მერაბის წინა მაგიდასთან იჯდა, ნახევრად მობრუნდა.

- ეგ რა არის? - მოულოდნელად ჰკითხა ამ უკანასკნელმა.

- ვერ გავიგე?! - ცოტა არ იყოს დაიბნა ვაჟი.

- რა გადახაზე? - ეჭვიანი ცოლივით ჩაეკითხა 18-19 წლის გოგონა.

,, ამას ეტყობა, დიდი პრივილეგიებით სარგებლობს ჯგუფში “ , - გაიფიქრა მერაბმა. შეეცადა ლამაზი ქალიშვილის სითამამით გამოწვეული გაკვირვება არ შეემჩნია. პატარა ჯიბის წიგნაკი, იმავე ფურცელზე გადაშლილი, გრძელი ხელით პირდაპირ ცხვირთან მიუტანა.

ხაზი ექვსციფრიან რიცხვს ჰქონდა გადასმული.

- ტელეფონის ნომერი? - იგივე ტონით გააგრძელა გოგონამ.

- დიახ, ბატონო! - მერაბმა თავი მარჯვენა მხარეს გადააგდო და გოგონას თვალი თვალში გაუყარა. - რა გქვია, ხომ არ იცი?

- როგორ არ ვიცი, - გაეცინა გოგონას. - ნატა.

- შენ, აბა, გვარიც გეცოდინება და ტელეფონიც.

- შენ წარმოიდგინე, ეგეც ვიცი, - კვლავ გაეცინა გოგონას.

- ჰოდა, ორივე ამ ფურცელზე დაწერე.

- რატომ? - უცებ დასერიოზულდა ნატა.

- დაწერე და გეტყვი, - მერაბმა წიგნაკი და კალამი მაგიდაზე დაუწყო.

ნატას სახეს ჯერ განცვიფრება დაეტყო, მცირე პაუზის შემდეგ კი მერაბის სურვილი შეასრულა და ნივთები უკანვე დაუბრუნა.

ბიჭმა წიგნაკს გადახდა.

- ძალიან კარგი, - და ორივე, წიგნაკიც და კალამიც პერანგის გულის ჯიბეში მოათავსა.

- ეხლა მიპასუხე კითხვაზე, - თითქმის მთლიანად მოტრიალდა ნატა.

- კი ბატონო: შენ გაინტერესებს რატომ წავშალე პირველი ნომერი და რატომ ჩაგაწერინე

შენი, ხომ ასეა?

ნატამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

- გიპასუხებ ორივე კითხვაზე ერთდროლად, - განაგრძო მერაბმა. - უბრალოდ, ვერ ვიტან ერთფეროვნებას.

ამის გაგონებაზე ნატა გაწითლდა, წარბები შეეკუმშა და ალბათ, ვანოს ხმა რომ არა, მერაბი მის რისხვას ვერ გადაურჩებოდა.

- მაშ ასე, ძვირფასო მეორეკურსელებო! - დაიწყო დოცენტმა და ფეხზე წამოდგა. - მე ახლა ხელთ მაქვს ,, კომსომოლსკაია პრავდას “ 12 აგვისტოს ნომერი და მსურს, წლევანდელი სასწავლო წელი სწორედ ასევე დავიწყოთ. ინგა, მოდი გენაცვალე ერთი და წაუკითხე შენს მეგობრებს.

საშუალო ტანის სრული გოგონა უსიამოვნოდ წამოდგა და დოცენტის მაგიდასთან მივიდა. უხმოდ მოკიდა გაზეთს ხელი და ჯოხაძის მიერ შეთავაზებულ სკამზე დაჯდა.

- რომელი სტატიაა, ბატონო ვანო?! - გაზეთი გადაშალა გოგონამ.

- აი, ეს! - დოცენტი ფანჯარასთან მივიდა და რაფას მიეყრდნო.

* * *

ვანო ჯოხაძეს გაჩერებასთან გამოემშვიდობა მერაბი და მეორე კორპუსისაკენ გაემართა.

- მერაბ! - მოესმა უკნიდან. მოიხედა და ჩქარი ნაბიჯებით მომავალი ნატა დაინახა. მაღალი, თხელი და მომხიბლავი სახის ქალიშვილი ისარივით მოიწევდა წინ. მერაბი შეჩერდა.

- წამოდი! - თქვა ნატამ და მერაბს გვერდი აუარა.

- ოჰო! - ჩაეცინა ვაჟს და უკან გაჰყვა.

ნატა ერთმწკრივად ჩაყენებულ მანქანებთან მივიდა და 2106 მარკის ჟიგულის კარი გამოაღო.

მერაბი სახეზე ღიმილს ვერ იშორებდა, ჩაჯდა და კარი ფრთხილად მოხურა.

ნატამ მანქანა მწკრივიდან გამოიყვანა და ვაკის მიმართულებით გაუხვია, უკიდურესი მარჯვენა მხარე დაიჭირა და ნელი სვლით გაუყვა ჭავჭავაძის პროსპექტს.

ნატა დაძაბული იჯდა და საჭეს ორი ხელით მართავდა. აშკარად ეტყობოდა, დიდი

გამოცდილება არ ჰქონდა ამ საქმეში.

მერაბი განზრახ ხმას არ იღებდა.

ნატამ მალბოროს კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მერე მერაბს გადმოხედა და კოლოფი გაუწოდა.

- გმადლობთ, არ მინდა, - ღიმილით წარმოთქვა მერაბმა.

- რა გაცინებს? - ჩვეულებისამებრ წარბები მოზიდა ნატამ.

- მე არ ვიცინი, მაგრამ შენს ადგილზე ან მანქანის მართვას ვისწავლიდი, ან სიგარეტის მოწევას, რადგან ერთდროულად ამდენი იმპროვიზაცია შენს სახეზე დიდი ტანჯვისა და განცდის კვალს ტოვებს. ესეც არ იყოს, სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომელიმე ბოძს შემოვეხვიოთ.

- შენ ორივე კარგად იცი ალბათ, არა? - ცეცხლი ამოაყოლა ბგერებს ქალიშვილმა.

- შენ წარმოიდგინე, საკმაოდ კარგად. რატომ დამიძახე? ან რატომ მასეირნებ? თუ ვაკე გინდა დამათვალიერებინო, დააგვიანე, ერთხელ უკვე ნამყოფი ვარ.

- მხოლოდ ერთხელ?

- მხოლოდ ერთხელ,

მაგრამ ფოტოგრაფიული მახსოვრობის წყალობით ყველა ქუჩა და ჩიხი ზეპირად ვიცი.

- რა უნიკალური პიროვნება ყოფილხარ, მე კი შენობით გელაპარაკები, - დამცინავად გაიღიმა ნატამ.

- გეთანხმები. თვითკრიტიკაც მომწონს და უფლებას გაძლევ, თქვენობით მომმართო.

- ვერ ვიტან შენისთანა თავდაჯერებულ და ამპარტავან კაცებს...

- შენ ისეთი ტონით მელაპარაკები, გეგონება მანქანის კარი რომ გააღე, უკვე შიგ ვიჯექი. რატომ დამიძახე, აღარ მეტყვი?

- რატომ? რატომ და იმის სათქმელად, რომ შენ ხარ თავხედი, ავყია და არ იცი, სად როგორ მოიქცე! აი, ამისთვის დაგიძახე! - გული მოიფხანა ნატამ.

- სულ ეგ არის? მერე შე დალოცვილო, მაგ სამ სიტყვას უნივერსიტეტთან ვერ მეტყოდი? არა, მე მესმის, შენ გინდოდა, მეც მცოდნოდა შენს შესახებ ცოტა რამ: მაგალითად, მანქანა რომ გყავს და თან სიგარეტს ეწევი. მაგრამ მე ვთვლი, რომ ამის თქმაც იქვე შეიძლებოდა.

ქალიშვილს ძალიან სურდა თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და ცრემლები წვეთ-წვეთად დაეშვა მის ფერმკრთალ სახეზე.

მერაბს არ ეგონა ამ ამბავს თუ ასეთი ბოლო მოჰყვებოდა და ცოტა ინანა კიდეც, ამდენი არ უნდა მეთქვაო.

- რამდენი წლის ხარ ნატა? - ირონია გამორიცხა მერაბმა.

- სად ჩამოხვალ? - მცირე პაუზის შემდეგ კითხვაზე კითხვით უპასუხა ქალიშვილმა.

- უნივერსიტეტთან.

- რატომ, უნივერსიტეტთან? - ცრემლი შეიმშრალა ნატამ, მანქანა შეაჩერა და მერაბს მიაშტერდა.

- იმიტომ, რომ არავითარი სურვილი არ მაქვს მანქანა იქ დავტოვო და ხვალ დილით დიდუბიდან სირბილით ამოვიდე ვაკეში.

- კი მაგრამ, მანქანით თუ იყავი, ვერ მითხარი?

- მკითხე და დაგიმალე თუ?

- გადამრევს ეს კაცი! - აღმოხდა გადაღლილ ქალიშვილს, გურამიშვილის ქუჩაზე უწყვეტი თეთრი ზოლი გადაჭრა და ასოთხმოცი გრადუსით მოუხვია.

* * *

გოგა გორგილაძემ კიბეები ნელი ნაბიჯებით აიარა. მეორე სართულზე, მარცხენა მხარეს, კარს მიადგა და შედგა. ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე ერთთავად წელში გასწორდა, ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა და ყვავილები მარ-ჯვენა ხელში გადაიტანა.

რკინის კარი ხმაურით გაიღო.

- გამარჯობა, მეგობარო! - მიესალმა გოგა ცისფერ ხალათში გამოწყობილ ეკა ჯაფარიძეს.

- გამარჯობა! - ყოველგვარი ემოციის გარეშე წარმოთქვა ეკამ. - შემოდი.

გოგას ხასიათი გაუფუჭდა და ყვავილები იქვე შემოსასვლელში, ტუმბოზე დააწყო. ეკას ეს არ გამოპარვია. მოტრიალდა, ხელკავი გაუყარა და ოთახში შეიყვანა. სავარძელში ჩასვა, ისევ გარეთ გამოვიდა, ყვავილები აიღო და ოთახში შეიტანა.

- გუშინ ავთო გელაშვილი შემხვდა ბაზარში, - დაიწყო ეკამ და ყვავილები ცარიელ ლარნაკში ჩააწყო. - გასუქებულა, ცოტა თმაც შეთხელებია და 40 წლის კაცს ჰგავს.

- ავთომ მანქანა იყიდა, - სხვათა შორის თქვა გოგამ.

- ჰოო? ძალიან კარგი. რა მანქანა?

- 07, თეთრი ფერის.

- რად უნდოდა ბიჭო ჟიგული, 110 კილოა კაცი!

- მართალი ხარ, ავთოს წონის მიხედვით ან ,, ტატრა " ან ,, კრაზი " ეკუთვნის, მაგრამ სამწუხაროდ, გაყიდვაში არც ერთია და არც მეორე.

ეკას გაეცინა და გოგას ასანთის კოლოფი ესროლა. ამ უკანასკნელს ეკას ეს მოქმედება არ დაუნახავს და კოლოფი პირდაპირ შუბლში მოხვდა.

ეკას ხმამაღლა გაეცინა და ორივე ხელით მაგიდაზე დაეყრდნო.

- უფრო მძიმე არაფერი გაქვთ სახლში? მაგალითად, თუჯის ტაფა ან წითელი აგური? ის მესროლე, ჯობია.

ამის გაგონებაზე ეკას სიცილი ისტერიკაში გადაიზარდა და პატარა ბავშვივით ხტუნვას მოჰყვა.

გოგამ კარგა ხანს ითმინა, მაგრამ ბოლომდე სერიოზულობის შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხა.

უყურებდნენ ერთმანეთს და ხმამაღლა იცინოდნენ. როგორ გაიღო კარი და როგორ შემოვიდა ეკას დედა, ვერც ერთმა ვერ გაიგო.

ხელჩანთებით დატვირთული ქალი დერეფანში შეჩერდა და ფეხსაცმელები გაიხადა. კარის მიხურვის ხმაზე გოგა თითქმის დაწყნარდა და ფეხზე წამოდგა.

ეკამაც თავს ძალა დაატანა და დედისაკენ გაემართა.

- რა იყიდე, დედიკო? - იკითხა ეკამ და გაკვირვებულ ქალს შუბლზე აკოცა.

- ისეთი არაფერი, შვილო. ხილი, პამიდორი და თუჯის ტაფები რიგდებოდა კიდევ, ძალიან მოხერხებული. ორი ცალი ის ავიღე.

დედას ბოლო სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ეკა მუხლებზე დაეცა და კივილნარევი სიცილით იქაურობა გააყრუა. არც გოგას დამართია ნაკლები.

ქალმა ჯერ ეკას შეხედა, მერე კარებში გამოსულ, სიცილისგან მოხრილ გოგას. ვერაფრით ვერ მიხვდა, რა თქვა ასეთი სასაცილო და ცოტა შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი.

ეკა მიხვდა მდგომარეობას, წამოდგა და დედას მოეხვია.

გოგა, როგორც იქნა თავს მოერია და ქალს მოწიწებით მიესალმა.

თანდათან ეკაც დამშვიდდა და მათი სიცილის მიზეზზე დაწვრილებით უამბო.

დედა მიხვდა, რომ ხარხარის მიზეზი ის კი არა, თუჯის ტაფა ყოფილა და ,, ბავშვებს ,, შეუნდო " ამგვარი საქციელი.

- ბავშვი სად არის? - იკითხა ცოტა ხნის შემდეგ დედამ.

- სძინავს. ხომ იცი, რა ძილი იცის. ჩვენ აქაურობა ავიკელით ხმაურით, იმას კი მაინც არხეინად სძინავს.

- მერაბმა მომიყვანა მანქანით, - თქვა მოულოდნელად დედამ. - ფეხით მოვდიოდი და სტადიონთან ვიღაცამ გამიჩერა. პირველად, ვერც ვიცანი. წვერი მოუშვია და ძალიან შეცვლილა, დავაჟკაცებულა. წვერი რატომ ჰქონდა, შემეხათრა, ვერ ვკითხე. ვიფიქრე, იქნება უბრალოდ, ასე მოსწონს და იმიტომ აქვს-მეთქი...

- არა, მაგიტომ არა აქვს. პაპა გარდაეცვალა, დედის მამა. ამ შაბათს ორმოცი აქვთ... - ძლივს ამოღერღა გოგამ, რომელმაც აშკარად შეამჩნია, რომ მერაბის ხსენებაზე ეკას მიტკლის ფერი დაედო. ეს არც დედას გამოჰპარვია.

- მე წავალ... - საათზე დაიხედა გოგამ.

- რა გეჩქარება, შვილო, მოიცადე ცოტა ხანს, ვივახშმოთ.

- არა, გმადლობთ, საქმე მაქვს აუცილებელი... - გოგამ კარი გამოაღო. - კარგად ბრძანდებოდეთ!

- მოიცადე, გოგა! - წინ წამოდგა ეკა. დედა ბავშვის ოთახისკენ გაემართა.

- გისმენ! - მოტრიალდა ვაჟი.

- სად მიდიხარ?

- საითაც გული გამიწევს, - ჩურჩულით წარმოთქვა გოგამ და ეკას თვალი ჩაუკრა.

- დარჩი!

- რა ვაკეთო, რომ დავრჩე?

- ოოჰ! - კარი მიხურა ეკამ და გოგას ხელით ოთახისაკენ უბიძგა. - რა უნდა აკეთო, დაჯექი და დამელაპარაკე.

- სირცხვილია, დედაშენს ვუთხარი, საქმე მაქვს-მეთქი.

- დედაჩემი მამიდაჩემთან მიდის. როდის გახდი ასეთი მორცხვი? დაგავიწყდა, შენ და ავთო შუაღამემდე აქ რომ იჯექით ხოლმე?

ვაჟი მორჩილად დაჯდა სავარძელში. ეკამ კარადიდან კონიაკის ბოთლი და

შოკოლადის კანფეტებით სავსე ლარნაკი გამოიღო. პატარა ჟურნალების მაგიდაზე დააწყო.

გოგამ ახლაღა შეამჩნია, მაგიდის თაროდან ალბომის კუთხე იყო გამოწეული. გამოიღო და გადაშალა. კლასის ალბომი გამოდგა.

უცებ ბავშვის ღუღუნის ხმა მოისმა.

- გაიღვიძა ჯუნამ, - ეკა სწრაფი ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა.

გოგამ ალბომის ყველა გვერდი გადაშალა, მაგრამ სასურველი სურათი ვერ იპოვა. სურათი, რომელზეც მხოლოდ მერაბი და ეკა იყვნენ გადაღებული.

გოგონას ვაჟისათვის ხელკავი აქვს გაყრილი. ამ უკანასკნელს კი ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში ჩაუწყვია.

კიდევ ერთხელ გადაათვალიერა ალბომი. სურათი ნამდვილად არ იყო. „ იქნება თავის ოთახში აქვს? “ ” - გაიფიქრა გოგამ. - „ არა მგონია, იქ რაზე გაიტანდა “ . - თავად უპასუხა თავის კითხვას. დაკმაყოფილდა გადაწყვეტილებით და სხვა სურათების თვალიერებას შეუდგა.

სკოლისდროინდელი ყველა სურათი დაათვალიერა თითქმის. არცერთ სურათში ეკა და მერაბი ერთად არ იყვნენ. „ ერთად რომ იდგნენ, ალბათ იმათაც მოაშორებდა აქედან “ , - დაუბრუნდა თავის ფიქრს გოგა.

ეკამ კარი გაუღო და დედა გარეთ გავიდა. ქალს ხელში დაახლოებით წლინახევრის, ქერა და გრძელკულულებიანი ბავშვი ეჭირა.

ეკამ ორივენი კიბის ბოლომდე თვალით გააცილა და ოთახში შემობრუნდა. კარადა გამოაღო, ორი პატარა ბროლის ჭიქა გამოიღო და კონიაკს აქეთ-იქიდან შემოუწყო. მერე თვითონაც მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა.

- ოთხი წელი გავიდა, რაც სკოლა დავამთავრეთ, - გოგამ ალბომი დახურა და დივანზე გადადო. - არადა, რაც დრო გადის, თითქოს ყველაფერი სულ უფრო უკეთ მახსოვს.

- ოთხი წელი შენ დიდი დრო გგონია? - ეკამ თავი უკან გადააგდო. - გახსენი ბოთლი.

- არც ცოტაა, შენ რომ იცოდე, - ორივე ჭიქა შეავსო გოგამ. - ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ შეიცვალა... გახსოვს, მეათე კლასში, 8 მარტს დიდი თოვლი რომ მოვიდა? ჩვენ ლიკა ჟვანიასთან შევიკრიბეთ, მთელი კლასი, მაშინ. 7-8 საათი მაინც ვიჯექით მაგიდასთან. გარეთ გამოვედით და მუხლებამდე თოვლი იდო...

- მახსოვს, - თვალები დახუჭა ეკამ. - მერე სკოლასთან გავიარეთ. შენ და ავთომ აიტეხეთ, გინდა თუ არა, ბურთი უნდა ვითამაშოთო და ყველა სკოლის კარებს მივადექით. დარაჯი არ გვიშვებდა. ლადომ სახლიდან არაყი თუ ღვინო გამოიტანა სამლიტრიანი ქილით... მერე შეგვიშვა და მსაჯობაზეც კი დაგვთანხმდა...

გოგამ თავისი ჭიქა ეკას ჭიქას მიარტყა და დალია. ბროლის წკარუნზე ეკამ თვალები გაახილა. ჭიქა აიღო და ბოლომდე დალია. სასწრაფოდ შოკოლადის კანფეტი გახსნა და კბილებით ნახევარი მოატეხა.

დიდხანს ისაუბრეს, ბევრი რამ გაიხსენეს. კონიაკი გათავდა. ეკას ორ ჭიქაზე მეტი არ დაულევია, მაგრამ გოგას ეტყობოდა დალევის ხასიათზე იყო და ამიტომ ეკა კარადასთან მივიდა ახალი ბოთლის გამოსაღებად.

- აღარ გინდა მეტი, - ფეხზე წამოდგა გოგა. - მეყოფა. ახლა კი ნამდვილად უნდა

წავიდე.

ეკა მოტრიალდა და გოგას უკან გაჰყვა.

- ეკა, - შეჩერდა კარებთან გოგა, - გინდა, მე აქ აღარასოდეს მოვალ? აქ კი არა, თუ გინდა საერთოდ აღარ დაგენახვები?! - მხოლოდ ამ ბოლო სიტყვის შემდეგ შემობრუნდა გოგა ეკასკენ.

- რა დაგემართა, გოგა? - წამოიძახა ეკამ და გოგას შეხედა. შეშფოთებულმა სამი ნაბიჯი წინ გადადგა და ვაჟს ანგარიშმიუცემლად გულში ჩაეკრა.

გოგა არ განძრეულა. იგრძნო, როგორ დაეხვა თავბრუ, როგორ გაუქრა სიმძიმის შეგრძნება.

- მე აღარ შემიძლია უშენობა. - ძლივს ამოღერღა გოგამ და და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, ეკა ფრთხილად ჩამოიშორა და კარი გამოაღო.

ეკა იქვე, გოგას მიერ მიხურულ კართან ჩამოჯდა და თავი მუხლებში ჩარგო.

* * *

9 სექტემბერი იყო. სამი საათი ხდებოდა. მეოთხე ჯგუფის უმრავლესობა უნივერსიტეტის შენობიდან უკვე გამოსულიყო და იქვე, კიბის კუთხესთან იდგნენ.

- რა ვქნათ, ბიჭო? - ჰკითხა ერთმა წითურმა ვაჟმა მეორეს, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა პირველს.

- რა უნდა ვქნათ? უნდა ვუთხრათ, სირცხვილია.

- რაფერ უნდა ვუთხრა. 9 დღეა, დღეში 6-8 საათს ერთად ვატარებთ და ერთადერთხელ საათი მკითხა, მეტი მაგასთან საერთო არ მქონია. ჯგუფში 3-4 კაცს დაელაპარაკა სულ, ამ ხნის განმავლობაში... ახლა მე მივიდე და ბათუმში დაბადების დღეზე გპატიჟებ- მეთქი, რაფერ ვუთხრა. არ მეტყვის, წადი ტოლი ნახე, კოჭი გააგორეო?!

- მერე, ვის აბრალებთ მის სიჩუმეს? - მიუბრუნდა წითურს ნატა. - რომელიმე სალაპარაკოდ მიხვედით და პასუხი არ გაგცათ?

- ჰო, აი შენ, რამენაირად შეეცადე ახლოს გაგეცნო? - ხავსს მოეკიდა მეორე.

- შენც კარგი ვინმე ხარ! თუ თქმა გინდოდათ, ადრე ვერ უთხარი? 11 საათზე მატარებელი გადის და 3 საათზე კაცს ამის შესახებ ატყობინებთ! - ყველას გასაგონად თქვა მაღალმა, სათვალიანმა, რომელიც კიბის კიდეზე იჯდა.

- აგერ გამოვიდა და გინდა უთხარი, გინდა ნუ ეტყვი. მარტო ჩემი დაბადების დღე ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს, - ჩურჩულით გადაულაპარაკა მერაბის გამოჩენაზე მეორე წითურმა პირველს.

- მე თავი დამანებე, მიდი და უთხარი! - უპასუხა მეორემ და საპირისპირო მხარეს შეტრიალდა.

ამასობაში მერაბი თანაჯგუფელებს გაუსწორდა და რადგან შეამჩნია, სპეციალურად არც ერთი მისკენ არ იცქირებოდა, სწრაფი ნაბიჯებით განაგრძო გზა.

- მერაბ! - დაუძახა ყველასათვის მოულოდნელად ნატამ.

მერაბი შეჩერდა და მოტრიალდა. იფიქრა, ნატა შურისძიებას თუ აპირებსო და რადგან ეტყობოდა, რომ ხუმრობის ხასიათზე არ იყო, უკმეხად უპასუხა:

- რა გინდა?

- აჰა, ხომ ვთქვი, - დაიწყო ისევ პირველმა წითურმა. - ახლა ერთი სიტყვაც და დააწებებს კიდეც თავის ფუთიან მუშტს ვიღაცას შუბლზე...

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ნატამ მოულოდნელად ხელკავი გაუყარა და თითქმის ძალით, მერაბთან მიიყვანა.

- ბადრის შენთან საქმე აქვს! - მერე თვითონ მოტრიალდა და სეირნობის მსგავსი ნაბიჯებით მეგობრებისაკენ დაიძრა.

- გისმენ, ბადრი, - ეჭვი ბოლომდე მაინც არ გაუქარწყლდა მერაბს.

- იცით, - თითების ტკაცუნს მოჰყვა წითური. - ხვალ ჩემი დაბადების დღეა, ჩემი და ჩემი ძმის!

- მომილოცავს. მერე?

- საქმე იმაშია, რომ ჩვენ ბათუმიდან ვართ. დედ-მამა იქ მყავს და ამიტომ იქ ვიხდით... თუ დრო გექნებათ და წამოხვალთ, კარგი იქნება... ხვალ ოცის ვხდებით მე და ბესო.

- ოცი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მართალი ხარ... - ჩაფიქრდა მერაბი. - რითი მიდიხართ?

- მატარებლით, ამ საღამოს!

- მატარებლით, არა?! - ისევ შეყოვნდა მერაბი. - მოდი, მაშინ ასე ვქნათ: თქვენ წადით საღამოს, მე კი ხვალ თქვენს მატარებელს ბათუმის სადგურში დავხვდები. დღესვე წამოვიდოდი, მაგრამ... - წვერზე ანიშნა მერაბმა. - დღეს პაპის ორმოცია და შენ თვითონ მიხვდები, იქ არყოფნა გამორიცხულია.

- როგორც გენებოთ, - სახე გაებადრა ბადრის.

- მხოლოდ, კიდევ ერთ რამეზე შევთანხმდეთ: - შენობითზე გადავიდეთ, ჯობია.

- კაი, ბატონო, - გაეცინა ბადრის. - მაგრამ მატარებელი რომელზე ჩადის იცი? ან დღეს თუ აქ იქნები, ხვალ დილის რვაზე იქ როგორ მოხვდები.

- პირველ კითხვაზე შენ თვითონ გაეცი პასუხი, რვაზე ჩადის თურმე მატარებელი. ხოლო რაც შეეხება ამ დროისათვის იქ მოხვედრას, ეს უკვე ჩემი საქმეა.

- ისე, ჯობდა მაინც, მისამართი მომეცა.

- კაი, ბატონო! - პატარა წიგნაკი და კალამი ამოიღო ჯიბიდან მერაბმა. - რადგან ასე გინდა, აგერ ჩაწერე, თუმცა მე მაინც სადგურთან დაგელოდებით.

ბადრიმ ცარიელი ფურცელი იპოვა და მისამართი ჩაწერა.

მერე წიგნაკი უკანვე დაუბრუნა, ხელი ჩამოართვა.

- აბა, გელით, იცოდე!

- კარგად იყავი, - გაუღიმა მერაბმა და მანქანისაკენ გაემართა.

* * *

დაახლოებით დილის 7 საათი იქნებოდა, წითელი ჟიგული ბათუმის რკინიგზის სადგურის მოედანზე რომ შემოვიდა.

მერაბმა სისწრაფეს საგრძნობლად უკლო და იქაურობა შეათვალიერა.

მარცხენა მხარეს მანქანების მწკრივი შეამჩნია და თავისი მანქანაც იქვე მიაყენა. გადმოვიდა და სადგურის შენობისაკენ გაემართა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო, სადგურში მაინც ბევრი ხალხი ირეოდა.

მერაბი სალაროსთან მივიდა.

- გამარჯობათ! - მიესალმა შუახნის ქალს. - ვერ მეტყვით, თბილისი-ბათუმი რა დროს ჩამოდის?

- 6.50 - რუსულად უპასუხა ქალმა.

- ეს, ალბათ მოსკოვის დროით, არა?

- დიახ.

- გმადლობთ, - მოტრიალდა მერაბი და გასასვლელს მიაშურა.

საათს შეხედა, 8-ის 15 წუთი იყო. ნელი ნაბიჯით მანქანისაკენ წავიდა.

მიუახლოვდა თუ არა, ფეხებთან თეთრმა ,, ვოლგამ " დაუმუხრუჭა. კარი გაიღო და დაბალი, მსუქანი კაცი გადმოვიდა.

,, ვოლგას " მეორე მანქანა მოადგა, მერე მესამე. ბოლოს თეთრი ნივაც გვერდში ამოუდგათ.

მანქანებიდან მძღოლები გადმოვიდნენ და მსუქან, შუახნის კაცთან შეგროვდნენ.

- შოთა არ მევიდა, უყურე შენ! - მიმართა მსუქანმა გვერდით მდგომს.

- აწი მოვა, რა უჭირს მერე.

- რვის ათ წუთზე იქ ვიქნებიო, გუშინ მითხრა. ა, თხუთმეტია უკვე, სადაცაა!

- მოვა რეზო ბიძია, აბა სად წავა, - უპასუხა ულვაშებიანმა ახალგაზრდამ.

- სა მიდიხარ ვალიკო. ჰე, დეიწყეთ ახლა ყვანტალი აქეთ-იქით და რო ჩამოვა მატარებელი, შევისვამ ოცდახუთივეს კისერზე და გავაქანებ სახლში! - მიაძახა რეზომ ერთ-ერთ მძღოლს, რომელიც სადგურისაკენ წავიდა.

ამ უკანასკნელმა, უკმაყოფილების ნიშნად, ხელები გაშალა და უკან მობრუნდა.

მერაბი იქვე, თავის მანქანასთან იდგა და ყველაფერს ხედავდა.

ეს ალბათ, ,, წითელი ძმების " " მამაო, გაიფიქრა და მანქანას მიეყუდა. სიგარეტს მოუკიდა.

- არა, რომ არ მოვიდეს, რაფერ წევიყვანო ახლა ის ხალხი, მითხარი შენ! - არ ცხრებოდა რეზო.

- კაი შე კაცო, ტაქსს ევიყვანთ... დევიქირავებთ.

- ტაქსს კი არა, ტროლეიბუსს არ გინდა? - გაცხარდა რეზო. - სიდედრს კი არ ველოდები მახინჯაურიდან, სტუდენტები ჩამოდიან თბილისიდან.

„ ნაღდად იმათი მამაა “ , დაასკვნა მერაბმა. „ იქნება მივსულიყავი და მეთქვა ვინცა ვარ, თორემ მერე მაინც მნახავს და იფიქრებს, ესეც თუ იმათი ჯგუფელი იყო და თანაც მანქანით, ხმა ვერ ამოიღოო? არადა, ყველაფერი რომ მესმის, ამაში ეჭვი არცერთს არ უნდა ეპარებოდეს “ .

- გამარჯობათ! - მიუახლოვდა რეზოს.

- გაგიმარჯოს. რა მანქანით ხარ?

- აი ამით, - თავის მანქანაზე მიანიშნა გაკვირვებულმა მერაბმა.

რეზომ ჯიბიდან პასპორტი ამოიღო, მერე შიგნიდან თუმნიანი გამოაცურა და მერაბს გაუწოდა:

- ჰა, გეყოფა. აგერ ორ ნაბიჯში ვარ, მარა 8 საათამდე უნდა დამელოდო.

- არა, თქვენ ვერ გამიგეთ. მე თქვენი ბიჭების ჯგუფელი ვარ. ისინი მატარებლით წამოვიდნენ, მე კი მანქანით...

- ოჰ! ბოდიში გენაცვალე. - ხელი გაუწოდა რეზომ. - მომიკვდეს თავი, რავა ვერ გიცანი...

- არა უშავს, - გაეცინა მერაბს.

- დედა, ჩემი სირცხვილი, რაფერ ვერ გიცანი? ხომ წამოვიდნენ ბიძიკო ყველანი?

- მე მგონი. ზუსტად ვერ გეტყვით.

რეზოს „ მძღოლები “ სათითაოდ მერაბთან მივიდნენ და ხელი ჩამოართვეს.

რეზომ თითოეული მათგანი გააცნო, მერე იქაური ამბების მოყოლას შეუდგა და ალბათ, კარგა ხანს გააგრძელებდა კიდევ, ადგილობრივ დიქტორს თბილისი-ბათუმის მატარებლის მოახლოება რომ არ გამოეცხადებინა.

- აბა, ჰე, ევედით ბაქანზე! - შესძახა რეზომ და წინ გაიჭრა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

ელმავლის საყვირმა ბევრი ხალხი შეკრიბა ბაქანზე. მატარებელი ნელი სვლით შემოვიდა და ხმაურით შეჩერდა.

- მამა! - თითქმის ერთდროულად იყვირა ფანჯარაში გამოყოფილმა ორმა წითელმა თავმა.

- ბადრი, ბესიკი! აგერა ვარ, აგერ, თქვენი ჭირიმე, თქვენი! - ფეხის წვერებზე იწეოდა რეზო და სიხარულისგან ცმუტავდა.

ჯგუფელები მიყოლებით ჩამოვიდნენ მატარებლიდან. რეზო პირდაპირ კართან იდგა და ყველას სათითაოდ ხელს ართმევდა. მერაბი უკან დარჩა და იქიდან ადევნებდა თვალს. სულ ბოლოს ძმები ჩამოვიდნენ. მამას და ნათესავებს გადაეხვივნენ და ყველანი

გასასვლელისაკენ დაიძრნენ.

ნატა აქეთ-იქით იცქირებოდა. თან ცდილობდა, მისი მოქმედება შეუმჩნევლი დარჩენილიყო სხვებისათვის. შეგნებულად ნაბიჯი შეანელა და ჯგუფს უკან მოექცა.

მერაბს ეს არ გამორჩენია და ნატას მიმართულებით წავიდა. გაუსწრო და გასასვლელში ჩადგა. ნატას გარდა ყველა გასულიყო. ამ უკანასკნელმაც გადაწყვიტა, მერაბი გარეთ იქნებაო და გასასვლელს მიაშურა. მერაბის ცხვირ-წინ შეჩერდა

და კიდევ ერთხელ შეათვალიერა იქაურობა.

- ვის ეძებ? - მოესმა ყურის ძირში ვაჟის ხმა.

- მერაბ! - შეიცხადა ქალიშვილმა, რადგან მის წინ ახლა წვერულვაშგაპარსული თეთრპერანგიანი მერაბი იდგა.

* * *

ორსართულიანი საკუთარი სახლის ეზოში დიდი ორომტრიალი იდგა.

რეზო აქეთ-იქით დადიოდა და განკარგულებებს იძლეოდა. ხანდახან ნარდის მოთამაშე ბიჭებთან მიიჭრებოდა და რჩევა-დარიგებებს აძლევდა. გოგონებს, რომლებიც ლეღვის ჩრდილში იდგნენ და დროდადრო იცინოდნენ, მეხუთედ მაინც შესთავაზა, სკამებს გამოვიტან და დაბრძანდითო, მაგრამ ხუთჯერვე უარი მიიღო.

- თუ გამოტანა უნდა, გამოიტანოს, რა ჩვენი თანხმობა ჭირდება, - მეგობრებს გადაუჩურჩულა დიდცხვირა ქალიშვილმა. გოგონებმა სიცილი ატეხეს.

- იცინეთ და იმხიარულეთ ბიძიკო, მასე, მასე! - მოუბრუნდა უკვე მიმავალი რეზო ახალგაზრდებს.

ნატა აივანზე სკამზე იჯდა ორ გოგონასთან ერთად და იდაყვებით მოაჯირს დაყრდნობილი, ეზოს გადასცქეროდა.

- ბადრი, ბესიკ! - დაუძახა უცებ რეზომ ბიჭებს. ორივე პირველი სართულის კუთხის ოთახიდან გამოცვივდნენ.

- მოით აგერ! - გვერდში ამოიყენა ორივე შვილი მამამ. - ხალხი 11-ზე მყავს დაპატიჟებული. მანამდე აქანე ხომ არ იჯდებიენ მუდოებივით ე ხალხი. წეიყვანეთ, გაატარეთ სანაპიროზე, რაცხა აჩვენეთ, რაცხაზე შეახედეთ... ან იქნებ, ბანაობა უნდებიენ?

- კარგი აზრია! - თქვა ბადრიმ, მაგრამ მე დედას ვეხმარები, ბესიკი გაარონიებს აგერ.

- რატომ მაინცადამაინც ბესიკი... - არ ესიამოვნა ტყუპის ცალს.

- რატომ და მიტომ, რომ გეუბნები, გაიგე. ბოლობოლო 10 წუთით მაინც ვარ შენზე უფროსი! - თქვა ბადრიმ და ისევ ოთახში შევიდა.

- მიდი ბესიკ, ჰე, მიდი! - თითქმის ხელი უბიძგა მამამ და კიბისკენ გაემართა.

ბესიკი მიხვდა, სხვა გზა რომ არ იყო და ნარდის მოთამაშეებთან მივიდა.

- გურამ! - მიმართა მარცხნივ მჯდომ მაღალ სათვალიანს. - გახსოვს, ეშმაკის კლდეზე რომ გიყვებოდით თბილისში?

- მერე? - კამათელი გააგორა გურამმა.

- მერე ადექი და წავიდეთ, არ გაინტერესებს?

- ძალიან. ამ ხელს მოვიგებ და წავიდეთ.

- ოჰ! - ნარდი დახურა ბესიკმა. - როდის მორჩები ახლა, შენ გელოდო?!

- აუჰ, რა ხელი აანგრიე ბიჭო, მარსს ვიგებდი კაცი, - უკმაყოფილოდ წამოდგა სკამიდან გურამი.

- მარსს აქეთ ვიგებდი, მარა აწი რაღა ეშველება, - უპასუხა მეორე მოთამაშემ და სამი ცალი კენჭი ძირიდან აიღო.

- ხალხო! - ეზოს შუაში დადგა ბესიკი. - ყურადღება! ახლა ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე, ყველანი მივდივართ სანაპიროზე. ისეთ რამეს გაჩვენებთ...

- რას გვაჩვენებ მაგისთანას?! - დაეჭვდა ნატა.

- ჩამოდი დაბლა, მზეთუნახავო, და გაიგებ.

ნატა სკამიდან წამოდგა და მეგობრებთან ერთად კიბეზე დაეშვა. სხვებიც მოგროვდნენ. მოვიდა მერაბიც, რომელიც მოსვლის შემდეგ ორ თანაჯგუფელთან და ოჯახის ნათესავებთან ერთად აივნის ქვეშ კარტს თამაშობდა.

ზღვის სანაპიროზე მისვლას 5 წუთიც არ დასჭირვებია. სანაპიროს მარცხნივ გაუყვნენ.

- ოჰ, ერთი ახლა აქ მაბანავა! - თქვა ნატამ და რატომღაც მერაბს გადახედა.

- მერე რა გიშლის ხელს? - თქვა ბესიკმა.

- ჯერ ერთი, ცურვა არ ვიცი. მეორეც კიდევ, მარტო მე ხომ არ ჩავალ წყალში....

- მესამე აღარ თქვა, ისედაც ვიცი, საბანაო კოსტიუმი არ გაქვს, - მოუჭრა ბესიკმა.

- ჰოდა, აბა რაღას მეკითხები, ხელს რა გიშლისო?

- ისე, მეოთხე დაგავიწყდა, ღელვაა დღეს... აი, ეშმაკის კლდე. ხედავთ, ზღვაში რომაა შეზრდილი?

- ეშმაკის რატომ ჰქვია? - იკითხა მერაბმა.

- ეშმაკი მაცდურია. ეს კლდეც იმას ჰგავს. ბევრი გადამხტარა აქედან, მაგრამ ყველა ვერ ამოსულა უკან, - განუმარტა მასპინძელმა.

კლდის ძირამდე ხმა არავის ამოუღია. ხალხი ცოტა იყო ნაპირზე და ამიტომ თანაჯგუფელები თითქმის არც ერთს შეუთვალიერებელს არ უშვებდნენ.

- ავიდეთ? - იკითხა ბესიკმა და ეშმაკურად გაიღიმა.

- აბა, რისთვის მოვედით?! - ასასვლელისკენ დაიძრა ქერათმიანი ვაჟი. მას ბესიკი მიჰყვა, ბესიკს - ყველა დანარჩენი.

ბიჭები ქალიშვილებს ასვლაში ეხმარებოდნენ და რადგან მათი რიცხვი გოგონებისას აღემატებოდა, მერაბი, გურამი და კიდევ ორი ვაჟი ბოლოში ამოდიოდნენ.

კლდის თავიდან მთელი სანაპიროს მშვენიერი ხედი გადაიშალა. ამ პირქუში ,, გოლიათის “ სიმაღლე 10-12 მეტრს აღწევდა, მაღლა ასული ახალგაზრდები იქვე ჩამოსხდნენ, მხოლოდ გურამმა აუარა ჩამომჯდარ მეგობრებს გვერდი და პირდაპირ კლდესთან მივიდა.

- გამოდი ბიჭო, აქეთ, - წამოიყვირა სრულმა გოგონამ.

- ნუ გეშინია, ჩემი თავი შენზე მეტად მიყვარს, - უპასუხა გურამმა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

ღელვა დიდი არ იყო, მაგრამ ზღვაში კონუსურად შეჭრილ კლდეს ტალღები ეხეთქებოდნენ და საშინელ ხმას გამოსცემდნენ.

ბოლოს

კი განსაკუთრებული სიდიდის ტალღა შეასკდა კლდეს და გურამი მოცელილივით დაეცა, შეშინებულმა ცოცვით დაიხია უკან.

ყველამ სიცილი დააყარა.

- არა, ძმაო, - თავი იმართლა გურამმა. - აქ არწივი უნდა იკეთებდეს ბუდეს, აქ კაცს არაფერი ესაქმება.

- აპა, რა გეგონა შენ, ნაპოლეონივით რომ გადადექი, ბრძოლის ველს აკვირდებოდი თუ? - დაიღრიჭა ბესიკი.

- რამდენი წელია ბათუმში ცხოვრობ, ბესიკ? - ფეხზე წამოდგა ნატა და კლდის ქიმისკენ

წავიდა.

- 20, რა არის? - გაუკვირდა ვაჟს.

- თუ გადამხტარხარ აქედან როდისმე?

- გამოდი აქეთ, თუ და ხარ, არ გადავარდე! - გულწრფელად შეეშინდა ბესიკს.

- ნუ გეშინია. შენ კითხვაზე მიპასუხე, ჯობია.

- არა, ბატონო, არ გადავმხტარვარ!

- შენი ძმა?!

- არც ჩემი ძმა. ბიძაშვილი ხტებოდა ხოლმე, მარა ის აქაა გაზრდილი და თანაც, თევზივით ცურავს.

- გასაგებია. ესე იგი, გეშინია, არა?

- გამოდი, ნატა, აქეთ, თუ ღმერთი გწამს! - ფეხზე წამოდგა გურამი.

- დაჯექი, გურამ, დაჯექი, თორემ შეეხეთქება ტალღა კლდეს და წეღანდელივით დაეცემი. დაცემას დაჯდომა ჯობია. - ღიმილში ზიზღი გაურია ნატამ. - სუფრასთან ყველანი ვაჟკაცები ხართ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, არც ერთი ღმერთს არ უქნიხართ.

ყველანი უხმოდ იდგნენ და გაშტერებული უყურებდნენ შარვალში და ფართო პერანგში გამოწყობილ ლამაზ ქალიშვილს, რომლის დიდრონი, თაფლისფერი თვალები ზიზღის ისრებით სერავდა ირგვლივმყოფთ.

- პაატა, შენ გიორგი სააკაძის სადღეგრძელო გიყვარს ძალიან. ადექი, გადახტი და ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ, - არ ცხრებოდა ნატა. - არა, ვერ იზამ, დედისერთა ხარ, ხომ? იქნება შენ გაგვაკვირვო, ზაზა? შენ ხომ ვაჟკაცი ბიჭი ხარ, ლექციაზე ვენებს რომ იჭრიდი, ხომ გახსოვს. ჰე, ადექი, რას უყურებ? არა, შენც გეშინია თურმე!

შენზე აღარაფერს ვამბობ, გურამ. ეხლა ტომარით თუ ვინმე გადაგაგდებს, თორემ, გადამხტომი არ ხარ ცოცხალი თავით. არც შენ გადანაშაულებ, გელა. შენი მასა ამხელა სიმაღლეს ვერ გაუძლებს. დაცემისას შეიძლება გასკდე და ისეთი ღელვაა, ნაწილებსაც ვეღარ ვიპოვით დასამარხად.

- როსტომ! - მიმართა ნატამ შემდეგ „ მსხვერპლს “ .

- ჩემგან რაღა გინდა? ან საერთოდ, რა კრიტიკის დილას გვიტარებ? რა უნდა, ვერ გამიგია! - მიუტრიალდა გვერდზე მჯდომ დიდცხვირა გოგონას როსტომი. - გაგიჟდება კაცი!

- კაცი? რომელია თქვენში კაცი? ვერ ვხედავ მე აქ კაცს, თფუ თქვენს კაცობას!

ეს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა ნატას, რომ გაცეცხლებული მერაბი ფეხზე წამოვარდა, ნატასკენ გაექანა, ხელში ბავშვივით აიტაცა და მასთან ერთად ზღვაში გადაეშვა.

ნატამ შეჰკივლა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მის კივილს თითქმის ყველა ქალიშვილი აჰყვა და ყველა დაბლა დაეშვა. კლდეში გამოკვეთილი საფეხურისმაგვარი ჩაღრმავებებით.

კლდის ძირში მიცვივდნენ. ბესიკმა პერანგი გაიხადა და წყალში შევარდა, გურამმაც იგივე გააკეთა, მაგრამ როსტომი დაეწია და მუხლამდე წყალში წააქცია:

- შენ სადღა მიდიხარ, შე უპატრონო, დაგავიწყდა, ცურვა რომ არ იცი?!

ოთხმა-ხუთმა ვაჟმა ჯერ პერანგები გაიხადეს, მერე შარვლები, მერე ფეხსაცმელები და წინდები და წყალში შევიდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, - მერაბი უკვე მკერდამდე წყალში იდგა, გულწასული ნატა მკლავებზე ეწვინა და ნაპირისკენ მძიმედ მოიწევდა. მის გვერდით ტანმორჩილი ბესიკი მოცურავდა.

,, ,, მაშველთა " ხუთეული " კუდამოძუებული უკან გამობრუნდა. მერაბმა ნატა ნაპირზე გამოიყვანა, ძირს დააწვინა და თვითონაც იქვე მკვდარივით გადაესვენა.

- ცუდად ხომ არ ხარ, მერაბ? - მერაბთან მოვარდა დიდცხვირა გოგონა. დანარჩენები ნატას შემოეხვივნენ.

- არა, უბრალოდ ძალიან დავიღალე. არ მეგონა, თუ ასეთი ძალა ექნებოდა ამ პატარა ტალღებს.

- თვალები გაახილა! - იყვირა როსტომმა და ნატას თავი წამოუწია.

ნატამ მართლაც თვალები გაახილა, მაგრამ ადამიანის ფერი აღარ ედო. ტუჩები და სახე თითქმის ერთი ფერის ჰქონდა.

- წყალი ხომ არ გინდა, ნატა? - ჰკითხა როსტომმა.

- რაღა წყალი უნდა შე კრეტინო, ამ წუთში გამოიტანეს ზღვიდან, - გასძახა დიდცხვირამ.

- შენ არავინ გეკითხება, ჩაიგდე ენა! - გაცხარდა როსტომი.

კლდის ძირთან, ამასობაში, ხალხი მოგროვდა და დაიწყო გარჩევა, თუ ვინ იხრჩობოდა, ვინ უშველა, რატომ უშველა და სხვა მრავალი.

ნატას ნელ-ნელა ფერი დაუბრუნდა და ფეხზე წამოდგა.

მერაბი წამოჯდა, სველი პერანგი გაიხადა და გაწურვა დააპირა, მაგრამ გურამმა ხელიდან გამოსტაცა და თვითონ გაწურა. მერაბს წინააღმდეგობა არ გაუწევია. არც ჰქონდა ამის თავი.

- ასე სად წავიდე? - ტირილნარევი ხმით წარმოთქვა ნატამ და სველ ტანსაცმელზე დაიხედა.

- ეგ არაფერი, სახლში მივალთ და სხვას ჩაიცმევ!

- დაამშვიდა ბესიკმა.

მერაბმა თავს ძალა დაატანა და წამოდგა, პერანგი შემოიცვა.

ათი წუთის შემდეგ ყველანი ეზოში ისხდნენ, მერაბისა და ნატას გარდა.

- რავა ვერ მიაქციე, ბიჭო, ყურადღება გოგოს?! - ცხარობდა რეზო. - რას ქვია გადავარდა, რას? ვერ მიხედე ამხელა ტროყვმა? ის ბიჭი რომ არა, ხომ დეიღუპებოდა ოჯახი?! ან მე რაღათ მინდოდა თავი ცოცხალი? ღმერთმა გამო-მიგზავნა იმ ბიჭის თავი, რა ქვია? - ხმას დაუკლო რეზომ.

- მერაბი! - შეაშველა ბესიკმა.

- ჰო, მერაბი! ყოჩაღი ვაჟკაცი ყოფილა, ნამდვილი ვაჟკაცი. ის რომ არა, დეიხრჩობოდა ის გოგო, ხომ?

- ალბათ!

- ალბათ, კი არა, ასე იქნებოდა, ასე! - და რეზომ მყისიერად შეწყვიტა ,, ქოქოლა ‘‘ , რადგან კიბეზე გრძელ, ცისფერ კაბაში გამოწყობილი ნატა გამოჩნდა. გვერდზე ორი გოგონა მოჰყვებოდა.

რეზო კიბეზე ნატას შესახვედრად დაიძრა.

- ხომ კარგად ხარ შვილო, თავი ხომ არ გტკივა?

- არა, გმადლობთ, უკვე კარგად ვარ, - გაუღიმა ნატამ ირგვლივმდგომთ და ამ ღიმილში კმაყოფილებისმაგვარი ელავდა რაღაც. მისი თვალები ბედნიერების სხივებს გამოსცემდნენ და ნატა ახლა გრძელ, ცისფერ კაბაში გამოწყობილი, არნახულად ლამაზი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა მერაბი, რომელიც სწორედ მაშინ გამოვიდა პირველი სართულის ერთ-ერთი ოთახიდან ჯინსის შარვალ-სა და მუქ ლურჯ პერანგში გამოწყობილი.

უკვე თერთმეტი საათი ხდებოდა და ეზოში, გარდა თბილისელი სტუმრებისა, აქაურებსაც მოეყარათ თავი.

მარჯვენა მხარეს ორ რიგად გაეშალათ მაგიდები.

* * *

საღამოს 5 საათისთვის ხალხი უკვე დაიშალა. მაგიდას მხოლოდ სტუდენტები და რამოდენიმე ახლო ნათესავი უსხდნენ. ყველას დაღლილობა ეტყობოდა სახეზე. გურამი გიტარაზე უკრავდა და მღეროდა. თუმცა ხმას არავინ იღებდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს არავინ უსმენდა.

მერაბსაც და ნატასაც უკვე თავისი ტანისამოცი ეცვათ.

- მე წავედი! - თქვა მერაბმა და ფეხზე წამოდგა. - თუ ვინმეს წამოსვლა გსურთ, მანქანაში ოთხივე ადგილი თავისუფალია, - მაგიდას შემოუარა და სახლისკენ წავიდა.

რამოდენიმე წუთში პირველი სართულის ოთახიდან რეზოსთან ერთად გამოვიდა.

- როგორც გენებოს, შვილო. შენ იცი, მარა, კიდო რო დარჩენილიყავი, ძალიან გამახარებდი.

- დიდი მადლობა, მაგრამ ასე ჯობია. ცოტა დავიღალე და რაც ადრე წავალ, უკეთესია.

- კაი, ბატონო. ქსენია! - დაუძახა რეზომ მეუღლეს.

ოთახიდან დიდი, ყავისფერი ჩანთით ხელში, დაბალი, ტანსრული ქალი გამოვიდა და მერაბის მანქანას მიაშურა.

- რეზო ბიძია, ძალიან გთხოვთ... მე ამ ჩანთის წაღების თავი არ მაქვს...

- სუ! მორჩენილი ამბავია! - ხელით გასწია რეზომ მერაბი, ცოლს ჩანთა ჩამოართვა და უკანა კარი გამოაღო. - ამას რა წაღება უნდა, ფეხით ხომ არ მიხვალ? - ჩანთა ჩადო და კარი მიხურა.

მერაბი მიხვდა, ვერაფერს გააწყობდა. რეზოს დიდი მადლობა გადაუხადა, ყველას გამოემშვიდობა, მერე იქვე მაგიდასთან მივიდა და რამოდენიმე კაცს, ოჯახის ნათესავს ხელი ჩამოართვა.

- როგორც ჩანს, ჩემთან ერთად მგზავრობის მსურველები არ არიან, - გადახედა მერაბმა თანაჯგუფელებს. - მაშინ... კარგად იყავით! - მოტრიალდა, მანქანასთან მივიდა, კარი გამოაღო და ჩაჯდა.

- მოიცადე!@ - ფეხზე წამოიჭრა ნატა. - მე წამოვალ! ამაღამ მატარებელში ისევ უძილო დავრჩები...

მერაბს წინათგრძნობა ეუბნებოდა, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ რა მიზანი ჰქონდა ნატას დასახული ამ მგზავრობისას, ვერაფრით მიმხვდარიყო.

ნატა ყველას გამოემშვიდობა და მერაბის გვერდით დაჯდა.

მანქანა ნელი სვლით დაიძრა. რეზომ მანქანას სირბილით გაუსწრო და ჭიშკარი

გამოაღო.

მერაბმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და მანქანა გზატკეცილზე გააქროლა.

ბათუმს ისე გასცილნენ, ხმა არც ერთს ამოუღია. მერაბმა მაგნიტოფონის ღილაკს ხელი მიაჭირა, მანქანაში ჰამლეტ გონაშვილის ტკბილი ხმა ,, დაიღვარა “ .

,, ამას ალბათ, ასეთი მუსიკა დიდად არ ეპიტნავება “ , “ - გაიფიქრა მერაბმა.

,, ხმას არ იღებს... ელოდება, მე როდის შევეკითხები რამეს, ან მოვუბოდიშებ “ . ჯიბიდან ,, კოსმოსის “ კოლოფი ამოიღო და ნატას გაუწოდა.

ნატამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

მერაბმა ერთი ღერი ამოიღო Oდა მოუკიდა. კოლოფი სიჩქარის გადასართავთან დააგდო.

მწვანე კონცხი გაიარეს. ნატა განუწყვეტლივ ფანჯარაში იცქირებოდა.

მერაბმა სიგნალს ხელი დააჭირა. ნატამ თავი მერაბისკენ მოაბრუნა.

,, წვერი ასაკს მატებდა. არადა, ჯერ ოცდახუთისაც არ იქნება “ ... - გაიფიქრა ნატამ, - ,, ნეტავ, რაზე ფიქრობს ახლა? არა, რა თქმა უნდა ჩემზე! მაგრამ როგორ ფიქრობს, ამაშია საქმე! ან იქნება, სულაც სხვა რამეზე ფიქ-რობს?! იქნება ნაწყენია ჩემზე, იქნება სულაც შევაძულე თავი ჩემი საქციელით “ ,

- წამოენთო ნატა, - ,, იქნებ, ერთი სული აქვს, როდის ჩავალ მანქანიდან?! “

- გააჩერე! - წამოიძახა უცებ ნატამ.

- რა მოხდა? - მერაბმა ჯერ სიჩქარეს მოუკლო, მერე სულ გააჩერა მანქანა.

- მე ჩავალ, ავტობუსით წამოვალ!

- რატომ?

- იმიტომ! - ნატამ კარი გააღო.

- დახურე კარი! - იღრიალა წყობიდან გამოსულმა მერაბმა და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

ნატა შიშისაგან გაფითრდა და უხმოდ დაემორჩილა, რადგან იმ წუთში მერაბი დაჭრილ ვეფხვს უფრო წააგავდა, ვიდრე კაცს.

- იცი, რას გეტყვი?! - გააგრძელა მერაბმა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე ხმით. - ვისაც შენი კუნტრუში მოსწონს, ისევ იმათთან იკუნტრუშე. ვისაც შენი წარბების შეკუმშვის ეშინია, ისევ ის შეაშინე, ჩემთან კი არ გირჩევ!

ვაჟმა მაგნიტოფონი გამორთო და ისევ სიგარეტს მოუკიდა.

ნატას თვალები ცრემლებით გაევსო და რადგან არ სურდა მერაბს შეემჩნია, ისევ ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

მერაბი დამშვიდდა და როგორც ყოველთვის, ინანა, ამდენი არ უნდა მეთქვაო.

,, ახლა ეს თბილისამდე ხმას არ ამოიღებს! “ - გაიფიქრა ბარათაშვილმა. ,, ტირის, ეტყობა. ტყუილად მევაჟკაცება, ორ სიტყვაზე ცრემლები ღაპაღუპით მოსდის “ .

- ნატა! - მიმართა მერაბმა ქალიშვილს.

ნატამ თავი მოაბრუნა და მერაბმა მის დიდ, თაფლისფერ თვალებში ნათლად ამოიკითხა, რომ გოგონას ფარ-ხმალი დაეყარა.

- რატომ მიტარებ ამ გამოცდებს? აი, ვფიქრობ და ჩემამდე არ დადის, რას გაძლევს ყოველივე ეს. არ მესმის ან იმ ბიჭებისგან რა გინდოდა, რას ავალდებულებდი იმ კლდიდან გადახტომას? შენ რა შეგემატებოდა ამით?

- არაფერი, - ოდნავ გასაგონად წარმოთქვა ნატამ და ეს იყო მისი ბოლო სიტყვა თბილისამდე.

საღამოს 11 საათზე მანქანა უკვე ვაჟა-ფშაველას გამზირზე მიჰქროდა.

- აი, ამ მოსახვევში ჩაუხვიე, - თითით აჩვენა ნატამ.

მანქანა, რომელსაც მარცხენა მხარე ეჭირა, მოსახვევში შევიდა.

- პირველ სადარბაზოსთან გააჩერე.

მერაბმა ეს სურვილიც შეუსრულა. მანქანა გაჩერდა. უკვე ბნელოდა.

ნატამ კარი გააღო, მაგრამ გადასვლა შეაყოვნა. მერე მერაბისკენ შემობრუნდა და ვაჟს თვალი თვალში გაუყარა:

- რამდენი წლის ხარ, მერაბ?

- 21-ის... - ამ კითხვას ახლა არ მოელოდა ვაჟი.

- მე გაცილებით უფროსი მეგონე, - სერიოზული სახით წარმოთქვა ნატამ და მანქანიდან დაუმშვიდობებლად გადავიდა.

* * *

ოთახში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

ავთო გელაშვილი სავარძლიდან წამოდგა, ტელევიზორს ხმა დაუკლო და ყურმილი აიღო:

- გისმენთ!

- ავთო, მე ვარ! - ყურმილში გოგას ხმა გაისმა.

- ოჰო, შენ ცოცხალი ხარ, ბიჭო?

- ავთო... - გააწყვეტინა გორგილაძემ, თუმცა თვითონაც შეყოვნდა.

- რა მოხდა, თქვი, მოხდა რამე?

- ავთო, გცალია ახლა შენ?

- დავუშვათ. მერე?

- გცალია, თუ არა?

- კაცო, აღარ იტყვი რა მოხდა? - მოთმინება გაუწყდა გელაშვილს.

- თუ გცალია, ნახევარ საათში მეტრო ,, რუსთაველთან “ ” გელოდები...

გოგამ ყურმილი დაკიდა.

ავთომ ვერაფერი გაიგო მეგობრის ნალაპარაკებიდან. უკმაყოფილოდ დააგდო ყურმილი აპარატზე და დერეფანში გავიდა. შუქი აანთო და კედელზე მიკრულ დიდ სარკეს ორივე ხელით მიეყრდნო, თავი უაზროდ შეათვალიერა სარკეში. უცბად მოტრიალდა და თავისი ოთახისაკენ გაემართა. კარადა გამოაღო, შარვალი და პე-რანგი გამოიცვალა. ისევ დერეფანში გამოვიდა, ფეხსაცმელები ჩაიცვა და გარეთ გავიდა. კარს ხელი ჰკრა და კიბეზე დაეშვა.

გოგა პირდაპირ მეტროს გამოსასვლელ კართან იდგა და როცა ავთომ ესკალატორიდან გადმოაბიჯა, მაშინვე შენიშნა იგი.

- რა გეტაკა? - ხელის ჩამორთმევას დაასწრო ავთომ.

- არაფერი! - ხელოვნურად შექმნილი უზრუნველი ღიმილით წარმოთქვა გოგამ.

- როგორ, არაფერი? - აშკარად გაუკვირდა ავთოს, რომელიც სახის ფერისა და ხმის ტემბრის მიხედვით არასოდეს ცდილობდა ვანმეს ხასიათისა თუ მდგომარეობის დადგენას. ამიტომ მეგობრის ნათქვამი ,, არაფერი “ ცოტა არ იყოს, გამომწვევიც კი ეჩვენა.

- როგორ თუ, არაფერი? - გააგრძელა ამ უკანასკნელმა. - ამხელა კაცი სახლიდან

ძუნძულით გამომაქცუნე და სულ არაფერი?

- ჰო, კარგი ახლა, - მხარზე ხელი დაადო გოგამ. - ნუ ხარ დათვი. წამოდი, იქით გადავიდეთ.

- იქით რა მინდა...

- „ ივერიაში “ ” ავიდეთ და თითო ბოთლი შამპანური დავლიოთ... ეკასთან ვიყავი. ახლა იქიდან მოვდივარ... რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

- ე... ეკასთან?

- წამო, წამო! - ხელკავი გაუყარა გოგამ ერთი თავით მაღალ მეგობარს და ქუჩას გაუყვნენ.

რესტორნამდე ხმა არ ამოუღიათ. კარი გოგამ შეაღო. ავთომ ხვეული კიბისკენ გასწია.

- მოიცა! - პირველი სართულის დარბაზის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გოგამ. -

მოდი, მოდი, აივანზე გავიდეთ, ჯობია.

ავთოსთვის თითქმის სულერთი იყო და ამიტომ ცხვარივით უკან გაჰყვა მეგობარს.

მარცხენა მხარეს ორი თავისუფალი მაგიდა იყო. გოგამ პირველი აირჩია და დაჯდა. ავთო პირდაპირ დაუჯდა და სახეში შეხედა. რაღაცის კითხვას აპირებდა, მაგრამ შენიშნა, რომ გოგა ქვევით, ქალაქის ხედს გასცქეროდა და რაღაც არასასიამოვნო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ფიქრით სადღაც შორს იყო.

- რა მოვიტანო? - საკმაოდ თავხედურად იკითხა 30-32 წლის ქერათმიანმა ოფიციანტმა ქალმა, რომელიც მეგობრებისთვის შეუმჩნევლად მოვიდა მათ მაგიდასთან.

- ბატონო? - დასმული კითხვის სითამამით უკმაყოფილო გოგას „ ბატონო “ , „ ვაი, შენს პატრონს “ უფრო გულისხმობდა...

- რა გნებავთ? - უცებ გამოასწორა „ შეცდომა “ ქალმა.

- შენი კარგად ყოფნა, გენაცვალე! - დაიგრუხუნა ავთომ და ქალს ყველა კბილი დაანახვა.

- გმადლობთ! - „ დაბნევა “ გაითამაშა ქალმა.

- რა ღვინო გაქვთ, „ ჩიორა “ ? - გაუღიმა „ დაბნეულს “ გოგამ.

- კახეთი, ჰერეთი და შამპანური „ სუხოი “ .

- მაშ ასე - დაიწყო თვლა თითებზე გოგამ. - 4 ბოთლი კახეთი, 2 პორცია მწვადი...

მწვადი ხომ გაქვთ?

- კი.

- ძალიან კარგი... და... მოკლედ დანარჩენი შენ იცი.

ქალმა თავი დაუკრა და დარბაზისკენ გაემართა.

- ავთო! - წამოთქვა მაგიდას ჩაშტერებულმა გოგამ.

- ჰო!

- ცოლი რატომ არ მოგყავს?

- ცოლი?.. ვინ მოვიყვანო? - დაიბნა ავთო.

- მე უკვე სიტყვა მივეცი ერთს, თორემ მე წამოგყვებოდი. როგორ თუ ვინ მოიყვანო. გაწყდა ქალი საქართველოში?! აი, თუნდაც ეს ოფიციანტი... ვერ ხედავ, მარჯვენა ხელზე ბეჭედი რომ არ უკეთია?

- ეგ შენ მოიყვანე! - ჩაიხითხითა გელაშვილმა.

- არა, მე ეკას მოვიყვან! - წამოისროლა უცებ გოგამ და ავთოს თვალი თვალში გაუყარა.

- ვისა? - შუბლზე ოფლმა დაასხა გიგანტს.

- რას წამოკარკლე თვალები. რა, დაყრუვდი? თუ რამე არაკაცური ვთქვი?! - თვალის უპეები დაებერა გოგას და სახის ყველა ძარღვი გამოუჩნდა. ჩაწითლებული თვალები ავთოს შუბლს მიაჭდო და ამ უკანასკნელმა თვალი აარიდა.

- ხმა ამოიღე! - არ ცხრებოდა გორგილაძე. - ძმაკაცი ხომ ხარ, მითხარი რამე. რა ვთქვი ისეთი, ენა რომ გადაგაყლაპინა. თქვი, თქვი...

ავთოს თავი დამნაშავესავით ჩაეღუნა.

- რატომ ავთო, რატომ გგონია, რომ ეს არ შეიძლება. არადა, მე ვიცი, რომ შენ ასე თვლი და არა მარტო შენ. ყველა, ყველა... მე კი ფეხებზე მკიდიხართ შენც, მამაჩემიც, ოჯახიც, ნათესავიც... ყველა ფეხებზე მკიდია, გესმის? ყველა!..

გოგა ლაპარაკობდა ხმადაბლა, რადგან ჩახლეჩილი ხმა ხმამაღალი საუბრის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ მარჯვენა მხარეს სამივე მაგიდის გარშემო მსხდომნი მისკენ მალულად იმზირებოდნენ და ცდილობდნენ გოგას აღელვების მიზეზს მიხვედრილიყვნენ.

- დაწყნარდი, - თავი წამოსწია ავთომ და მეგობარს დიდი, კეთილი თვალები შეანათა.

გოგა ფეხზე წამოდგა და მოაჯირს იდაყვებით ჩამოეყრდნო, თავი ჩაკიდა. რამოდენიმე

წუთი ასე დარჩა. არც ავთო განძრეულა ადგილიდან.

გოგამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და ავთოს მიმართა:

- რა ვქნა ბიჭო, თქვი, რა გავაკეთო?..

- რა ვიცი... თვითონ რას გეუბნება?

- ეკა? ეკამ რა უნდა მითხრას?! იმას ახლა არჩევანის უფლებაც აღარ აქვს და ამაზე მიკვდება სწორედ გული... სიმართლე გითხრა, - სიგარეტს მოუკიდა და ისევ მაგიდას მიუჯდა. - ეს ყველაფერი ასე რომ არ მომხდარიყო, ეკაზე ფიქრიც კი მეკრძალებოდა. მე ,, ყველანაირ " ეკაზე თანახმა ვიყავი და როცა ჯუნა დაიბადა, სადღაც ისიც კი გავიფიქრე, ახლა კი ვეღარავინ წამართმევს-მეთქი ეკას თავს, მაგრამ...

- რა, მაგრამ? - მთელი ტანით დაიძაბა ავთო.

- ის მაგრამ, რომ ორმაგად მოვტყუვდი... - გოგამ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი მაგიდის ქვეშ შეუშვა. - კი ვხვდებოდი რაღაცას თითქოს, მაგრამ მე მეგონა, ისევ ის საქონელი ემზარი უყვარდა.

- მერე?

- მერაბი უყვარს! - ოდნავგასაგონად წარმოთქვა გოგამ.

ავთოზე ამ სიტყვებს დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა, რაღაცა ეთქვა. არადა, ვერაფრით ვერ მოახერხა და ამჯერად ოფიციანტმა იხსნა, რომელმაც ცხელი მწვადი, ღვინის ბოთლები, სალათის ღრმა თეფში და ორი სუფთა ჭიქა დადგა მაგიდაზე.

- კიდევ რა გნებავთ? - ავთოს მიმართა ქალმა, რადგან გოგას თავი ჩაეღუნა და ,, კოსმოსის " კოლოფს ატრიალებდა.

- კიდევ... კიდევ ყველი და ლიმონათი და ხაჭაპური...

ქალი შებრუნდა და წავიდა.

ავთომ ორი ბოთლი გახსნა. ჯერ გოგას ჭიქა შეავსო, მერე თავისი.

გორგილაძე წელში გასწორდა და ჭიქა აიღო:

- თამადა შენ ხარ, გაგიმარჯოს! - ჭიქა ბოლომდე გამოცალა. - ჰო, არა უშავს ,, კახეთს " .

- კარგად ვიყოთ! სულ ასეთ სუფრებზე მეთამადოს! - გაიღიმა ავთომ და ჭიქა, რომელიც მის უზარმაზარ ტორში სათითეს წააგავდა, ნელა გამოცალა.

- მერაბის ნახვა მინდა!

- მერე?

- რა, მერე! ნახვა მინდა, დღესვე უნდა ვნახო!

- თუ გინდა, დავურეკავ?

- კარგი იქნება, - გაიღიმა გოგამ.

ავთო სწრაფად წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა.

მოეფარა თუ არა მეგობარი თვალს, გოგას ისევ აეკვიატა რაღაც შიშის თუ ხათრის მაგვარი უცნაური გრძნობა...

კარგად ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან, მაინც უნდა ეთქვა მერაბისთვის: ,, მერაბ, მე ეკას ცოლად მოყვანას ვაპირებო “ , უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ყოველ ღამით თავს პირობას აძლევდა, აი ხვალ კი აუცილებლად ვეტყვიო, მაგრამ დაპირება მხოლოდ დაპირებად რჩებოდა და მეტი არაფერი. ასე გრძელდებოდა რამოდენიმე დღის განმავლობაში.

აი დღეს კი, თავს ძალა დაატანა და პირველი ნაბიჯიც უკვე გადადგმულია, - ავთო მერაბთან დასარეკად წავიდა...

ასეთ დროს მერაბი, როგორც წესი, შინ არ იქნება, - გაიფიქრა გოგამ.

დარბაზში ავთო გამოჩნდა.

გორგილაძეს გულისცემა აუჩქარდა:

- დარეკე? - ბოლომდე მისვლა არ აცალა მეგობარს.

- დავრეკე! ბეწვზე მივუსწარი, გასვლას აპირებდა!

- მერე, რაო? - ფერი ეცვალა გორგილაძეს.

- აგაშენათ ღმერთმა და ახლავე მოვფრინავო, - ავთო მაგიდას მიუჯდა, ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და გოგას ჭიქას მიუჭახუნა.

- გოგა, მოდი ამ ჭიქით იმას გაუმარჯოს, დღეს თბილისში ყველაზე ცუდ გუნებაზე რომ იყავი და მე რომ დამირეკე. მე კი თბილისში ყველაზე უსაქმურად და უაზროდ სახლში რომ ვიჯექი და შენი ზარის შემდეგ მეშველა. კიდევ იმას გაუმარჯოს, მერაბ ბარათაშვილი რეტიანივით რომ მოაქროლებს მანქანას ჩვენსკენ და ყოველი წამით რომ გვიახლოვდება!

მოკლედ, მეგობრობას გაუმარჯოს, ჩემო გოგა! ჩვენს ნამდვილ, ხალას და წმინდა მეგობრობას გაუმარჯოს! და როგორც იტყოდა ნუგზარ ბარათაშვილი:

თუ ძალა შენი სულ გაგაგიჟებს

და მეგობარსაც იყიდი ფულით,

სუფრასთან მაინც ნუ დაპატიჟებ,

ღვინოს არ უყვარს დამპალი სული!

- გაგიმარჯოს! - ავთომ ჭიქა გამოსცალა და გოგას შეხედა.

გოგა აღტაცებას ვერ მალავდა და იღიმებოდა.

- რა გაცინებს? - ჰკითხა ავთომ.

- არა, ძმაო, შენში დიდი ძვრებია. მოიცა, მოიცა, შენ ის ავთო გელაშვილი არა ხარ, მეათე კლასში ნიძლავზე სიტყვა „ დისკვალიფიკაცია “ რომ ვერ თქვი სწორად? სამჯერ სცადე და ვერ თქვი, გახსოვს?

- მაგ სიტყვას ეხლაც ვერ ვამბობ! - გადაირეხრეხა ავთომ.

მერე რამდენიმე ამბავი გაიხსენეს სკოლის ცხოვრებიდან... მერე ოფიციანტი მოვიდა. გოგამ სუფრაზე დაახედა და უთხრა, ყველაფერი იგივე მოეტანა, კიდევ ერთ კაცზეო. ოფიციანტი მალე მობრუნდა და სუფრაც უფრო შეივ-სო.

- მოვიდა! - თქვა უცებ გოგამ და ფეხზე წამოდგა. ავთომ ხელები გაიწმინდა და ისიც ფეხზე დადგა.

მართლაც, მერაბს უფრო ადრე შეემჩნია ბიჭები და მათკენ მოდიოდა ღიმილით.

- გაუმარჯოს ყარაჩოხელებს! - თქვა მან, როცა მაგიდას მიადგა და ჯერ ავთო გადაკოცნა, შემდეგ გოგა.

დასხდნენ. ავთომ სამივე ჭიქა შეავსო. გოგამ სიგარეტს მოუკიდა და ჭიქა ხელში აიღო.

- გაგიმარჯოს, მერაბ!

- ჩემი დაბადების დღე თებერვალშია, გოგა! - გოგას ჭიქას თავისი მიუჭახუნა მერაბმა და ავთოს თვალი ჩაუკრა.

- მერაბი მართალია, თანაც თამადა მე ვარ! - მარაქაში გაერია ავთო.

- ჩემი არჩეული ხარ! - გოგას აღარაფერი უთქვამს. მერაბს გაუღიმა. ჭიქის მაღლა აწევით ანიშნა „ გაგიმარჯოსო “ და დალია.

- გამიმარჯოს და გამიმარჯოს, მაგრამ ერთი პირობით, მხოლოდ თქვენთან ერთად! - დალია მერაბმაც. - ეხლა ის მითხარით, რასთან დაკავშირებით გაგიშლიათ სუფრა მტკვრიდან რიონამდე?

- ავთომ ნომრები აიღო და გადაწყვიტა „ დაესველებინა “ , - იცრუა გოგამ და ცოტა გაფითრდა.

- კი მაგრამ, მანქანის შეძენამ „ მშრალად “ ჩაიარა და ნომრების „ დასველება “ რაღაა?

- საქმე იმაშია, რომ ავთო ახლა სწორედ მანქანის შეძენას ზეიმობს. უბრალოდ, ნომრის აღებას დაელოდა. უნომრო მანქანა, რა მანქანაა! - არ გატყდა გოგა.

- რაკი ასეა, - ჭიქები შეავსო მერაბმა. - შენ და შენ მანქანას გაგიმარჯოთ, ჩემო ავთო! ბედნიერებაში მოგეხმაროს! - მეორე ჭიქაც გამოცალა ბარათაშვილმა.

ის იყო გოგამ ჭიქა აიღო ხელში, რომ:

- ვაიმე, დავიღუპეთ! - თქვა უცებ მერაბმა და ორმოცდახუთი გრადუსით შეატრიალა სკამი.

- რა

მოხდა? - გაუკვირდა გოგას.

- მამაჩემი და მისი მეგობრები შემოვიდნენ, ხედავ?

- ჰო, დავინახე, აგერ იქ დასხდნენ, ბოლოში. მარა შენ რაზე დაიღუპე?

- დაბალი, ჩაფსკვნილი რომ არის ხედავ. მელოტი?

- ვხედავ, მერე?

- მერე და მაგის ხელში ჩემი მტერი ჩავარდეს. დალევს ხუთ ჭიქას და გამოგაშტერებს, იმდენს გელაპარაკება. თან, ვარიანტი არ არის, ხელიდან დაუსხლტე. ბოლოს, კარგად გაგინებს და თუ არ გაუღიმე, გაგლახავს კიდეც.

- მერე, ეგეთი კაცი მამაშენის ძმაკაცია? - გაუკვირდა ავთოს.

- თანაც, ბავშვობის. ალბათ იმიტომაცაა, დღემდე რომ ერთმანეთს არ სცილდებიან. სიფხიზლეში ჩვეულებრივი, უფრო მეტიც, თავაზიანი კაცია. დათვრება და მორჩა...

- ჰოდა, კარგად მეყოლე. თუ არ ვცდები, აქეთ მოდის, - თქვა გოგამ სიცილით. - ოჰო, თანაც ორნი მოჰყვებიან.

- მერაბია, მიიღე სტუმრები შე გლახა! - იყვირა მელოტმა და ხელებგაშლილი ბიჭებს მიუახლოვდა. სამივე უცებ წამოდგა.

- გამარჯობა, მურმან ბიძია! - „ ძალიან გაუხარდა “ მერაბს მისი დანახვა და გადაეხვია...

მერე ათი წუთის განმავლობაში, ფეხზე მდგარმა მურმანმა ყველას დაალევინა ორი

სადღეგრძელო. მართლა ხმაურით და ზედმეტი მოძრაობით აიკლო იქაურობა და ისე შეიჭრა თავის სტიქიაში, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ გაუქრა მერაბი გვერდიდან.

ბარათაშვილმა თავისი მაგიდა მიატოვა და ახალშემოსულების მაგიდას მიაშურა, სადაც მომღიმარი მამამისი იჯდა და თავისი შეზარხოშებული მეგობრის „ ონავრობას “ უთვალთვალებდა.

- გამარჯობა! - მაგიდას მიადგა მერაბი.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა მამის ძლიერმა ხმამ.

- მამა! მე დღეს აქ საქეიფოდ არ შემოვსულვარ, სერიოზული საქმე მაქვს და არ გეწყინოს...

- მურმან! - გასძახა მამამ მეგობარს ისე, რომ მერაბისთვის აღარაფერი უთქვამს.

ბიჭების მაგიდის ხუთივე წევრმა ერთდროულად მოაბრუნა თავი.

- შეეშვი ბიჭებს, გაუშვი თავის ნებაზე...

მურმანი დაემოჩილა მეგობარს და ნირწამხდარი დაუბრუნდა სუფრას.

მერაბი დაელოდა მათ მოსვლას და დასხდნენ თუ არა, მამის ჭიქა აიღო ხელში.

- ბიძია მურმან, თქვენი ჭირიმე, ნუ გეწყინებათ. დღეს ნამდვილად არ შეგვიძლია... თქვენ გაგიმარჯოთ ყველას, დიდხანს გეცოცხლოთ და თანაც ზუსტად ისე, როგორც დღემდე მსმენია: ჯანმრთელად, ვაჟკაცურად და ურთიერთპატივისცემით.

- გაგიმარჯოს ნუგზაროვიჩ, გაგიმარჯოს, მაგრამ მაინც ნაწყენი ვარ შენზე, მიუხედავად იმისა, რომ... თფუ, თფუ, არ გაირყვნე ქებით. მიუხედავად იმისა, რომ შენისთანა შვილი ჩვენს ძმაკაცობაში არავის ჰყავს... - მურმანმა მკაცრად და სწრაფად წარმოთქვა ყველა ზემოხსენებული სიტყვა და ასევე სწრაფად დალია.

დანარჩენმა ორმაც დალოცა მერაბი.

- ბოდიში! - მერაბი თავისი მაგიდისკენ გაემართა.

- მერაბ! - დაუძახა ნუგზარმა. - გოგას და ავთოს გადაეცი საყვედური, დამივიწყეს ნამეტანი!

მერაბმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და ბიჭებთან მივიდა.

ბიჭებმა ყოველივე ამის შემდეგ, გადაწყვიტეს, რომ იქ დარჩენა უხერხული იყო და ოფიციანტს უხმეს.

- თქვენი უკვე გადაიხადეს! - ისეთი ტონით თქვა ქალმა, თითქოს ჯერ არნახული სიხარული აჩუქა ბიჭებს, რის შედეგადაც ისინი ვალდებულნი იყვნენ ტაში შემოეკრათ

და თვალებზე ცრემლი მოდგომოდათ.

ბიჭებმა ნუგზარს და მის მეგობრებს მადლობა გადაუხადეს და გარეთ გამოვიდნენ. ელბაქიძის დაღმართისაკენ გაემართნენ.

უკვე ჩამობნელებულიყო.

- მე წავედი! - თქვა ოდნავ უკან ჩამორჩენილმა ავთომ ,, სამაიას " ბაღის კიბესთან.

- სად წახვედი? - ჰკითხა გოგამ. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, ავთოს მათი მარტო დატოვება უნდოდა.

- შენ რა, მეტროთი აპირებ წასვლას? - იკითხა მერაბმა.

- არა, მე სახლში არ მივდივარ. საბურთალოზე მაქვს პატარა საქმე.

,, ესე იგი, არ შევმცდარვარ " , - გაიფიქრა მერაბმა. - ,, ავთო ტყუილად არ ცდილობს ჩემი და გოგას მარტო დატოვებას. დღეს მე საქმისათვის ვიყავი რესტორანში გამოძახებული... გოგას რაღაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს... რაღაცის?... ვიცი, ვიცი, ის რაღაცა რასაც ჰქვია " .

- შენი საქმე შენ იცი, ჩემო საქმიანო მეგობარო! - ბარათაშვილმა გზა გააგრძელა...

გოგაც უკან გაჰყვა და წამოეწია. ავთომ თვალი გააყოლა მეგობრებს და ახლაღა ინანა, ჩემი დარჩენა მაინც საჭირო იყოო...

ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, მერაბი და გოგა ერთმანეთს დიდ პატივს სცემდნენ, მაინც აფორიაქდა მათი ერთი-ერთზე დარჩენის გამო.

მეორეც, ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა გულუბრყვილო გოლიათს. აინტერესებდა, რანაირად წარიმართებოდა მათი საუბარი. თანაც იცოდა, რომ მათ შორის ნათქვამს და მომხდარს იგი ვერასოდეს გაიგებდა. გოგა არაფრის ფასად არსად არ იტყოდა, ხოლო მერაბს ასეთ რამეს, თვითონვე არ ჰკითხავდა.

,, მაინც, რა კაცია მერაბი " , - რუსთაველის გამზირს ფიქრით დაუყვა ავთო. -

,, თითქოს ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი მეგობარია ჩემთვის, გოგასთვისაც და ალბათ, ასეთი კიდევ მოიძებნება... მაგრამ ბიჭები მაინც განსაკუთრებული რიდით და ხანდახან, მოკრძალებითაც კი ექცევიან. ბიჭები... ბიჭები კი არა, მეც ეგრე არა ვარ? რატომ?! ზედმეტად სერიოზული არასოდეს ყოფილა... იქნებ, მხოლოდ მე ვარ ასე და სხვებზე მეჩვენება?.. არა, ეს გამორიცხულია! იმ სათქმელს, რომელსაც გოგა გორგილაძე, ვინ იცის, რამდენი ხანია ამზადებს და ვერ ეუბნება, სხვა ნებისმიერს პირველივე შეხვედრაზე მიახლიდა! შეხვედრაზე კი არა, სპეციალურად, სათქმელად მონახავდა... გოგას რა დაემართა ამ ბოლო დროს, ასე ნერვიული არ იყო ადრე! რა დაემართა-მეთქი, ვკითხულობ?! თითქოს არ ვიცოდე...

ეკა?! ეკა რაღას ფიქრობს ნეტავ? მერაბი რომ უყვარს, ამაში ორი აზრი არ არსებობს...

ცხადია, ისიც კარგად იცის, რომ ბარათაშვილი მისკენ აღარასოდეს გაიხედავს... ცოდვაა ეკა!... გოგაც ცოდვაა... მერაბი? ალბათ ისიც... თუმცა მერაბი... ეჰ “ ...

- არა, ქალბატონო, დიდუბე! - მოესმა ოპერის თეატრის წინ შეჩერებული ტაქსიდან ხმა და უცებ გამოერკვა. - დიდუბე? მოიცადეთ, მოიცადეთ, - ავთო უკვე თითქმის დაძრულ მანქანასთან მიიჭრა და კარი გამოაღო. მანქანა ისევ ადგილზე გაიყინა.

- საით? - თავი არ მოუბრუნებია მძღოლს.

- დიდუბე!

მძღოლმა და შიგ მჯდომმა კლიენტმა თითქმის ერთად დააქნიეს თავები თანხმობის ნიშნად.

* * *

*მერაბმა ჩამრთველს ხელი მიაჭირა და შუქი აინთო. საათს გახედა, უკვე სამი იყო. შუქი ისევ გამორთო და შეეცადა დაეძინა. ისევ ფიქრებში წავიდა.

,, რა დამემართა, ხვალ ლექციებზე დამეძინება... ლექციებზე ნატა ერთი კვირაა არ გამოჩენილა უნივერსიტეტში... ეტყობა, მართლა ავად არის... “

უცებ ტელეფონის ხმ გაისმა.

მერაბი მარჯვნივ გადატრიალდა და ყურმილი აიღო:

- გისმენთ!

- მე ვარ მერაბ, გაგაღვიძე!.. - ეს გოგას ხმა იყო.

- შენ წარმოიდგინე, ტყუილად იბრალებ. არ მძინებია და კარგი ქენი, რომ დარეკე.

- ჰო, არა, ისე, დედას ვფიცავარ, გული მეუბნებოდა, რომ არც შენ გეძინა...

- მაშ, რაღად მითხარი, გაგაღვიძეო?

- იმიტომ, რომ ეს მხოლოდ გულისთქმა იყო! მე ყოველთვის გულისთქმას რომ დავყრდნობოდი...

- ჰო, რა იქნებოდა?

- ბევრ რამეს დავკარგავდი!

- რამეს თუ ვინმეს?

- ვინმეს? - შეშინებულივით წამოიყვირა გოგამ. - ვინ ვინმეს?

- რა ვიცი, თუნდაც უახლოეს მეგობარს!

- მაგით რისი თქმა გინდა, მერაბ?

- იმისი, რისი თქმაც შენ დღეს ვერც რესტორანში და ვერც გზაში ვერ მოახერხე... გოგა, კარგად მომისმინე: თუ ის ისევ ძველებურად გიყვარს, ჩემი ხათრი და რიდი ნუ გექნება. მე შენი იმაზეც მადლობელი ვარ, რომ ამ ხნის განმავლობაში... - მაგრამ მერაბმა დამთავრება ვეღარ მოასწრო. გოგამ ყურმილი დაკიდა.

მერაბმა გადაწყვიტა თვითონ დაერეკა და რამდენიმე ციფრი აკრიფა კიდეც, მაგრამ მერე შეჩერდა და ყურმილი დადო.

,, მესამე წელია, ეკა არ მინახავს. ნეტავ როგორია ახლა? შეიცვალა ალბათ... ქუჩაშიც რომ არსად შემხვედრია? საოცარია, თითქმის მეზობელია და არც ერთხელ არ შემხვედრია, არც ერთხელ... ბავშვი თუ ჰგავს დედას?

წამოდგა, ფანჯრის რაფიდან ,, კოსმოსის " კოლოფი და სანთებელა აიღო, საფერფლე მარჯვენა მხარეს, ჟურნალების პატარა მაგიდაზე დადო და ისევ წამოწვა, სიგარეტს მოუკიდა.

მარჯვნივ, დიდ ფანჯარაში, უზარმაზარი ცის პატარა მონაკვეთი მოჩანდა... ნათელი ღამე იყო. ცაზე უამრავი ვარსკვლავი კიაფობდა, მაგრამ რაც ფანჯარაში მოჩანდა, იმათი დათვლა ძნელი საქმე არ იყო!

,, 37, 38, 39, 40... მერაბ მომეხმარე... "

,, მეტი საქმე არა გაქვს! "

,, 42, 43, 44, 45... გახსოვს ჩაჩანიძეს, ჩვენი ასტრონომიის მასწავლებელს რომ ეკამათე ერთხელ მთელი გაკვეთილი? "

,, არ მახსოვს, ეკა... არ მოგბეზრდა ასე ხეტიალი? მამაშენი თოფს მესვრის, ალბათ, შენს სადარბაზოსთან!.. "

,, არ გესვრის! როგორ არ გახსოვს, ის გეუბნებოდა: სამყარო უსასრულო რომ არის, ამას პირველი მე არ ვამბობ ბარათაშვილო, ჩემზე უფრო ასაკოვანი და ჭკვიანი ხალხის დამტკიცებულიაო! " შენ უთხარი: მე იმათგან მიკვირს ბატონო არჩილ, თორემ თქვენგან მოსალოდნელიც კი არისო. ნუთუ მართლა არ გახსოვს?.. კარგი, პატივცემულო, მომისმინეთ და დაგიმტკიცებთო, უთხარი მაშინ. თქვენი კამათი უკვე სამყაროს უსასრულობიდან კარგა ხნის გადასული იყო ღმერთის, ანუ რაიმე ზებუნებრივი ძალის არსებობა-არარსებობაზე და არჩილი შუბლიდან ყოველი წინადადების შემდეგ, ოფლს იწმენდდა.

ბატონო არჩილ, მომისმინეთ, ნუ ღელავთ და ყველაფერს აგიხსნით: თქვენ ხომ არ

უარყოფთ, რომ სამყარო გალაქტიკებისაგან შედგება? ძალიან კარგი. ავიღოთ ერთი რომელიმე გალაქტიკა, აი, თუნდაც ჩვენი. ამ გალაქტიკას რომელიღაცა ეღობება, რომელიმე სხვა გალაქტიკა,

ხომ ასეა? - კი, ასეაო. - დაგიდასტურა ჩაჩანიძემ. - იმ მეორეს - მესამე, ხომ? იმ მესამეს - მეოთხე, მეოთხეს - მეხუთე, მექვსე, მეშვიდე და ასე შემდეგ და თქვენ წარმოიდგინეთ, სადამდე მიდის?! ესე იგი, ადამიანმა ძალიან, ძალიან ცოტა იცის და მას უბრალოდ, არა აქვს უფლება, ილაპარაკოს ამ თემაზე. არა აქვს, რადგან დედა-მიწის პირმშოს არ შესწევს ძალა ახსნას ის, რაც არასოდეს უნახავს. დედამიწაზე შეძენილი ცოდნა არასოდეს არ იქნება საკმარისი მთელი სამყაროს შესაცნობად. არ იქნება და მორჩა... ” - არჩილი გაშტერებული გიყურებდა, მთელი კლასი გასუსული გისმენდა და მე მაშინ პირველად დავინახე შენში ადამიანი. უფრო სწორად, მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ შენ ის არ იყავი, ვისაც მე ადრე ვიცნობდი: ჩხუბისთავი და აურზაურის მოყვარული, უინტელექტო და კუნთძლიერი მერაბ ბარათაშვილი... და იცი, როგორ მოუხდნენ ერთმანეთს ძველი და ახალი მერაბი. ისინი შეერთდნენ, საოცრად დაამშვენეს ერთმანეთი და მე მაშინ პირველად შემეშინდა ადამიანის დაკარგვის. იმ საღამოს პირველად გამიჩნდა ეჭვი: მართლა ვუყვარვარ, თუ ისე რა!

იცი, მერაბ, ხანდახან... მოკლედ, მაშინ ამის უფლება არ მქონდა, ახლა კი მიპასუხე, მართლა ძალიან გიყვარვარ, თუ ისე რა! “ ”

,, ისე, რა! “

,, ეგრეც ვიცოდი... მერე იცი რა მოხდა, მერაბ. არჩილმა შეგაწყვეტინა საუბარი და გითხრა: მართალია, შენ დიდ სისულელეს ამბობ, მაგრამ შენ გაგაჩნია მსჯელობის დიდი ნიჭი. მე ვერ ვიტყვი, რომ შენი აზრები ლოგიკურია, მაგრამ ძალიან საინტრესოა. შენ ფილოსოფიის დარგში ბევრს მიაღწევდი. მაგრამ... ვის ველაპარაკები, ხალხო, ეს ხომ მერაბ ბარათაშვილია... ღმერთი თუ გწამს, კომკავშირში რა გინდაო, ჩაგაცივდა მერე. შენ უთხარი: მე ორივეს მშვენივრად ვუთავსებ ერთმანეთს, არც ერთს სწყინს და არც მეორესო. შემდეგ ასეთი დიალოგი გაიმართა:

ერთ-ერთის დათმობამ რომ მოგიწიოს, რომელს დათმობდიო?! - გკითხა ჩაჩანიძემ.

აი, ვთქვათ, ახლა გამოგიძახეს დირექტორის კაბინეტში: შეხვედი და ხედავ, სხედან რესპუბლიკის კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივანი და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ერთი მარცხენა კუთხეში ზის და გიწვდის ხელს, მეორე კი - მარჯვენაში და ისიც თავისთან გიხმობს, რას იზამდი? ”

შუაში ჩავჯდებოდი, ავტირდებოდი და ვიტირებდი მანამ, სანამ ორივეს გული არ აუჩუყდებოდა და თვითონ არ მოვიდოდნენ ჩემთანო.

მერე ზარი დაირეკა, არავინ განძრეულა... ,, წადი ახლა ბარათაშვილო და სამზე მაღალ ნიშანს ნუ ელოდები ჩემგან. თუ ღმერთი არსებობს, გიშველოს, აბა, და გადააკეთოს ჩემი დაწერილი სამიანი ოთხიანად და ხუთიანადო “ , - გასვლა დააპირა არჩილმა საკლასო ოთახიდან.

,, ბატონო არჩილ, მოითმინეთ, ბოლო სიტყვა მათქმევინეთო “ , ” - არ მოეშვი და ისიც მობრუნდა: ,, ბატონო არჩილ, ნუ სცოდავთ, ნუ სცოდავთ, თორემ ხომ შეი-ძლება, ახლა თქვენ გეძინოთ. გეძინოთ უბრალო ღამის ძილით და ყველაფერი, რაც თქვენი 47 წლის ცხოვრების მანძილზე გახსოვთ, პლუს დღევანდელი დღე და ჩემი აი, ეს სიტყვებიც, სიზმარი იყოს? გაგეღვიძოთ და უცებ რას ხედავთ, - მერვეIII საუკუნეა, არაბები შემოსევიან საქართველოს, ირგვლივ ვაი-ვიშის მეტი არაფერი ისმის და თქვენ სადმე ბნელ საკანში, მძიმე ბორკილებით ზიხართ.

გამოგიყვანეს, ბატონო არჩილ, საკნიდან და მიგიყვანეს არაბთა მხედართმთავართან. ახლა ის ფიქრობს, თუ რამეში გამოსადეგია გავგზავნი არაბეთში, თუ არა და... თქვენ თვითონ მოგეხსენებათ...

გეკითხებათ, რა იცითო.

თქვენ კი ასტრონომიის და ფიზიკის მეტი არაფერი იცით და ეუბნებით, - ასტრონომია ვიციო. ის გეკითხებათ, რა არის ასტრონომიაო. თქვენ უხსნით, რაც არის. ისინი თვლიან, რომ თქვენ კუდიანი ხართ და გწვავენ ცეცხლზე.

აი, ბატონო არჩილ, ასეთი იქნება თქვენი დასასრული, თუ სიზმარშიც კი დაფიქრებულად და გონივრულად არ მოიქცევით “ .

,, ცდები, ბარათაშვილო! “ - ღიმილით გიპასუხა ჩაჩანიძემ. - ,, არაბები ქრისტიანებს ანადგურებდნენ, მე კი ღმერთი არ მწამს, მე ხმასაც არ გამცემდნენ “ ...

,, ეს თქვენ ცდებით, პატივცემულო. ისინი ქრისტიანებს კი არა, არამაჰმადიანებს ანადგურებდნენ. თუ არ გჯერათ, გაიღვიძებთ და თვითონ ნახავთო, - უთხარი და აქ დამთავრდა თქვენი დუელი. დამთავრდა შენი გამარჯვებით, რადგან არჩილმა კლასთან ერთად გადაიხარხარა და კარი გაიხურა. ნუთუ არ გახსოვს? “

,, ყველაფერი კარგად მახსოვს, ეკა “ .

,, აბა, რატომ მომაყოლე. ერთი საათია პირი არ გამიჩერებია. თეატრიდან აქამდე გაუჩერებლად მალაპარაკე და ახლა მეუბნები, ყველაფერი მახსოვსო?! “

,, უბრალოდ სასიამოვნოა, როცა იცი, რომ შენზე ჰყვებიან. იცი, რომ კარგს ჰყვებიან და იცი, რომ მართალს ჰყვებიან... “

მერაბმა ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა,

მაგრამ მერე საფერფლეს დაასრისა და საპირისპირო მხარეს გადატრიალდა.

* * *

დილის 8 საათზე ლანამ მერაბის ოთახის კარი შემოაღო.

- მერაბ, დაგაგვიანდება, ბიჭო, ადექი!

მაგრამ მერაბს დილის ტკბილი ძილით ეძინა და დის ხმა არ გაუგია.

ლანა საწოლთან მივიდა, ძმა მთელი ძალით შეანჯღრია. მერაბმა თვალები გაახილა და იქაურობა უაზროდ შეათვალიერა. ხელში სახეღიმილიანი ლანა შერჩა.

- რა გინდა? - ჰკითხა და ისევ ბალიშზე დადო თავი.

- რას ჰქვია, რა მინდა, 8 საათია უკვე, არ მიდიხარ ლექციებზე?

- ჰო, კარგი! - მერაბმა თვალები დახუჭა.

- კარგი კი არა, - ლანამ საბანი ააცალა. - ადექი, რომ გეუბნები. დედა და მამა სამზარეულოში გელოდებიან.

მერაბს აღარაფერი უთქვამს, უხალისოდ ფეხზე წამოდგა და დას, რომელსაც ხელში საბანი ეჭირა, ისე შეაცქერდა, თითქოს პირველად ხედავდა.

ლანას გაეცინა და საწოლის პირას მდგარ ძმას ხელი ჰკრა. მერაბმა ხელები გაასავსავა და ისევ საწოლზე დაჯდა. ახლა ქვევიდან ახედა დას გაკვირვებულმა, ჩაწითლებული თვალებით.

ლანას სიცილი აუტყდა, საბანი საწოლზე დააგდო და ოთახიდან გამოვარდა.

დაახლოებით ხუთი წუთი დასჭირდა მერაბის დილის ტუალეტს. სამზარეულოს კარის შესაღებად სახელურს ხელი წაატანა, მაგრამ კარი შიგნიდან გაიღო და ნუგზარი გამოვიდა.

მამა-შვილმა ისე აუარეს ერთმანეთს გვერდი, თითქოს ერთმანეთი არც შეემჩნიოთ.

მერაბი მაგიდას მიუჯდა. ლანამ ცხელი ჩაი დაუდგა ფინჯანით და თვითონაც დაჯდა.

- აჰა, მეც წავედი. ჭკუით იყავით და არ დააგვიანოთ ბავშვებო! - სამზარეულოდან გავიდა დედა.

თანხმობის ნიშნად, ოდნავი ირონიით, და-ძმამ თავი დააქნია.

- მერო! - მიმართა ძმას იდაყვებით მაგიდას დაყრდნობილმა ლანამ. - წამიყვან ერთ ადგილას?

- სად ერთ ადგილას? - ჩაი მოსვა მერაბმა.

- სასოფლოში!

- სად სასოფლოში?

- სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში!

- იქ რა დაგრჩენია?

- ღონისძიება მზადდება. გრანდიოზული ღონისძიება და ყველა უმაღლესებიდან მიწვეული არიან სტუდენტები. ჩვენგან - მე, დეისაძე, ნატო და გოჩა წიკლაური მივდივართ.

- მერე, შენ რომელი აქტივისტი ხარ?

- კაცო, შენ ის მითხარი, წამიყვან თუ არა...

- როდის? - ცარიელი ფინჯანი მაგიდაზე დადგა მერაბმა.

- ახლა.

- ახლა? რომელი საათია? - ფეხზე წამოდგა ვაჟი.

- რომელი და 9-ის 10-15 წუთი იქნება. სულ ეგ არის შენი ჭამა?

- ჰო, ეგ არის. მზად ხარ?

- მე კარგა ხანია მზად ვარ.

- კარი დაკეტე და დროზე ჩამოდი! - მერაბმა გასასვლელი კარი გააღო და გარეთ გავიდა.

,, ჟიგულმა “ ყვითელ იკარუსს გაასწრო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთავარი შესასვლელისაკენ შეუხვია. მანქანა გაჩედა, ლანა გადმოვიდა, შესასვლელის კიბეები აირბინა და შენობაში შევიდა.

მერაბმა დას თვალი გააყოლა, მერე მანქანა იქვე შემოაბრუნა და ისევ გააჩერა, რადგან კიბესთან შეჩერებული ტაქსიდან გადმოსულმა ქალიშვილმა მისალმების ნიშნად ხელი აუწია და გაუღიმა.

მერაბი მანქანიდან გადმოვიდა და მისკენ გაემართა:

- გამარჯობა, ნატო! - გადაკოცნა ტანმორჩილი ქალიშვილი.

- როგორა ხარ, მერაბ? თუ ხარ ზუსტად ისე, შენი და რომ ჰყვება?

- რომ არ ვიცი ჩემი და რას ჰყვება?

- რა ვიცი, რომელი ერთი ვთქვა. დილიდან საღამომდე შენს ხსენებაშია... გუშინ თქვა 100 კილოიანი შტანგით ვარჯიშობსო! - გაიცინა ნატომ.

- მაგას თქვენი ბიჭების გასაგონად იტყოდა...

- არა, მარტო მე მითხრა.

- რომელი საათისთვის მორჩება ეს თქვენი აურზაური?

- არ ვიცი ზუსტად, მაგრამ 12-ზე რეჟისორი უნდა მოვიდეს და 2-ზე ადრე არა მგონია გამოგვიშვას.

- ჰოო? თქვენ, როგორც ჩანს, მართლა დიდი ამბავი გქონიათ აქ!

- აბა, რა გეგონა, ბატონო! - კიბეებზე ავიდა ნატო. - ჩვენ არასერიოზული ხალხი ვართ? კარგად იყავი მერაბ!

- კარგად ნატო, კარგად!

მერაბი მანქანასთან დაბრუნდა, ჩაჯდა და დაიძრა.

,, ადრე ყოველთვის მიმიხაროდა თითქოს უნივერსიტეტში. ეს რამოდენიმე დღეა, ყოველგვარი ხალისი დამეკარგა... ეს რამოდენიმე დღეა, ნატა ლექციებს აცდენს... ნუთუ მხოლოდ ამიტომ?!

კამკამიძემ სამჯერ მითხრა: ,, ნატა ავად არისო. არც ერთხელ არ ვკითხე რა სჭირს, რა დაემართა-მეთქი. ვითომ რატომ? ვის ვუმტკიცებ, რომ ნატათი დაინტერესებული არ ვარ? ალბათ ნატას! იმისგან ვისწავლე და მის წინააღმდეგვე ვიყენებ.

არადა, მომენატრა თუ რა დამემართა, ვერ გამიგია.

კარგა ხანია უკვე რაღაცა განსაკუთრებული სიფრთხილე თუ შიში...

რისი შიში... ნატასი?..

სად გაქრა შენი პრინციპი, მერაბ ბარათაშვილო: გავაკეთებ ყველაფერს, რისი გაკეთებაც მსურს, თუ ამ ჩემი სურვილის ხორცშესხმა სხვას არაფერს ავნებს!

ნუთუ ახლა მე ნატას დანახვაზე მეტად რაიმე

მსურს? - არაფერი!

მაშ, მივდივარ ნატასთან!

ვის ავნებს რამეს, მე თუ დღეს ნატას ვნახავ!... არავის!.. ჰოდა, მაშ მივდივარ! “

მანქანამ გაგარინის მოედნიდან ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმართულებით გააგრძელა გზა.

მერაბმა მარცხენა მხარე დაიჭირა, სისწრაფეს უკლო და ჩასახვევებს დიდი

გულისყურით დაუწყო თვალიერება.

,, ეს ჩასახვევი უნდა იყოს, თუ არ ვცდები “ . - გაიფიქრა ბარათაშვილმა. - ,, კი, ეს არის “ .

მანქანამ მარცხენა მხარეს შეუხვია და იქვე შეჩერდა: ,, იქნება უხერხულია ასე პირდაპირ მიდგომა, იქნება ჯერ დამერეკა, ყვავილებიც მეყიდა...

არა, ყვავილების ყიდვა უაზრობაა. იფიქრებს, დიდხანს ემზადებოდა აქ მოსასვლელად და დღეს, როგორც იქნა, გაბედაო!

აი, ისევ... შენთვის სულ ერთი არ არის, რას იფიქრებს?.. მთავარია, შენ იცი, რატომ იყიდე!

იქნება სახლში არ არის, იქნებ დღეს უნივერსიტეტში წავიდა. არა! დარეკვა საჭიროა!.. თუმცა, რაღა დარეკვა უნდა, მისი სახლის წინ ვარ. თუ სახლშია, ხომ კარგი, თუ არადა, კიდევ უკეთესი... დღევანდელი ლექციები კი უნდა გაცდეს, სხვა გზა არ არის “ .

მანქანა ისევ დაძრა და უახლოეს სახლთან შეაჩერა. მანქანიდან აუღელვებლად გადმოვიდა, კარი ჩაკეტა და სადარბაზოში შევიდა. კიბეები აიარა და მესამე სართულზე შეჩერდა.

ჟღენტი ტ.გ. - წაიკითხა მარცხენა კარზე. კარს მიუახლოვდა და შედგა.

,, იქნება, სანამ გვიანი არ არის, ჯობდა უკან გავბრუნებულიყავი? “ - გაიფიქრა მერაბმა.

,, სულ ეგა ხარ? ვაი შენს პატრონს! “ - შეედავა თავის თავს. შერცხვა თავის სიმხდალის.

მერაბმა ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა.

ოთახიდან ჩიტის გალობისმაგვარი ხმა გამოიჭრა.

ფეხის ხმა ჯერჯერობით არ ისმოდა.

,, აი, ხომ ხედავ, სახლში არ არის. წადი, რას უდგეხარ? შენც ეგ არ გინდოდა?! მე ვიცოდი, რომ მაგ იმედით ამოხვედი აქ! ვაი შენს პატრონს! “ ” - გალანძღა მერაბმა საკუთარი თავი და ხელმეორედ მიაჭირა ღილაკს თითი.

ოთახიდან ისევ გამოიჭრა გალობის ხმა და სანამ გალობა შეწყდა, კარიც გაიღო:

- მერაბ! - გრძელ ვარდისფერხალათიან და ყელშეხვეულ ნატას ალბათ ხუთი წლის წინ გარდაცვლილი პაპის დანახვა არ გაუკვირდებოდა ისე, როგორც მერაბის დანახვა გაუკვირდა.

- მერაბ, ეს შენ ხარ თუ მეჩვენება? არა, ნამდვილად მძინავს და მეჩვენება?!

- გიბწკინო? - გაეღიმა ვაჟს.

- არა, გმადლობთ, - გაიცინა ნატამ და კარი ბოლომდე გამოაღო. - შემოდი!

მერაბმა თავი დახარა და ბინაში უზრუნველად შეაბიჯა.

- პირდაპირ შედი, - თქვა ნატამ და დიდი რკინის კარი მიხურა.

მერაბი არ განძრეულა.

ნატამ მისაღები ოთახის კარი გამოაღო და სტუმარი შეიპატიჟა.

მერაბი მორჩილად დაეშვა მასიურ სავარძელში და მხოლოდ ამის შემდეგ შეხედა ნატას:

- როგორა ხარ?

- ახლა უკეთ. - უეცრად დასერიოზულდა ნატა და საპირისპირო მხარეს სკამზე ჩამოჯდა. - მერაბ, მითხარი, ვინ გამოგგზავნა ჩემს სანახავად. უფრო სწორად, ვინ გთხოვა?

- მოკლედ, შენი გამოსწორება არ იქნება! - უკმაყოფილების ნიშნად თავი გააქნია მერაბმა. - როდემდე უნდა იყო ეგეთი ეჭვიანი?

- დავიჯერო, შენით მოიფიქრე?! - სახე გაეხსნა ქალიშვილს. - არ გეწყინოს, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ...

- რომ, მერაბ ბარათაშვილი, რომელსაც ჭირივით ეზიზღები და ვერ გიტანს, შენს სანახავად თავისი სურვილით მოვიდოდა, არა? თქვი, ხომ ასე ფიქრობ?

- არა, ეგ უკვე მეტისმეტია.

- მაგრამ, დაახლოებით...

- ჰო, კარგი, ბოდიში ბატონო, ბოდიში და მივატოვოთ ეს თემა. ფაქტი სახეზეა: შენ აქ ხარ და თანაც საკუთარი სურვილით! - ეშმაკურად გაიღიმა ნა-ტამ.

- თავიდანვე ასე დაგეწყო, არ ჯობდა?

- შენ ის მითხარი, ახლა ისეთი რა გავაკეთო, შენ რომ არ მოგეწყინოს?

- მიმღერე რამე, ანდა სკამზე ადი და ლექსი თქვი!

- არა, მართლა, მართლა! - გაეცინა ნატას.

- იჯექი და მიყურე, მე მალე უნდა წავიდე, ისარგებლე შემთხვევით!

- ეჰ, ისევ მე თუ მოვიფიქრებ რამეს, თორემ... - ნატა წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

- სად მიდიხარ? - მიაძახა მერაბმა.

- იჯექი მანდ და როცა მოვალ, გაიგებ.

- მოწევა თუ შეიძლება?

- შეიძლება კი არა, აუცილებელია, - უკვე სამზარეულოდან უპასუხა ნატამ.

,, ეხლა ეს კონიაკს შემოიტანს, - გაიფიქრა მერაბმა. - მე ვეტყვი, მანქანით ვარ-მეთქი. მერე ჩამაცივდება, გინდა თუ არა, დალიეო, მანქანა აქ დატოვეო (როგორც ყველგან და ყოველთვის იციან), მაგრამ მე მაინც არ დავლევ. მერე მუსიკას ჩართავს და ჩემს საპირისპირო სავარძელში ჩაჯდება. მერე? მერე აღარაფერი... ამიტომ ჯობია დავლიო! ”

ნატამ 5

წუთი მოანდომა სამზადისს. მაგიდაზე შამპანური, შოკოლადი, ნამცხვარი და ხილი გაჩნდა.

- დიდხანს ვიფიქრე მერაბ, მაგრამ ამაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, - მერაბის მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა ნატა.

- დიდებულად მოგიფიქრებია, მაგრამ მანქანით რომ ვარ?

- ვერავინ ვერ დამაჯერებს, რომ მერაბ ბარათაშვილი საჭეს მხოლოდ და მხოლოდ ფხიზელი უზის. გახსენი, გახსენი, არ გიხდება შენ წინდახედული კაცის თამაში.

მერაბმა ბოთლს ხელი მოჰკიდა და მსუბუქად შეანჯღრია.

- რას ანჯღრევ, რძე ხომ არ არის აიჭრას? გახსენი და დაასხი.

- გაზის რაოდენობა მაინტერესებს, - თავი იმართლა მერაბმა, რომელიც ვერაფრით ვერ მიხვდა, თუ რატომ შეანჯღრია ბოთლი. მერე საცობს მავთული შემოხსნა და ფრთხილად მოაძრო.

ორივე ჭიქა შეავსო, ბოთლი ისევ მაგიდაზე დადგა.

- იცი, მერაბ, - წამოიწყო უცებ ნატამ. - გახსოვს ბათუმიდან რომ მოვდიოდით, შენ მაგნიტოფონი ჩართე და ხალხური სიმღერა აღმოჩნდა. იცი, რა გავიფიქრე მაშინ: სხვა კასეტებზე ალბათ დოლ-გარმონი და დუდუკები ექნება-მეთქი ჩაწერილი. ერთი სული მქონდა, ჩემი ეჭვი შემემოწმებინა, მაგრამ ვერ გავბედე...

- ეხლა რამ გაგახსენა? - აშკარად გაუკვირდა ვაჟს.

- რამ და... არ გეწყინოს და ახლაც ერთი ეჭვი დამებადა იმ ეჭვის მაგვარი, ვიფიქრე: ,, ახლა, ალბათ, ფიქრობს, ,, სადღეგრძელო ვთქვა, თუ პირდაპირ დავლიო შამპანურიო “ .

- მაგნიტოფონი მუშაობს?

- რა თქმა უნდა! - უპასუხა ქალიშვილმა.

- მაშინ ერთი, სამი წუთი დამელოდე, - მერაბი ფეხზე წამოიჭრა, კარი ყოველგვარი გაჭირვების გარეშე გააღო და კიბეებზე დაეშვა.

ცოტა ხანში უკანვე მობრუნდა კასეტით ხელში. ისევ სავარძელში ჩაჯდა.

- ჩადე მაგნიტოფონში, - კასეტა ნატას გაუწოდა.

ნატა დაემორჩილა. მაგნიტოფონში კასეტა მოათავსა და უკან მობრუნდა. ისევ სავარძელში ჩაჯდა.

რამოდენიმე წამში მაგნიტოფონმა გაიჩხაკუნა და ოთახში დუდუკის ხმა გაისმა.

- შენ გაგიმარჯოს ნატა! - ჭიქა აიღო მერაბმა. - დიდხანს იცოცხლე. მუდამ ასეთი ჭკვიანი ყოფილიყავი, ჭკვიანი და საინტერესო! - ვაჟმა ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ნატას თვალები გაუბრწყინდა და სახე გაებადრა. ჭიქა აიღო:

- მე კი შენ დაგლოცავ. მუდამ ასეთი, საკუთარ თავში დარწმუნებული, ძლიერი და პირდაპირი ყოფილიყავი, - ნატამ ვიწროყელიანი ჭიქა პირთან მიიტანა და ნახევარზე მეტი დალია.

მერაბმა ისევ შეავსო ჭიქები:

- იცოდე, ნატა, რამდენ ჭიქასაც შენ შესვავ, ზუსტად იმდენს დავლევ მეც. როგორც ნაზ არსებას, უფლებას გაძლევ, ნახევარ-ნახევარი დალიო.

- მასე იყოს, მარა მერე არ მითხრა, ან მანქანის ტარება ისწავლე, ან სიგარეტის მოწევა, ან ღვინის სმაო!

- ჰო, მართლა, სიგარეტის მოწევის უფლება გთხოვე, მოწევა კი დამავიწყდა, - მერაბმა მაგიდაზე დადებული კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო და მოუკიდა. - შენ აღარ შემოგთავაზებ, ვიცი, ,, კოსმოსს " მაინც არ მოწევ...

- მე საერთოდ არ ვეწევი. მაშინ მანქანა მამაჩემს ვთხოვე და იმას დარჩენია. მეც იმ დილით შევამჩნიე...

- ყველაფერი გასაგებია... - გაეღიმა ბარათაშვილს. - მე კი ერთი თხოვნა მაქვს შენთან: საფერფლე მომეცი, თუ ღმერთი გწამს.

ნატა ფეხზე არც ამდგარა, მარცხნივ ხელი გადაჰყო და თაროდან მწვანე შუშის საფერფლე აიღო, მერაბს გაუწოდა.

- მერაბ! გინდა, ერთ გამოცანას გეტყვი, ძალიან საინტერესოს. ისეთს, დედამიწის ზურგზე ორი კაცის მეტმა რომ არავინ იცის. მხოლოდ სიტყვა მომეცი, რომ არ მკითხავ, ვინ მასწავლა ეს თავსატეხი...

- გაძლევ სიტყვას! - უდარდელად უპასუხა მერაბმა და სავარძელის ზურგს მიეყრდნო.

- მაშ ასე, ერთ ქალაქში, ერთ სკოლაში, ერთ მე-9 კლასში სწავლობდა ერთი ჩვეულებრივი ბიჭი.

- ეგ ზღაპარს უფრო წააგავს, - გააწყვეტინა მერაბმა.

- მოიცა, მომისმინე! ამ ჩვეულებრივ ბიჭს ერთმა მეგობარმა, ან უბრალოდ, კლასელმა ბიჭმა სთხოვა, მეორე დღისათვის პატარა, ეგრეთ წოდებული ჩანთის სარკე მოეტანა მისთვის, თუ ჰქონდა, რა თქმა უნდა.

მეორე დღეს პირველმა ბიჭმა მეორეს მოუტანა პატარა სარკე და გაკვეთილის დაწყებამდე მისცა.

ხოლო დამთავრდა თუ არა გაკვეთილი, პირველმა, ესე იგი ვინც სარკე სახლიდან მოიტანა, მეორე, ესე იგი ვისაც სარკე გადასცა, დერეფანში შეაჩერა და ისეთი მუშტი უთავაზა, რომ ამ უკანასკნელმა მანამდე დაკარგა გონება, სანამ დაეცემოდა. წასკდა ცხვირიდან სისხლი და ძლივს გაუჩერეს. ხოლო დაცემისას სარკე გაუვარდა და დაიმტვრა.

ეს ამბავი ყველამ გაიგო და რადგან პირველმა არ თქვა, რატომ დაარტყა მეორეს, იგი სასტიკად დაისაჯა: პედსაბჭოზე გამოიძახეს მშობლები და გვარიანად გალანძღეს.

აბა, ახლა მითხარი, ხომ არ იცი, რატომ დაარტყა პირველმა ბიჭმა მეორეს.

- ვინ გითხრა, ნატა, შენ ეგ? - ჰკითხა მერაბმა.

- შენ

მე სიტყვა მომეცი, რომ ამას არ მკითხავდი.

- კარგი ბატონო, არ გეკითხები.

- მიპასუხე კითხვაზე. რატომ დაარტყა პირველმა მეორეს.

- იცი, ნატა, რადგან იმ პირველმა, ჩვეულებრივმა ბიჭმა არ თქვა, თუ რისთვის დაარტყა მეორეს, აწი არ მგონია, კიდევ როდისმე თქვას!

- მითხარი, მერაბ, ძალიან გთხოვ!

- ვერ ამოვხსნი ნატა მე მაგ ამოცანას, და თუ დავარტყი, დასარტყმელი იყო, ან პირიქით, მე შევცდი და მერე, იქნება, ბოდიშიც მოვუხადე!

- მე ამოვხსნი... - თქვა უცებ ნატამ.

- ეჭვი მეპარება. - უპასუხა მერაბმა.

- შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ მე მაინც მგონია, ასე იყო: კლასელმა გთხოვა სარკე. შენ არ იცოდი, რისთვის უნდოდა და მიეცი. შეიძლება იმან ასეც გითხრა: შენ სარკე მომეცი

და არ ინანებ, ნახავ, რისთვის მინდაო.

მერაბი თოფნაკრავივით მოწყდა სავარძლის საზურგეს და წინ გადაიხარა.

- მერე ზარი დაირეკა, - გააგრძელა ნატამ, - შენი კლასელი პირველ, მასწავლებლის მაგიდას რომ ესაზღვრება, იმ მერხზე იჯდა. სარკე ფეხზე დაიდო და... და დაინახა მასწავლებლის სხეულის ის ნაწილები, რომლის დანახვასაც სხვაგვარად ვერ შეძლებდა. ხომ ასე იყო? - დაამთავრა ნატამ და მერაბს შეაცქერდა.

მერაბს სახე წამოენთო და ნატას გაოცებული მიაშტერდა.

- როგორ მიხვდი შენ. ან რატომ გაამახვილე ყურადღება მაინცადამაინც სარკეზე? ჯერ არავის არ მოსვლია აზრად, რომ იმ ჩხუბის მიზეზი სარკე იყო. ესე იგი, ვინც შენ ეგ გითხრა, ის მიხვდა?

- არა, უბრალოდ, იმ ,, ვიღაცამ " შენს შესახებ ბევრი საინტერესო რამ მიამბო, მათ შორის ესეც. მე დავინტერესდი და ვთხოვე, დაწვრილებით გაეხსენებინა თითოეული დეტალი. იმანაც მითხრა, დაცემისას სარკე გაუტყდაო. მერე გამოვარკვიე, საიდან გაჩნდა მის ხელში სარკე და ყველაფერი ნათელი გახდა. ეს ისტორია კი შემთხვევით გაახსენდა მას, ვინც შენ კარგად გიცნობს, ქუჩაში სკოლის მოსწავლეების ჩხუბმა გაახსენა...

მერაბმა გაოცება ვეღარ დამალა და თავი გააქნია...

- სანამ დროა, გადაიტანე საბუთები იურიდიულზე, თორემ დაიღუპება დიდი ტალანტი.

ნატამ გაიცინა:

- მერაბ! თუ არ გეწყინება, იმ კასეტას გამოვიღებ მაგნიტოფონიდან, თორემ ან ვიკივლებ ან ირანულ ბაიათს შემოვძახებ.

- გამორთე! არც მე ვარ იმის ხასიათზე ახლა, მაგრამ ირანულ ბაიათს თბილისური რომ არ მოუხდება, ეს კი უნდა იცოდეს შენისთანა ნიჭიერმა და განათლებულმა ქალიშვილმა.

- მომწონს! რაც გიყვარს, იმის დაცვაც უნდა შეგეძლოს!

- რაც გიყვარს და ვინც გიყვარს, იმის დაცვას თუ არ ცდილობ, მის სიწმინდეში, სიმართლეში და ღირსებაში ეჭვი შეგეპარება და დაკარგავ! საიდან იცნობ ეკას!

- ვინ ეკას?! - თითქმის წამოიყვირა ნატამ და მაგნიტოფონიდან კასეტა ,, გამოგლიჯა " .

- მორჩა, შენ თვითონ გაყიდე შენი თავი, საიდან იცნობ ეკა ჯაფარიძეს? მითხარი! - გამარჯვებულის ღიმილი აუთამაშდა სახეზე მერაბს.

- ისე, არც შენ გაწყენდა იურიდიული ფაკულტეტი, მე თუ მკითხავ, - უხალისოდ მიუბრუნდა ნატა მაგიდას. - საიდან ვიცნობ და ეკა დედაჩემის საყვარელი სტუდენტი

იყო. ჩვენთან სტუდენტები ხშირად მოდიან და რაღა თქმა უნდა, ეკაც. მხოლოდ, გაფიცებ ყველაფერს, არ უთხრა არაფერი. ყველაფერი ჩემიდან დაიწყო: ეკა რომ დიდუბეში ცხოვრობდა, ვიცოდი და ვკითხე, მერაბ ბარათაშვილს ხომ არ იცნობ-მეთქი. კლასელიაო, მითხრა...

დედაჩემი სულ იმას იძახის, ეკასთანა გოგო თბილისში არ დადისო. რამეს რომ დავაშავებ, იმ წუთში იმას მეტყვის, ეკა ასე არასოდეს არ მოიქცეოდაო.

გუშინწინ იყო აქ და მაშინ მითხრა ეს ყველაფერი.

თავიდან მე შევჩივლე, დიდი უხეში და გამოუცნობი ვინმეა-მეთქი მერაბი.

- გამოუცნობიო? - მითხრა. - ჯერ სადა ხარ, ცოტა აცალე და მერე ნახავო.

ისე ლაპარაკობდა მერაბ შენზე, ისეთი დიდი აღფრთოვანებით და ენერგიით ჰყვებოდა... ბრმაც მიხვდება, რომ სიგიჟემდე უყვარხარ.

- მოგეჩვენა! - ცივად თქვა მერაბმა და ხელში ჭიქა აიღო. - უბრალოდ, ადრე ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით... მერე დრომ თავისი მოიტანა.

- არა, შენ ტყუილი არ გამოგდის. მესამე წელია, არ გინახავთ ერთმანეთი. უმიზეზოდ ასეთი რამე არ ხდება.

- ჰო, კარგი, მოქალაქე გამომძიებელო, გვეყოფა და დამალევინე ეს გაზიანი წყალი.

- გისმენ, ბატონო!

- პირიქით, შენ გისმენ. შენ იმდენი ვაჟკაცური თვისება გაქვს, თამადობაც უნდა გეხერხებოდეს, ჩემი აზრით...

- მართალი ხარ, - ნატამ ჭიქას მოკიდა ხელი. - მოდი, ჩვენს შერიგებას გაუმარჯოს, კარგი? როგორია?!

- უკეთესს ხომ ვერ იტყოდა ვერცერთი ქართველი თამადა, ყოჩაღ! - შეაქო მერაბმა და ჭიქა მიუჭახუნა.

* * *

ნახევარ საათზე მეტი გავიდა,

რაც მერაბმა მანქანა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან გაუჩერა.

კიდევ ერთხელ დახედა საათს. 3-ის ოცი წუთი იყო...

უცებ ინსტიტუტის კარი გაიღო და ლანა გამოვიდა, კიბეზე ჩამოირბინა და სწრაფი ნაბიჯებით მერაბის მიმართულებით გაეშურა.

,, ეტყობა, შემამჩნია “ , - გაიფიქრა მერაბმა და მანქანა დაქოქა... მაგრამ მისდა გასაოცრად, ლანა მერაბის მანქანამდე არ მისულა, წითელი ,, ჟიგულიდან “ 5-7 მეტრში მდგარი ,, ვოლგის “ კარი გამოაღო და ჩაჯდა.

მერაბმა ,, ვოლგის “ ნომერს შეხედა და ადგილზე გაიყინა... ეს ემზარ ბარქაიას მანქანა იყო.

,, რა ვქნა, გადმოვიდე და მივიდე? არა... შემომაკვდება! გავიპარო?.. ყოჩაღ ლანა, ყოჩაღ!.. კი მაგრამ, რას უყურებს, რატომ არ მიდის. როდემდე აპირებენ აქ დგომას? “

თითქოს ლანამ მერაბის კითხვა გაიგოო, კარი გამოაღო, გადმოვიდა და ამჯერად უკვე სირბილით გაემართა ინსტიტუტისაკენ.

ამ დროს თეთრი ,, ვოლგაც “ დაიქოქა. ემზარმა საჭე მარცხნივ მოზიდა და ის იყო მანქანა დაიძრა, რომ წითელი ჟიგული საბურავების ღრჭიალით ადგილს მოსწყდა და გზა გადაუღობა.

- ე! სიძე! - მერაბმა მოპირდაპირე მხარეს გვერდის შუშა ჩამოსწია. - თუ შენ ჩემი სიტყვები დაგავიწყდა და მაინც აპირებ ლანას ცოლად მოყვანას, ღმერთი არ გაგიწყრეს და მამაჩემის უკითხავად არ წაიყვანო, რადგან არავითარი სურვილი არ მაქვს საკუთარი და 22 წლის ასაკში დავაქვრივო! - ეს ერთი!

ახლა მეორე, - როცა ჩემს მოკრძალებულ თხოვნას შეასრულებ და მამაჩემთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მიხვალ, ისეთი დრო შეარჩიე, მე სახლში რომ არ ვიყო, რადგან არც იმის სურვილი მაქვს, ჩემმა დამ მთელი თავისი ახალგაზრდობა ხეიბარი ქმრის მოვლას შეალიოს. გაიგე?!

ემზარს მერაბის დანახვისთანავე ფერი ეცვალა და მისი ყველა სიტყვა აფეთქებას გამოიწვევდა ეგონა. ,, აი, ან ახლა გადმოხტება მანქანიდან და მეცემა, ან ახლაო “ , - ფიქრობდა იგი, მაგრამ შეცდა, - მერაბმა თავისი ,, ორპუნქტიანი ულტიმატუმი “ ჩაათავა თუ არა, ისევ მოსწყვიტა მანქანა ადგილს და გზას დაადგა.

ემზარმა მანქანა ისევ გამორთო. საჭეს ჩააშტერდა. მერე უცებ გადმოხტა მანქანიდან, კარი უბრალოდ მიხურა და სირბილით შევარდა ინსტიტუტის შენობაში.

გაირბინა დერეფანი. აირბინა კიბეებიც, საკონცერტო დარბაზის კარი ქოშინით გამოაღო:

- ლანა!

დარბაზში უამრავი ხალხი იჯდა, მესამედი თითქმის შევსებული იყო. სცენაზე 7-8 კაცი იდგა და ემზარის ყვირილმა აბსოლუტურად ყველას ყურადღება მიიპყრო.

- რა მოხდა? - შესძახა შეშინებულმა ქალიშვილმა პირველი რიგიდან და სირბილით

გამოექანა მისკენ.

დარბაზი გაიყინა.

ქალ-ვაჟი გარეთ გამოვიდა.

- რა მოხდა, ემზარ?

- მერაბი იყო ლანა, მერაბი, შენი ძმა და... - ყელი გაუშრა ემზარს.

- ვაიმე, არ გადამრიო! - შეშფოთებით დაწყებული წინადადება ტირილით დაამთავრა ქალიშვილმა და კედელს მიაყრდნო შუბლი.

- მოიცა, - სული მოითქვა ემზარმა. - მოიცა, რა გატირებს გოგო, იცი რა მითხრა?

- დაგინახა კიდეც, ვაიმე დედა... - უკვე ხმამაღლა აღრიალდა ლანა.

- ვაჰ! ეს ვინ ყოფილა, კაცო... რა გატირებს გოგო, მომისმინე, რა მითხრა. - თავისკენ მოატრიალა ემზარმა ქალიშვილი. - კი არ უნდა ტიროდე, უნდა გიხაროდეს!

- რა უნდა მიხაროდეს? - უცებ შეწყვიტა ტირილი ” ლანამ.

- იცი, რა მითხრა?

- თქვი, ნუ დამილიე სული...

- მამაჩემის დაუკითხავად არ წაიყვანოო... - აღტაცების მოლოდინში დაიკრიჭა ემზარი და მზის სათვალე, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ეკეთა, მოიხსნა.

- რაო? - ემზარი არ შემცდარა. - ლანას თვალები გაუფართოვდა.

- ჰო, ჰო! თან, ხო იცი რა ტიპია, თავისებური თუ არ დააყოლა, არ შეუძლია: ისეთ დროს ადი ლანას ხელის სათხოვნელად მამაჩემთან, მე რომ სახლში არ ვიყო, თორემ ძალიან გავბრაზდებიო.

ლანას ისევ ცრემლები გადმოსცვივდა, ტუჩები შეკუმშა, წარბები აუთამაშდა და ატირდა კიდეც, მაგრამ ეს უკვე სიხარულის ტირილი იყო.

- კარგი, გაჩუმდი, სირცხვილია! არავინ გამოვიდეს! რა გატირებს? - ჩუმად ჩურჩულებდა სახეგაბადრული ემზარი და გულში ჩაკრულ ქალიშვილს, ბედნიერებით ანთებული თვალებით დასცქეროდა ზემოდან. - ჰო, კინაღამ დამავიწყდა. - „ სიძეო “ დამიძახა.

- „ სიძე “ არა ის კიდევ! - ლანამ მკერდში მუშტი მიარტყა („ ტყუილისათვის “ დასაჯა).

- ვაი, უნამუსო, მამაძაღლი და თან ობოლი ვიყო თუ გატყუებდე.

- ემზარ! - ისევ გულში ჩაეკრა ქალიშვილი მაღალ, გამხდარ ვაჟს.

* * *

ნოემბრის დასაწყისში საგრძნობლად აცივდა.

ხალხიც უცებ გადაერთო ზამთრის დროზე და ქალაქიც თითქოსდა დაწყნარდა, დაშოშმინდა.

უკვე ადრე ღამდებოდა და ქუჩებიც ძველებურ ხალხმრავლობას ვეღარ დაიკვეხნიდნენ.

სამაგიეროდ, ჭადრების ქვეშ მოფენილ ყვითელ ფოთლებს დაეკარგათ სათვალავი.

იასონმა ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა, მაგრამ უშედეგოდ. ზარმა არ დარეკა. მეორედ სცადა, - იგივე შედეგი მიიღო... დააკაკუნა...

- იასონ! - წამოიძახა მერაბმა, რომელმაც კარი გამოაღო და ულვაშა მეგობარს გადაეხვია.

- როგორ მოხდა, სახლში რომ დამხვდი? - ოთახში შეაბიჯა იასონმა.

- შენ ის მითხარი, რას ამბობენ მოსკოველი ექიმები.

- რა უნდა თქვან, - ხელები გაშალა იასონმა. - ამბობენ, ყველაფერი კარგად იქნება, შენ თუ კარგად იქნებიო!

- არა! მომისმინე, შენ ხომ შემპირდი დეპეშას გამოგიგზავნი და შეგატყობინებ, სად ვიქნებიო. მე, კარგი ჯანდაბას, მაგრამ ბებიაშენს მაინც ხომ უნდა სცოდნოდა, სად იმყოფება მისი განუმეორებელი, ერთადერთი, ულვაშია-ნი შვილიშვილი.

- გმადლობთ!

- რის მადლობას მიხდი.

- როგორ თუ, რის მადლობას. გავიგე, რომ ბებიაჩემთან ასულხარ და მისამართი გიკითხავს. განა ასეთ ერთგულ მეგობარს მადლობა არ ეკუთვნის? შეცვლილი ხარ მერაბ, თან მარტო ფიზიკურად კი არა...

- ჰო, მართალი ხარ! - მერაბმა ამოიოხრა და უეცრად დასერიოზულდა.

- რამე ხომ არ მოხდა? - დაეჭვდა იასონი.

- მოხდა, ალბათ რაღაცა! - დაბალი მაგიდის კუთხეს მიაშტერდა ბარათაშვილი.

- მაინც? არ მეტყვი?

- სათქმელი და მოსაყოლი ბევრი მაქვს, იასონ. ეგ მერე იყოს. შენ ის მითხარი, როგორა ხარ.

- მე ყოველთვის კარგად ვიყავი, მაგრამ ოჯახს დააჯერებ? მითხარი, რა მოხდა?

- რაც შენ წახვედი, არეულად წავიდა ცოტა ჩემი ცხოვრება. დამტუქსავი და შენიშვნის მომცემი არავინ მყავდა და ხომ იცი, თავისუფლება ჩემზე როგორ ცუდად მოქმედებს?! - მერაბმა ეს მოკლე შესავალი გააკეთა და მერე კი თავიდან ბოლომდე მოუყვა მეგობარს ყველაფერი: დაწყებული ნატადან და დამთავრებული ემზარით და ლანათი.

გაიხსენა თითოეული წვრილმანი და იასონს ყოველივე ეს ისე მხიარულად მოუყვა, რომ რამოდენიმეჯერ იასონმა გულიანად გადაიხარხარა.

- დღეს დილას საგრძნობლად ციოდა. მთელი დღე უნივერსიტეტის ეზოში გავატარე, ნატა კი გითხარი უკვე ვინც არის, მასთან და რამოდენიმე ჯგუფელთან ერთად. საღამოს სახლში მოვედი გათოშილი და ცხელი აბაზანა მივიღე. მერე ჩავიცვი და კარებზე კაკუნის ხმა გაისმა. გავაღე კარი და ვხედავ, ერთი ულვაშიანი კრეჭია დგას კართან! დანარჩენი შენც იცი. აი, სულ ეს არის ჩემო იასონ! - გაიღიმა მერაბმა.

- განუმეორებელი იუმორის ნიჭით ხარ დაჯილდოებული! პირდაპირ მშურს! - იასონმა ტაში შემოჰკრა. - ახლა როცა ყველაფერი ვიცი, მითხარი, რას აპირებ.

- როგორ თუ, რას ვაპირებ?

- ჰო, დავიწყოთ ლანასგან: აი, რომ ამოვიდეს ამ დღეებში მშობლებით და ყვავილებით, რას იზამ? ემზარზე გეუბნები, გესმის? რას ჩაფიქრებულხარ?

- არ ვიცი. სხვა, უფრო ადვილი კითხვა აღარაფერი გაქვს?

- შენი მონაყოლიდან, მათ შორის რაც ჩემთვის გაუგებარია და რისი კითხვაც შეიძლება, ადვილი მარტო ის არის თუ ვიკითხავ, შენ, ავთომ და გოგამ რომ იქეიფეთ და მამაშენმა ფული გადაგიხადათ, რამდენს შეადგენდა თქვენი დანახარჯი-მეთქი, მაგრამ ეს ნაკლებად საინტერესოდ მეჩვენება... კარგი ბატონო, გოგაზე რას ფიქრობ, ის მითხარი მაშინ.

- მე წინასწარ არასოდეს ვფიქრობ... გოგას რა სჭირს ჩემი საფიქრალი, უყვარს - მოიყვანს. ეკას ცოლად მოყვანა გოგას სანანებელი არ გაუხდება.

- მერე შენ?

- რა, მე? შენ ხომ არ გადაირიე?!

- ყოჩაღ გოგა, კაცური კაცი ყოფილა!

- რატომ დაასკვენი?

- ბევრი, მის ადგილზე ამას არ გააკეთებდა.

- შენ გოგას ცუდად იცნობ. ძაღლივით ერთგულება იცის და ამასთან ძალიან ჯინიანია. თუ ერთხელ რამეს მოჰკიდა ხელი, ეგრე ადვილად არ ჩამოეხსნება.

- შენ ეკა სულ აღარ გიყვარს?

- შენ სამკურნალოდ წახვედი მოსკოვში თუ დასაავადმყოფებლად?! რას ნიშნავს ,, სულ " ?.. ისე მელაპარაკები, თითქოს ახლა გამიცანი.

- არა, შენ დიდი ხანია გიცნობ და სწორედ ამიტომ გეკითხები. ჰო, მართლა, შენი სამხედრო მეგობარი ვნახე შემთხვევით, აეროპორტში.

- კაკო?

- შენ რა იცი? - გაუკვირდა იასონს.

- ძალიან გულმავიწყი ხარ იასონ, მე ჯარში ერთი მეგობარი მყავდა, მეტი არა. ბატალიონში ორად-ორი ქართველი ვიყავით სულ. შენ ის მითხარი, როგორ მიხვდი, რომ კაკო ჩემი მეგობარი იყო?

- ძალიან მხიარული ვინმეა: თვითმფრინავმა გამოფრენა დააგვიანა და რადგან მის გვერდით ვიდექი, ლოდინში რომ არ მოეწყინა, ისე გამომელაპარაკა. მეც ავყევი... ნახევარ საათში სამშობიარო სახლიდან დაწყებული და გუშინდელი დღით დამთავრებული, მთელი თავისი ისტორია მომიყვა. ჯარს რომ მიადგა, პირველ რიგში, შენ გახსენა. მეც უცებ ,, გამოვტაცე " შენი სახელი და გვარი და

მეორე ნახევარი საათი მე ვუყვებოდი.

კარზე ისევ გაისმა კაკუნის ხმა.

მერაბმა კარი გააღო. ღია კარებში ავთო გელაშვილი იდგა.

შემოვიდა, თბილი ,, კურტკა " უხმოდ გაიხადა და საკიდზე დაკიდა.

- რა დამწუხრებული სახე გაქვს ბიჭო? - კარი მიხურა მერაბმა.

ავთომ მისაღები ოთახის კარი შეაღო და შევიდა.

- ვაჰ, იასონ, გენაცვალე!.. - იასონი ფეხზე წამოიჭრა და ავთოს გადაეხვია.

- როგორა ხარ, ავთო?

- მეე?.. ტანკივით! შენ როგორა ხარ, შენა?

- მაგრად! - დაიკრიჭა იასონი ტრადიციულად.

მერაბი დოინჯშემოყრილი იდგა და ღიმილით შესცქეროდა მეგობრებს. მერე ერთთავად მოტრიალდა, ძველი კარადის ყველაზე მაღალი თაროდან არყის მაღალ-ყელიანი გრაფინი ჩამოიღო და მაგიდაზე დადგა:

- ავთო, ხომ არ გეჩქარება?

- პირდაპირ გეტყვი: დალევის ხასიათზე ვარ, როგორც არასდროს.

მერაბს აღარაფერი უთქვამს, ოთახიდან სამზარეულოში გავიდა. უცებ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

ყურმილი ავთომ აიღო:

- გისმენთ!

- მერაბ, შენ ხარ? - ყურმილში ქალიშვილის ხმა გაისმა.

- არა, მე... ახლავე დავუძახებ, - ავთომ ყურმილი იასონს გადააწოდა და წამოდგა. სავარძელმა შვებით ამოისუნთქა.

- მერაბიკოოო! - მერაბს ყურთან მიუტანა ტუჩები ავთომ. - ყურმილი აიღე! რომელიღაც ფისო თხოულობს შენთან საუბარს.

- ვინ ფისო? - ჭიქები ავთოს მიაჩეჩა მერაბმა და ხელები პირსახოცზე შეიმშრალა.

- ყურმილი აიღე და გაიგებ, - უპასუხა გელაშვილმა.

მერაბი ოთახში შევიდა და იასონს ყურმილი ჩამოართვა:

- რა ბუზების საკლავივით გიჭირავს, ბიჭო?

- გისმენთ!

- მერაბ, შენა ხარ? - ელვის სისწრაფით წარმოთქვა ქალმა სამივე სიტყვა.

- ჰო, ნატა, მე ვარ. რა ხმა გაქვს, რა მოგივიდა?

- მერაბ, ვიღაცა მხეცი დგას კარებთან და გინდა თუ არა, კარი გამიღეო. იგინება, აბრახუნებს... რა ვქნა?

- ნუ გეშინია, ნატა, 5 წუთში მანდ ვარ... კარი არ გააღო!

მერაბმა უცებ დააგდო ყურმილი, ოთახიდან გამოვარდა, თავპირისმტვრევით დაეშვა კიბეზე. კიბე ჩაირბინა, მოაგონდა, გასაღები რომ არ აუღია და უკანვე ამობრუნდა.

შესასვლელ კართან ავთო და იასონი შეეჩეხნენ.

- სად გარბიხარ, ბიჭო? - ჰკითხა დაფეთებულმა გოლიათმა.

- შემეშვი! - მერაბმა თაროდან გასაღები აიღო და ისევ გარეთ გავარდა.

- რა ვქნათ? - მოუტრიალდა ავთო იასონს.

- წავედით, კარი მოხურე! - იასონიც კიბეებზე დაეშვა.

- არ იკეტება იასონ! - მიაძახა შეწუხებულმა ავთომ ულვაშას.

- დარჩი! - უკვე ყრუდ მოისმა იასონის ხმა.

* * *

მერაბმა მანქანა პირდაპირ ნატას სადარბაზოსთან შეაჩერა. მანქანიდან გადმოხტა და გიჟივით შევარდა. უკან იასონი მიჰყვა.

მერაბმა კიბეები ნახტომებით აათავა და უსაშველოდ მაღალ 43-45 წლის კაცს, რომელიც სწორედ ამ დროს კარზე აკაკუნებდა, სიტყვის უთქმელად დაჰკრა მთელი ძალით მოქნეული მუშტი შუბლში.

ამ უკანასკნელმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ნახევარი მეტრის უკან კედელს მიენარცხა და ფურცელივით ჩაცურდა გრძნობადაკარგული, მეტლახით მოპირკეთებულ იატაკზე.

ამ დროს კარიც გაიღო.

- ვაიმე, მამა! - იკივლა ნატამ და ძირს გაშხლართულ მამაკაცს მივარდა.

იასონი სწორედ ამ დროს ამოვიდა აქოშინებული.

- მამა?! - შეიცხადა მერაბმა და გაოცებისაგან ადგილზე გაქვავდა.

და მერე მოხდა ის, რამაც მერაბი უფრო განაცვიფრა: ოთახიდან, ღია კარში, დაახლოებით წლინახევრის, ცისფერბაფთიანი ბავშვი გამობანცალდა. - მას უკან დედა გამოჰყვა, - ეკა ჯაფარიძე.

- ვაიმე დედა, მიშველეთ რამე! - იკივლა ნატამ და მამა შეანჯღრია.

იასონმა გაქვავებულ მერაბს მხარი გაჰკრა და ბინაში შევარდა: სამზარეულოში ღრმა რკინის თასი მოძებნა, წყლით გაავსო და ისევ სადარბაზოში გამოვიდა, მაგრამ დაიგვიანა: ნატა და ეკა მამაკაცს უკვე წამოდგომაში ეხმარებოდნენ.

იასონმა თასი იქვე დადგა და ქალიშვილებს მიეხმარა.

მამამ გაბრუებული თავი სველი ქათამივით გააქნია და ახალგაზრდებისაგან თავი გაინთავისუფლა. გახეთქილ წარბზე ხელი მოისვა, მოტრიალდა და მერაბს დააკვირდა:
- ვინაა ნატა ეს? - კართან გაჩერებულ მერაბზე მიანიშნა ქალიშვილს.

- ჩემი... ჩემი მეგობარია მამა, - ძლივს ამოღერღა ნატამ, რომელიც თავიდანვე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე.

- კარგი მეგობრები გყავს, მამა გენაცვალოს! - ამოილუღლუღა ახმახმა და ბარბაცით საძინებლისაკენ გაემართა.

მერაბი კიბის მოაჯირს მიეყრდნო. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. ისვ მოიჩხრიკა ჯიბე, მაგრამ ასანთი ვერ იპოვა და სიგარეტის ფშვნას მოჰყვა.

- გამარჯობა, მერაბ.

ვაჟმა თავი აწია. - ეს ეკა იყო.

- გამარჯობა, ეკა, - უპასუხა ბარათაშვილმა და გასწორდა.

იასონმა ქალ-ვაჟს შუაში გაუარა და კიბეებზე დაეშვა:

- ვაი, სულ გამოვშტერდი, - უკან მობრუნდა. - ეკა, სახლში ხომ არ აპირებ წასვლას, ჩვენ... მე

გაგიყვან.

- კი, ვაპირებ, - გაიღიმა ეკამ. - ჯუნა, სად ხარ, დედიკო?

,, დედიკო “ , გაიმეორა გულში მერაბმა და იმ მხარეს მიაშტერდა, საითაც ეკამ ბავშვს გასძახა.

ისევ გამობაჯბაჯდა პატარა, ცისფერბაფთიანი გოგონა, დიდი ცისფერი თვალებით. დედის ფეხს შემოეხვია და მერაბს ჯერ გაუღიმა, მერე ეშმაკურად დაეჭყანა.

მერაბს ძალიან უნდოდა თავი შეეკავებინა, მაგრამ გადაღლილმა და ნერვებმოშლილმა ვეღარ მოახერხა, უხმოდ ჩაიცინა და ბავშვთან ჩაიმუხლა:

- რა გქვია შენ?

ბავშვმა პასუხის მაგივრად ცხვირზე მოავლო ხელი და გულიანად გადაიკისკისა.

- ჯუნა, რას შვრები, დედიკო, - ხელი გააშვებინა ეკამ.

იასონი იქვე იდგა და ყველაფერს ხედავდა. მიხვდა თითქოს, რომ მერაბს ახლა მიხმარება სჭირდებოდა, ორი საფეხური ამოირბინა, ბავშვთან მივიდა და ხელში აიყვანა:

- უწუ-უწუწუ, აი, შე ეშმაკო, - ცხვირზე მიაჭირა საჩვენებელი თითი. - წავედით? - გახედა ეკას.

- წავედით, მხოლოდ ნატას დავემშვიდობები, - ეკა ისევ ბინაში შებრუნდა.

- იასონ, გასაღები მანქანაშია, - კიბეებზე დაეშვა მერაბი. - მე ფეხით გავივლი და მოვალ.

- მოდი რა, ნუ ქაჯობ, რას ნიშნავს ახლა ეგ?! - გაცხარდა ულვაშა.

მერაბს აღარაფერი უპასუხია, ძუნძულით ჩაათავა კიბეები და ქუჩაში გავიდა.

* * *

იასონმა მანქანა დაძრა.

ბავშვმა ცხვირი დააცემინა.

- გაზრდა-გახარება, - წინიდან უკან გადმოსძახა ვაჟმა.

- მადლობა იასონ, - თქვა ეკამ.

- მადრობ, იაშო, - გაიმეორა ჯუნამ და ისევ გადაიკისკისა.

- უყურე შენ ამ ეშმაკს, ლაპარაკიც სცოდნია.

- სცოდნია კი არა, ყურები გვაქვს წაღებული ამის ტყიპინით, - თქვა ეკამ და ბავშვს თავზე ფრთხილად აკოცა.

- მერაბი ფეხით წავიდა. ძალიან განერვიულდა და ასე ამჯობინა. ეკას ბოდიში მოუხადეო ჩემს მაგივრად, - იცრუა ვაჟმა. - ხომ იცი, როგორი ფიცხია.

- ვიცი... რა მოხდა, მაინც ვერ გავიგე წესიერად...

- ანეგდოტი რომ არის, ხომ იცი ,, არ ვიცი, მეც ახლა მოვედიო “ , ზუსტად ისე მომივიდა. კიბეები რომ ავათავე, მერაბი იდგა, ის კაცი იწვა, ნატა კიოდა. ისე, ძნელი მისახვედრი არაა..

- რაიმე აწყენინა, ალბათ, ადრე ბიძია ტარიელმა.

- ვის, მერაბს? რა უნდა ეწყენინებინა, პირველად ნახა კაცი. არა, იცი რა მოხდა? - ვიღაცამ დარეკა, მერაბთან ვიყავით. არ ვიცი იმ გოგონამ რა უთხრა, მაგრამ მერაბმა: - ნატა ნუ გეშინია, კარი არ გაუღო, ხუთ წუთში მანდ ვარო. გიჟივით გამოვარდა, ძლივს დავეწიე. მანქანა ისეთი სისწრაფით მიყავდა, სულ ,, ვაი, დედა “ მაძახებინა. დანარჩენი

შენც იცი. კიბეებზე ამასწრო და იმ კაცს „ დაუფიქსირა “ როგორც ჩანს „ მარჯვენა-პირდაპირი “ .

- ყველაფერი გასაგებია, - გადაიხარხარა ეკამ.

გადაიხარხარა ჯუნამაც.

იასონმაც გამოაჩინა ულვაშებს შორის კბილები.

* * *

„ ეკა სასწაულად შეცვლილა “ , - პოლიტექნიკურ ინსტიტუტს გვერდი აუარა მერაბმა და ხიდისაკენ დაეშვა. „ გაზრდილიც კი მეჩვენა თითქოს, მაგრამ ალბათ ეს სიგამხდრის ბრალია! გამხდარა...

ნეტავ, რა იფიქრა დღევანდელზე? თუმცა, იასონი ეტყოდა!..

ბავშვი? კოპიო ეკაა, ცისფერთვალება და შავთმიანი. კარგი ბავშვია!..

ნატა ამბობს, - უყვარხარო ეკას! რა იცის ნატამ?! ალბათ იცის... რა გული აგიჩუყდა მერაბ, ეგ ის ეკა არ არის, ძაღლივით რომ გაგყიდა? ის ეკა არ არის, ფეხებზე რომ დაიკიდა შენი ერთგულება და სიყვარული. ის ეკა არ არის, რომელსაც ყელში ამოუვიდა შენი უაზრო სიამაყე და გაუთავებელი ფათერაკები? ის ეკა არ არის, კაცობაზე რომ მიგიფურთხა და შენს დანახვაზე მისი თვალები ზიზღს აფრქვევდნენ?!

მაინც რა მოხდა, რატომ ჩამოიშორა ემზარი, თავისი ბავშვის მამა. დავიჯერო, მხოლოდ ჩემი გულისათვის? თუმცა სხვა მიზეზს ვერც ვხედავ!

საკმაოდ დიდი ხანი მათამაშა და მაწვალა. ძვირად დამისვა და ახლა უკვე ჩემი დრო დადგა, მაგრამ როდის იყო, ქალთან ანგარიშს ასწორებდი, ბარათაშვილო!

ეგრეც არ იყოს, ეკას ჩემი რევანში აღარ ესაჭიროება, ცხოვრებამ უკვე აუღო “ .

მერაბმა ხიდი ჩაათავა და მარცხნივ გადაუხვია.

ნაწილი მესამე

დაახლოებით 8-ის ნახევარი იქნებოდა, ნუგზარმა მერაბის კარი რომ შეაღო. ოთახი სიგარეტის კვამლით იყო სავსე. მერაბი კი გაუნძრევლად იწვა და თავი ბალიშში ჰქონდა ჩარგული.

შემოსულმა ფანჯრები გამოაღო.

- მერაბ!

მერაბმა ჯერ თავი წამოსწია, მერე კი საწოლზე წამოჯდა.

- შენ რა, არ გეძინა? - ფანჯრის რაფას მიეყრდნო მამა.

- მეძინა.

- აბა, ამდენი სიგარეტის მოწევა როდისღა მოასწარი? - ჯერ საფერფლეს დახედა ნუგზარმა, მერე კი ბოლზე მიანიშნა.

- წუხანდელია, - ფეხზე წამოდგა მერაბი და კარებისაკენ წავიდა.

- არ წახვიდე, საქმე მაქვს!

მერაბი უხმოდ მოტრიალდა და საწერ მაგიდაზე ჩამოჯდა.

- იცი, ვინ იყო გუშინ საღამოს აქ?

მერაბმა ხმა არ ამოიღო და ნუგზარი მიხვდა, ეს შეკითხვა ზედმეტი იყო.

- იცნობ? - გააგრძელა მამამ.

- ვის?

- იცი შენ, ვისზეც გეუბნები.

- ისე, რა.

- შენ ტყუილი არ შეგიძლია. თან შენ ის კაცი არა ხარ, რომელიც ერთადერთი დის საქმროს ისე-რა გაიცნობს და შეეშვება. შენ იმას ან სულ არ იცნობ, ან ხუთი თითივით... ვინ არის, რა კაცია?

- ეკონომიკური აქვს დამთავრებული. კალინინის რაიონის ვაჭრობის სამმართველოში მუშაობს...

- რას მიჰქარავ! თუ არ გსიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი, თქვი! თუ არა და, წესიერად მოყევი, თორემ სად მუშაობს და მშობლები ვინ ჰყავს, შენზე კარგად თვითონ მითხრეს

გუშინ.

- რა გაინტერესებს? - სახე წამოენთო მერაბს.

- რას ფიქრობ შენ, გამოვა ეს საქმე?

- გამოსული არ არის? ლანა თანახმაა და, როგორც ვატყობ, არც შენ უნდა იყო წინააღმდეგი.

- შენ რას ფიქრობ? მე შენი აზრი მაინტერესებს!

- მე არაფერ შუაში არ ვარ...

მამამ ჯიბიდან სანთებელა ამოიღო, სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო:

- დიდი ხანია იცნობ?

- სამი წელი.

- სამი? - მთელი ტანით დაიძაბა ნუგზარი. - ესე იგი, ლანაზე ადრე?

მერაბი გაწითლდა და მამას ორიანისათვის დასჯილი პირველკლასელივით გახედა.

- მერაბ, რაღაცას მიმალავ. ეხლა მაგის დრო არ არის. მითხარი, საიდან იცნობ და ვინ არის? - არ ცხრებოდა მამა.

- რა მნიშვნელობა აქვს! - ოდნავგასაგონად წარმოთქვა მერაბმა და კარისაკენ გაემართა.

- მერაბ! - მთელი ხმით იღრიალა ნუგზარმა და მერაბი ადგილზე გაიყინა. ყვირილზე ოთახში ნელი და ლანა შემოცვივდნენ.

- რა მოხდა, ნუგზარ? - იკითხა შეშინებულმა ნელიმ.

ნუგზარს ხმა არ ამოუღია. თავის თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით ანიშნა ცოლს, გარეთ გასულიყო და ისიც და ლანაც უხმოდ გავიდნენ.

მერაბი იგივე პოზაში იდგა, არ განძრეულა. სისხლი საფეთქლებში აუვარდა, სახეზე ძარღვები გამოუჩნდა. ასეთი რამ მას არ ახსოვდა. მამას მისთვის არასოდეს დაუყვირია. არასოდეს. ბავშვობაშიც კი...

,, ამქვეყნად არსებობს ორად-ორი ძალა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ სურვილზე და განზრახვაზე ამაღებინოს ხელი: სიკვდილი და მამაჩემის ხათრი. მეათე კლასის დამთავრებასთან დაკავშირებულ ბანკეტზე, სადღეგრძელოში თქვა მერაბმა და მას შემდეგ აი ახლა, ამ წუთში ეს სიტყვები პირველად გაახსენდა.

- რა გინდა ჩემგან? - უეცრად მოტრიალდა ვაჟი. - დამანებე რა თავი. სპეციალურად თავი ავარიდე, აქ არ დავხვდი. მაინცდამაინც უნდა მომაკვლევინოთ? მოვკლავდი,

მაგრამ უყვარს ლანას, უყვარს და ამიტომ ვიკავებ ყველაფერზე თავს. შემეშვით, ხალხი არა ხართ? დაანებეთ კვლევასა და ანალიზს თავი, დაასვენეთ ის გოგო. ჩვენზე, ყველაზე კარგად იცნობს თვითონ და თუ გადაწყვიტა, წაყვეს.

მე კი შემეშვით, შემეშვით და ჩემთან მისი სახელი არ ახსენოთ, თორემ ღორივით გამოვჭრი ყელს, - მერაბმა უკანასკნელი სიტყვები უკვე ხრიალით წარმოთქვა. სახე, თვალის უპეები და ხელებიც კი სისხლივით გაუწითლდა და მამას არანორმალურივით შეაცქერდა.

მერე უცებ შეტრიალდა, ოთახიდან გიჟივით გავარდა, საკიდიდან შავი „ კურტკა “ ჩამოიღო, კარი გააღო და კიბეებზე დაეშვა.

* * *

უნივერსიტეტის გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩამოვიდა და შესასვლელისაკენ წავიდა, მაგრამ უცებ შედგა: კარებთან ნატა იდგა და გადაშლილ რვეულში ვიღაც ქალიშვილს რაღაცას აჩვენებდა.

მერაბი მოტრიალდა და უკან წამოვიდა. მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა და ნელი ნაბიჯებით გაუყვა გვირაბს.

ასევე ნელი ნაბიჯებით აათავა კიბეები, გზა ვერის მხარეს გააგრძელა.

სეირნობით ჩავიდა ფილარმონიამდე, ისევ მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა და ვერის ბაღში შევიდა. პარკი თითქმის ცარიელი იყო. პირველივე სკამთან შეჩერდა და ჩამოჯდა. თვალები დახუჭა, სკამზე ოდნავ ჩაცურდა და თავი უკან გადააგდო.

- გაცივდები! - მოესმა გვერდიდან. თვალები გაახილა, მის გვერდით ნატა იჯდა თავჩაღუნული.

- ნუ გეშინია! - ისევ დახუჭა თვალები ვაჟმა.

ნატას ვაჟის საქციელი არ გაჰკვირვებია.

დაახლოებით სამი წუთი ხმა არ ამოუღია.

- მაპატიე მერაბ, ცუდად გამომივიდა... - ხელახლა წამოიწყო ქალიშვილმა. - მე უბრალოდ მინდოდა, შენ და ეკა შემეხვედრებინეთ ერთმანეთს და რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მოხვიდოდი... მე ვიცი, რომ შენ ძალიან ნაწყენი ხარ და მაპატიე, თუ შეგიძლია...

- მე რა უნდა გაპატიო, - თვალები არ გაუხელია მერაბს. - პატიება მამაშენს სთხოვე, საავადმყოფოში რომ დააწვინე, თორემ ჩემთან საბოდიშო არაფერი გჭირს. ერთი მუშტი

და ლიტრანახევარი ბენზინი ალალი იყოს, არ გამაღატაკებს...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

- შენ ის მითხარი, ჩემი და ეკას შეხვედრა ვინ გთხოვა? - იგივე პოზაში გააგრძელა მერაბმა მცირე პაუზის შემდეგ.

ნატას არაფერი უთქვამს.

- მიპასუხე, მიპასუხე!

ნატა წამოდგა და წასვლა დააპირა, მაგრამ მერაბმა მარცხენა ხელში ხელი ჩაავლო, მოზიდა და კალთაში ჩაისვა.

ნატას წინააღმდეგობა არ გაუწევია, თავი ჩაღუნა.

თმაშეღებილი, რუხბერეტიანი მოხუცი ქალი, რომელიც ქვემოდან მოდიოდა, ამ სურათის შემხედვარე შედგა, რაღაცა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და მარცხნივ შეუხვია.

- მაშინ გეტირა, როცა რეკავდი, არ ჯობდა? - ნატას თვალებზე მომდგარი ცრემლები შეამჩნია მერაბმა და უკეთ რომ დარწმუნებულიყო, მოხრილი საჩვენებელი თითი ფრთხილად მოსდო ნიკაპთან და თავი ააწევინა.

ნატა აქაც დაემორჩილა, მაგრამ თვალების დახუჭვა ამჯობინა და წყვილი ცრემლი ლოყებზე ჩამოუგორდა.

- კარგი ახლა. შენ რა, მართლა ტირი? - გული მოულბა მერაბს. ნატა მუხლებიდან სკამზე ჩააცურა, ხელი სალტესავით შემოარტყა და თავისკენ მიიზიდა. - მე დღეს მთელი დღე ტირილის ხასიათზე ვარ, მაგრამ ვერა და ვერ ვიტირე, - ამოიოხრა ვაჟმა და თავი ჩაღუნა.

- ლექციებზე რატომ არ შეხვედი? - მცირე პაუზის შემდეგ ისევ გააგრძელა ბარათაშვილმა.

- შენ რატომ არ შეხვედი? - ოდნავგასაგონად წარმოთქვა ქალიშვილმა.

- მე შენ დაგინახე და გადავიფიქრე!

- მეც!

- რა, შენც?!

- მეც შენ დაგინახე და გადავიფიქრე!

- როგორ არის მამაშენი?

- ახლა არა უშავს. გუშინ საღამოს მე, დედაჩემი და მამიდაჩემი ვიყავით შუაღამემდე საავადმყოფოში. მე ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. დედა და მამიდა კინაღამ დაიხოცნენ სიცილით.

,, რა გაცინებთო - უთხრა მამაჩემმა, - მე ,, კასკა " და ტყვიაგაუმტარი ჟილეტი თუ არ ვიყიდე, ნატას გადამკიდე, დიდხანს ვერ ვიცოცხლებო " .

მერაბმა გულიანად გადაიხარხარა და ფეხზე წამოდგა:

- წავიდეთ, წავიდეთ, თორემ მე ჯანდაბას და შენ კი მართლა გაცივდები და დედაშენს მეორე ავადმყოფი არ სჭირდება ახლა.

ნატა ფეხზე წამოდგა და მერაბთან ერთად გასასვლელისაკენ გაემართა.

* * *

პალატაში სამი საწოლი იდგა, მაგრამ მხოლოდ ერთი იყო დაკავებული.

- მამა, გაიცანი, ეს მერაბია, - თქვა ნატამ და მერაბს გადახედა.

- ვიცნობ შვილო, ვიცნობ... - გაეღიმა მამას. - გამარჯობა მერაბ!

- გამარჯობათ, ბატონო ტარიელ!

- 77 წელში სამშენებლო ობიექტს ვამოწმებდი, - დაიწყო ტარიელმა. - მეორე სართულიდან აივნის კარი მოწყდა და მე და მთავარ ინჟინერს ზუზუნით დაგვემხო თავზე. ნატას თავს ვფიცავარ, მაშინ საავადმყოფოსკენ არც გაგვიხედია... შენმა მუშტმა კი, ჩემო მერაბ, აგერ, საწოლს გამაკრა. შენ ცუდად კი ნუ გამიგებ, თუ შენზე ოდნავ ნაწყენი ვიყო, აქედან არ მეღირსოს გასვლა. პირიქით, დიდი მადლობა, ასე გულთან რომ მიიტანე ჩემი ნატას ,, გასაჭირი " .

გუშინ ჩემი მეგობრენი იყვნენ მოსული და იცი, რა მითხრეს? - ერთი დარტყმით თუ ტვინის შერყევა დაგმართა, იმ ბიჭს ცხვარი უნდა დაუკლა, მეორეც რომ არ მოგაყოლა, თორემ საქელეხე ლოქოზე წასვლა არ აგვცდებოდა აზერბაიჯანშიო!

ნატამ გადაიხარხარა. მერაბმაც გაიღიმა.

- კი, მაგრამ, თქვენ ეხლა ლექციები არა გაქვთ? - სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი მამამ.

- წესით, უნდა გვქონდეს, მაგრამ როგორც ხედავ, გვიცდება, - თქვა ნატამ.

- შვილო, წუხელი შუაღამემდე აქ იჯექი და ამ დილაადრიან რომ არ მოსულიყავი, არ შეიძლებოდა?

- კარგი, მამა, წავალთ აბა ჩვენ და შენ იცი!

- წადით, წადით, ლექციების გაცდენა ვერაა კარგი საქმე.

- კარგად ბრძანდებოდეთ, - თავი დაუკრა მერაბმა.

- კარგად მერაბ. დიდი მადლობა, რომ მოხვედით. ნახვამდის. აწი უკეთეს ამბავში შევხვდებით.

მერაბმა პალატის კარი გააღო და ნატა წინ გაატარა.

* * *

- ეს ბავშვი გადამრევს! - გოგა გორგილაძემ ჯუნა კალთაში ჩაისვა. - ამ ასაკში ასე გამართულად ლაპარაკი წარმოუდგენელია.

- ეკაც მასე იყო, შვილო. მაშინ ვარანცოვზე ვცხოვრობდით, - ერთ ბინაში სამი ოჯახი. ყველა მეზობელი გიჟდებოდა

ეკუნაზე... სამსახურიდან შინ მობრუ-ნებულებს, ყველას კარში ეგებებოდა და დარიგებებს აძლევდა. ფეხი გაიწმინდეთ, ხელდაუბანელები სამზარეულოში ნუ შეხვალთო და რა ვიცი, ათასი ამის მაგვარი... ორი წლისაც არ იყო მაშინ, - დაამთავრა სიტყვა დიასახლისმა და რადგან ამ დროს ზარის ხმა გაისმა, კარის გასაღებად გაემართა.

- დედიკო! - წამოიყვირა უცებ ჯუნამ, ვაჟის კალთიდან ჩამოცურდა და ეკასკენ წაბაჯბაჯდა, რომელმაც მისაღების კარი შემოაღო.

- მოდი ჩემთან, ჩემო კუდიანო, - ხელში აიყვანა დედამ ბავშვი. - გამარჯობა, სტუმარო! - მიმართა სავარძელში ჩამჯდარ გოგას.

- გაგიმარჯოს მასპინძელო! სადა ხარ ამდენ ხანს?

- სადა ვარ და ჯანდაბა ამ დიპლომის მომგონს! გასკდა თავი, აზროვნების უნარი აღარ მაქვს. შენ სად დაიკარგე, მთელი კვირა რომ არ გამოჩენილხარ? - ბავშვიანად სკამზე ჩამოჯდა ეკა. დედა ოთახში აღარ შემობრუნებულა.

- ქვეყნის საქმე მქონდა მოსაგვარებელი...

- მერე, მოაგვარე?

- კი, ყველა, ერთის და ყველაზე მთავარის გარდა. თუ ისიც მოვაგვარე, ჩავთვლი, რომ ნოემბრის და მთელი ცხოვრების გეგმა შევასრულე.

- რა არის მაგისთანა?..

- ცოლის მოყვანას ვაპირებ! - ცივად, უემოციოდ წარმოთქვა ვაჟმა და თვალებით იატაკს ჩააშტერდა.

ეკა გაწითლდა.

აბსოლუტური სიჩუმე ჩამოვარდა, ჯუნაც კი არ იღებდა ხმას. დედის თითს ჩასჭიდებოდა და თვლიანი ბეჭდის მოძრობას ცდილობდა.

- შენ ხომ არ შეგიძლია დამეხმარო? - იგივე პოზაში წარმოთქვა გოგამ. მერე ერთთავად თავი ასწია და ეკას თვალებში შეხედა.

- გოგა, მე ხომ გთხოვე, ცოტა მაცადე, ვიფიქრებ და გეტყვი-მეთქი? - ჩუმად თქვა ეკამ და სახეზე სიწითლე მოემატა.

- ცოტაც? რამდენი ცოტა? მესამე თვეა ფიქრობ და ვერ მოგიფიქრებია! მე მეტი ლოდინი აღარ შემიძლია... მოკლედ, მორჩა! დღეს სამშაბათია, შაბათამდე კიდევ დაგელოდები, მერე კი მოვალ და ძალით წაგიყვან!

ეკა გაუნძრევლად იჯდა.

,, მართალია გოგა, მეტი ლოდინი აღარ შეიძლება, - ფიქრობდა იგი. - ან არადა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვაგრძნობინო, რომ მე მეორედ აღარასოდეს გავთხოვდები. სხვანაირად არ შეიძლება, ცუდად ჟღერს ყოველივე!... მეორედ აღარასოდეს! “ ”

- ეს, რაც შეეხება მომავალს. მე აწმყოთი ცხოვრება უფრო მეტად მიზიდავს და ამიტომ, თუ ჩემს თხოვნაზე უარს არ იტყვი, ადგები და ჩემთან ერთად წამოხვალ, ჩათვალე, რომ დღევანდელი დღე სამოთხის ანგარიშზე გადარიცხე, - გააგრძელა გოგამ.

- სად? - გამოერკვა ეკა.

- სადარბაზოში რომ შემოდიოდი, თვალში უცხო ხომ არ მოგხვდა რამე?

- არა, რა უნდა მომხვედროდა.

- თეთრი ფერის ,, 011 “ ხომ არ იდგა, შემთხვევით?..

- არ დავკვირვებივარ, ვთქვათ იდგა, მერე რა?

- ვთქვათ კი არა, იდგა. მერე რა და, დავიღალე ფეხით სიარულით, მამაჩემიც დროულად მიხვდა...

- მანქანა იყიდე? აი, თურმე რა საქმეებს აგვარებდი. მომილოცავს! - აშკარად გაუხარდა ეკას.

- გმადლობთ. ადექი და წავიდეთ, სანამ დაღამდება. ღამით სიარული არ მიყვარს.

* * *

გოგამ გასტრონომთან სვლა შეანელა და ფანჯარაში გაიხედა.

- ღიაა, დილას დაკეტილი იყო! - მანქანა გააჩერა და სწრაფად გადავიდა.

რამდენიმე წუთში ოთხი ბოთლი შამპანურით და „ ცელოფანის “ ჩანთით ხელში მობრუნდა, მანქანაში ჩაჯდა, სურსათი და შამპანური უკანა სავარძელზე გადადო და მანქანა დაძრა.

- გოგა, ჩემთან წავიდეთ, ჯობია. უკვე 7 დაიწყო, როდის ჩვენ იქ ავალთ და როდის ჩამოვალთ... შენ ხომ თქვი, ღამით სიარული არ მიყვარსო... - თქვა ეკამ და ვაჟის პასუხს დაელოდა.

- როცა შენ ჩემთან ხარ, არასოდეს არ ღამდება... კოჯორში ასვლას ნახევარი საათი სჭირდება, მეტი არა, - თხოვნის კილოთი წარმოთქვა ვაჟმა.

ეკას მთელი სულით და გულით უნდოდა ახლა გოგას გამომშვიდობებოდა და სახლში წასულიყო, მაგრამ ამის გაკეთება არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. არადა, უსიამო გრძნობა დაეუფლა, ერთ ადგილზე ჯდომა უჭირდა.

თეთრი ჟიგული კი უკვე კოჯრის გზაზე მიჰქროდა და რაც უფრო უახლოვდებოდნენ დაბას, მით უფრო უცნაური აზრები იბადებოდნენ

ეკას გონებაში, მით მეტად ღელავდა.

„ ძნელი მისახვედრი არ არის, კოჯორში წასვლა რატომ აიტეხა... მეც კარგი შტერი ვარ! - სახლიდან საერთოდ არ უნდა გამოვსულიყავი. დედაჩემმაც კვერი დაუკრა, „ „ წაიყვანე შვილო, წაიყვანე, ერთი საღამო მაინც გავიდეს გარეთ. დაბრმავდება ამდენი მეცადინეობითო “ .

სასმელს რომ დალევს, მერე ღმერთმა იცის, რა გუნებაზე დადგება. სასმელი გოგაზე ძალიან ცუდად მოქმედებს, სულ სხვა კაცი ხდება. მთვრალი გოგა ფხიზელ მერაბს ჰგავს... მერაბს! ისევ მერაბი!.. მერაბს კი სულ ერთია, მთვრალია თუ

ფხიზელი, ხასიათი არ ეცვლება. თუმცა, რანაირად შეეცვლება, მამაჩემის თქმისა არ იყოს: „ ეს ბიჭი მთვრალი მანახა და მეტი არაფერი მინდაო! “ - ეკას უცებ რაღაც სიამოვნებისმაგვარმა დაურბინა მთელს სხეულში, - თუმცა მაშინ ბავშვი იყო, ახლა კი... ახლა, მითუმეტეს! როგორ გაზრდილა, რამხელა მხრები აქვს, ხმაც შეეცვალა თითქოს! “ “

- აი, თითქმის მოვედით! - თქვა გოგამ.

- მოვედით? - შეშინებულმა წამოიძახა ეკამ.

- რა გაგიკვირდა?

- გოგა, მართლა მამიდაშენია სახლში? - პირველად ახლა დაებადა ეს ეჭვი ეკას.

- ყოველ შემთხვევაში, დღეს დილას აქ იყო, - ჩუმად და არადამაჯერებლად თქვა ვაჟმა.

ეკას ცივმა ოფლმა დაასხა. მიხვდა, რომ მამიდა უბრალოდ, ეკას დასაყოლიებელი ხრიკი იყო და იგი გოგამ გამოიგონა მისი უსაფრთხოების გარანტიებისთვის. მიხვდა და ხელები და ფეხები თითქოს გაეყინა, კანკალმა აიტანა... მანქანა ჭიშკარს მიადგა. გოგა გადმოვიდა. გრძელი რკინის კარების ორივე მხარე შეაღო და ისევ მანქანაში დაბრუნდა.

- შედი! - კარი გამოაღო და სინათლე აანთო გოგამ მეორე სართულის აივანზე. ეკამ გაუბედავად შეაბიჯა ვეებერთელა ოთახში, სადაც იდგა ერთი დიდი, მრგვალი მაგიდა 12 სკამით, ორი შავი კარადა, დიდი ტახტი და ზედ რამოდენიმე ლეიბი და საბანი.

ყველაზე მეტად კი კაცს თვალში ეცემოდა უზარმაზარი ბუხარი, კარიდან მარცხენა მხარეს.

- მე ახლავე ამოვალ. შეშას ამოვიტან, თორემ გავიყინებით. შენ თბილისი არ გეგონოს! - გოგა მიტრიალდა და ისევ კიბეებზე დაეშვა.

ეკამ იქაურობას თვალი გადაავლო. ბუხრიდან 4-5 მეტრის მოშორებით პატარა კარი იყო ჩაყოლებული კედელში. კართან შუქის ღილაკიც აღმოჩნდა. თითი მია-ჭირა და კარის ზედა შემინული ნაწილი განათდა. თავისდაუნებურად სახელური ჩამოსწია, კარი გაიღო და ადგილზე გაიყინა.

პირდაპირ, პატარა ოთახის დიდ კედელზე, რამოდენიმე სურათის ცენტრში, მერაბ ბარათაშვილის დიდი ფოტო ეკიდა.

ეკას ერთი სული ჰქონდა ეყვირა და გარეთ გავარდნილიყო. ადგილზე გაშეშდა. რამოდენიმე წამი ასე იდგა. ქვევიდან ცულის ხმა მოესმა. გამოერკვა და რამოდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა. ეს სურათი ეკასაც ჰქონდა. მხოლოდ, პატარა: ,, მეცხრე კლასშია გადაღებული, პირველ აპრილს “ , - გაახსენდა ეკას. - ,, მაშინ ფოტოგრაფი სკოლაში მოვიდა... მერაბს გადაღება არ უნდოდა, გოგამ ძალით დააყენა ობიექტივის წინ... ჩემზე იყო ნაწყენი. ისედაც ეტყობა, გაბრაზებული რომ არის. მარცხენა წარბი მოზიდული აქვს... მაშინ, წინადღითვე ვიცოდით ფოტოგრაფი რომ უნდა მოსულიყო და მთელი კლასი აჭრელებული მოვიდა. ბიჭებს ნაირ-ნაირი ფერის პიჯაკები და თეთრის გარდა, ყველა ფერის პერანგი ეცვათ. მხოლოდ მერაბი იყო სკოლის ფორმაში, მხოლოდ მერაბი... ზაზამ შესთავაზა ჩემი პიჯაკი ჩაიცვიო. გაიხადა და მიაწოდა კიდეც, მაგრამ, ,, გაწიე, ბიჭო, თორემ თავზე გადაგახევო “ , - უპასუხა...

,, ღმერთო ჩემო, რამხელა დრო გავიდა... “

ეზოში შეშის ჩეხვის ხმა შეწყდა.

ეკა სასწრაფოდ გამოვიდა ოთახიდან, შუქი ჩააქრო და მაგიდას მიუჯდა.

გოგამ კიბეები ამოირბინა, ოთახში შემოვიდა და ერთი იღლია შეშა ბუხართან დაყარა.

- ხომ არ მოიწყინე? - ცეცხლის დანთებას შეუდგა გოგა.

,, არაო “ ” - თავის მოძრაობით უპასუხა ქალიშვილმა.

რამოდენიმე წუთში, აგიზგიზებული ბუხრის წინ, პატარა მაგიდაზე თონის პური, სულგუნი, ხიზილალა და შამპანური გაჩნდა. შამფურზე აგებული სამწვადე ხორცი კი იქვე, ორ წითელ აგურზე იდო და შეშის ჩანაკვერჩხლებას ელოდა.

ორივენი ერთმანეთის პირისპირ უსხდნენ მაგიდას. გოგა შეუჩერებლად ლაპარაკობდა, ეკა უსმენდა, ბუხარი კი, თითქოს მათზე გაბრაზებული, ტკაცა-ტკუცსა და ნაპერწკლებს არ იშურებდა მათი ხელის შესაშლელად.

- გეყოფა გოგა, უკვე საკმაოდ დალიე. არ დაგავიწყდეს, რომ მანქანით ხარ! - თქვა ეკამ, როცა გოგამ მესამე ბოთლს მოჰკიდა ხელი გასახსნელად.

გოგა მართლაც საკმაოდ ნასვამი იყო. თუმცაღა, ეკასაც დაეტყო ოთხი ჭიქა და თვალები უციმციმებდა.

- ეს ერთი ბოთლიც, ღმერთი სამობით არის... სანამ ამ ბოთლს არ დავცლით, აქედან არ წავალთ! - განაცხადა გოგამ. - თუ გინდა, რომ მე ფხიზელი ვიყო, შენც დალიე...

- მე წავალ, - ფეხზე წამოდგა განაწყენებული ქალიშვილი და კარისაკენ დაიძრა.

გოგა ფეხზე წამოიჭრა და კარებთან მიეწია, სახელურს ხელი ჩაავლო:

- ვერსადაც ვერ წახვალ! - თვალები აემღვრა ვაჟს და ქალიშვილს დაჟინებით მიაშტერდა.

,, დავიღუპე, - გაიფიქრა ეკამ. - ეს რა ვქენი, აქ სად წამოვედი. არ ვიცოდი ამის ხასიათი?! “

- ვერსადაც ვერ წახვალ! - კიდევ უფრო მტკიცედ გაიმეორა გოგამ.

ეკას აღარაფერი უთქვამს, თავჩაღუნული უძრავად დადგა.

- ეკა! - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა გოგამ და მარჯვენა ხელი მხარზე

ფრთხილად დაადო, - რატომ გეშინია ჩემი... რატომ ცდილობ, ყოველთვის თავი ამარიდო, გამექცე. ნუთუ ვერ ხვდები, უშენოდ რომ ვერ ვივლი ამქვეყნად... ბევრჯერ და ბევრი ვეცადე, მაგრამ არ გამოვიდა შენი დავიწყება. არ გამოვიდა და იცოდე, ერთადერთი, რაც შენ თავს ჩამომაშორებს, ეს სიკვდილი იქნება, მეტი არაფერი... გესმის ეკა? - და ვაჟმა მეორე ხელიც დაადო მხარზე, მერე ფრთხილად მიიზიდა და შუბლზე აკოცა... მეორედ, მესამედ.

ეკა მკვდარივით იდგა... უსიცოცხლო და უპრეტენზიო.

- ეკა!

- ჰო, გოგა!

- მე შენ არსად გაგიშვებ, გესმის?

- მესმის... - ჩურჩულითვე უპასუხა ეკამ.

ვაჟმა მარჯვენა ხელი ლოყაზე ააყოლა და თითები საფეთქლებთან, თმებში ფრთხილად შეუცურა.

ეკამ იგრძნო, როგორ გაუთბა სხეული და როგორ აუჩქარდა გულისცემა.

გოგამ ისევ შუბლზე აკოცა, მერე თვალები დაუკოცნა და ნაზად დაეწაფა მის სისხლისფერ ტუჩებს...

ეკას ჯერ თვალები გაუხურდა, მერე კანკალმა აიტანა, სუნთქვა საგრძნობლად გაუხშირდა... ანგარიშმიუცემლად ყელზე მოეხვია და ორმაგი ალერსით და ცეცხლით უპასუხა ვაჟს, რომელმაც ხელში მსუბუქად აიტაცა და დიდი ტახტისაკენ წაიყვანა...

ბუხარში ცეცხლი აღარ ენთო, მხოლოდ სამწვადე ნაკვერჩხალი დარჩენილიყო, მაგრამ შამფურზე აცმული ხორცი მაინც შეუწვავი დარჩა.

* * *

დეკემბრის პირველი ორშაბათი გათენდა.

მერაბი სახლიდან ჩვეულებრივზე მთელი საათით გვიან გამოვიდა. იქვე, სადარბაზოსთან გაჩერებულ მანქანას თვალი შეავლო და გზა ფეხით განაგრძო.

დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ფოსტა-ტელეგრაფის შენობის კარი შეაღო. იქვე კართან შეჩერდა.

ხალხი ძალიან ცოტა იყო, სულ რამოდენიმე კაცი. „ უსაქმოდ გაჩერება არ ღირს “ , - გაიფიქრა მერაბმა და დეპეშის ბლანკი აიღო, მაგიდას მიუჯდა.

სწორედ ამ დროს, იგივე კარი იასონმა შემოაღო. მერაბი ფეხზე წამოდგა.

- მზად არის? - ხელი გაუწოდა იასონს.

- გამარჯობა მერაბ, მზად უნდა იყოს, წესით! - ულვაშამ ხელი ჩამოართვა. მერე

დახლისაკენ გაემართა:

- უკაცრავად ქალიშვილო, ელიზბარი მინდოდა და ხომ ვერ მეტყვით, როგორ ვნახავ? - გაიღიმა იასონმა ჩვეულებისამებრ.

- ახლავე დავუძახებ! - ჩიტივით წამოფრინდა სკამიდან გამხდარი ქალი და შიდა კარს უკან გაუჩინარდა. იმავე წუთში კარი ისევ გაიღო და ახალგაზრდა კაცის მელოტი თავი გამოჩნდა. იასონის დანახვაზე, ,, გამარჯობის " ნიშნად თავი დააქნია და უკან შებრუნდა.

რამოდენიმე წამში იასონს და მერაბს მოადგა პატარა ქაღალდით ხელში.

- ა, ბატონო, მზადაა. ეშმაკიც ვერ გარჩევს ნამდვილისაგან, - დეპეშის ფურცელი გადააწოდა მერაბს.

ამ უკანასკნელმა დეპეშა ჩამოართვა და დახედა. მერე კმაყოფილების ნიშნად გაიღიმა და მელოტს ხელი ჩამოართვა.

- დიდი მადლობა, ელიზბარ, - ხელი გაუწოდა იასონმა. - ჩემზე იყოს!

- აბა, რას ამბობთ, იასონ, როგორ გეკადრებათ. მე, პირიქით, დიდად დავალებული ვარ თქვენგან!..

* * *

- კი მაგრამ, რა მოხდა? ამისთანა საჩქაროა, დავიჯერო? - ადგილს ვერ პოულობდა ოთახში ნელი. - თვითონ სადღა დაიკარგა, 8 საათია უკვე. არა, შენ ამიხსენი, აქვთ ახლა მაგათ უფლება, ბავშვი პირდაპირ დის ქორწილის წინ გამოიძახონ ამ სიშორეზე? დავხევ ამ დეპეშას და საერთოდ არ ვაჩვენებ მერაბს. რას უზამენ?

- რამდენს ლაპარაკობ? ვერ ხვდები, რომ უაზრობას ამბობ? - წარმოთქვა თავისი ბოხი ხმით ნუგზარმა და კიდევ ერთხელ გადაიკითხა ტელეგრამა. - უყურე ბოლოში რა წერია. შენ კიდევ იძახი, დის ქორწილიო. დის კი არა, ამისთანა ტელეგრამას რომ მიიღებ, საკუთარ ქორწილს მიატოვებ და წახვალ.

- დედა, სულ ნუ გადამრევ ახლა შენ, თორემ ჩავიცვამ და მეც მერაბთან ერთად წავალ. რას ნიშნავს ასეთი მკაცრი ტონი... ხვალვე რომ წავიდეს, შაბათამდე ვერ ჩამოვა?

- რა ვიცი, გააჩნია იქ რამდენი ხანი დააკავებენ.

- კი, მაგრამ ნუგზარ, რაზე უნდა იძახებდნენ? ნახევარ წელზე მეტია ჩამოვიდა და ახლა რაში დასჭირდათ?

ნუგზარს ხმა არ ამოუღია.

- თქვი რამე კაცო, თორემ ამერია ტვინი. ამოიღე ხმა და ამიხსენი, რა ხდება...

- შენ სიცხე ხომ არა გაქვს? აბა მე რა ვიცი, რაზე ეძახიან. რა, გუშინ ჩამოვედი ბელორუსიიდან, თუ როგორაა საქმე? ტელეგრამაც შენს მერე წავიკითხე და მე მეკითხები?

- დედა, დედა, სად წავიდე, რა წყალში ჩავვარდე, ვაითუ რაღაცა აქვს დაშავებული და ვიღაცამ იჩივლა...

- გაჩუმდი, ქალო! - იღრიალა უცებ ნერვებმოშლილმა ნუგზარმა და დივანიდან წამოდგა. - გაჩუმდი და შენი ხმა არ გავიგო, სანამ თვითონ არ მოვა! - სიგარეტს მოუკიდა.

ამ დროს კარი გაიღო და მერაბი შემოვიდა. ნელი ჩქარი ნაბიჯებით გავიდა დერეფანში:

- მერაბ! რა დეპეშაა

ეს, რაზე გიბარებენ, შვილო? - მიახალა დედამ მერაბს, რომელსაც ჯერ კარის მიხურვაც ვერ მოესწრო.

- რა დეპეშაა? - ცივად, უემოციოდ წარმოსთქვა მერაბმა. დედამ დეპეშა გაუწოდა. ბიჭმა თვალი გადაავლო:

- ჩემი სამხედრო ნაწილიდანაა, - იცრუა ბარათაშვილმა.

- მერე, რა უნდათ, რატომ გიბარებენ? - შიშნარევი ხმით წარმოთქვა ნელიმ და ვაჟს სახეში შეაცქერდა პასუხის მოლოდინში.

- აბა, რა ვიცი. ალბათ რაიმე საკითხის დაზუსტება ჭირდებათ, მეტი რაზე უნდა მიბარებდნენ.

- რა უდარდელად ლაპარაკობ. უბედურება ხომ არ არის შვილო ჩემს თავს... რა დროს გამოძახება იყო, შაბათს ლანას ქორწილი რომაა, ხომ არ დაგავიწყდა?!

- მე მახსოვს, მაგრამ იმათ დაავიწყდათ ეტყობა. ჩავალ მინსკში, შევახსენებ და ჩამოვალ.

- მოიცა, მოიცა, რა არის ამისთანა დაუზუსტებელი, ამიხსენი წესიერად, თორემ გასკდა გული. - არ მოეშვა შეშინებული ქალი.

- ნუ გეშინია დედა, მე იმისთანა ნაწილში ვმსახურობდი, ეგ გასაკვირი არაა. ჩემს იქ ყოფნაში, ბევრი გათავისუფლებული ჩამოიყვანეს უკან. საგანგაშო არაფერია, ჩავალ და ჩამოვალ, იქ ხომ არ დავრჩები. როცა მოვ-დიოდი, გაგვაფრთხილეს კიდეც, შეიძლება გამოგიძახოთო...

- შაბათამდე ჩამოხვალ? - ოდნავ დაწყნარდა ნელი.

- ვეცდები, გააჩნია რა საქმეა. მაგრამ, ერთ კვირაზე მეტი ვერ გამაჩერებენ, უფლება არ აქვთ... მერაბმა ფეხსაცმელები გამოიცვალა, ქურთუკი გაიხადა და თავისი ოთახისაკენ გაემართა.

ამ დროს ნუგზარი გამოვიდა ლოჯიდან, სამზარეულო გაიარა და ცოლს თვალით ანიშნა ,, წამოდიო “ .

ორივე მერაბის ოთახში შევიდნენ.

მერაბს კარადის ორივე კარი გამოეღო და ტანისამოსს ათვალიერებდა. კარის გაღების ხმაზე შემოტრიალდა.

დედ-მამა გვერდიგვერდ დადგნენ და ვაჟს შეაცქერდნენ.

- გისმენთ, - გაუღიმა მერაბმა.

- როდის წახვალ? - დაიწყო ნუგზარმა.

- ხვალ დილას. როდის მიფრინავს მინსკი არ ვიცი, გავიგებ და პირველსავე რეისს გავყვები, - მშვიდად უპასუხა ვაჟმა.

- მერე? - ისევ ჩაერია ნელი.

- მერე თვითმფრინავი მინსკში ჩაფრინდება, მე ჩამოვალ, სტიუარდესას მადლობას გადავუხდი სასიამოვნო მგზავრობისათვის და ავტოსადგურისკენ გავაგრძელებ გზას...

- მაგას არ გეკითხები. ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ? - გააწყვეტინა დედამ.

- თქვენ? გააჩნია, რომელმა. აი, მაგალითად, ბატონი ნუგზარი ხვალ ყვარელში უნდა წავიდეს ღვინის ჩამოსატანად, მერე - ლაგოდეხში თევზზე, შენ კი აქაურობას უნდა მიხედო.

- ნუ ციგნობ, მერაბ... - ღიმილით წარმოსთქვა ნუგზარმა.

- კარგი, ბატონო, არ ვციგნობ და მაშინ თქვენ მითხარით, რას მივაწერო თქვენი დუეტის არაოფიციალური ვიზიტი ესოდენ უდროო დროს?!

- რაიმე ხომ არ გჭირდება? - თქვა ნუგზარმა.

- არაფერი, - უპასუხა ვაჟმა.

ნუგზარმა ჯიბიდან ხუთი ასმანეთიანი ამოიღო და მაგიდაზე დააწყო:

- თუ კიდევ დაგჭირდეს, ტელეგრამა გამოგზავნე.

- კარგი, - დაეთანხმა მერაბი.

- ახლა, მომისმინე, - გააგრძელა ნუგზარმა, - გუშინწინ, სამსახურში, ორი წლით კუბაში წასვლა შემომთავაზეს და თანაც, ცოლთან ერთად.

- ვააჰ! - შეაწყვეტინა გაკვირვებულმა მერაბმა. - ცოლით კაცო? ყოჩაღ თქვენ! აი, მესმის საქორწინო მოგზაურობა, თანაც შეუღლებიდან 25 წლის შემდეგ...

დედამ გაიცინა, ნუგზარსაც გაეღიმა...

- მოიცა, მოიცა, მომისმინე, მე რატომ გეუბნები ამას შენ დღეს. ხვალ უკვე პასუხი უნდა ვუთხრა: ან ჰო, ან არა! ლანა აგერ გათხოვდება და თავის თავს თვითონ მიხედავს. აი, შენი იმედი კი ბოლომდე არა მაქვს. ორი წელი უჩვენოდ? ან ვიღაცას მოკლავ, ან მანქანით გაიტან...

- აი, ყოჩაღ! რა შესანიშნავი წარმოდგენა გქონიათ ჩემზე. აი, ყოჩაღ! - ისევ გაიცინა მერაბმა.

- მოკლედ, მაიმუნობას მოვრჩეთ და მითხარი.

- რა გითხრა? - გაუკვირდა ვაჟს.

- როგორც შენ იტყვი, ისე გავაკეთებ. იტყვი, წადიო, - წავალთ. იტყვი, დარჩითო, - დავრჩებით.

- მამა, მარტო დედა რომ წავიდეს, არ შეიძლება?

- მერაბ, ნუ გააწყალე გული, - გადაირეხრეხა ნუგზარმა და ცოლს გადახედა. - დაილაპარკე კაცურად!

- თუ თქვენ თვლით, რომ წასვლა უკეთესია, მაშინ წადით... რაც შემეხება მე, ხანდახან კვირა ისე გადის, საერთოდ ვერ მხედავთ. გავძლებ, მხოლოდ პირობა მომეცით, რომ ორი წლის შემდეგ ნამდვილად ჩამოხვალთ. იქ სამუდამოდ არ დარჩებით და არ დამაობლებთ. ჰო, მართლა, იქ, როგორც ვიცი, „ ვოლგებს “ აძლევენ. ჰოდა, რომ ჩამოხვალთ, ამ შენს ჟიგულს დედაჩემს გადაუფორმებ და, მიდი და მიდი, მტრის გულის გასახეთქად...

- ეჰ, წამოდი ნუგზარ, წამოდი, თორემ ამას რომ უსმინო, გადაირევი კაცი, - კარი გააღო დედამ და ღიმილიანი სახით დერეფანში გავიდა.

ნუგზარმა ცოლს თვალი გააყოლა. მერე კარი მოხურა და მერაბს მიუახლოვდა:

- მერაბ, ეს ტელეგრამა რაღაც

არ მომწონს მე...

- რატომ? - წამოიყვირა მერაბმა და გაწითლდა.

- იცი, შენ რატომ... მომისმინე, შეიძლება შენ სწორად იქცევი, მაგრამ... მოკლედ, შენს

ადგილზე, ალბათ მეც მასე მოვიქცეოდი...

მერაბს გაკვირვებისაგან თვალები გაუდიდდა.

- მაგრამ ახლა, სხვა რამე მინდა გთხოვო. მე შენთვის არასოდეს არაფერი მითხოვია... ახლა კი, გთხოვ... ლანას მარტო ნუ მიატოვებ. მე არ წავიდოდი, მაგრამ ამისთანა მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. მილიონერი რომ არ ვარ, ეს შენც იცი...

მერაბს თვალებზე ცრემლები მოადგა. სახე გაუხურდა.

- ხანდახან მაინც ადი ხოლმე, ნახე, როგორ არის. არა მგონია, იმ ხალხმა რამე აწყენინოს, მაგრამ ღვიძლი ძმა მაინც სხვა არის... მოკლედ, მიხედე ამ საქმეს. მადლობა ღმერთს, ჭკუა-გონება არ გაკლია და რა როგორ ჯობია, შენ თვითონ იცი. თუ შეძლებ, ჩათვალე, რომ უდიდესი საქმე გამიკეთე.

- კარგი, მამა! ავალ ხოლმე, აბა რას ვიზამ... უბრალოდ, ახლა არ შემიძლია. არ შემიძლია ვუყურო, როგორ ზის ჩემი დის გვერდით ქორწილში... მაპატიე, ასე რომ ვაკეთებ. დიდხანს ვიფიქრე, მაგრამ სხვაგვარად არ გამოვა.

- ეგ შენი საქმეა, - გაუღიმა მამამ შვილს და მხარზე ხელი დაადო. - სიმართლე გითხრა, ვხვდებოდი, რაღაცა ამდაგვარს რომ გააკეთებდი... აბა, შენ იცი, შენი იმედი მაქვს იცოდე...

მამა-შვილმა ერთმანეთს თვალებში შეხედეს. მერე ნუგზარი მოტრიალდა და ოთახიდან კმაყოფილებით აღსავსე სახით გავიდა.

მერაბმა სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარა გამოაღო და ფანჯრის რაფას დაეყრდნო. ოთახში მტკვრის დუდუნის ხმა შემოიჭრა.

,, მამაჩემი ყველაფერს მიხვდა. - გაიფიქრა მან. - მიხვდა და არაფერი მითხრა. პირიქით, ,, მეც ასე მოვიქცეოდიო... “ ორი წლით წავლენ! ორი წელი მე ჯარში ვიყავი, ესე იგი, ორი წელი არ მინახავს ისინი. ექვსი თვე გავიდა, ახლა ისინი მიდიან ,, ჯარში “ . ესე იგი, კიდევ ორი წელი ვერ ვნახავ, დავრჩები სრულიად მარტო... რატომ მარტო? იასონი, ავთო, ნატა ჩემთან არ არიან?! გოგა, გოგა გამოვტოვე. არადა, ვგრძნობ რომ გოგაც ჩემთან იქნება. გოგაც კი არა, თუ რამე გამიჭირდა, პირველი ის მოვარდება... ეკა? ეკა ჩადგა ჩემსა და გოგას შორის! თუ მართლა ცოლად მოიყვანა, მაშინ?.. მაშინ, ღმერთმა იცის! მაგრამ არა, გოგა მაინც არ მიმატოვებს. ვერც მე გავძლებ მის გარეშე. ეკა კი არა, ეშმაკიც ვერ მოახერხებს ჩვენს დაშორებას... თუმცა, ეს მხოლოდ მე ვფიქრობ ასე. რას ფიქრობს გოგა, ეს არავინ იცის! “

მერაბმა ფანჯარა ისევ მიხურა, პატარა ჩემოდანში ორი პერანგი და ჯინსის შარვალი ჩადო, დაკეტა და იქვე დადგა.

* * *

დილას, დაახლოებით 8 საათისთვის, მთელმა ოჯახმა გააცილა მერაბი. ყველამ დარიგება მისცა, განსაკუთრებით, ნუგზარი აქტიურობდა და თან სხვებისათვის შეუმჩნევლად იღიმებოდა. მერაბიც ყურადღებით უსმენდა ყველას. მამის ,, დარიგებებზე " რამოდენიმეჯერ აშკარად გაეცინა, მაგრამ ქალებს აზრადაც არ მოსვლიათ მერაბის სიცილის ნამდვილი მიზეზის ამოცნობა.

ბოლოს, ყველა გადაკოცნა და კიბეებზე დაეშვა.

- მერაბ, უნდა ჩამოასწრო იცოდე შაბათამდე, - მიაძახა ლანამ.

- ვეცდები, ლანა, ვეცდები, - უპასუხა ძმამ.

გაჩერებამდე სწრაფი ნაბიჯებით წავიდა. ,, ლუსიკას ჯიხურში " სიგარეტი იყიდა და გზა გააგრძელა.

ტაქსი წერეთლის პროსპექტზე გააჩერა.

დაახლოებით 5 წუთში მანქანა ნატას სახლის სადარბაზოსთან შეჩერდა. მერაბმა მანქანის კარი მიხურა და სადარბაზოში სირბილით შევიდა. კიბეები აირბინა და ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა, ხმა არ გაისმა.

- ზარი დიდი ხანია არ მუშაობს, - გაიფიქრა მან. - უკვე მაშინ არ მუშაობდა, როცა ნატამ მამამისი პირველად ,, გამაცნო " .

დააკაკუნა.

კარი ნატამ გააღო. იგი უკვე ჩაცმული იყო და ეტყობოდა, გასასვლელად ემზადებოდა.

- ნატა, მე ერთი კვირით მივდივარ. ეს დეპეშა დეკანს მიეცი, - დეპეშა გაუწოდა ვაჟმა.

- სად მიდიხარ? - გაუკვირდა ნატას.

- დეპეშას წაიკითხავ და გაიგებ. კარგად იყავი, - მერაბი გადაიხარა, ქალიშვილს ლოყაზე აკოცა და კიბეებზე დაეშვა.

ნატამ ტელეგრამა გადაიკითხა თუ არა, კიბეებზე ჩაირბინა, უნდოდა მერაბს დაწეოდა, მაგრამ როცა სადარბაზოდან გამოვიდა, ტაქსი უკვე მოსახვევში გაუჩინარდა.

* * *

შავი ვოლგა სოფელ შინდისუბანში შევიდა და მაღაზიასთან შეჩერდა.

მანქანიდან მერაბი გადმოვიდა და იქვე შეკრებილი ბიჭებისაკენ გაემართა.

- გამარჯობათ! - მიმართა ჯგუფს.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა რამოდენიმე ხმამ.

- იცოცხლე! - თქვეს დანარჩენებმა.

- კაკო აფციაური სად ცხოვრობს, ვერ მეტყვით?

- აბა, კაკოი? - მიუტრიალდა დაბალი, ჩაფსკვნილი, გვერდზე მდგომ ქერათმიან დიდცხვირას.

- რომელი კაკო, აფციაური,

არა? - მიმართა დიდცხვირამ მერაბს. მერე ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, ბიჭებს მოუბრუნდა, - ბეჟანას ბიჭსა კაკო არა ჰქვიან?

- ჰო, ჰო, კაკო ჰქვიან, - დაუმოწმა რამოდენიმემ ერთდროულად.

- ისე, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ რად გინდა? - პირველად ამოიღო ხმა შუბლზე იარანაჭდევმა ვაჟმა.

- მე და კაკო სამხედროს მეგობრები ვართ, სანახავად ჩამოვედი. სხვა, მეტი რა უნდა მინდოდეს.

- ჰოო, ეხლავე, ერთი წუთით მომიცადე ჯაგლაგო! - გასძახა ნაიარევმა მაღაზიის მეორე მხარეს კიბეზე ჩამომჯდარ ჭაბუკს. - აქმო!

ფეხზე წამოდგა და მათკენ ნელი ნაბიჯით წავიდა „ ჯაგლაგი “ - უსაშველოდ მაღალი, 15-16 წლის, მხრებში მოხრილი და გამხდარი ბიჭი.

- ტრაქტორისტი ბეჟანას სახლი ხო იცი? - მიმართა მოსულს ნაიარევმა.

- ვიცი, - უპასუხა ბიჭმა.

- ჰოდა, ეს კაცი წაიყვა და აჩვენე. კაკოს ძმაკაცია, გაიგე?

- ჰო, გავიგე, - უკმაყოფილოდ წარმოთქვა „ ჯაგლაგმა “ , მერე მერაბს თავით ანიშნა „ მომყევიო “ და მარცხნივ გაუყვა გზას ნელი, უზრუნველი ნაბიჯებით.

- გადაყარე ფეხები, შე შობელძაღლო, თორემ საღამომდე ვერ მიიყვან მაგ კაცსა, შენი ამბავი რო ვიცი. - მოაძახა გრძელცხვირა ბიჭმა. დანარჩენებმა გადაიხარხარეს.

„ კარგად შეურჩევიათ სახელი “ - გაიფიქრა მერაბმა, რომელიც უკან მიჰყვებოდა არაპროპორციული ნაბიჯებით მიმავალ მაღალ ჭაბუკს.

- აი, ეს სახლია, - რკინის მწვანე ჭიშკარს ხელი მიადო ბიჭმა და წასვლა დააპირა.

- მოიცა, მეგობარო. დაუძახე ერთი, თუ ძმა ხარ...

ბიჭი უხმოდ მოტრიალდა:

- ბეჟანა ძიავ! - მთელი ძალით დაიძახა და დაიჯღანა.

- კაკოო! - ისევ გასძახა ხელმეორედ რამოდენიმე წამში.

- ჰოო, რომელი ხარ? - უპასუხა მამაკაცის ხმამ.

- გამოდი გარეთ და გაიგებ, - მეგობრის ხმა იცნო მერაბმა.

- ბიჭო, მერაბ, შენა ხარ კაცო?! - კარი გააღო და მეგობარს გადაეხვია კაკო. საშუალო ტანის, ძლიერი აგებულების შავტუხა ვაჟი.

* * *

გოგა, ავთო და იასონი შუაღამემდე ისხდნენ ლანას და ემზარის ქორწილში. ვაჟმა ქალი წაიყვანა, სტუმარი კი მაინც ბევრი დარჩა.

ღამის პირველი საათისათვის ერთად გამოვიდნენ უსაშველოდ გრძელი კარვიდან და მას შემდეგ, რაც ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, დაიშალნენ.

იასონი მანქანით იყო და მისი გაცილება ბიჭებს არ დასჭირვებიათ.

რაც შეეხება გოგას და ავთოს, ორივენი იმავე უბანში ცხოვრობდნენ და ერთი პირდაპირ გაუყვა ვიწრო ქუჩას, მეორემ კი მარცხნივ გაუხვია და წერეთლის პროსპექტის მიმართულებით გაეშურა.

,, საწყალი ლანა “ , - ფიქრობდა გოგა. - ,, ,, ფარდის ყოველ გაწევაზე თვალები უდიდდებოდა, ძმას ელოდა, მაგრამ ის კი არ იცოდა, მერაბმა ყოველივე სპეცია-ლურად რომ მოაწყო. კარგად მოუფიქრებია, ასე ჯობდა. ყველაფერმა წყნარად ჩაიარა... ნეტავ სად წავიდა, მართლა ბელორუსიაში რომ არ წავიდოდა, ეს ნათელია, მაგრამ სადღაც ხომ უნდა წასულიყო... უნივერსიტეტსაც აცდენს უკვე ერთი კვირაა. ადრეც ბევრი ჰქონდა გაცდენილი. არადა, პირველ კურსზე, იშვიათად, ლექცია რომ გაეცდინა... არა, არა, ძალიან არეული დადის... ძალიან გულჩათხრობილი გახდა. ადრე, ხანდახან ისეთ ანეკდოტს მოყვებოდა, ავთო მთელი კვირა იცინოდა. ახლა კი რა... როცა იცინის, ისეთი შეგრძნება მრჩება, თითქოს ძალით იცინის. რაღაცას მალავს, რაღაცას თამაშობს, მაგრამ რას? ღმერთმა იცის “ .

ამ ფიქრებში გართული, სკოლას მიადგა.

,, რამდენი ხანია სკოლაში აღარ შემიხედავს. ნეტავ, ძალიან თუა შეცვლილი? ეხლა ავდგები და შევალ... “ “ - გადაწყვიტა გორგილაძემ და ეზოში შევიდა. ჯერ იქაურობა მოათვალიერა მიტოვებული სახლის პატრონივით, მერე კი კიბეები აირბინა და კარზე მიაკაკუნა.

შიგნიდან სკამის ჭრაჭუნის ხმა მოისმა, მერე სამი-ოთხი ნაბიჯი და:

- ვინ არის? - მოისმა კაცის ხმა.

- ერთი წუთით გააღე ბიძაჩემო, მე ამ სკოლაში ვსწავლობდი...

- მერე? - ისევ იკითხა ხმამ.

- მერე, რა? ცოტა ნასვამი ვარ და ჩემს სკოლას, მერხებს თვალი მინდა შევავლო.

- ნასვამი ხარ? - მოისმა აღტაცებით და კარი გაიღო. - აბა, შემო! - გზა დაუთმო ჩია ტანის 60 წლის კაცმა.

გოგა შევიდა.

- აქეთ მოდი! - მარჯვნივ წავიდა ჩია კაცი.

გოგა დაემორჩილა. რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა და პატარა მაგიდაზე, ანთებული ნავთქურის გვერდით, სამლიტრიანი ნახევრამდე ღვინით სავსე ქილა, ერთი ჭიქა, ნახევარი პური და ყველის მუშტისოდენა ნატეხი დაინახა.

- მაშ, ამბობ, რომ აქ სწავლობდი, არა? - ჭიქაში ღვინო ჩამოასხა დარაჯმა.

- ჰო, პირველიდან მეათეს ჩათვლით.

- მაშ, ეს ჭიქა გამომართვი. ლოთი კი არ გეგონო,

შვილო, გუშინწინ შვილიშვილი შემეძინა. 4 შვილიშვილი მყავდა, ოთხივე გოგო. ეს მამაძაღლიც გოგოა, მეხუთე გოგო.

- ღმერთმა გაზარდოს! მაგას რა მნიშვნელობა აქვს, - ჭიქა ყოველგვარი წუწუნის გარეშე ჩამოართვა გოგამ, თუმცა ახლა დალევა ნამდვილად აღარ სიამოვნებდა.

- მნიშვნელობა როგორ არა აქვს, შვილო. მე სადაცაა ფეხებს გავჭიმავ და ჩემს გვარს გაგრძელება არ უნდა? მაგრამ ისე კი არ ჩათვალო, თითქოს ნაწყენი ვიყო. შენი თქმისა არ იყოს, ღმერთმა გაზარდოს. ქალია თუ კაცია, მაინც ჩემია! - ჩაათავა კაცმა და უცებ ასლუკუნდა, ცრემლები გადმოსცვივდა.

- აბა, აბა, ძიაკაცო, ეგ რა წესია! შვილიშვილი შეგეძინა, შენ კი ტირიხარ. მერე რა, რომ გოგოა. მე ერთ გოგოს გეტყვი, ათ ვაჟკაცს ჯობია. მოდი დავლოცოთ და ვუსურვოთ, ისიც ეგეთი გამოსულიყოს.

- შენს პირს შაქარი... - ცრემლები პიჯაკის სახელოთი გაიმშრალა დარაჯმა. - შენს პირს შაქარი, შვილო. დამილოცე ის მამაძაღლი. დამილოცე, გენაცვალე.

- რა დაარქვით? - ჭიქა ოდნავ მაღლა აწია გოგამ.

- ეკა. ეკა დავარქვით. ლურჯი თვალები აქვს თურმე, და თან სულ საცრისოდენა, ენაცვალოს პაპა.

გოგას უცებ ხელი აუკანკალდა, გულისცემა აუჩქარდა:

- ეკა?!

- ჰო შვილო, ეკა!

- ღმერთმა მზეთუნახავი, ბედნიერი და სპეტაკი გაგიზარდოთ. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და თქვენი გვარის ყველა კაცზე სახელოვანი გამოსულიყოს, - გოგამ უსიამოვნოდ მოსვა ღვინო და ნელ-ნელა ბოლომდე დაცალა. - ასე მტერი დაგეცალოთ! - გადმოატრიალა ჭიქა.

- ვაი, შენს ენა-პირს ვენაცვალე! რა გქვია, შვილო?

- გოგა მქვია, ბიძია!

- მომე ჭიქა, ჩემო გოგა. ერთიც უნდა დავლიო!

- არა, არა, ბიძაჩემო. მე ეხლა ქორწილიდან მოვდივარ და მეტის დალევა აღარ შემიძლია. იმასაც არ დავლევდი, მაგრამ ბედნიერი დღე გქონია და უარი ვეღარ გითხარი. თუ ნებას მომცემ, ავალ ჩემს საკლასო ოთახს გადავხედავ.

- რა კითხვა გინდა, შვილო. ადი, ადი გენაცვალოს ჩემი თავი. ადი და რამდენიც გაგიხარდეს, იმდენი ათვალიერე.

- გმადლობთ! - მოხუცს გადაეხვია გოგა და დერეფანს გაუყვა.

კიბეები აიარა, სამასწავლებლოსთან მარცხენა მხარეს შეუხვია და პირველივე კართან შეჩერდა.

,, #67 “ წაიკითხა ტრაფარეტზე. მერე კარი შეანჯღრია, დაკეტილი აღმოჩნდა.

მოტრიალდა და სამასწავლებლოს კარის სახელური ჩამოსწია. კარი გაიღო.

დიდხანს ეძება შუქი, ბოლოს იპოვნა და აანთო.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, თავის კაბინეტში გარდაცვლილი დირექტორის ფოტოპორტრეტი იყო. ეს კაცი, დაახლოებით შვიდი წლის წინ გარდაიცვალა და სურათი დღემდე ხელუხლებლად ეკიდა.

მის ქვევით და ცოტა მარცხნივ, გასაღებების სტენდი შეამჩნია. მივიდა და „ 67 “ ნომერს დაუწყო ძებნა. იპოვნა, ჩამოხსნა, იქაურობა კიდევ შეათვალიერა და შუქი ჩააქრო.

გასაღები რუსული ენის კაბინეტს ზუსტად მიუდგა და მსუბუქი, თეთრი კარი გაიღო.

გოგამ შიგნით შეაბიჯა. აქ კი შუქის ღილაკის ძებნა აღარ დასჭირვებია, მარჯვნივ ხელი გასწია და აანთო.

- „ მახსოვს “ , - გაიფიქრა კმაყოფილმა. ბოლოში ჩავიდა და თავის მერხზე დაჯდა.

„ - არსენიძე

- ვარ!

- ადამია

- ვარ!

- ბარათაშვილი

- ვარ!

- ბექაური

- ვარ!

- ბაბაჯანიანი

- დევს!

- შენ თვითონ დევს, მაიმუნო ვირიშვილო შენა!

- ჰა, თორემ წამოვიდა ჩანთა!

- ხმა! ჩუმად ნადირებო, პირველი სექტემბერია და დღესვე ნუ მაცემინებთ თავს. გორგილაძე!

- ვარ!

- გოცირიძე!

- ვარ!

- გაგუა

- ვარ!

- გელაშვილი

- ჰა!

- ზახრუმა, ჭირი, შე მუტრუკო!

- ოი, ოი, რას კადრულობთ დოდო მას. პირველ სექტემბერს ასეთი „ თაფლივით “ სიტყვები გაგონილა?

- “

- ვარ!

- “

- ვარ!

- “

- ვარ!

- დაწყნარდით მხეცებო, დაწყნარდით. არ მინდა, დღესვე ჩაგდოთ და ამოგიღოთ. არ მინდა, გესმით? დღეს მოითმინეთ და ხვალიდან მე ვიცი... “

გოგამ სიგარეტი ამოიღო, მაგრამ ისევ უკან ჩადო.

- „ აბა ახლა, მითხარით, მთელი ზაფხული ხელთ გქონდათ და ვინ რა წაიკითხეთ. დავიწყოთ შენგან ბაბაჯანიანი.

- კაცო, ჩემს გარდა არავინ არის? არა, მე თუ პირველი არ მეტაკა, „ ტი შტო “ , არ შეიძლება რა! რა წაიკითხე, რა წაიკითხე? რა წავიკითხე და „ ენისელი “ , „ ვარძია “ , „ ვარციხე “ . სად წავიკითხე და კონიაკის ბოთლებს ეწერა. გაწყობთ?

- ვაი შენს პატრონს!

- „ სპასიბა “ რა!

- ჯაფარიძე!

- დიახ!

- შენ რა წაიკითხე, ეკა?

- მე რამოდენიმე წიგნი წავიკითხე დოდო მას, ჩამოვთვალო?

- არა, მჯერა. ერთი ეს მითხარი მხოლოდ, ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა?

- ჰიუგოს „ საბრალონი “ .

- ყოჩაღ! ეს მართლაც კარგი ნაწარმოებია. შენც კარგი გოგო ხარ ეკა და გეტყობა, რა

ოჯახშიც იზრდები და არა გომურში, ზოგიერთებივით.

- ბექაური, აბა გისმენთ!

- რა წავიკითხე?

- ჰო!

- „ მოლა ნასრედინი ოხუნჯობს “ .

- ვისი წიგნია ეგ, ბექაურო?!

- მამიდაჩემის, მასწ.

- მამიდაშენის კი არა, ავტორი ვინ არის, ვინ დაწერა?

- მე რა ვიცი, ვინ დაწერა. ალბათ მოლამ.

- ვინ მოლამ, ბიჭო?

- ვინ მოლამ და ნასრედინმა. კაცო, რა ვიცი მე ვინ დაწერა, ვა!

- უბედური დედაშენი შენს ხელში. აბა, ბარათაშვილო!

- გისმენთ, პატივცემულო დოდო!

- რა წაიკითხე, მერაბ.

- წაკითხვით არაფერი წამიკითხავს. ისე, ძილისპირულს ვუსმენდი რადიოში ყოველ საღამოს და ბევრი ზღაპრები ვისწავლე, მოვყვე?

- არ გრცხვენია, მერაბ?

- ...

- გაგუა, შენი ჯერია!

- მე წავიკითხე „ ლაშარელა “ , „ დიდი ღამე “ , „ სამი მუშკეტერი “ , „ ოცი წლის შემდეგ “ , „ ქალი კამელიებით “ , „ გრაფი მონტე-კრისტო “ , „ ძიება დამთავრებულია “ , ალექსანდრე ყაზბეგის ყველა მოთხრობა, „ სპარტაკი “ , „ ომი და მშვიდობა “ და კიდევ მსოფლიო ლიტერატურის პირველი ოთხი ტომი. მეტი ვეღარ მოვასწარი, მას.

- კი, მაგრამ, ამდენი როგორ მოასწარი.

- ეგ ცხაკაიაში ისვენებდა, მას. ბაბუამისმა 29 მაისს რაიონულ ბიბლიოთეკაში ჩაკეტა და გუშინ გამოუშვა მხოლოდ.

- ჰო, კაი ახლა გორგილაძე, კაი. რა ვქნათ, გავიცინოთ?

- იტირეთ, მასწ!

- ვაი, დედაშენმა იტიროს შენ კუბოზე, გელაშვილო, საქონელო... ”

** * *

- კვირა დღესაც აღარ გვასვენებს ეს ქალი, - საკლასო ოთახის კარი შეაღო უკმაყოფილო გოგონამ, რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა და: - ბავშვებო! შეხედეთ, ბოლოში ვიღაცას სძინავს! - უცებ ჩაესმა გოგას ყურში და ისარივით წამოვარდა ფეხზე: მის წინ 20-ზე მეტი გაკვირვებული უფროსკლასელი იდგა.

- რა მოხდა, რას გაჩერებულხართ კარებში?.. უი, გოგა! - წამოიძახა უცებ მასწავლებელმა. - აქ როგორ მოხვდი, ბიჭო?

გორგილაძე სირცხვილისაგან სისხლივით გაწითლდა და დაბნეული, მასწავლებლისაკენ გაემართა.

მასწავლებელმა ვაჟი გულში ჩაიკრა.

ბავშვები მერხებზე დასხდნენ. ირგვლივ იდეალური სიჩუმე ჩამოვარდა.

- დოდო მასწ, ერთი წუთით, თუ შეიძლება... - თქვა გოგამ და გარეთ გამოვიდა.

- თქვენი ხმა არ გავიგო, მხეცებო! - მიუტრიალდა დოდო ბავშვებს და გარეთ გამოვიდა.

- დოდო მასწ, იცით რა მოხდა? - გაიცინა გოგამ და ყველაფერი თავიდან ბოლომდე უამბო.

მასწავლებელმა გულიანად გადაიხარხარა.

ათიოდე წუთი ისაუბრეს პედაგოგმა და ყოფილმა მოსწავლემ და გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

- რომელი საათია? - ჰკითხა ქუჩაში გამვლელს გოგამ.

- 10 ხდება. - უპასუხა ამ უკანასკნელმა.

- „ ოჰო, აი მესმის ქორწილი “ , - გაიფიქრა გოგამ და ფეხს აუჩქარა. 11-ზე ეკა სახლიდან გავა. უნახავად არ მინდა წავიდეს. საღამომდე რა მოითმენს. თუმცა დღეს კვირაა, არსად წავა.

* * *

- სად იყავი ბიჭო, მთელი ღამე? - წამოიყვირა ეკამ ღია კარში გოგას დანახვაზე.

- შენ რა იცი, რომ სახლში არ ვიყავი, ვინ გითხრა? ჩვენები კოჯორში არიან.

- მეც ვიცი, რომ კოჯორში არიან. შენი ძმა თუ ნახე? გადარეულია ბავშვი.

- ვაი, მართლა, გოჩა დაბადების დღეზე იყო და აღარ გამახსენდა, - ტელეფონს ეცა გოგა და ნომერი აკრიფა.

- გოჩა, შენა ხარ?!

- სადა ხარ, ბიჭო! - მოისმა ტირილნარევი ხმა ყურმილში.

- რა გატირებს, შე ლაყე. სად წავიდოდი, დავიკარგებოდი?

- გოგა!

- ჰო.

- სადა ხარ?

- ეკასთან ვარ, რა არის?

- არაფერი! აბა, ეკა დამალაპარაკე!

- რა, არ გჯერა, შე შტერო?! ეკა, მოდი ერთი, დაელაპარაკე, თორემ ამას ალბათ სხვა პლანეტაზე ვგონივარ.

ეკა იქვე იდგა და ყურმილი გამოართვა:

- ჰო, გოჩუნა, ნუ გეშინია, აქ არის.

- ეკა, სად იყო?

- არ ვიცი, გოჩა, ამ წუთში მოვიდა.

- ჰო, კარგი, - ყურმილი დაკიდა გოჩამ.

- ამხელა ბიჭის ტირილი აღარ გამიგია. თითქმის ჩემი სიმაღლისაა და ისევ ბავშვის გული აქვს, - თქვა გოგამ.

- შენ რა, დიდი ხომ არ გგონია 14 წლის ბიჭი. მაგხელა რიმ იყავი, შენ მეტი გესმოდა, გგონია?!

- შენ, ისე, იცი რას გეტყვი?

- სხვა თემაზე გადაერთო ვაჟი. - მოკიდე ბავშვს ხელი და გადავიდეთ დღესვე პლეხანოვზე. ის სახლი, უკვე დიდი ხანია, გელოდება. რა აუცილებელია ქორწილს

ველოდოთ!

- ქორწილს, - ჩუმად გაიმეორა ეკამ და თავი ჩაღუნა.

- რა თქვი? - ფეხზე წამოიჭრა გოგა. - არა, გაიმეორე რა თქვი! შენ, იცი, რას გეტყვი? მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებე! ჰო, ჰო, ქორწილს და ყველას დედა ვატირე მე, ვისაც ეს ქორწილი სხვა ქორწილებზე ნაკლებად მიაჩნია! ყველას დედა ვატირე, გესმის? - თვალებიდან ცეცხლი გადმოანთხია გოგამ.

- კარგი, გოგა, დაწყნარდი, მაპატიე... - გულში ჩაეკრა ეკა ვაჟს.

- მეორედ აღარ გავიგო შენი პირიდან ეგეთი მიქარვა!

- ჰო, კარგი, აღარასოდეს აღარ ვიტყვი... - თვალებიდან ცრემლები წყვილ-წყვილად გადმოუშვა ქალიშვილმა.

- გოგა!

- რა გინდა? - უკმეხად უპასუხა ვაჟმა.

- მართლა თანახმაა დედაშენი?

- შენ ახლა სულ ნუ გადამრევ! თანახმა კი არა, დედას ვფიცავარ, ყურები გამომიჭედეს, რა გინდათ, იმ 15 წლის წინ დაკეტილ ოთახნახევრიან ბინაში რომ მიდიხართ. აქ მოიყვანე, გინდა თუ არაო. მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცი, როგორ დავთანხმდებოდი.

- გოგა, მოდი რა, დავრჩეთ აქ. მხოლოდ არ აფეთქდე ახლა შენებურად. წუხელი მთელი ღამე არ დამაძინა დედაჩემმა: „ მამაშენი კაცს აღარ ჰგავსო, შენ წახვალ და რა ვიცი, რა დაემართებაო “ , თანაც ბავშვს შეეჩვივნენ ძალიან.

- გითხარი მე ეს ერთხელ, გათხოვებას არ ვაპირებ, პირიქით, ცოლი მომყავს. ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ ამ თემაზე და გვეყოფა! „ ნეიტრალური ტერიტორია “ გადაწყდა და მორჩა.

- კარგი, კარგი!

- ხოლო, რაც შეეხება მამაშენს, მამაჩემს და იმათ ცოლებს, სახალინზე არ მივდივართ, ბატონო. ხან ერთს ვნახავთ, ხან - მეორეს. გასაგებია?

- გასაგებია, - უპასუხა ეკამ და ისევ გულში ჩაეკრა.

* * *

- აბა, შენ იცი მერაბ! - გამოსძახა ღია ფანჯარაში ნუგზარმა ვაჟს მაშინ, როცა თბილისი-მოსკოვის მატარებლის შემადგენლობა დაიძრა.

- ნახვამდის მერაბ, ნახვამდის ნატა, - თქვა თვალცრემლიანმა ნელიმ და ცოლი და ქმარი ფანჯარას მოშორდნენ.

ბაქანზე უამრავი ხალხი დარჩა.

- გული დაგწყდა? - ნატამ მერაბს ხელკავი გაუყარა და გასასვლელისაკენ დაიძრნენ.

- არ მეგონა, მაგრამ მართლა გული დამწყდა, - უპასუხა ვაჟმა.

მთელი ბაქანი უხმოდ გაიარეს.

ბორჯომის ვაგზლის წინ, მანქანების მწკრივში, წითელი ჟიგული იდგა.

მერაბმა კარი გააღო, ჩაჯდა და მეორე მხარის ღილაკიც ამოსწია. მანქანა დაქოქა.

ნატა სწრაფად ჩაჯდა და მანქანა დაიძრა.

- სოსო! - წარმოთქვა უცებ მერაბმა, როცა მანქანა ,, დეზერტირების " ბაზარს მიუახლოვდა.

- ვინ სოსო?

- აი, რუხ პალტოში, ყვავილებით ხელში რომ დგას, ხედავ? ჩემი ყოფილი მეზობელია. წავიყვანოთ, - და მერაბმა ქერათმიან, გამხდარ ახალგაზრდას პირდაპირ ცხვირწინ გაუჩერა მანქანა.

ახალგაზრდამ მოიხედა.

მერაბი გადმოვიდა.

- მერაბ! - შეიცხადა სოსომ და ბარათაშვილს გადაეხვია.

- ჩაჯექი სოსო, თორემ რიგი დადგება, - მერაბი ისევ მანქანაში ჩაჯდა, გადაიხარა და უკანა კარი გააღო. ჩაჯდა სოსოც.

- გამარჯობათ! - მიმართა ამ უკანასკნელმა ნატას.

- გამარჯობათ! - თავი მოატრიალა და ,, მკრთალად " გაუღიმა ქალიშვილმა.

- საით სოსო-ბატონო? - ჰკითხა მერაბმა.

- სახლში მერაბ, ჭირიმე. და შენც ჩემთან წამოხვალ აუცილებლად, თუ ჩემი სამუდამოდ დაკარგვა არ გინდა.

- რა ამბავია? ყვავილები რომ გიჭირავს, კი ვხვდები საქეიფო განწყობაზე რომ ხარ,

მაგრამ... უი, დღეს ხომ 21-ია, ინგას დაბადების დღეა. ხედავ სოსო, ოთხი წელია გადახვედით და კინაღამ დამავიწყდა! არადა, ნატა, - ქალიშვილს მიმართა მერაბმა. - მე ისეთი 21 დეკემბერი არ მახსოვს, ინგას დაბადების დღეზე რომ არ მექეიფოს. ჰო, მართლა, ეს ნატაა, სოსო, - ჩემი ჯგუფელი და მეგობარი. სოსო კი ჩემი კარის მეზობელია. ყოფილი, სამწუხაროდ.

ნატამ კიდევ მოხედა ვაჟს და ისევ გაუღიმა.

- შენ ძმაო, ფენომენალური მეხსიერება გქონია... ჩემი ახალი სახლიც თუ გახსოვს, თამადობა არ აგცდება. ნატა, ძალიან გთხოვთ თქვენც წამობრძანდით.

- გმადლობთ!

- წავიდეთ, არა ნატა? - გაიღიმა მერაბმა.

- როგორც შენ გინდა... - წყნარად თქვა ნატამ და მერაბმა ნათლად ამოიკითხა მის სახეზე კმაყოფილება.

- კი, მაგრამ, შენ ძმა ხარ თუ სტუმარი? ამ დროს და თანაც ყვავილებით რომ მიდიხარ, პატარა სახლში დატრიალებულიყავი, არ ჯობდა? - გაიცინა ბარათაშვილმა.

- სახლში მთელი დღე ვიტრიალე, ერთი საათის წინ გამომაგდო ინგამ, გინდა თუ არა თეთრი მიხაკები მიყიდეო. დღეს

იმის სიტყვა ჩემთვის კანონია.

- შენმა სიძემ მეორე ინსტიტუტიც დაამთავრა ალბათ უკვე, არა? - სხვათა შორის ჰკითხა მერაბმა.

- სიძე? სიძე ორი წელია უკვე აღარ არის. მიატოვა ინგამ, - უეცრად დასერიოზულდა სოსო.

,, ეგ კიდევ საკითხავია, ვინ მიატოვა “ , - გაიფიქრა მერაბმა.

* * *

- ვაიმე, გადავირევი! - წამოიძახა აღტაცებულმა 25-26 წლის სიმპათიურმა ქალმა და მერაბს კისერზე ჩამოეკიდა. - მერაბ, ნუთუ შენ ხარ?

- გილოცავ, ინგა. ოთხი წელია, შენს დაბადების დღეს არ დავსწრებივარ.

- გილოცავთ! - მიულოცა ნატამაც.

- გმადლობთ, გენაცვალე. მერაბ, ეს მეუღლეა ალბათ...

- არა, ინგა, ეს მერაბის მეგობარია, - შეუსწორა სოსომ.

- გაიხადეთ, გაიხადეთ. ნეტავ იცოდე, როგორ გამახარე მერაბ! ხალხო, - მისაღები ოთახის კარი შეაღო ინგამ. - მიიღეთ სტუმრები! მერაბ ბარათაშვილი. ჩემი და ჩემი ძმის მეზობელი და მეგობარი. ერთ დროს ჩვენ ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით.

გრძელ მაგიდასთან 25-ზე მეტი კაცი იჯდა სხვადასხვა ასაკის, მაგრამ ახალგაზრდობა სჭარბობდა.

მერაბს და ნატას თვითონ ინგამ მიუჩინა ადგილი და თავად მოპირდაპირე მხარეს დაჯდა. სოსოც მერაბის გვერდით მოკალათდა.

- მერაბ, თამადობას შეგპირდი, მაგრამ აქ უჩემოდ დაუწყიათ და თამადაც აურჩევიათ, - ყურში ჩასჩურჩულა სოსომ. მაპატიე.

- არ გრცხვენია?! - მრავლისმეტყველად წარმოთქვა მერაბმა და ნატას ჭიქა შეუვსო.

- მერაბ, - ტუჩები ყურთან მიუტანა ნატამ ვაჟს. - თამადას შეხედე, არ გეცნობა?

- არა!

- პლატონ ნადარაია. უნივერსიტეტში არ დაგინახავს? აღმოსავლური ენების დეკანია.

- არ ვიცი, არ მახსოვს.

* * *

ერთი საათის შემდეგ, ღვინომ თავი იჩინა. სტუმრებმა ერთმანეთს სული და გული გადაუშალეს. თამადამ ყველა სადღეგრძელოს თურქული პროლოგი და არაბული ეპილოგი გაუკეთა. მერაბმა ყველა განსხვავებულზე უარი თქვა, საბაბად მანქანა დაიდო და შიგადაშიგ რამოდენიმე სადღეგრძელოც გამოტოვა, - ნატასთან საუბარი არჩია.

უცებ ინგას დაჟინებულ მზერას წააწყდა. თვალი აარიდა. ისევ გახედა, ინგა ისევ თვალებში მიშტერებოდა და ამაზრზენად, ოდნავშესამჩნევად იღიმებოდა.

,, ცუდად მიყურებს სირაძის ქალი “ , - გაიფიქრა ბარათაშვილმა. - ,, დღემდე შემორჩენია თავისი ბოზური გამოხედვა! ოჰო, თვალის ჩაკვრაც საკმაოდ ,, უხდება “ . სოსოს ხათრს რა ვუთხარი, თორემ ამ ღვინის დოქს პირდაპირ შუბლზე მივაფშვნიდი! “

- ახლა კი პატარა, ახალგაზრდებსაც მივხედოთ, ჩემო არჩილ! - მიმართა ოჯახის უფროსს თამადამ. - ა, ბატონო, სადღეგრძელოს თქმას რომ არ მაცლიდით, ახლა

იცეკვეთ და იმღერეთ, რამდენიც გაგიხარდეთ. მოხუცებს კი ჩვენი საქმე გვაქვს აქ, - გადაიხითხითა ნადარაიამ.

რამდენიმე ქალიშვილმა ტაში შემოჰკრა.

- ყველას, ვისაც ჯერ კიდევ არ შესრულებია 40 წელი, გეპატიჟებით ,, საცეკვაო მოედანზე “ ! - განაცხადა ინგამ და მომიჯნავე ოთახის კარი შეაღო.

გამაძლიერებლიდან გამოვარდნილმა საესტრადო მუსიკის ხმამ საგანგებოდ დაცლილი საძინებელი ოთახი მთლიანად მოიცვა.

მერაბი ნატასთან ცეკვავდა. ან, უფრო სწორად, მისი ხელები მხრებზე ეწყო და ,, ზრდილობის გულისათვის “ ოდნავ იხრებოდა მარჯვნივ და მარცხნივ. ნატა კი თვალებში შეჰყურებდა და უმიზეზოდ იღიმებოდა.

პირველი სიმღერის დასასრულს ვიღაცა ,, მიხვდა “ , რომ ის მკრთალი ცისფერი შუქი, რომელიც ,, უდროო დროს “ ენთო, საჭირო აღარ იყო და შუქი გამორთეს.

დაახლოებით ოცი წუთი ,, იქანავა “ 8 წყვილმა და თამადამ კარი შემოაღო.

- აბა, ახლა საქმესაც მივხედოთ. მარტო ცეკვა-სიმღერით სოფელი ვის აუშენებია?!

მუსიკა გამორთეს.

- ერთი ცეკვაც, ბიძია პლატონ, ძალიან გთხოვთ! - ყელი გაუწია ინგამ.

- ეს იუბილარის ხმა იყო, თუ არ ვცდები. შენი ხათრით ორი იყოს, ინგა. მხოლოდ მე ნუღარ დამაძახებინებთ თავს. ვინც დაიღალეთ, შეგიძლიათ ახლავე შემოგვიერთდეთ.

მართლაც, უმრავლესობამ საცეკვაო ოთახი მიტოვა.

- მერაბ! - კარისაკენ მიმავალი მერაბი და ნატა ინგას ხმამ შეაჩერა. - მაქვს თუ არა უფლება, ერთხელ შენთან ვიცეკვო?

მერაბმა ნატას გადახედა.

- ახლავე მოვალ, ინგა, - ნატა ოთახიდან გაიყვანა, თავის სკამზე დასვა და თვითონაც დაჯდომა დააპირა, მაგრამ ნატამ სკამზე ხელი დააფარა:

- წადი, მერაბ, სირცხვილია, გელოდება.

ვაჟმა ნატას თვალებში ჩახედა და რადგან ირონიის ნატამალიც ვერ ამოიკითხა, უკანვე გაბრუნდა.

შეაღო თუ არა მერაბმა კარი, ინგამ მაგნიტოფონის ღილაკს ხელი მიაჭირა და მუსიკა ისევ აჟღერდა.

სირაძემ მერაბს ხელები კისერზე შემოაჭდო. მათ გარდა კიდევ ორი წყვილი ცეკვავდა.

- მაცაცო, - გადაულაპარაკა საკმაოდ ხმამაღლა ინგამ მოცეკვავე ქალიშვილს. - რაც შემოვედით, გიყურებ და მას შემდეგ

არ გაჩერებულხარ, ნუთუ არ დაიღალე?!

ეს სიტყვა და ორივე წყვილმა ოთახი დატოვა.

- ინგა, შენ რომ ჩემი და იყო, ერთ დღეს არ გაცოცხლებდი! - კბილებშორის გაცრა ბარათაშვილმა.

- შენ ისევ ფიცხი ხარ, მერაბ? მაშინ, გეშინოდეს! ჩემ ქმარს ეგ ხარისხი რომ აკლდა, იმიტომ გავშორდი, - ინგამ მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მერაბს საფეთქელიდან კისრამდე ჩააყოლა.

- ღვინო დალიე და კაცი მოგინდა? - სიმწრით ჩაიცინა ვაჟმა.

- მერაბ... მერაბ, მე შენთან ყოფნა მინდა! - შუბლი მკერდზე მიადო ინგამ.

- გეყოფა სისულელეების როშვა!

- მერაბ... - ჩურჩულით წარმოთქვა ინგამ. მარჯვენა ხელიც მკერდზე დაადო, ნაზად დაბლა ჩააცურა და შარვლის ღილებს წაატანა.

ბარათაშვილს უცებ სისხლი ტვინში აუვარდა. ტანში ჟრუანტელის ისრებმა დაუარა, ოთახი დატრიალდა, სახის ძარღვები დაებერა. ხელი ინგას ხელში ჩაავლო და ისე მოუჭირა, რომ ამ უკანასკნელის კივილმა მუსიკის ხმას ბევრად გადააჭარბა.

ყვირილზე კარი გაიღო და აბსოლუტურად ყველა სტუმარი შემოცვივდა.

როცა შუქი აანთეს, ინგა ორ ფანჯარას შორის კედელს შუბლით მიეყრდნო და ისტერიკაში ჩავარდა. გაფითრებული მერაბი კი ოთახის შუაგულში იდგა და ქალს ზიზღით სავსე თვალებით შეჰყურებდა.

- მოგკლავ, შენი დედა... - იღრიალა სოსო სირაძემ, კუთხეში მდგარ დაბალ სკამს ხელი წამოავლო და მერაბისაკენ გამოქანდა, მაგრამ ვერც დარტყმა და ვერც გინების დამთავრება ვერ მოასწრო. მერაბმა ჯერ მუცელში შეაგება მოქნეული მუშტი, მერე კი ქვევიდან ცხვირ-პირში ამოჰკრა და სირაძე სუნთქვაშეკრული, პირდაპირ კეფით დაეცა იატაკზე.

მეორე ,, თავდამსხმელსაც " იატაკზე მიუჩინა ადგილი ბარათაშვილმა და როცა შეატყო, რომ უკვე მთელი ბრბო მისკენ მოიწევდა, თაროდან დიდი რკინის შანდალი ჩამოიღო და ხელში მოიმარჯვა:

- იცოდეთ, მე სუფთა ვარ და ერთი მუშტიც რომ მომხვდეს, დედაბუდიანად გაგწყვიტავთ!.. ნატა! - ახლაღა გაახსენდა მერაბს.

- ჩემი სახელი აღარ ახსენო! - წამოიძახა ნატამ და ტირილით გავარდა სახლიდან.

ნაბიჯი აღარავის გადაუდგამს, მაგრამ ყველა ზიზღით სავსე თვალებით შესცქეროდა. ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ ,, ოჯახის პატივზე მიმფურთხებლის " დასასჯელად.

- დაანებეთ თავი! - წამოიძახა უცებ ოჯახის უფროსმა და წრე გაარღვია. - დააგდე ეგ შენი შანდალი და წადი! - მიმართა მერაბს. - ახლა წადი! ქართველი კაცი ვარ და ჩემს ოჯახში არ გაგისწორებ ანგარიშს. შეგხვდები, როცა იქნება მე შენ! ჰე, გადი, გადი, ნუ გეშინია! ჩემს წინააღმდეგ ეს ხალხი ვერ წავა. ჩათვალე, რომ დღეს გადარჩი, წადი!... არადა, რა მამის შვილი, რა ვაჟკაცი მამის, სირცხვილი შენი!

- მე სასირცხვილო არაფერი გამიკეთებია. სირცხვილზე და ნამუსზე საკუთარ ქალიშვილს ელაპარაკე, გირჩევნია. მე სამაგისო არაფერი მჭირს, - თქვა მერაბმა. მერე ყველანი შეათვალიერა: ორი კაცი სოსოს ადგომაში ეხმარებოდა. დარწმუნდა, თავდასხმას არავინ აპირებდა. შანდალი დააგდო, დერეფნის კარი გამოაღო და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა.

* * *

ეკამ სირბილით გაიარა გზა გაჩერებიდან სახლამდე.

კარებზე ისეთი ბრაგა-ბრუგი ატეხა, მეზობელმაც კი კარი გამოაღო და გამოიჭყიტა.

- რა დღეში ხარ, ეკა? - კარი გააღო გაკვირვებულმა დედამ.

- დედიკო! - ქალიშვილი კისერზე შემოეხვია ქალს. - ორშაბათიდან ,, ახალგაზრდა კომუნისტის " თანამშრომელი ვარ, გესმის დედა...

- კი, მაგრამ შენ ხომ თითქმის წინასწარ იცოდი, რომ ასე იქნებოდა...

- საქმეც ამაშია, რომ თითქმის ვიცოდი და არა დანამდვილებით. გუშინწინ კი სულ დავკარგე იმედი, მაგრამ გოცირიძემ სასწაული მოახდინა. თვითონ შევიდა ჯაბუასთან და ყველაფერი მოაგვარა, გესმის დედა, ,, ახალგაზრდა კომუნისტში! " შენ არ იცი, რა ბედნიერი ვარ! შენ არ იცი... და ეკამ დედას მთელი სახე დაუკოცნა.

- გოგამ თუ იცის?

- როგორ არ იცის. მთელი დღეა, გვერდიდან არ მომშორებია... ავთოც იქ იყო და ლიკა ჟვანიაც. მოემზადე, გია გაგუა ჩამოსულა ჯარიდან, იმას გაუვლიან და ამოვლენ. მამა სად არის?

- მოვა აწი. შეაგვიანდა, ალბათ ობიექტზეა.

- ეკა!

- გისმენ, დედა.

- ჯუნას ვინ გამოიყვანს, შვილო. ჯობია, დარეკე ბებოსთან და იყოს იქ ამაღამ. მაგრამ, არ გაჩერდება და იმ ქალსაც დატანჯავს...

- გოგა გამოიყვანს. ვუთხარი მე უკვე...

დაახლოებით 40 წუთის შემდეგ, საღამოს 8 საათისათვის, ეკას სადარბაზოსთან თეთრი „ ჟიგული “ გაჩერდა. მანქანიდან ოთხნი გადმოვიდნენ. სადარბაზოში სიცილ-ხარხარით შევიდნენ და მეორე სართულზე, კართან ჩამ-წკრივდნენ.

- მოიცა, არ დააკაკუნო, - თქვა გოგამ და ავთოს ხელი გამოაწევინა. - გია, შენ დადექი კართან. ჩვენ აგერ, კედელს მივეფარებით და დაიწყება თუ არა წივილ-კივილი, ჩვენც ინდიელებივით

შევცვივდებით სახლში.

გადაწყვეტილება ყველას მოეწონა.

მაღალმა, გამხდარმა და დიდყურება ვაჟმა კარზე მიაკაკუნა.

- ცოტა მაგრად, ბიჭო! - ჩამოსძახა ავთომ ზევიდან.

ვაჟმა ხელმეორედ მიაკაკუნა.

- გია! - წამოიძახა ეკამ და ვაჟს გადაეხვია.

- გია! - გაიმეორა დედამ და ისიც გადაეხვია.

- როგორ შეცვლილხარ, ბიჭო, როგორ შეცვლილხარ! - გააგრძელა ეკამ და ვაჟი აათვალიერა. - გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ. უი, მომიკვდეს თავი, ულვაშები მოუშვი? - და ეკამ კარი მიხურა.

- ჩვენ სულ დავავიწყდით, ბიჭო! - წამოიძახა ავთომ.

- ხომ გითხარი, კარს გააღებენ თუ არა, იყვირე და კიბეებზე დაეშვი-მეთქი. სულ შენი ბრალია, ჩაგვაყენე იდიოტურ მდგომარეობაში. რა ვუთხრათ ახლა, რატომ დავიმალეთ-თქო? - „ გაბრაზდა “ გოგა და ლიკას თვალი ჩაუკრა.

- ე, ჩემგან რა გინდა... - დაიბნა ავთო. - მე რა ვიცოდი, როდის უნდა მეყვირა.

ლიკას სიცილი აუტყდა და კიბეზე დაეშვა. კართან შეჩერდა:

- ჩამოდი ავთო. დაანებე მაგას თავი, თორემ გადაგრევს.

- ვაიმე, ბავშვის მოყვანა დამავიწყდა. ავთო! ჯუნა უნდა მოვიყვანოთ.

- საიდან?

- თუმცა თქვენ შედით და მე მოვიყვან, - გოგამ კიბე ჩამოირბინა და კარზე მიაკაკუნა.

კარი ეკამ გააღო. ავთო და ლიკა სახლში შევიდნენ. გოგა დაბლა დაეშვა.

- ცოტაც რომ დაგეგვიანათ, სულ აღარ შემოგიშვებდით, - პალტო ჩამოართვა ეკამ ლიკას. - გოგა სად არის?

- ჯუნას მოსაყვანად წავიდა.

- კი მაგრამ, იქიდან როცა მოდიოდა, ვერ გაუარა?

- დაავიწყდა, - თქვა ავთომ და პირდაპირ მისაღებში შეაბიჯა.

სუფრა გაშლილი იყო. ოთახში გია გაგუა იდგა და თაროზე შეფენილ სურათებს ათვალიერებდა. ავთოს დანახვაზე მოტრიალდა, ოთახის კარი მიხურა და სავარძელში ჩაჯდა.

- ავთო, - დაიწყო გიამ თითქმის ჩურჩულით. - მე სამი წელი საქართველოში არ ვყოფილვარ. ვხედავ, ძალიან დიდი ცვლილებები მომხდარა. რატომ არ არის მერაბი ჩვენთან ერთად, ან გოგას და ეკას ამბავი საიდან და როგორ? რა მოხდა, ავთო? მითხარი თუ ძმა ხარ, თორემ შევიშლები...

- რა გითხრა. მე სამი წელია აქ ვარ, მაგრამ ვერაფერი გავიგე. უფრო სწორად, ვიცი რა მოხდა. მაგრამ, არ ვიცი, რატომ მოხდა და არც არავინ მეუბნება, - კარს ზურგით მიეყრდნო ავთო.

- მერაბი რას შვება, სად არის, რას აკეთებს? თქვენთან კონტაქტი რატომ აქვს გაწყვეტილი?

- ეგ ვინ გითხრა? არა, ეს ასე არ არის, უბრალოდ... - და ავთო გაჩუმდა, რადგან საჭირო სიტყვები ვერ იპოვა.

- რა, უბრალოდ?

- უბრალოდ, იქ სადაც ეკა და გოგა ერთად არიან, მერაბი... მოკლედ, შენ თვითონ მიხვდები.

- ვერაფერი ვერ გავიგე. მე როცა ჯარში მივდიოდი, ყველაფერი სხვაგვარად იყო... არადა, არ შეიძლება აქ დიდი უსიამოვნება არ მომხდარიყო. თქვი, კაცი არ ხარ. სანამ ქალები შემოვლენ, თორემ წამოვაყრანტალებ სუფრაზე რაღაცა ისეთს, საჭირო რომ არ არის.

- გაიწიე ბიჭო იქით, - კარს მიაწვა ლიკა.

- მობრძანდი ბატონო. მე რა ხელს გიშლი? - უპასუხა ავთომ.

- ხელს მიშლი, აბა რას შვები. ამხელა კაცი პირდაპირ კარს რომ მიყუდებულხარ, გასაღების ხვრელში ხომ არ შემოვძვრები? - მუცელში ხელი მიარტყა ქალიშვილმა ავთოს.

- დასხედით, ხალხო, გამოფენაზე ხომ არ ხართ, ფეხზე რომ დგახართ? - ხელსახოცებით სავსე ორი ჭიქა მაგიდაზე დადგა ეკამ. - მართლა, ლიკუნა, ერთ ჩემ მეგობარს უნდა დავურეკო, ჩემი ლექტორის ქალიშვილს. გადასარევი გოგოა, ხომ კარგი აზრია?

- რა თქმა უნდა, - დაეთანხმა ჟვანია. ეკამ ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

- ვინ მეგობარი, ეკა? - იკითხა ავთომ.

- თუ სახლშია, მოვა და გაიგებ! ალო! გამარჯობათ, ბიძია ტარიელ. ნატა მინდოდა, თუ სახლშია.

* * *

მძინარე ჯუნა ხელით ამოიყვანა გორგილაძემ, საძინებელში დააწვინა და მისაღებში დაბრუნდა.

- გოგას გაუმარჯოს! - თქვა ოჯახის უფროსმა. - სულ საუკეთესო სუფრებზე გეთამადოს. ბედნიერი კაცი ყოფილიყავი!

- გაგიმარჯოს, გოგა!

- გაუმარჯოს!

- აბა, შენ იცი!

- გოგა, გაგიმარჯოს შვილო! - დალოცა ოჯახის დიასახლისმა.

- გმადლობთ! დიდი მადლობა ყველას, ვინც ესოდენ დიდი პატივი დამდო და ამით ბედნიერება მომანიჭა. მაგრამ ჩემს სრულ ბედნიერებას ერთი კომპონენტი აკლია. ეკა, გადარეკე ერთი ჩემთან და გოჩას უთხარი, სასწრაფოდ ამოვიდეს.

- ვაიმე, მომიკვდეს თავი! - ფეხზე წამოიჭრა დედა. - სირცხვილი ჩვენი. აქამდე როგორ არავის არ მოგვაფიქრდა. სასწრაფოდ ტელეფონს ეცა:

- გამარჯობა გოჩუნა.

- გამარჯობათ. - გაისმა ყურმილში.

- ხომ იცანი,

შვილო, ჩემი ხმა. სასწრაფოდ აქ გაჩნდესო, გოგამ. გადმოირბინე, გენაცვალე.

- რა მოხდა, ნასვამი ხომ არ არის?

- არა, არა, გოჩა. მეგობრები შეიკრიბნენ, შვილო და ყველანი გელიან.

- კარგით, მოვდივარ!

- ჰო, შვილო, გელით! - ნელიმ ყურმილი ყურიდან არ მოიშორა და დაელოდა სანამ გოჩა არ დადებდა. - რა შეგნებული ბავშვია, - მიკროფონს ხელი დააფარა. - ელოდება, მე როდის დავდებ, თვითონ არ კიდებს ყურმილს. დავდებ ისევ მე. - ყურმილი დადო და ისევ მაგიდასთან მობრუნდა.

ავთომ ჭიქები შეავსო.

- გია, - მიმართა თანაკლასელს გოგამ. - ერთი, შენს უკან რომ პატარა ლარნაკი დევს, ის მომაწოდე.

- აუუუ, დაიწყო! - უსიამოვნო გამომეტყველება მისცა ეკამ სახეს.

- ჯერ არ დაწყებულა, იწყება, - ლარნაკი ჩამოართვა გოგამ გიას და შეავსო.

- არ გინდა, შვილო, მაგი. ყანწს მოგცემ. ეგ ლარნაკი ნამეტანი დიდია. - შეწუხდა დედა.

- თვითონ იცის თავის საქმე! - ცოლს მიმართა გიზომ.

- გმადლობთ, ბატონო გიზო, დროული დახმარებისათვის, - გოგა ფეხზე წამოდგა. - მე მინდა, დღევანდელი დღე დავულოცო ეკას. დღევანდელი ბედნიერი, კიდევ ერთი გამარჯვების დღე! გაგიმარჯოს ეკა! მრავალსიტყვიანობით თავს არ შეგაწყენთ, - გოგამ ლარნაკი მოიყუდა და გამოცალა.

- არა ძმაო, ჩადის, რა გინდა! - აღტაცება ვერ დაფარა გიამ. - მე კი, გინდა მომკალი, ამას ვერ დავლევ.

უცებ კაკუნის ხმა გაისმა. ეკა წამოდგა და კარისაკენ გაემართა. გააღო.

- ნატა! ვაიმე, თოვლი მოდის? სულ თეთრი გაქვს თავი, - გადაკოცნა ქალიშვილი.

- ჰო. ვინ გყავს, ეკა?

- გოგა და მეგობრები. ვინ იქნება სხვა? გაიხადე, გაიხადე და აბაზანაში შემოდი. თავი სულ სველი გექნება რამოდენიმე წუთში.

ნატამ თავიდან თოვლი მოიშორა, თმა დაივარცხნა და ეკასთან ერთად მისაღებში შევიდა.

- დღემდე თქვენთვის უცნობი, ჩემი უახლოესი მეგობართაგანი, ნატა ჟღენტი! - განაცხადა ეკამ.

- მობრძანდით, - ფეხზე წამოდგა გოგა და ადგილი მიუჩინა ახლადმოსულს.

- ბიჭო, ეს გოგო მგონი სადღაც მინახავს, - გადაუჩურჩულა გიამ ავთოს.

- კაი, თუ ძმა ხარ, არ მითხრა ახლა ჩემს გემზე ,, პოვრად " მსახურობდაო. სამი წელია აქ არ ყოფილხარ და ეს გოგო კი არა, ჩემი სახე რომ გახსოვს, ისიც მიკვირს, - უპასუხა ავთომ ჩურჩულითვე. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოახერხა.

- მეგობრებო! - ისევ წამოდგა გოგა. - მე მინდა ჩემს პროგრამას გადავუხვიო და ახლადშემოსწრებულის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ...

- ბიჭო, რა საინტერესო ტიპია, შეხედე რა? - ისევ გადაუჩურჩულა გიამ ავთოს.

- შენ ბიჭო, სამი წელი ბალტიის ზღვის მეტი არაფერი გინახავს და ყველა თბილისელი ქალი საინტერესოდ გეჩვენება.

- არა, რას მიქარავ. შეხედე, რა თვალები აქვს!

- თვალები მართლა დიდებული აქვს.

- სახეს უწუნებ?

- არა, არ ვუწუნებ.

- ტანიც ხომ აქვს ისეთი, უკეთესს რომ ვერ ინატრებ?

- მე რა ვიცი, ზის და ტანის ავ-კარგი როგორ ვთქვა.

- წეღან ხომ იდგა ფეხზე, რომ შემოვიდა?!

- მაშინ არ დავკვირვებივარ.

- თქვენ რას ჩურჩულებთ მანდ? - ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა გოგამ. - ჯერ ერთი, ვაზა არ დაგილევიათ, მეორეც, ნატა ადღეგრძელეთ.

- გიამ უკვე ადღეგრძელა უღვინოდ, - გადაირეხრეხა გულუბრყვილოდ ავთომ და ვერც შეამჩნია, ამ სიტყვებმა გია როგორ წამოაწითლა სახეზე.

ნატამ ჯერ ავთოს შეხედა, მერე - გიას. ამ უკანასკნელმა კი ღვინით სავსე ლარნაკს ხელი წამოავლო და დაბნეული ფეხზე წამოიჭრა.

- გაგიმარჯოთ ნატა, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, - თქვა და ის იყო, ლარნაკი მოიყუდა, რომ ავთოს ხმა მოესმა.

- ბიჭო, გია, ვაზით ეკა ადღეგრძელეს, ნატა კი აი, ამით, - და ხელში ჭიქა შეათამაშა.

გია ისევ წამოენთო სახეზე. ლარნაკი ცივად დაუშვა...

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, - გიას გასაჭირს მიხვდა გოგა. - და საერთოდ, რას გადაეკიდე ამ კაცს? შენ კი, ჩემო გია, დალიე ძმაო, დალიე და ყურადღებას ნუ მიაქცევ შენს გვერდზე მჯდომს. ხომ არ დაგავიწყდა მაგისი სახელი და გვარი. ეგ არის ავთო გელაშვილი!

გიამ მაგიდის წევრებს თვალი გადაავლო.

- ეგრე იყოს. გოგა, კი ვთქვი, ვერ დავლევ-მეთქი, მაგრამ შევეცდები, - გიამაც მოიყუდა ლარნაკი და სმას შეუდგა.

ყველა გაისუსა. გოგა გიას სახის გამომეტყველებამ მიახვედრა,

რომ ამ უკანასკნელს უჭირდა.

გია კი ნელა, მაგრამ მაინც სვამდა.

ნახევარი დალია.

- აი, ყოჩაღ! - ფეხზე წამოდგა გოგა და გაგუას ღვინიანი ლარნაკი პირდაპირ პირიდან გამოაცალა. - გეყოფა, ჩემო გია. შენთვის ახლა მეტი არ შეიძლება, გადაჩვეული ხარ ღვინოს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ის დრო, როცა ორ ამისთანას თავისუფლად ერეოდი, ხომ ასეა, ავთო?

- როდის იყო ეგ, გოგა? - გაუკვირდა ავთოს.

- როდის და სამი წლის წინ! - წარბები შეკრა ავთოს მიუხვედრელობით გამწყრალმა გოგამ და სხვებისთვის შეუმჩნევლად მაგიდის გვერდიდან მუშტი აჩვენა. - არ გახსოვს?

- როგორ არ მახსოვს, მახსოვს! - ამოილუღლუღა გოლიათმა.

- ის თუ გახსოვს, ეს ვაზა შენ რომ გელოდება? - გოგამ ლარნაკი ღვინით ბოლომდე, კიდემდე შეავსო და ფრთხილად მიაწოდა ავთოს.

,, საწყალი ბიჭი “ ” - გაიფიქრა ნატამ, როცა გიას ღვინისაგან აციმციმებულ თვალებს და გაწითლებულ სახეს შეხედა. ,, შერცხვა და ღვინოც უცებ მოეკიდა... ეს მუტრუკი კი მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. ეკას მამას სახეზე ეტყობა, რომ სასიძოთი ამაყობს! თითქოს მართლაც კარგი ბიჭი ჩანს. მაგრამ, თუ არ ვცდები, ცოტა თავხედური მანერები აქვს... რატომ მგონია ასე, ჯერჯერობით ამის საბაბი არ მოუცია. რატომღაც ასე მგონია... “

და ყველანი ესენი, მერაბის კლასელები არიან?! ”

ავთომ ლარნაკი გამოცალა.

კარზე ისევ გაისმა კაკუნი.

- ეს გოჩაა, - ფეხზე წამოდგა ეკა. წამოდგა დედაც და ორივენი კარისაკენ გაემართნენ.

- ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! - ორი უზარმაზარი ტორი გაშალა ავთომ ცისფერთვალება, ლამაზი ბიჭის გამოჩენაზე. - აქეთ მოდი გოჩა, ჩემსკენ!

- გამარჯობათ, - მოკრძალებით მიესალმა გოჩა ყველას და ძმას შეხედა.

- გიას ვეღარ ცნობ, გოჩა? - მარცხენა ხელი გაგუას მიმართულებით გაიშვირა გოგამ.

- გოჩა გიასკენ გაემართა. გია ფეხზე წამოდგა და გადაეხვია. ამასობაში დედამ სკამი შემოიტანა და ავთოს მიაწოდა.

- აგერ დაჯექი, გოჩა, - ხელმეორედ მიანიშნა ადგილი ავთომ. გოჩა დაჯდა.

მისაღების კარი ღია იყო. დერეფანში ეკა იდგა და გოგას მზერის დაჭერას ელოდა. როგორც იქნა, შეამჩნია გოგამ, ბოდიში მოიხადა და გარეთ გავიდა.

- რა მოხდა, ეკა?

- გოგა, ცუდად ნუ გამიგებ. ნატა სხვანაირ ოჯახში, სხვა წრეშია გაზრდილი და ამ გაუთავებელი ღვინის სმით და გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით ნუ გააბეზრებთ, ძალიან გთხოვ... და, კიდევ ერთი რამე მინდა გითხრა... - ეკა შეყოვნდა.

- თქვი. კიდევ დავაშავე ალბათ, რამე, არა? თქვი!

- მისკენ მიიზიდა და ნაზად ეამბორა თავზე.

- გოგა, ნატა მერაბის მეგობარია. ჯგუფელი და ახლო მეგობარი. შეიძლება უფრო მეტიც...

- როგორ? - გაკვირვებისაგან სახე დაუგრძელდა გორგილაძეს. - აქამდე ვერ მითხარი? შენ გადამრევ მე, გადამრევ...

- რა აუცილებელი იყო ამის თქმა?

- როგორ თუ, რა აუცილებელი იყო. დაფიქრდი ეკა, რას ამბობ... ნუთუ ვერ ხვდები, რომ ყველაფერი, რაც აქ მოხდა და მოხდება, მერაბს ხვალ ან ზეგ ეცო-დინება! ან საერთოდ, რად გინდოდა რომ ურეკავდი. რა აუცილებელი იყო დღეს მისი აქ ყოფნა...

- გოგა, რა მოხდა ისეთი. ვერაფრით ვერ გამიგია!

- გაჩუმდი ეკა! რა თვალებით შევხედო მერაბს, რომ შემხვდება. რა ვუთხრა, ნახევარ დედამიწას დავუძახე და შენ დამავიწყდი-მეთქი?

- მერაბი აქ მაინც არ მოვა, - თავი ჩაღუნა ეკამ. - ჩემზე კარგად იცი შენ!

- მოვა თუ არ მოვა, ეს უკვე მისი საქმეა. მე კი უნდა მეთქვა.

- აგერ ტელეფონი, დარეკე და უთხარი. მოსვლით ის მაინც არ მოვა, კიდევ ერთხელ გეუბნები. შენ კი შენს ვალს მოიხდი. ეს გინდა, ხომ? ჰოდა, დარეკე.

- შენ ცდები! მე მინდა, რომ ის მართლა მოვიდეს. ადრე თუ გვიან, ეს უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს, რადგან შენ იცი, მე მერაბს ქვეყნად არაფრის ფასად არ დავთმობ და სწორედ ამიტომ, კი არ დავრეკავ, გოჩას და ავთოს გავგზავნი. მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ ჩემი წასვლა არ გამოვა. გოჩა! - გასძახა ძმას გოგამ.

გოჩა უხმოდ წამოდგა და გამოვიდა.

- რა არის, გოგა?

- მოიცადე აქ ერთი წუთი, - გორგილაძემ კარი შეაღო და ავთოს თავის მოძრაობით უხმო.

* * *

მაგიდაზე კონიაკის ბოთლი იდგა და მანდარინის ქერქები ეყარა.

მერაბმა მეხუთე ჭიქა გამოცალა და მეხუთედ გაიხსენა რამოდენიმე საათის წინ მომხდარი ამბავი:

,, უნივერსიტეტის სპორტდარბაზში იასონი შემოვარდა:

- მერაბ, გეძახიან.

- ვინ მეძახის?

- საპროფესოროში

გელოდებიან. ჩვენი დეკანი, მაჩიტაძე და პლატონ ნადარაია.

საპროფესოროში მართლაც სამნი ისხდნენ.

- შეიძლება? - იკითხა მერაბმა კარის გაღებისას.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა ნადარაიამ.

მერაბი შევიდა.

- აქ დაბრძანდით, - სკამზე მიანიშნა დეკანმა, ჭაღარათმიანმა ქალმა.

მერაბი დაჯდა.

- აბა, ყმაწვილო, მოდით გავიხსენოთ, რა და როგორ მოხდა წუხელ.

- თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო? - კითხვაზე კითხვით უპასუხა პლატონს მერაბმა.

- ნუთუ ასეთი ცუდი მახსოვრობა გაქვთ, ჭაბუკო. მე გუშინ იმავე მაგიდის წევრი ვიყავი, რომელ მაგიდასთანაც თქვენ მოილხინეთ!

- გისმენთ, ბატონო თამადავ! რაშია საქმე?

- ნუ უხეშობთ, ახალგაზრდავ. მე ახლა პროფესორი პლატონ ნადარაია ვარ და არა თამადა...

- რა გნებავთ, ბატონო პროფესორო? მე ძალიან ცოტა დრო მაქვს, ლექციები უკვე დამთავრდა და უამრავი საქმე მაქვს.

- კარგი ბატონო, გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე. ქალბატონო ეთერ! - მუბრუნდა ნადარაია დეკანს. - მე თქვენ ყველაფერი დაწვრილებით მოგახსენეთ და გამეორებას აღარ ვაპირებ. მხოლოდ მინდა გავიგო, აღიარებს თუ არა ეს ყმაწვილი ჩემს მონაყოლს. ხომ არ უარყოფს? - და პლატონი მერაბს შეაცქერდა.

- მე რომ არ ვიცი, რა თემაზე ჰყვებოდით ბატონო პლატონ?!

- თქვენს წუხანდელ საქციელზე, ბარათაშვილო! ქალიშვილზე ძალადობაზე, ხულიგნობაზე და არაკაცობაზე! - ყვირილით დაამთავრა წინადადება ნადარაიამ.

- სიტყვები შეარჩიეთ, ამხანაგო პროფესორო. გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას და გარეგნობას.

- ხედავთ, ბატონო მალხაზ! - მიუბრუნდა ნადარაია გვერდზე მჯდომ ახალგაზრდა კაცს. - მეც მაშინებს!

- მე არ გაშინებთ, მე გიგერიებთ... ახლა კი პირდაპირ მითხარით, რას მოითხოვთ ჩემგან!

- მერაბ, - დაიწყო დეკანმა. - ბატონი პლატონი ამბობს, რომ შენ გუშინ ნასვამ მდგომარეობაში, სირაძეების ოჯახში იხულიგნე. ქალიშვილის გაუპატიურების მცდელობა, ჩხუბი, ოჯახის უფროსის მიმართ გამოთქმული უწმაწური სიტყვები. ყველაფერი ეს, შენ გბრალდება...

- ქალბატონო ეთერ, ქალიშვილის გაუპატიურების მცდელობა და რაიმე ამგვარი, იქ არ ყოფილა. შეგიძლიათ, თვითონ იმ ქალიშვილს ჰკითხოთ და არა მგონია, ჩემი ნათქვამი უარყოს. უწმაწური სიტყვებიც არ მითქვამს, ამის დამტკიცებაც შემიძლია. მოხდა გაუგებრობა, რომლის ახსნა-განმარტებას მე არ ვაპირებ. ხოლო რაც შეეხება ჩხუბს, ვაღიარებ, იყო და ისიც სწორედ იმ გაუ-გებრობით გამოწვეული. კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო, - მე მხოლოდ თავს ვიცავდი “ .

მერაბმა ბოთლი ავტომატურად გადახარა ცარიელი ჭიქისაკენ, მაგრამ შიგ კონიაკი აღარ აღმოჩნდა. წამოდგა, კარადა გამოაღო და ახალი ბოთლი გამოიღო. დაჯდა და დაისხა.

,, - რა გითხრეს? - საპროფესოროსთან დახვდა იასონი.

- რა უნდა ეთქვათ. ამხანაგურ სასამართლოზე წარდგებიო, ნადარაიამ.

- მერე!

- მერე არაფერი, - იასონს ხელი გადახვია მერაბმა. - ვერ მივანიჭებ მაგ სიამოვნებას, ბატონ პლატონს. განცხადება დავწერე და ეთერს დავუტოვე.

- რა განცხადება, ბიჭო!

- ხვალიდან თავისუფალი კაცი ვარ, ჩემო იასე. სრულიად თავისუფალი. ასე ჯობია. რა დონის ნაძირალა ყოფილა პატივცემული პლატონი. იცი, რა მითხრა? შენ თუ უარყოფ ქალიშვილზე ძალადობას, ახლავე გამოვუძახებ სტუდენტ ჟღენტს და დაგიმტკიცებო...

- შენ ახლა იცი რას გიზამ, გაგიყვან ბაღში და იმდენს გირტყამ, რომ უნივერსიტეტის დატოვებამ მართლა მოგიწიოს, ოღონდ ჯანმრთელობის შერყევის გამო! შენ, შენ... - სიტყვებს ვეღარ პოულობდა გაცხარებული იასონი. - შენ კაცი არ ყოფილხარ! შენ თუ მართლა ეგ გააკეთე, არ ვიცი, რა დაგარქვა, შენ ყოფილხარ არაკაცი!...

- შენ ნადარაიას ნათესავი ხომ არ ხარ, ბიჭო. იმანაც ზუსტად ეგ სიტყვა მეძახა ნახევარი საათის განმავლობაში...

- კიდევ იღიმები? ვითომ არ გაწუხებს მომხდარი ამბავი. ვითომ, ფეხზე გკიდია, არა? გასკდები ამდენი პატივმოყვარეობისგან, როცა იქნება, გასკდები... ვიცი, კარგად ვიცი, რატომაც გააკეთე ეგ. შენ გგონია, ხვალ მთელი თბილისი ტაშს დაგიკრავს ესოდენ დიდი მსხვერპლის გაღებისათვის, რადგან ეს მსხვერპლი რაინდული სულის პირმშოა... ეგოისტი ხარ, ეგოისტი. შენ ფეხებზე გკიდია დედა, მამა, და, ძმაკაცი, ნათესავი და ყველა, ყველა ფეხებ-ზე გკიდია... აი, რას გეტყვი, კარგად მომისმინე: მე, ხვალ დილას, შენ თუ ლექციაზე ვერ დაგინახავ, იცოდე, დაივიწყე ჩემი სახელი და არსებობა. მორჩა, მე წავედი... “ “

ოთახში ზარის ხმა გაისმა.

მერაბმა ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა, ნახევარი მანდარინი პირში ჩაიდო, წამოდგა და არამყარი ნაბიჯებით კარისაკენ გაემართა.

კარის სახელურს ხელი მოკიდა თუ არა, ზარის ხმა განმეორდა.

- ჰო, ახლავე, - კარი გამოაღო.

- შეიძლება? - იკითხა ავთომ.

- გოჩა, ჩემო გოჩა, - ხელები გაშალა მერაბმა და თითქოს ავთო ვერც შეემჩნიოს, ბიჭს

გადაეხვია. - შემოდით, შემოდით... - ორივე

წინ გაატარა და თვითონაც უკან გაჰყვა. კარი არ მიუხურავს.

- ბიჭო, შენ მარტო დალევაც დაიწყე? - კონიაკის ბოთლებს ხელი მოჰკიდა ავთომ. - თუ, ვინმე გყავდა? მაგრამ, აქაურობის შემხედვარე, ვერ იტყვი, რომ კიდევ ვინმე იყო. ჭიქა ერთი, მანდარინი მთელ მაგიდაზეა გაშლილი, ერთი ბოთლი სულ ცარიელი, მეორე ნახევრად. მერაბა უშნოდ მომღიმარი... ესე იგი, მარტო სვამდი! - დაასკვნა ავთომ.

- ავთო, ეს კაცი ყველაზე სუფთა და ალალი კაცია მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ, - გოჩას გადახვია მარცხენა ხელი ბარათაშვილმა. - ხომ მართალი ვარ, ავთო?

- გეთანხმები!

- ჰოდა, მოდი მაშინ, გოჩას გაუმარჯოს! - ბოთლს ხელი მოჰკიდა და დასხმა დააპირა.

- მერაბ, ნუღარ დალევ, - ბოთლი გამოართვა გოჩამ. - ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე. ხომ იცი, როცა მიჭირს, მე მხოლოდ შენთან მოვდივარ!

- რაშია გოჩა საქმე, გაწყენინა ვინმემ? - ვცემოთ. შეგაგინა ვინმემ? - ვცემოთ. დაგარტყა ვინმემ? - ჩვენც დავარტყათ, თუ გინდა... შენ მარტო მითხარი, რა მოხდა.

- ერთი რამე რომ გთხოვო, შემისრულებ?

- მე, ხომ იცი, შენ უარს არაფერზე გეტყვი.

- ვიცი! მითხარი, რაც არ უნდა გთხოვო, ყველაფერს შემისრულებ?

- ყველაფერს.

- დაარტყი! - ხელი გაუწოდა გოჩამ.

- ა, ბატონო. - ხელი დაჰკრა ბარათაშვილმა.

- მაშ, მომისმინე. მე გთხოვ, ახლა ჩაიცვა და ისე, რომ არაფერი არ მკითხო, წამომყვე, სადაც მივდივარ!

- სად?

- მე კიდევ გიმეორებ: გთხოვ, ნურაფერს მკითხავ. რასაც მე გთხოვ, ძალიან მჭირდება. მოდიხარ?

მერაბმა ავთოს გადახედა. ეს უკანასკნელი მანდარინის ქერქებს აგროვებდა და ისე იდგა, თითქოს იქ არ იყო.

- ესეც მოდის... - ავთოზე მიანიშნა გოგამ.

- ეგ რად გინდა, ნასვამია! შეხედე რას შვება, მანდარინი ვაზაში აწყვია, ეს კი ქერქებს აგროვებს. ავთო, მთვრალი ხარ? - მიუბრუნდა ავთოს.

- არა.

- აბა, ამოისუნთქე, - ცხვირი ტუჩებთან მიუტანა მერაბმა და ცალი თვალი დახუჭა.

- ჰუ! - ამოისუნთქა ავთომ.

- სუნი არ ამოგდის, მაგრამ მაინც მთვრალი ხარ. არა, ხომ მთვრალი ხარ, მითხარი.

- ჰო, კარგი, მთვრალი ვარ.

- მერაბ, წამოხვალ? - ისევ ჰკითხა გოჩამ.

- სად? აა, კი, წამოვალ. თუ არ მეუბნები, ნუ მეუბნები. მე შეგპირდი და წამოვალ.

გარეთ ბარდნიდა.

გოჩა წინ მიდიოდა, ავთო და მერაბი უკან მიჰყვებოდნენ.

მერაბი არ უკვირდებოდა სად მიდიოდა. ავთოს გაუთავებლად რაღაცას ეკითხებოდა, ავთო კი ყველაფერზე ეთანხმებოდა.

ცივმა ჰაერმაც იმოქმედა და მერაბს სიმთვრალე კიდევ მეტად შეეტყო.

როდესაც ეკას სადარბაზოს მიუახლოვდნენ, მერაბმა ჭადარი დაინახა და უცებ გამოერკვა.

- აქ სად მომიყვანე, გოჩა? - წინ წადგა მერაბი.

- ჩემი ძმა გელოდება, მერაბ...

- აქ რატომ მომიყვანე, ბიჭო?! - შეჩერდა, პალტოს ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და თავი ჩაღუნა.

გოჩა ადგილს მოწყდა და სირბილით სადარბაზოში შევარდა.

- ავთო!

- ჰო, მერაბ, გისმენ.

- აქ რა საქმე მაქვს მე. ეს ჭადარი ხომ გახმა ავთო, უკვე რამდენი ხანია გახმა და კიდევ დგას... შენ იცოდი, სადაც მოვდიოდით?

- არ ვიცოდი, მერაბ!

- არა, შენ იცოდი ავთო, იცოდი! შენ ისიც იცოდი, ჩემთვის ამ ქუჩაზე სიარული რომ

აღარ შეიძლება და მაინც აქ მომიყვანე... - მერაბმა რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა და ჭადარს მიუახლოვდა.

სადარბაზოდან გოგა გამოვიდა და ავთოსაკან გაემართა. როცა ავთოსთან მივიდა, მერაბიც დაინახა, მიუახლოვდა.

- გამარჯობა, მერაბ!

მერაბი მოტრიალდა.

- გაგიმარჯოს!

- წამოდი, ავიდეთ.

- ავიდეთ.

კარი გოჩამ გააღო. მის გვერდით ეკა იდგა.

- შედი, მერაბ, - წელზე ხელი დაადო გოგამ. ოთახიდან ხმამაღალი სიცილის ხმა გამოდიოდა. როგორც ჩანს, იქ მყოფთაგან, ავთოს გარდა, არავინ იცოდა მერაბის სტუმრობის ამბავი.

- გამარჯობა! - ეკას მიმართა მერაბმა მას შემდეგ, რაც გოგამ კარი მიხურა.

- გაგიმარჯოს მერაბ, შემოდი. ჩვენ დიდი ხანია გელით.

- მელით? - თვალებში შეხედა მერაბმა ეკას.

ეკა გაწითლდა და გოგას გადახედა.

- ჰო, მერაბ, გელით, დიდი ხანია. მე პირადად, სულ გელი და კარგია, დღეს რომ მაინც მოხვედი.

მერაბი ამ სიტყვების გაგონებაზე ნელა შემოტრიალდა, გოგას მიაშტერდა... გადაეხვია.

ეკას თვალებზე ცრემლები მოადგა და სამზარეულოსაკენ წავიდა.

გოგამ ბარათაშვილს რის ვაი-ვაგლახით გახადა პალტო და კარი შეაღო:

- ქვემო ქართლელი თავადი, მერაბ ბარათაშვილი.

რატომღაც ყველა ფეხზე წამოდგა. ნატას გაოცებისაგან თვალები გაუდიდდა.

გიზომ ადგილი მიატოვა, გამოვიდა და მერაბს ხელი ჩამოართვა. გია გაგუა

უკვე საკმაოდ მთვრალი იყო. გამოსვლისას ავთოს სკამს წამოედო და გიზოს ხელი რომ არ შეეშველებინა, იატაკზე მოადენდა ზღართანს.

- მერაბ, ჩემო მერაბ, - გადაეხვია ბარათაშვილს და მთელი მარცხენა ლოყა დაუკოცნა. - რამდენი ხანია არ მინახიხარ, ბიჭო. სამი წელია, ბიჭო, სამი. მერაბ...

- კარგი, ნუ დაახრჩობ. მაგას ორი ბოთლი კონიაკი აქვს დალეული და ისედაც სცხელა, - დაიგრუხუნა ავთომ.

დედამაც გადაკოცნა და მოიკითხა ბარათაშვილი. ლიკასაც დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და თავისებურად უსაყვედურა - სად დაიკარგეო. და ყველაფერი მოხდა ისე, რომ მერაბს ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ადგილიდან არ განძრეულა მხოლოდ ნატა. იდგა ზურგშექცევით და მაგიდაზე ხელსახოცს კეცავდა.

დედამ სასწრაფოდ კიდევ ერთი სკამი შემოიტანა. გოგამ ჩამოართვა და ნატას სკამის გვერდით ჩადგა. ამ უკანასკნელმა, მიხვდარა გოგას ჩანაფიქრს, რისხვის ისრები სტყორცნა გორგილაძეს, მაგრამ გოგას ეს არ შეუმჩნევია.

ამ დროს სამზარეულოდან ეკა შემოვიდა, სუფთა ჭურჭლით ხელში.

- სად ჯდები, მერაბ? - თეფში დასადებად წინ გასწია.

- სად დაჯდება და მაცივრის თავზე. ვერ ხედავ, სად დგას თავისუფალი სკამი? - სკამზე მიანიშნა გოგამ სიცილით.

- ყველანი ფეხზე დგახართ და ყველა სკამი თავისუფალია. მე რა ვიცი, სად დაჯდება მერაბი.

ავთომ გოგას ნათქვამზე იმხელა გადაიხარხარა, რომ ეკას ხმა თითქმის აღარავის გაუგონია.

- მიასხით ქაფიანი წყალი, თორემ დაგვემხო ჭერი თავზე, - ხმა ამოიღო მერაბმა. - მე აგერ, ამ ქალიშვილის გვერდით დავჯდები, - თქვა და ნატას გვერდით დაჯდა.

- ამ ქალიშვილს სახელი აქვს, - ჩუმად, მხოლოდ მერაბის გასაგონად თქვა ნატამ.

- ამ ქალიშვილმა ამიკრძალა თავისი სახელის ხსენება, - ჩუმადვე უპასუხა მერაბმა.

ყველანი დასხნენ.

ღვინომ თავი იჩინა. სხვებზე ფხიზლად გოგა გამოიყურებოდა. მამამ ბოდიში მოიხადა და სუფრა დატოვა.

სასმისები შეივსო. გოგა ფეხზე წამოდგა. ჭიქა აიღო.

- რატომ გაიქეცი გუშინ? - გადაულაპარაკა მერაბმა ნატას.

- როცა შემოხვედი, წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ გადავიფიქრე, სირცხვილია...

- მე მინდა, მეგობრობის სადღეგრძელო შევსვა... - დაიწყო სწორედ ამ დროს გოგამ.

- რატომ გაიქეცი გუშინ? - გაიმეორა მერაბმა.

- ცოტა მაცალე, ახლავე წასვლა უხერხულია და დღესაც იგივეს გავაკეთებ.

გოგა საკმაოდ ხმამაღლა, რიხიანად და გრძნობით ლაპარაკობდა. ავთო შესწორებებს უკეთებდა. დანარჩენები, დროდადრო ავთოს რეპლიკებზე იცინოდნენ.

გოგა ხედავდა, არც მერაბი და არც ნატა არ უსმენდა. ხედავდა, რომ ისინი აშკარად ცდილობდნენ, მათი საუბარი სხვებისთვის შეუმჩნევლად დარჩენილიყო და თითქოს ისიც შეგნებულად, აგრძელებდა სადღეგრძელოს.

- დღეს რომ წახვიდე, შენს საქციელს გამართლება ექნება. გუშინდელი ნაწყენი ხარ, მაგრამ გუშინ რატომ წახვედი, ის ამიხსენი.

- შემეშვები საერთოდ, თუ არა? - პირველად შეხედა ამ ხნის განმავლობაში ნატამ მერაბს სახეში და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მერაბი მთვრალი იყო. - დამანებებ თუ არა თავს?

- გააჩნია, როგორ მოიქცევი.

- მერაბ, ალავერდი შენთან ვარ! - გოგამ ჭიქა პირთან მიიტანა.

მერაბმაც აიღო ჭიქა ხელში, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, რა სადღეგრძელო წარმოთქვა გოგამ.

- რა სადღეგრძელო იყო? - გადაულაპარაკა ნატას.

- უდროოდ წასულების და უდროოდ მოსულების!

- ესე იგი, ჩემი და შენი? შენი, როგორც უდროოდ წასულის, გუშინ დროზე ადრე გაიქეცი, და ჩემი, როგორც უდროოდ მოსულის. დღეს ნამეტანი დავაგვიანე ამ სუფრაზე.

- გისმენთ მერაბ. - შეახსენა გოგამ.

- გოგა, თუ გინდა ჯარიმა დამალევინე, თუ გინდა თოფი მესროლე და თუ გინდა ავთოს ხვრინვას მასმენინე ამაღამ გამაძლიერებელში, მხოლოდ მითხარი რა დალიე.

- მეგობრობის, მერაბ, მეგობრობის! - თქვა გოგამ მას შემდეგ, რაც ყველამ გული იჯერა სიცილით, მათ შორის ნატამაც.

- გაუმარჯოს მეგობრობას! - ფეხზე წამოდგა ბარათაშვილი. - ღმერთმა ყველა ჩემი მეგობარი ბედნიერი და მართალი ატაროს... ძნელია მეგობრის დაკარგვა. მეც ბევრი ვეცადე ეს არ მომხდარიყო, მაგრამ ალბათ მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. ერთმა გუშინ, ხელჩართულ ჩხუბში მიმატოვა. მეორემ დღეს მითხრა, ჩემი არსებობა

დაივიწყეო...

- ვინ მიგატოვა, ბიჭო, ჩხუბში?! - გადაირია ავთო. - ეგეთი კაცის... ეჰ, ქალები არ იყვნენ აქ...

- მართალი ხართ, ავთო, ეგეთი კაცის!... მაგრამ შენ წარმოიდგინე, ის კაცი არ არის, ქალია. უფრო სწორად, ქალიშვილი და მე ის კი არ მწყენია, ჩხუბში რომ მიმატოვა, არა. მე ის მეწყინა, რომ არ დაინტერესდა, რატომ ვჩხუბობდი... რატომ ჩათვალა, რომ აუცილებლად მე ვტყუოდი...

- მეორეც ქალია? - ირონიულად ჰკითხა გოგამ.

- არა. მეორე - კაცია. კაცური კაცი.

მაგრამ მაინც ასე მოხდა.

- ვინ არის კაცო ისეთი, რომ ჩვენ არ ვიცნობთ? - ვერ დაწყნარდა ავთო.

- იცნობთ, იასონია!..

- ვინა?

- რა თქვი? - ერთდროულად წამოიძახეს გოგამ და ავთომ.

- ვინა და ულვაშა იასონი. ამაზე მერე იყოს... რა გააწყალეთ ბოლოს და ბოლოს გული. მათქმევინებთ ბოლომდე, თუ არა? მე მინდა, ყველა დაგლოცოთ. გაგიმარჯოს გოგა, გაგიმარჯოს ეკა, შენ გაგიმარჯოს ჩემო ერთადერთო ასოცკილოიანო მეგობარო. ლიკა, შენ გენაცვალოს ბიძია მერაბი. თქვენც გაგიმარჯოთ გოგონა, - მიუბრუნდა ნატას, დაიხარა და ყური სახესთან მიუტანა. - თქვენი სახელი?

- გრიშა! - ყურში ჩასჩურჩულა ნატამ, ისე რომ სხვას არავის გაუგონია.

- გრიშა? - გაიმართა ბარათაშვილი. - გადასარევი სახელია, ზუსტად ერგება თქვენს ქალურ სინაზეს და სათნოებას... მშვენივრად აქვს ნათქვამი იაპონელ პოეტს:

,, ადიდებულა ლიახვი,

მოაქვს ღორღი და ქვიშა...

გამარჯობა გრიშა!.. “

ის იყო, გია გაგუამ ჩათვლიმა, რომ მერაბის სიტყვების გამგონე ავთომ იხუვლა, კაცს ერთი კვირა სასუნთქად რომ ეყოფა, სიცილს იმდენი ჰაერი ამოაყოლა, მაგიდას მუშტიც დააფშვნა და ამით გაგუაც, ალბათ სამუდამოდ გამოაღვიძა.

არც სხვებს დადგომიათ ნაკლები დღე. ნატამ სულ წყვილ-წყვილად ყარა ცრემლი.

- გაგიმარჯოთ! - დაამთავრა მერაბმა და დალია. - კიდევ კარგი, ჩემი მისამართი ყველამ იცით, თორემ ორი ამისთანა ჭიქა და შემოვეხვევი ორივე ხელით მიქელ-გაბრიელს. არადა, ჭირისუფალი და დამტირებელიც რომ აღარავინ დამრჩა, სულ მარტო დავრჩი სახლში.

- შენ მოკვდი, დაუმარხავს არ დაგტოვებთ, - ჩაურთო ავთომ. - ნუ გეშინია, სულ სირბილით ვატარებთ შენ კუბოს.

- ჩემს კუბოს კი ატარებენ სირბილით, მაგრა შენ კუბოს რა ეშველება ბიჭო, ტონანახევარს რომ იწონი? ხელით ტარებას ვინ ჩივის, მანქანაზე შესადებადაც კი ,, დანკრატის " გარეშე არაფერი გამოვა.

- ესე იგი, შენ აღარ დალევ, მერაბ? - ჰკითხა გოგამ.

- დავლევ კიდევ ცოტას. ავთო დამარხვას შემპირდა და მეტი რაღა მინდა?! სიგარეტის მოწევა თუ შეიძლება?

- შეიძლება. მართლა, რა გამახსენდა მერაბ, - თქვა გორგილაძემ. - მეათე კლასის ბანკეტზე გახსოვს, რაღაცა უცნაური თამაში გვასწავლა ლიკამ. რაღაცა საგნები ჩაყარა ბაბუამისის ცილინდრში და გამოგვიწოდა. ვინც რა საგანს ამოიღებდა, იმ საგანზე ექსპრომტი უნდა ეთქვა, ან ორიგინალურად გამოეყენებინა ის საგანი, ისე, ჯერ რომ არავის გამოუყენებია. ადამიამ სათვალე ამოიღო და საცივით სავსე თასში ჩადო. რატომ ქენიო, ვკითხეთ, უნდა შევამოწმო ნიგოზი თუ ურევია ამ საცივსო.

ავთომ ატამი ამოიღო და კურკიანად შეჭამა.

- შენ ბაბუამისის ყალიონი შეგხვდა. თუ გახსოვს, რა თქვი?

- არა, არ მახსოვს, - უპასუხა მერაბმა.

- არც მე აღარ მახსოვდა, მაგრამ გუშინწინ დივანში ის კასეტა ვიპოვე, რომელზეც ყველაფერი ჩავიწერეთ. ყალიონი, როგორც ჩანს, პირდაპირ მიკროფონზე მიაკაკუნე და თქვი:

,, რა უნდა ვთქვა ყალიონზე,

გავაბოლებ ალიონზე " .

- იცი, რამდენი რამე გამახსენდა? უნდა მოგასმენინოთ! აი წელს, ხუთი წლის თავს რომ გადავიხდით, მაშინ მოვიტან.

მერაბი ჩაფიქრდა. თითქოს რაღაც გაახსენდა. მერე ფეხზე წამოდგა:

- გოგა, მე მეტს მართლა ვეღარ დავლევ. უნდა წავიდე და ერთი სადღეგრძელოს უფლება მომეცი.

მერაბის დასერიოზულებამ გოგას მასთან კამათის ინტერესი წაართვა და აღარ

უთხოვია დარჩენა:

- თქვი, მერაბ, რაკი ასე გინდა.

- გაუმარჯოს ჩვენს მოგონებებს. რაც მწარე გვახსოვს, ყველაზე მწარედ დარჩენილიყოს ჩვენს ცხოვრებაში. რაც ტკბილი იყო და, გაათკეცებულიყოს. - მერაბმა ჭიქა გამოცალა. - ახლა კი ნახვამდის. დიდი მადლობა, ყველანი კარგად მენახეთ. - მერე ისევ დაიხარა და ნატას ყურში უთხრა:

- ამჯერად მე გავრბივარ, ასეა აწყობილი ცხოვრება. ყველანი გავრბივართ... - მერე კარისაკენ გაემართა, გამოაღო და ისევ მოტრიალდა:

- გოგა, იმ ექსპრომტს ახლა ესე ვიტყოდი:

,, რა უნდა ვთქვა ყალიონზე,

თბილისს ვტოვებ ალიონზე “ “ - და ოთახიდან გავიდა.

* * *

მერაბის წასვლიდან საათნახევრის შემდეგ დაიშალნენ სტუმრები.

გია გაგუას ღვინო აღარ დაულევია და თანდათან გამოფხიზლდა. ამიტომ, ნატას გაცილება სწორედ მას დაევალა.

- მანქანის მართვა ხომ არ დაგავიწყდა, ბიჭო? - ჰკითხა გოგამ და გასაღები ხელში ჩაუდო.

- ალბათ ერთადერთი, რაც თქვენზე, ყველაზე უკეთ ვიცოდი, ეს მანქანის მართვა იყო და თუ ისიც დამავიწყდა, მაშინ შემღებე ყვითლად და გადამაგდე ხევში... - ნატა წინ გაატარა გიამ და კიბეებზე დაეშვა.

- თქვენ სად ცხოვრობთ, ნატა? - მანქანა დაძრა გიამ.

- ვაჟა-ფშაველაზე.

- უცებ დავთვერი და უცებ გამოვფხიზლდი.

ასე იცის ჯარმა, - ქალიშვილთან საუბრის დაწყება სცადა ვაჟმა.

- მე მესმის თქვენი გულისტკივილი. თქვენს წრეში კაცი თუ ჩაფებით არ სვამს, დიდად ვერ უნდა ფასობდეს, ჩემის აზრით.

- რატომ ფიქრობთ ასე. ამას ჩვენ მნიშვნელობას არასდროს ვანიჭებდით... თქვენი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ თქვენ ამ ხალხს არ იცნობთ. ბიჭები მყავს მხედველობაში.

- სკოლაში როგორები იყავით. ხშირად ჩხუბობდით?

- ერთმანეთში თითქმის არასდროს.

- სხვებთან?

- სხვებთან ვჩხუბობდით, მაგრამ არც ისე ხშირად. ასე, კვირაში ერთხელ...

ნატას სიცილი აუტყდა და სახეზე ხელები აიფარა.

- რა გაცინებთ? - გაეღიმა გიასაც.

- ჩხუბისთავი ვინ გყავდათ?

- ჰო, ჩხუბისთავი აუცილებლად გოგა იყო. ვიღაცა თვალში არ მოუვიდოდა და ათ კაცშიც რომ მდგარიყო ის ვიღაცა, მაინც გაუქანებდა და ფერთხავდა. ხშირად, ხელსაც არ უბრუნებდნენ. იცოდნენ, წუთი-წუთზე მერაბი და ავთოც იქ გაჩნდებოდნენ და იმიტომ. მაგრამ, რამდენჯერმე ისე გალახეს, ცნობა გაგიჭირდებოდათ... მაინც ვერ მოაშლევინეს.

გიამ, რაკი სალაპარაკო თემა იპოვა, ნატას სახლამდე აღარ გაჩერებულა.

- აი, აქ გააჩერე, - სადარბაზოზე მიანიშნა ნატამ ვაჟს. მანქანა შეჩერდა. ნატამ კარი გააღო და გადავიდა:

- დიდი მადლობა, გია, - გიას სახის დასანახად წელში მოიხარა ქალიშვილი.

- ნატა, აქამდე კი მშვიდობით მოგიყვანე, მაგრამ ღმერთმა იცის, სახლში ასვლამდე კიდევ რა მოხდება. ამიტომ, მითხარი შენი ტელეფონის ნომერი, ამ დღეებში დაგირეკავ და გულს დავიმშვიდებ, - ეშმაკურად გაიღიმა გიამ და სიგარეტი გააბოლა.

- მერაბმა იცის და გეტყვის, - უპასუხა ნატამ და კარი მოხურა.

- ვაი შენი ბრალი, ჩემო კრეტინო თავო! - თავისთვის თქვა გიამ. - რამდენი მალაპარაკა ამ კუდიანმა ქალმა?! - მერე მანქანა იქვე მოაბრუნა და უკანმოუხედავად გააქროლა პროსპექტისკენ.

დიდხანს თვალი არ მოუხუჭავს ნატას.

გაიხსენა მერაბის თითოეული სიტყვა და საქციელი.

,, მართლა გადაირევი ადამიანი, - ფიქრობდა იგი. - ყოველ შეხვედრაზე რაიმე ახალ თვისებას ვპოულობ მასში. არა აქვს მნიშვნელობა, დადებითს თუ უარყოფითს.

როგორ თქვა: ,, მე ის კი არ მეწყინა, ჩხუბში რომ მიმატოვა. არა, მე ის მეწყინა, რომ არ დაინტერესდა, რატომ ვჩხუბობდი. ჩათვალა, რომ აუცილებლად მე ვტყუოდი. “

არადა, მართლა რა საინტერესოა, რატომ იყვირა იმ გოგომ გუშინ. ახლა უკვე თითქმის მჯერა, რომ მერაბი, როგორც თვითონ იტყოდა ,, სუფთა “ იყო... აბა, მაშ, იმ თხას რაღა აკივლებდა?

მაგრამ ბოლომდე მართალი მაინც არ არის. არ უნდა გაემართა იქ მუშტი-კრივი... თუმცა სისულელეს ვამბობ. კაცი სკამს ურტყამდა და აბა, თავს ხომ არ მიუშვერდა, “ - ამ ფიქრებით თვითონვე ნასიამოვნები დარჩა ნატა, რადგან მერაბის საქციელში ჯერჯერობით ვერც ერთი არასწორი ნაბიჯი ვერ აღმოაჩინა (იქნებ, შეგნებულადაც, მაგრამ მაინც).

როცა წინა საღამო თავში კარგად გადახარშა, ისევ იმ დღეს დაუბრუნდა. თითქმის ხმამაღლა იცინა მერაბის ხუმრობებზე. სხვაც ბევრი გაიხსენა და:

გოგა, მაგ ექპრომტს ახლა ასე ვიტყოდი:

,, რა უნდა ვთქვა ყალიონზე,

თბილისს ვტოვებ ალიონზე! “ - რას უნდა ნიშნავდეს ეს?.. თუმცა, რას არ იტყვის მთვრალი კაცი?! ნახევარი, ალბათ, თვითონაც არ ესმით “ .

კიდევ ცოტა ხანს იფიქრა მერაბზე და ბოლოს ძილმა წაართვა თავი.

* * *

,, საინტერესოა, როგორ შემხვდება ,, ბატონი “ მერაბი, - უნივერსიტეტის კარი შეაღო ნატამ. - ნაწყენია ჩემზე. გუშინ კი მაინც გამომელაპარაკა... ნასვამი იყო და ალბათ იმიტომ. ახლა კი, მე მგონი, ჩემსკენ აღარ გამოიხედავს. დაელოდება, სანამ მე არ მივალ, ბოდიშს არ მოვუხდი... ამას კი ამჯერად ვერ ეღირსება... “ “

მაგრამ ნატას იმედი გაუცრუვდა. პირველმა ლექციამ ისე გაიარა, აუდიტორიის კარისათვის თვალი არ მოუცილებია. ფიქრობდა, ან ახლა შემოვა, ან ახლაო, მაგრამ მერაბი არ გამოჩენილა.

დაიწყო მეორე ლექცია. ბარათაშვილი არსად ჩანდა. ზარის დარეკვისთანავე მთელი ჯგუფი უცებ წამოიშალა. აუდიტორიიდან ბოლოს ნატა გამოვიდა და პირდაპირ კარებთან შეეჩეხა იასონს:

- გამარჯობა, ნატა. მერაბი სად არის?

- დღეს არ ბრძანდება! - ირონიულად უპასუხა ქალიშვილმა.

- ჰოდა, როცა ნახავ, გადაეცი, თვალით აღარ დამენახოს... არც დარეკოს და მოკლედ, მორჩა... ასეთ არანორმალურ კაცს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ, - წასვლა დააპირა ვაჟმა.

- მოიცა იასონ, გაწყენინა რამე? - შეწუხდა ნატა.

- როგორ თუ მაწყენინა! - შედგა გაკვირვებული იასონი. - შენ, როგორც გეტყობა, არაფერი არ იცი!

- რა

უნდა ვიცოდე?

- როდის ნახე ბოლოს?

- გუშინ საღამოს. რა მოხდა, რამე ხომ არ დააშავა? - შეშინდა ნატა.

- და შენთვის არაფერი უთქვამს?

- კარგი, ნუ დამილიე სული, თქვი!..

- გუშინ საპროფესოროში გამოიძახეს. ნადარაიამ დაკითხვა მოუწყო. როგორც ჩანს, გუშინწინდელ საღამოზე. თქვენი დეკანი და კომკავშირის მდივანიც იქ იყვნენ. არ ვიცი, რა უთხრეს. როგორც თვითონ თქვა, ამხანაგურ სასამართლოს უმზადებდნენ. ამ შლეგიანმა კი არც აცივა, არც აცხელა და განთავისუფლების განცხადება დაუწერია იმათ თვალწინ...

- რისი განთავისუფლების, იასონ, არ გადამრიო?!

- ჰო, ჰო, ვერ მივანიჭებ ნადარაიას მაგ სიამოვნებასო და... მითხარი, ნორმალურია ეხლა ეგ?

იასონმა კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ ნატას აღარ გაუგონია.

- ,, რა უნდა ვთქვა ყალიონზე,

თბილისს ვტოვებ ალიონზე “ . - გაუელვა თავში მერაბის სიტყვებმა და ისე, რომ იასონს არ გამომშვიდობებია, ადგილს მოსწყდა და სირბილით გაუყვა გრძელ დერეფანს.

გაკვირვებულმა იასონმა ჯერ თვალი გააყოლა, მერე თვითონაც უკან გამოუდგა, მაგრამ მის კვალს ვეღარსად მიაგნო.

მანქანა ისარივით მიჰქროდა წერეთლის გამზირზე.

,, ტყუილად მივდივარ, სახლში არ იქნება. თორმეტი დაიწყო უკვე, - ფიქრობდა ნატა. - მაგრამ წუხელ ბევრი დალია და იქნება ჯერ კიდევ სძინავს? ღმერთმა ქნას... ”

ჟიგული მერაბის სადარბაზოსთან შეჩერდა.

ნატამ კიბეები სირბილით აიარა და ზარის ღილაკს ეცა.

ხუთჯერ მაინც მიაჭირა თითი, მაგრამ კარი არავის გაუღია.

,, თუმცა მანქანა ეზოში არ დგას და თვითონ სახლში როგორ იქნება?! “ - მობრუნდა და კიბეზე დაეშვა.

როცა სადარბაზოდან გამოვიდა, მის მანქანასთან რამოდენიმე უფროსკლასელი ბიჭი იდგა. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ მანქანის კარს მიყრდნობოდა. ნატას დანახვაზე პირში გაჩრილ სიგარეტს უცხოური სანთებელით მოუკიდა.

- ქალიშვილო, გნებავთ გიმკითხაოთ: თქვენ აქ არ ცხოვრობთ, - ბიჭებმა გადაიხარხარეს.

- შენ, როგორც ჩანს, ყველას იცნობ ამ სახლში, - შეჩერდა ნატა.

- აბსოლუტურად, - ღრმა ნაფაზი დაარტყა ბიჭმა.

- მერაბ ბარათაშვილსაც?

- დიახ, როგორ არა... - უცებ გასწორდა ჭაბუკი.

- ჩემი მეზობელია. ხომ არ დავუძახო? - შესთავაზა მეორემ.

- როგორ უნდა დაუძახო, ვერ ხედავ, მანქანა არ დგას. სახლში არ არის... და საერთოდ, როდის გინახავს მერაბი ამ დროს სახლში! - ჩაერია მესამე. - უნივერსიტეტში იქნება.

- არა მგონია. - თქვა მეორემ. - დილას სკოლაში რომ მივდიოდი, კიბეზე შემხვდა, ჩემოდანი ეჭირა ხელში. სად მიდიხარ-მეთქი, ვკითხე. ძალიან შორსო, მითხრა.

- იქნებ, ფეხით წავიდა? - ჰკითხა ნატამ და აქეთ-იქით მიმოიხედა, მანქანას დაუწყო თვალით ძებნა.

- როგორ წავიდა, არ დამინახავს, მაგრამ მაშინ მანქანა აი, აქ იდგა, თქვენი მანქანის ადგილზე. ახლა კი აღარ დგას! ესე იგი, მანქანით წავიდა...

- გმადლობთ, - თქვა ნატამ და მანქანაში ჩაჯდა.

ბიჭები დაიშალნენ, ნატას მანქანა კი რამოდენიმე წუთი ისევ იქ იდგა.

,, ვინ შეიძლება იცოდეს, სად არის მერაბი, ვინ? “ - ფიქრობდა ნატა. - ზუსტად არც მგონია ვინმემ მითხრას. მაგრამ, ნუთუ ისე გავიდა ქალაქიდან, რომ არავისთვის უთქვამს სად მიდიოდა?! იასონმა არ იცის, გოგას და ეკას ის ამას არ ეტყოდა, დანარჩენ მის მეგობრებს კი მე არ ვიცნობ.

დას, მერაბის დას ეცოდინება... აუცილებლად ეცოდინება... მაგრამ მე მას არ ვიცნობ.

უფრო მეტიც, ისიც კი არ ვიცი, სად ცხოვრობს... ეკამ ხომ იცის. ეკას აუცილებლად ეცოდინება. ეკას და გოგას.

იქნებ არსად არ წასულა. ან თუ წავიდა, რამოდენიმე დღით. ასეთ შემთხვევაში, სასაცილო იქნება ჩემი საქციელი. მივიდე დასთან და ვკითხო, სად არის მერაბი? დავუშვათ, სხვისი მეშვეობით მოვახერხო მისი სამყოფელის დადგენა. მისი დის პოვნა ძნელი საქმე არ არის. ეკას ვთხოვ და ის ჰკითხავს. მაგრამ, ხვალ-ზეგ თვითონ მერაბი რომ დაბრუნდეს?

ჯობია, რამდენიმე დღე მოვიცადო. “

ნატამ მანქანა დაძრა.

გავიდა დღე, მეორე, მესამე, მეოთხე... მერაბი არსად გამოჩენილა.

* * *

მერაბმა დიდი ჩემოდანი გარეთ გამოდგა. მერე შუქი ჩააქრო, თვითონაც გამოვიდა და კარი მიკეტა.

- გამარჯობა მერაბ! - მოესმა უკნიდან.

- უჩას გაუმარჯოს! როგორა ხარ? - გასაღები მარცხენა ხელში გადაიტანა და სკოლის ფორმაში გამოწყობილ ბიჭს ხელი ჩამოართვა.

- სად მიდიხარ, მერაბ?

- ძალიან შორს, - თვალი ჩაუკრა უჩას ბარათაშვილმა და გასაღები კლიტეს მოარგო.

- ბედნიერი მგზავრობა, - თქვა ჭაბუკმა და კიბეზე დაეშვა.

- მადლობა, ჩემო უჩა.

* * *

მანქანამ სოფელი ახალქალაქი ჩაათავა და

მოასფალტებული გზაც გათავდა.

წინ დიდი სატვირთო მანქანა მიდიოდა და მტვერს აყენებდა.

მერაბმა ოდნავ ღიად დატოვებული მინა ბოლომდე აწია, მერე სატვირთოს დაუსიგნალა და გაუსწრო, მაგრამ უკან ჩამოტოვებულმა „ ზილმაც “ სიგნალი მისცა, მერაბმა უკან მოიხედა და მანქანა გააჩერა.

გაჩერდა სატვირთოც. კარი გაიღო და დაბალი, ჯმუხი, ოცდაათიოდე წლის კაცი ჩამოხტა:

- ჩ-ჩ-ჩაა-მოხველ ბარათაანთ ბიჭო? - დაეკრიჭა მძღოლი მერაბს და ხელი ისე ჩამოართვა, იფიქრებდით, დენმა დაარტყაო.

- გამარჯობა ვალიკო! შენ კიდევ გაიზარდე, თუ მეჩვენება? - მარცხენა ხელი მხარზე შემოჰკრა მერაბმა.

- მე ბარემ არ მი-ი-ი-ინდოდა, მაგრამ ძალით გ-გ-ამზარდეს ამ შობელძაღლებმა. პატარა „ ვიი-ი-ილისიდან “ რამხელა „ ურჩხულზე “ შ-შ-შაა-ამასკუპეს, აბა, დახე, აა-ტყოფ?! - ისევ გაიცინა ლიყიანმა.

- რას შვება სოფელი? დგას თუ არა, ძველებურად?

- ნათქვამია: მო-ო-ონაყოლს ნა-ააანახი სჯობიანო, წადი დაჯე შშ-შენს „ ჭიაყელაში “ . გამიძეხ წ-წ-ი-ინა და შენი თვალით ნახამ! ჰაი, ქალაქელო, დააა-ა-აგედო თუ არა სახეზე კ-კ-კომში ფერი, ეგრე ი-იცის გრუშონი მალა-კომა. ატყოფ?

- ვატყობ. ისე, კარგა მაგრად ცივა, ხომ იცი?!

- ჯერ სადა ხარ? სამი კი-კი-კილომეტრი სუ მაღლა-მაღლა რომ უ-უ-უნდა იარო, ხომ არ დ-დ-დ-დაგავიწყდა? ესა, ბიჭო, ჩ-ჩ-ვენ სოფელთან შედარებით, მ-მ-მაროკოა. გადმოდექ თქვენ სერზე და ყ-ყ-ყურიდან ფეხი თითებამდე რო გა-გა-გაბაბანებს, მერე ნახამ სიცივესა, ა-ა-ა-ა-ა...

- ატყობ? - მიეხმარა მერაბი.

- ჰო, ატყოფ?

- ვატყობ.

- ჰოდა, წავედით! - თავისი მანქანისაკენ გაემართა ვალიკო.

წითელმა ჟიგულმა რამოდენიმე დიდი აღმართი აათავა და სოფელში შევიდა. მარჯვნივ შეუხვია, ვიწრო ორღობეს გაჰყვა და ორსართულიანი სახლის ეზოსთან შეჩერდა.

მერაბი გადმოვიდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და რკინის ჭიშკარი გამოაღო. მერე მანქანა ეზოში შეაყენა, ჭიშკარი ისევ დაკეტა და ეზოს შუაგულში შეჩერდა. იქაურობას თვალი გადაავლო: „ თითქოს ეზო მოვლილია, მაგრამ მაინც უსიცოცხლოა ყველაფერი. ეტყობათ ამ კედლებს, ეტყობათ მარტოობა.

არადა, სულ რამოდენიმე წლის წინ აქ ხომ სიცოცხლე სჩქეფდა?! რამდენს ნიშნავდა ერთი, წელში მოხრილი, 80 წელს მიტანებული კაცი! “ ”

მერე სახლს გარშემო შემოუარა. „ „ მერაბი “ ამოიკითხა კუთხეში, პირველ და მეორე სართულებს შორის.

„ - პაპი, კიბე მინდა!

- რად გინდა, შვილო?

- ჩემი ფანჯრის ქვეშ, ჩემი სახელი უნდა დავწერო!

- მერე, წერა იცი, შვილო?

- მე უკვე მეორე კლასში გადავდივარ, ჩემი სახელის წერა არ მეცოდინება?

- გეცოდინება შვილო, რათ არ გეცოდინება.

- შეიძლება დავაწერო?

- როგორ არ შეიძლება, პაპას ბიჭო. შენი სახელისა თუ არ შეიძლება, მაშ ვიღასი შეიძლება?!

პაპამ სათონესთან მიყუდებული კიბე მოიტანა და კედელს მიადგა.

- პაპა!

- ჰო, მერაბ, კიდევ გინდა რამე შვილო?

- მერე, მამა რომ წაიკითხავს, არ გამიბრაზდება?

- რა უფლება აქვს?! სანამ შენ დაიბადებოდი, ეს სახლი ჩემი იყო, შენ დაიბადე და შენი გახდა! ჩვენ სახლზე რასაც გვინდა, იმას მივაწერთ! ეგრე არ არის? “

ამოიოხრა, ქვის კიბეს აუყვა და გრძელ აივანზე ავიდა.

„ გადმოდექი თქვენ სერზე და ყურიდან ფეხი თითებამდე რო გაგაბაბანებს, მერე ნახამ “ , - გაახსენდა უნებლიედ ვალიკოს ნათქვამი.

* * *

ტყის მიწიან, ოღრო-ჩოღრო და ნიაღვრებისგან დახრამულ გზაზე ვალიკოს „ ზილი “ ერთ მხარეს გადახრილი იდგა. თვითონ ვალიკოც იქვე იდგა და „ პრიმას “ ხარბად ეწეოდა. ტყის სიღრმეში კი კიდევ რამოდენიმეჯერ გაისმა ცულის კაკუნის ხმა:

- ბიჭო, მერაბ, იმ ზამთრითვინ შემოდგომაზე ამოვალთ, გვეყოფა კ-კ-კაცო, აღარ დაეტევა მ-მ-მეტი, - თქვა და მერაბისაკენ გაემართა. - ბ-ბ-ბიჭო, დააგდე! მოგწყდება წ-წ-წელი, შე ოხერო. ე მაგოდენა მორის აკიდება გ-გ-გაგონილა?! - სიგარეტი გადააგდო ბეჭზე მორმოკიდებული მერაბის დანახვაზე ვალიკომ და მხარი შეაშველა.

გაშიშვლებულ მორს თავი ძარაზე შეადებინეს და რის ვაი-ვაგლახით ბოლომდე შეაცურეს.

- ბიჭოს, თოვლი წწ-წამოვიდა. აბა დახე, ბიჭო. ბ-ბ-ბიჭო, ჩქარა, თორემ დავრჩით ა-ა-აქა და ეგ არი.

- წავედით? - იკითხა მერაბმა ქოშინით.

- დ-დ-დაჯე, დროზე, დ-დ-დაჯე.

გზაში მართლაც ძლიერმა თოვლმა წამოუშინა. მანქანა ორღობეში ბოლომდე ვეღარ შევიდა და ნახევარი იქვე დაცალეს.

- აბა ჰე, წ-წ-წაველ ეხლა მე. ჩ-ჩ-ჩემ დოყლაპია ს-ს-სიძეს ჩაუტან ამ შეშასა, თ-თ-თორე მამიკლავს დასა ს-ს-სიცივითა, - გაიცინა ვალიკომ და მანქანა უკანასვლით გაიყვანა ორღობიდან. მერე მანქანა ისევ შეაჩერა: - ბ-ბ-ბიჭო, მერაბ, კ-კ-კიდევ ერთხელ გეუბნები კ-კ-კაცო. მარტო ხომ არ შეხვდები ახალ წელსა, გადმო საღამოს ჩ-ჩ-ჩვენთანა.

- მეც კიდევ ერთხელ

გეუბნები, ვალიკო. თბილისიდან იმიტომ წამოვედი, პაპაჩემის სახლის აივნიდან უნდა ვისროლო თოფი 12 საათზე. ეს ჭერი უნდა დავლოცო, გაიგე?

- ბ-ბ-ბიჯო, გინდ თოფი გ-გ-გაისროლე, გინდ ნაგანი, ვინ გიშლის. მერე კი ჩ-ჩ-ჩვენსა გადმო.

- ჰო, კარგი, ვნახოთ. შენ ის მითხარი, რომელი საათია?

- ორის ნ-ნ-ნახევარია, - საათზე დაიხედა ვალიკომ. - ეჰ, წავალ თორე, დიდ თოვლს დადებს რ-რ-როგორც ვატყობ, - მერე კარი მიიხურა და მანქანა დაძრა.

მერაბმა ერთი მორი მოიკიდა და ეზოში შეიტანა. დააგდო, ზედვე დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

,, ახლა ცოტას დავისვენებ და მერე ამას დავხერხავ “ , - გაიფიქრა მერაბმა. - ,, ,, დიდი ხანია, ასეთ თოვლს აღარ შევსწრებივარ. უცებ გადაათეთრა აქაურობა.

ხვალ უკვე ახალი წელია. პირველად ვხვდები ახალ წელს მარტო. თუმცა, არა. წინა წელსაც ხომ მარტო შევხვდი? მაშინ ზუსტად თერთმეტიდან პირველამდე ვიდექი პოსტზე...

ხვალ-ზეგ, ალბათ, ლანა ჩამოვა იმ ჭირიანთან ერთად. დათვრება ძვირფასი სიძე და დაიწყებს ბოდიშის ხდას... სასაცილო კაცია. ნუთუ ეს ის ემზარია, 2-3 წლის წინ რომ ვიცნობდი?! რა მოეწონა ლანას მასში, დღემდე ვერ გამიგია...

ამ დღეებში სანადიროდ წავალ. დიდი თოვლი მოვა, როგორც ჩანს და ნადირიც ქვევით დაეშვება...

ჩაივლის ეს ახალი წელი და მივაკითხავ მეურნეობის დირექტორს. ვალიკო ამბობს, მძღოლები არ ყოფნით და სიხარულით დაგსვამენ მანქანაზეო. ვნახოთ... “

მერე ერთთავად წამოდგა, მუჭაში შემალული სიგარეტის ნამწვავი ბზრიალით მოისროლა და ხერხის მოსატანად გაეშურა.

შებინდებამდე ითოვა. მერე უცებ შეწყდა და აცივდა.

დაახლობით 9 საათისათვის მერაბმა საახალწლო სუფრაზე ერთი დოქი ღვინო დადგა და რადგან ღუმელში შეშის ბოლო ნაჭერიც შეუკეთა, კართან მიყუდებულ გრძელტარიან ცულს ხელი წამოავლო და ეზოში გავიდა, ახლადდახერხილი მორის მოზრდილი ჯირკი გვერდზე გააგორა და ჩეხვას შეუდგა.

- მ-მ-მერაბ! - გაისმა უცებ ვალიკოს ხმა და მანქანის სიგნალიც ზედ დაერთო.

- ჩემს მტერს გადაეკიდოს, - თავისთვის ჩაილაპარაკა მერაბმა და ჭიშკრისაკენ გაემართა. - რა მოხდა, ვალიკო, ხომ გითხარი, მერე გამოვალ-მეთქი, - უკმაყოფილოდ წარმოთქვა მერაბმა სწრაფი ნაბიჯით მისკენ მიმავალი ვალიკოს დანახვაზე.

- მ-მ-მაიცა, მ-მ-მამისმინე, - მერაბთან შეჩერდა აღელვებული ვალიკო. - მოვდივარ ქვევიდანა, ვხედავ ს-ს-სანდრუაანთ ვენახთან, დიდ ნამქერში, პატარა მანქანა შევარდნილა. გ-გ-გადმოველ, მიველ, შ-შ-შევათვალიერე, არავინ სჩანს.

- მერე...

- მაიცა. გ-გ-გ-გავაგრძელე გ-გ-გზაი. ერთი კილომეტრ-ნახევარი ამოვიარე და ვ-ვ-ვხედამ, ჰა-ჰა, ან ეხლა უნდა დაეცეს, ა-ა-ან ეხლა.

- ვინა, კაცო?

- მ-მ-მაიცა, მამისმინე. გავაჩერე მანქანაი და ვ-ვ-ვეუბნები, ამო, ა-გიყვან-მეთქი. ვერ ა-ა-ამოვალ, ძალა ა-ა-აღარა მაქვს, სუ გამეყინა ყ-ყ-ყველაფერიო.

- რასა ყვები კაცო? ვინა ნახე, სად ნახე? - მოთმინება დაკარგა მერაბმა.

- ჰოდა, მ-მ-მეც ჩაველ და შევსვი კაბინაში. ს-ს-საწყალი, თ-თ-თვალებ ვეღარ ახელდა. ვისი ბიჭი ხ-ხ-ხარ-მეთქი. ბ-ბ-ბიჭი არა ვარო. მე რა ვიცი, შ-შ-შარვალი ეცვა და თავზე კიდე ზუსტად ისეთი ქ-ქ-ქუდი ეხურა, ზაურას ბიჭს რო ახურია.

- ვინ იყო, ბოლო-ბოლო?

- მე რავი, ვ-ვ-ვინ არი. აგე კაბინაში ზის და ვ-ვ-ვერ გადმოდის. მე გადმოვიყვანდი, მ-მ-მაგრამ ახალგარდა ქალია. ი-ი-იქნებ ეწყინოს, ხელი რო წავავლო.

- მოიცა, მე რა შუაში ვარ, მაინც ვერ გავიგე, ან აქ რატომ მოიყვანე?

- ბ-ბ-ბიჯო, შენთან მოდიოდა და მა, ჭიპას ბიჭს ხ-ხ-ხო არ მივუყვანდი?

- ჩემთან მოდიოდა? - სახე მოებრიცა მერაბს.

- ჰო, შენთანა. მერაბ ბარათაშვილი შ-შ-შენა ხარ თუ მე ვაარ.

- მერე, შე კაი კაცო, აქამდე ვერ მითხარი, მთელი შენი ცხოვრება რომ მომიყევი, - სირბილით გაემართა მერაბი მანქანისკენ. კარებს ეცა და გამოაღო:

- ნატა! - წამოიძახა განცვიფრებულმა ბარათაშვილმა მანქანაში უხერხულად მჯდარი, ტირილისაგან თვალებდაწითლებული ქალიშვილის დანახვაზე. - ნატა... შენ აქ... საიდან?

- მიშველე, მერაბ! - ოდნავგასაგონად წარმოთქვა ნატამ და ასლუკუნდა.

- არ გრცხვენია? - ერთი ხელი წელზე მოხვია, მეორე მუხლებს ქვევით ამოსდო და ხელში აიტაცა. - რა გატირებს? შენი ტირილი გაგონილა?!

- ფეხები აღარ მემორჩილება, მერაბ. სულ გამეყინა.

- ნუ გეშინია, გენაცვალე! - ეზოსკენ დაიძრა მერაბი. - აი, სახლში შევალთ და თბილი ღუმელი ხუთ წუთში მოგარჩენს...

- ნატა, ჩემო ნატა... - იმეორებდა მერაბი და თავისი ძლიერი ხელებით მკერდზე იკრავდა ქალიშვილს.

* * *

პირველი იანვრის პირველი საათი შესრულდა.

ავტომატმომარჯვებულმა ჯარისკაცმა პოსტის საზღვართან მისკენ მომავალი ჯარისკაცი შეამჩნია:

- стой! кто идёт?

- Разводящий.

- Осветить лицо! Продолжай движение!

- С новим годом, Мераб!

- Тебя также!

- Ну как новый год? - გაიღიმა მოსულმა.

- Да кокой там новый год в одиночестве.

- И без чачи, да? Ничего, зато следующий встретиш с кем захочешь.

* * *

წითელი კრამიტით გადახურული დიდი სახლის გრძელ, ქართულ აივანზე ორნი იდგნენ: ქალიშვილი და ვაჟი.

ვაჟს ერთ ხელში ორლულიანი თოფი ეჭირა, მეორეში კი ქალიშვილის მარცხენა ხელი და საათს დაჰყურებდა. უცებ თოფი ყალყზე შეაყენა და დააქუხა.

- გილოცავ ახალ წელს, ნატა!

- მეც გილოცავ, მერაბ!

თოფმა ხელმეორედ იგრიალა.

1987.27.12

4Love.Ge

4Love.Ge © 2008-2015